# კვირის პალიტრა

36 გვ

№ 19 (369) ◆ 13 – 19 მაისი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




ექსკლუზიური ინტერვიუ უშიშროების შეფთან

## ღმერთმა დაიფაროს და მეშინია, სადმე რაიმე არ ააფეთქონ

გვ.3

...ეს არის უკვე არა ხელისუფლებისთვის, არამედ ძალაუფლებისთვის ბრძოლა. შექმნილი ვითარება ადვილი გამოსაყენებელია გარეშე ძალებისთვის და პოლიტიკური პარტიებიც შეიძლება მათდა უნებურად იქნენ გამოყენებულნი.

...ყველაზე უსაფრთხო ადგილები კონტრაბანდისტებისთვის არის იქ, სადაც უფრო მეტი მაკონტროლებელი დგას. იმიტომ, რომ ეს მაკონტროლებლები დგებიან კონტრაბანდის უსაფრთხო შემოტანის თავდებად. ასეთი ტერიტორია არის აფხაზეთი და ენგური. იქიდან ავტომატიანი ხალხი დგას, შუაში რუსები არიან, აქედან – ავტომატიანი ქართველები და ლამის 100%-იანი გარანტიაა, რომ კონტრაბანდას არაფერი დაემუქრება, რადგან სამი ძალა აგებს პასუხს ტვირთზე! ხანდახან ხდება ხოლმე კონფლიქტები, ისიც ქართული „გადაგდებების" გამო... საქართველოში არ არსებობს უპატრონო, ანუ „უკრიშო" ბიზნესი. ყველა ყველაფრის პატრონია და ძალიან ძნელია მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

...უნდა შეიქმნას ისეთი კანონები, რომელიც ხუთ-ექვს „ბაზარნიკს" არ მისცემს საშუალებას საგურამოში სასახლეების აშენებისა. არ ვამართლებ, მაგრამ ამ ფონზე რა გასაკვირია ზოგიერთ მინისტრსაც წაუცდეს ხელი იმ მილიონებისკენ, რომელთანაც შეხება აქვს.

...რუსეთის აგენტურა ისე ძლიერად მუშაობს პანკისში, სერიოზულად მაშინებს, რომ სწორედ პანკისიდან არ განხორციელდეს პროვოკაციები საქართველოს წინააღმდეგ.

## „გისურვებთ წარმატებას ამ ბინძურ საქმეში"...



კომიტეტების თავმჯდომარეებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს...

„...პატივცემულო კოლეგებო, მოგიწოდებთ, რომ ახლაც ისევე უტიფრად გააკეთოთ ის, რასაც აქამდე აკეთებდით...

...ყველაფერი ისე სპონტანურად მოხდა, რომ ყველა წამოეგო.

გვ.5

...ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ის უმრავლესობა, რომელიც მოვიდოდა, მე აღარ ამირჩევდა, ამიტომაც ვალდებული ვიყავი, ბოლომდე მებრძოლა, სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებთ".

## რა ხდება „ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელის ირგვლივ და ვინ გაიტაცა მისი შვილი?..

გვ.11



ჩემი შვილი რამდენჯერმე გაიტაცეს. ეგენი არიან არაკაცები. ამ ხალხმა გაგვიმწარა სიცოცხლე...

## სხვის ფულსა და ოლიგარქებზე ისინი ყვირიან, ვისაც ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი აქვს მითვისებული...

ახალი უმრავლესობის ახალი ლიდერი?..

„ჩვენ ეს წინადადება მივიღეთ, როგორც ჩვენკენ გადმოსროლილი სამაშველო რგოლი..."

ყოფილი უმრავლესობის ყოფილი ლიდერი?..

გვ.7



## ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია სექტებთან დაკავშირებით:

გვ.13

– სექტების ფენომენმა საერთაშორისო მასშტაბები მიიღო;
– სექტები უზომოდ სარგებლობენ ევროსაბჭოს სახელით.

**საჭიროა:** – სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ფართო ფენების ინფორმირება იმ ზიანის შესახებ, რაც სექტების საქმიანობას მოჰყვება;
– შეიქმნას სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც დაიცავს ახალგაზრდებს სექტების მავნე ზეგავლენისგან;
– სექტების მიმდევარნი ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, რომ არიან თავისუფალნი და ნებისმიერ დროს შეუძლიათ დატოვონ სექტა.

ვინ ახდენს ყველაზე მეტ გავლენას პრეზიდენტზე *მკითხველის რეიტინგი*

გვ.35

## ბევრი რამ მიწისძვრის შესახებ...

**გვესაუბრება გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმომეტრიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი**

– რას წარმოადგენს სეისმური ტალღები?
– სეისმოაქტივობის მიხედვით, როგორაა დაყოფილი ჩვენი პლანეტა და რამდენად სეისმოაქტიურ ზონაში იმყოფება საქართველო?
– საქართველოს რომელი მხარეა სეისმურად უფრო აქტიური?
– რა შეიძლება აკავშირებდეს მიწისძვრასა და პოლიტიკას?
– როგორ ხდება მიწისძვრების რეგისტრაცია და რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

გვ.20

ვენდეტა

## ორი ყაჩაღის ამბავი, რომელთაც ას ჩვიდმეტი მკვლელობა ედებოდათ ბრალად...

გვ.10

ოთახში რაღაცამ ისე დაიხრიგინა, მძინარე, ნიფხავ-პერანგის ამარა სტრაჟნიკები იატაკზე დაცვივდნენ. ცოტაც და, ახლა უკვე ეზოდან გაისმა ყრუ გრუხუნი. ეს სკივრის მიწაზე დაცემის ხმა იყო. გურგენოზამ წამით შეაყენა ცხენები...


საარჩევნო პლაკატები

ნებისმიერი ფორმატი ტირაჟი

- გაზეთები, ბუკლეტები და სხვა;
- კომპიუტერული დიზაინი;
- ფერადუ

ლა ფირებზე;
- ბეჭდვა



გამომცემლობა „კოლორი"

ტელ: 999882; 707645; 708256; 899 507821


## „საწყობის ვირთხები" ქონში ველარ ეტევიან

გვ.6,11



როდესაც გვარდიის სურსათის ავტომანქანებს ქალაქის სავაჭრო ობიექტებთან შენიშნავთ, იმ კვირას ჯარისკაცები იშიმშილებენ!

ასე არ უნდაო, თქვა შოთა ბერძენიშვილმა და გუდას თავი მოხსნა... თანახმა ვარ, პასუხი ვაგო, იმ შემთხვევაში, თუ ჩემთან ერთად პასუხს აგებინებენ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს და მის ხელმძღვანელებს, აგრეთვე იმ პროკურორებსა და პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც ფულს მძალავდნენ.

ყოველ სამშაბათს!

სატირულ-იუმორისტული ჟურნალი



რამდენი ხანია გულიანად აღარ გაგვიცინია!

სიცილი სიცოცხლეა!

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## „ახლებისა" და „აღორძინების" შტურმი

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე შტურმი მიიტანეს „ახლებმა" და „აღორძინებამ", რომლებმაც პროტესტის ნიშნად რუსთაველის პროსპექტიც კი გადაკეტეს. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით ცსკ-ის მიერ მიღებული დადგენილების გაუქმებას და იმავდროულად, ჯუმბერ ლომინაძისა და ხათუნა გოგორიშვილის გადადგომას. ამ მოთხოვნების მიზეზი გახდა ცსკ-ის ამ დადგენილების მიღების პროცესში „გამსკდარი საქმე", როცა ზედმეტი ბიულეტენი აღმოაჩინეს (19-ის ნაცვლად იყო 20). ამ შევსებული ბიულეტენებით უნდა მომხდარიყო საუბნო და საოლქო კომისიების შემადგენლობის დამტკიცება, რაც განხორციელდა კიდეც. როგორც ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, მის მოწინააღმდეგეებს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდათ — საარჩევნო კომისიებიდან ჟვანიას თანამოაზრეების გარეკვა. ჟვანიამ თავისი გუნდის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლას „განგაშის ზარი" უწოდა და მოწინააღმდეგეები დრაკონული წესებით ბრძოლაში დაადანაშაულა. როგორც ცნობილია, ჯერ საოლქო სასამართლომ, შემდეგ კი უზენაესმა სასამართლომ თავიანთი გადაწყვეტილებებით აუკრძალა 2 მაისის არჩევნებში მონაწილეობა ჟვანიას გუნდს. ზურაბ ჟვანიამ მომხდარში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე დაადანაშაულა, რადგან ჟვანიას თქმით, ლადო ჭანტურიას გარეშე ასეთი დრაკონული გადაწყვეტილების მიღებას მოსამართლეები ვერ გაბედავდნენ და საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩივილით დაიმუქრა... რაც შეეხება გადაწყვეტილებას საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტების შესახებ, ცსკ-მ რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე აქციის ფონზე გააუქმა თავისივე დადგენილება; ხოლო ამ დადგენილების ავტორი, ცსკ-ის წევრი მერაბ ურიდია, რომელსაც ზედმეტი ბიულეტენი აღმოაჩნდა, გადადგა თანამდებობიდან (ვრცლად იხ. გვ. 7).

## რა მაქინაციებით შეიქმნა ბეჭდის ასლი?

ზურაბ ჟვანიასა და ლევან მამალაძის გუნდები ახლა უკვე „მოქკავშირის" პარტიული ბეჭდის მითვისებაში ადანაშაულებენ ერთმანეთს და სასამართლოში ჩივილით იმუქრებიან. ზურაბ ჟვანია აცხადებს, რომ „მოქალაქეთა კავშირს" აქვს ერთადერთი ბეჭედი, რომელიც ინახება პარტიის მთავარ სეიფში და რა მაქინაციებით შექმნეს ბეჭდის ასლი მამალაძემ და მისმა ხალხმა, ამას პროკურატურაში გავარკვევთო! სწორედ ეს იქცა ცსკ-ის გადაწყვეტილების საფუძვლად, რომლის თანახმად, მამალაძის გუნდსაც არ მისცეს სიების რეგისტრაციის უფლება და უზენაესი სასამართლოდან ოფიციალური დოკუმენტი მოითხოვეს. ეს დოკუმენტი ახსნა-განმარტებითურთ ორშაბათს შევა ცსკ-ში. ზურაბ ჟვანიამ მისი გუნდის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიის ორგანიზებაში სახელმწიფო მინისტრი დაადანაშაულა.

## საქართველოსთვის უპრეცედენტო მოვლენა

პენტაგონში საქართველოსთვის უპრეცედენტო მოვლენა მოხდა. აშშ-ისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრები ერთად წარდგნენ საგანგებო პრესკონფერენციაზე, რომელსაც ამერიკისა და მსოფლიოს ყველა გავლენიანი საინფორმაციო საშუალების წარმომადგენლები დაესწრნენ. დონალდ რამსფელდმა კვლავ დაადასტურა, რომ აშშ საქართველოს განიხილავს, როგორც მეგობარ და მოკავშირე სახელმწიფოს, რომელთანაც ამერიკასთან ერთად სამხედრო სფეროში თანამშრომლობენ დასავლეთის სხვა ქვეყნებიც, უწინარესად, თურქეთი. რამსფელდმა იმედი გამოთქვა, რომ ამერიკელი რეინჯერების მიერ მომზადებული ქართული კონტრტერორისტული ბატალიონები წარმატებით შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.. შეკითხვაზე, არიან თუ არა „ალ ქაიდას" წარმომადგენლები პანკისის ხეობაში, დავით თევზაძემ განაცხადა, რომ „ალ ქაიდას" წევრებს საქართველოში შემოსვლამდე ექვსი ქვეყანა და კასპიის ზღვა აქვთ გასავლელ-გადასალახავი, ასე რომ, მათი საქართველოში ყოფნა ფანტაზიის ნაყოფიაო!

## სხდომა გაიმართა გრიფით „საიდუმლო"

აშშ-დან დაბრუნებულმა დავით თევზაძემ ეროვნული უშიშროების საბჭოს, რომლის ბოლო სხდომაც გრიფით „საიდუმლო" გაიმართა, მიაწოდა რამსფელდთან გამართული მოლაპარაკების შედეგების შესახებ ინფორმაცია. უშიშროების საბჭომ სამხედრო საკითხებზე, უწინარესად, ქართული ჯარის წვრთნისა და აღჭურვის მიმდინარეობაზე იმსჯელა, თუმცა გამოჟონა ერთმა ინფორმაციამაც, რომლის თანახმადაც ამერიკელები კიდევ დამატებითი ღონისძიების განხორციელებას აპირებენ საქართველოში. თუ კონკრეტულად რას, ჯერჯერობით, გასაიდუმლოებულია. დავით თევზაძესთან ერთად ჩამოვიდა დონალდ რამსფელდის მრჩეველი ოთარ შალიკაშვილი, რომელიც უშუალოდ ჩაერთო ქართული კონტრტერორისტული ბატალიონების მომზადების ზედამხედველობის საქმეში. მისი თქმით, ამ ბატალიონების პირველი წვრთნა ვაზიანის ბაზაზე გაიმართება! ეროვნული უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველო-რუსეთის საზღვრის დაცვის შესახებ. ძალოვნების თქმით, საქართველოს საზღვართან, ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთზე უკვე გამოჩნდნენ შეიარაღებული პირებიო!

## თუ ლეიბორისტობა გსურთ, ზოგ-ზოგებთან არ იქეიფოთ

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა პარტიის წევრებს და უწინარესად საკრებულოების დეპუტატობის კანდიდატებს საგანგებო ბრძანებულებით სასტიკად აუკრძალა ხელისუფლების წარმომადგენლებთან საყოფაცხოვრებო დონეზე ყოველგვარი ურთიერთობა, — კერძოდ, მათთან ერთად ქეიფი, დაძმაკაცება და პირადი შეხვედრა-გარიგებები. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, ნათელაშვილი პარტიიდან გაგდებით ემუქრება. ამით ნათელაშვილი 1998 წლის ადგილობრივ არჩევნებში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ცდილობს. მაშინ ლეიბორისტებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ლადო კახაძე, დღეს „მოქალაქეთა კავშირის" მამალაძისეული ფრთის პარტიულ სიაშია. როგორც ნათელაშვილმა ბრძანა, „კაცს (კახაძეს), რომელსაც თბილისის საკრებულო მივანდეთ, შევარდნაძის სუფრებისა და კამპანიების პროფესიონალი თამადა გახდა და სწორედ ამ ღრეობებისას მოხდა მისი გადაბირებაო!"

## საჰაერო სივრცე კვლავ დაირღვა

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის განცხადებით, შაბათს ინგუშეთის მხრიდან შემოფრენილმა ორმა სამხედრო შვეულმფრენმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. შვეულმფრენებმა ასას ხეობას გადაუფრინეს და რუსეთის მიმართულებით გაფრინდნენ.

ოფიციალურ თბილისს, ჯერჯერობით, საპროტესტო განცხადება არ გაუკეთებია მომხდართან დაკავშირებით.

## ლტოლვილების ფქვილი ბაზრობებზე იყიდება!

აფხაზეთიდან ლტოლვილებმა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში საპროტესტო აქციები გამართეს და კუთვნილი ჰუმანიტარული დახმარების მიღება მოითხოვეს. მათი მტკიცებით, ჰუმანიტარული ფქვილი ფოთის პორტში აქვთ გაჩერებული და მალულად ბაზრობებზე ყიდიან. ლტოლვილები იმუქრებიან, რომ თუ ფქვილს და სხვა დახმარებებს დაუყოვნებლივ არ მიიღებენ, აქციებს მიმართავენ და დაარბევენ ფოთის პორტს...

## ნდობის ფაქტორი ნულის ტოლია

თბილისში იმყოფებოდა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა დელეგაცია, რომელმაც ქართულ მხარესთან გამართა მოლაპარაკებები პანკისის ხეობიდან რუსეთში ჩეჩენი ლტოლვილების რეპატრიაციის საკითხებზე. საქართველოს ხელისუფლებაში ეჭვი აქვთ, რომ ჩეჩენი ლტოლვილები დათანხმდებიან ჩეჩნეთში წასვლაზე და აცხადებენ, რომ რუსების ნდობის ფაქტორი ლტოლვილებში ნულს უტოლდება.

რუსული მხარე მოითხოვს პანკისში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების ზუსტი რაოდენობის შესახებ ინფორმაციას და „პირობას დებს", რომ მაქსიმალურად „შეუმსუბუქებს" მდგომარეობას საკუთარ მოქალაქე-ლტოლვილებს და უსაფრთხოების სრულ გარანტიასაც მისცემს მათ!

## მიწისძვრამ „გვიშველა"(!)

თბილისში მომხდარმა მიწისძვრამ საქართველო ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციიდან გარიცხვას გადაარჩინა. ამ ორგანიზაციის მადრიდის სათავო ოფისში 7 მაისს უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება საწევროს გადაუხდელობის გამო საქართველოს გარიცხვის შესახებ, მაგრამ თბილისში მომხდარი მიწისძვრის გამო ორგანიზაციამ დროებით შეაჩერა გადაწყვეტილების მიღება. ამ ორგანიზაციის საქართველოს საწევრო გადასახადის დავალიანება 150 ათასი დოლარია, ანუ ორი ახალი „მერსედესის" ფასი(!). ახლა მადრიდის სათავო ოფისმა ამ ვალის გადახდა 10 ივნისამდე გადაავადა...

## მე-7 თავი იძულებით მშვიდობას ითვალისწინებს

აფხაზეთიდან დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა აფხაზეთის ძალისმიერი დაბრუნების მოთხოვნის შესახებ ქვეყანაში ერთი მილიონი ხელმოწერის შეგროვება დაიწყო. ნადარეიშვილმა ეს ინიციატივა ენგურის აქციის მონაწილეებს და ქართველ პარტიზანებს გააცნო და შეუთანხმა. პარტიზანებმა განაცხადეს, რომ პარტიზანულ მოქმედებაზე გამოცხადებული მორატორიუმი 26 მაისამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც პარტიზანული მოძრაობა ახალი ძალით განახლდება! ნადარეიშვილი კი მილიონი ხელმოწერის შეგროვებას 31 ივლისამდე აპირებს. ამ ხელმოწერებს გაუგზავნის გაეროს უშიშროების საბჭოს, რომელიც სწორედ 31 ივლისს გამართავს მორიგ სხდომას აფხაზეთის საკითხზე და მიიღებს მორიგ რეზოლუციას. ნადარეიშვილი იმუქრება, აღარ დავუშვებთ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ წყალწყალა რეზოლუციების მიღებას, რადგან აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნების ყველა შანსი ამოწურულია და ამ მილიონი ხელმოწერით უშიშროების საბჭოსგან გაეროს წესდების მე-7 თავის ამოქმედებას მოვითხოვთო! მე-7 თავი კი იძულებითი მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს!

## მერია მომხდარზე პასუხს არ აგებს

თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგმა კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. გამსახურდიას გამზირის ერთ-ერთი კორპუსის მიწისძვრისგან დაზიანებული სადარბაზოს შეკეთებისას ბეტონის ფილა გადმოიქცა და ხელოსანი ვლადიმერ აკოფიანი მოიყოლა, რომელიც გარდაიცვალა. მეორე ხელოსანი დაშავდა. ისინი კორპუსის მობინადრეებს ჰყავდათ დაქირავებული. როგორც მათ განაცხადეს, დაქირავებულ ხელოსნებს იმიტომ მიმართეს, რომ ქალაქის მერიიდან არავინ მოვიდა... გაირკვა, რომ კორპუსი სპეციალისტებს უნდა შეესწავლათ და შეეკეთებინათ, ან დაენგრიათ მთლიანად და არა ელიავას ბაზრობაზე მდგარ დღიურ მუშებს თუ ხელოსნებს. მერიამ და გამგეობამ მომხდარზე პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა და იქით დაადანაშაულა მობინადრეები თვითნებობაში...

ტრაგედია დატრიალდა ნაძალადევის რაიონშიც. მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლიდან გადმოვარდნილი მორყეული დიდი ქვა და ღორღი 9 წლის ზურა გეჯაძეს დაეცა და დაიტანა. ბიჭი გარდაიცვალა. ჭირისუფალს იმის საშუალებაც კი არ აქვს, რომ მიცვალებული დაიტიროს, რადგან სახლი შეიძლება ყოველ წუთს ჩამოინგრეს. მეზობლების თქმით, რაიონის გამგეობა ჭირისუფლებს ბავშვის დასაკრძალავად დაპპირდა... 100 ლარს და კარავს.

შაბათს კი სოლოლაკში კიდევ ერთი სახლის ფასადი ჩამოინგრა.

## გაერო დახმარების საკითხს განიხილავს

თბილისში მიწისძვრის შედეგად გამოწვეული ზარალის საკომპენსაციოდ (ზარალი 120 მილიონ დოლარზე მეტია) გაერო უახლოეს სხდომაზე საქართველოსთვის 52 მილიონი დოლარის გამოყოფის საკითხს განიხილავს. შესაბამისი დოკუმენტების მოსამზადებლად ორშაბათს თბილისში მსოფლიო ბანკის რეგიონალური დირექტორი ჯუდი ო'კონერი ჩამოვა. ამჟამად დროებითი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულია უსახლკაროდ დარჩენილი 350 ოჯახი. მშენებლობის სამინისტრო კი ავარიული სახლების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის შეკრებას მიმდინარე კვირაში დაასრულებს.

## შერაცხავენ თუ არა ხურცილავას შეურაცხადად...

გიორგი სანაიას მკვლელობაში ეჭვმიტანილ გრიგოლ ხურცილავას სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაუნიშნეს. ხურცილავას ადვოკატი ირწმუნება, რომ „გენერალური პროკურატურის ეს გადაწყვეტილება უწყინარი პროცესუალური ნორმაა"... იურისტების თქმით, თუ ხურცილავა შეურაცხადად შერაცხეს, მას ფსიქიატრიულში მოათავსებენ და იძულებით მკურნალობას მიუსჯიან, შემდეგ კი პატიმრობიდან გათავისუფლების შანსიც მიეცემა...

## ძარცვა ქუთაისში

ქუთაისში საიუველირო მაღაზია გაქურდეს. ქურდები შენობაში სხვენიდან ჩავიდნენ და სეიფიდან ძვირად ღირებული სამკაულები — ოქროულობა და ბრილიანტები წაიღეს... ჯერჯერობით, არც ერთი ქურდი არ დაუკავებიათ!

## რატომ აფეთქდა მე-10 ბლოკი

სკანდალი დაიწყო გერმანული კომპანია „სიმენსის" ირგვლივ, რომელიც „ეი-ი-ეს მტკვარმა" „თბილსრესის" მე-10 ბლოკზე მომხდარ აფეთქებაში დაადანაშაულა. ამერიკელი ინვესტორები ირწმუნებიან, რომ ბლოკზე მომხდარი ავარია „სიმენსის" ტექნიკის გაუმართაობის ბრალია. ქართული მხარე კი „ეი-ი-ეს მტკვარს" ადანაშაულებს და აცხადებს, კვალიფიციური ოპერატორი აფეთქების თავიდან აცილებას შეძლებდაო! „ეი-ი-ეს მტკვარს" კი ხელთ აქვს ბრიტანელ ექსპერტთა დასკვნა, რომლის თანახმად ენერგობლოკის ქვაბში წარმოქმნილი დარღვევები „სიმენსის" ავტომატიკამ არ დააფიქსირა, რაც შემდეგ აფეთქების მიზეზი გახდა! მიმდინარე კვირაში „სიმენსისა" და „ეი-ი-ეს"-ის წარმომადგენელთა შეხვედრაა დაგეგმილი. თუ „ეი-ი-ეს"-მა დაამტკიცა „სიმენსის" ბრალეულობა, გერმანულ კომპანიას სოლიდური კომპენსაციის გადახდა მოუწევს...

## დაკავებულია ორი ეჭვმიტანილი

ფეხბურთელ კახი კალაძის ძმის ლევან კალაძის გატაცებაში ეჭვმიტანილ ორ პირს სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ეჭვმიტანილები არიან ბადრი ხუნდაძე და ჯემალ ლეჟავა, რომლებსაც ლევან კალაძის მამისგან 4000-მდე დოლარის გამოძალვა ედებათ ბრალად (ამის შესახებ „კვირის პალიტრა" წინა ნომერში წერდა)...

გავრცელებული ინფორმაციით, კარლო კალაძემ ხუნდაძეს ცნობილ კრიმინალებთან, ძმებ მიქელთაძეებთან დაკავშირება სთხოვა. მაგრამ ძმები ამას წინათ სხვა დანაშაულზე დააკავეს და ისინი ქუთაისის ციხეში იმყოფებიან. როგორც კარლო კალაძე აცხადებს, სწორედ ამ უკანასკნელთა დაკავების შემდეგ შეწყდა გამტაცებელთა სატელეფონო ზარები კალაძეების ოჯახში... კარლო კალაძე გამოთქვამს ეჭვს, რომ მიქელთაძეებს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეთ ლევან კალაძის გატაცებასთან.

რაც შეეხება მეორე ეჭვმიტანილს ჯემალ ლეჟავას, იგი კარლო კალაძის მეუღლის, მედეა შენგელიას ახლო ნათესავია. კარლო კალაძე ჯემალ ლეჟავასაც ადანაშაულებს ფულის გამოძალვაში.

## ტერაქტს ქართველებს აბრალებენ

ოჩამჩირის რაიონში ექვსი მშვიდობიანი მცხოვრები ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა. ორი ადგილზე დაიღუპა, ორი კი მძიმე მდგომარეობაში ოჩამჩირის საავადმყოფოში გადაიყვანეს. გამოძიებას აფხაზური მხარე აწარმოებს და ქართველებს საქმეში ჩართვის უფლება არ მისცეს. სეპარატისტები ტერაქტს ქართველებს აბრალებენ...

## საბერძნეთი 217-ე ქვეყანა

მსოფლიო მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას ველოსიპედით ცხრაწლიანი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდება. იგი ამჟამად საბერძნეთში იმყოფება. ჯუმბერ ლეჟავას უკვე გავლილი აქვს 217 ქვეყანა — 251 ათასი კმ-ი. ეს მაჩვენებელი — ველოსიპედით გავლილ ქვეყანათა რიცხვი — 57 ქვეყნით აღემატება ძველ მსოფლიო რეკორდს.

## ჯაშუში ელექტროსკამს გადაურჩა



აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილ თანამშრომელს, სკანდალურად ცნობილ რობერტ ჰანსონს ამერიკის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ჰანსონმა აღიარა, რომ 1979-1999 წლებში, ჯერ საბჭოთა კავშირის КГБ-ს, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებს აწვდიდა მნიშვნელოვან მასალებსა და ინფორმაციებს, ხოლო გამოძიების ფედერალური ბიუროს საიდუმლო დოკუმენტაცია რუსეთს მილიონ ოთხასი ათას დოლარად მიჰყიდა! პროკურორი ჰანსონის ელექტროსკამზე გაგზავნას მოითხოვდა, მაგრამ რუსეთის ჯაშუში სიკვდილით დასჯას გულწრფელი აღიარებით და ადვოკატის ვირტუოზული მუშაობის წყალობით გადაურჩა.

საინტერესოა, რომ ჰანსონის სიკვდილით დასჯას თვით დონალდ რამსფელდიც მოითხოვდა და ჯაშუშს აშშ-ის დაუძინებელ მტერს უწოდებდა.

## ტერაქტებით და მკვლელობებით მდიდარი კვირა

გასული კვირა, საუბედუროდ, მდიდარი გამოდგა ნაირ-ნაირი ტერაქტით, მკვლელობით და კატასტროფით. მექსიკაში ვიღაც არამზადამ „ჯიპით" გადაუარა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, რომლებიც ამ სუბიექტის სახლის წინ ზეიმისთვის ემზადებოდნენ. დაიღუპა სამი მცირეწლოვანი ბავშვი და ერთი მასწავლებელი, 10-მდე ადამიანი კი დაშავდა... ინგლისში სამგზავრო მატარებელი გადაბრუნდა და 7 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ჰოლანდიაში კი საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური კანდიდატის, ულტრამემარჯვენე პარტიის ლიდერი პიმ ფორტეინი ჩაცხრილეს. მკვლელი, 30 წლის ჰოლანდიელი მამაკაცი დააპატიმრეს. მკვლელობის მოტივს იძიებენ, თუმცა ცნობილია, რომ პიმ ფორტეინი ჰომოსექსუალისტი იყო... გასულ კვირას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სამი ავიაკატასტროფა მოხდა, რომელმაც 130-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ისრაელში კი ორმა კამიკაძემ აიფეთქა თავი და თან 20-მდე ებრაელიც შეიწირა.

რაც შეეხება კასპიისკში მომხდარ ტერაქტს, დაკავებულნი არიან ეჭვმიტანილები, რომლებიც დაღესტნელები აღმოჩნდნენ (ვრცლად იხ. გვ. 9).

## სამი სახელმწიფო მრავალ მილიარდს იზარალებს

პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ უმკაცრესი სანქციები დაუწესა სომხეთის, ჩინეთისა და მოლდოვის ზოგიერთ კომპანიას, რომლებიც ირანს სამხედრო ტექნოლოგიას აწვდიან. თეთრი სახლის განცხადებით, სანქციები შეეხება მხოლოდ კონკრეტულ კომპანიებს და არა ამ ქვეყნების მთავრობებს. ყველა ამერიკულ კომპანიას აეკრძალა სომხეთის, მოლდოვისა და ჩინეთის ფირმებთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა. სანქციების წყალობით სამივე სახელმწიფო მრავალმილიარდიან ზარალს მიიღებს.

## წერეთელი ბალზაკის ქანდაკებას არ დადგამს

პარიზის მუნიციპალიტეტმა და საფრანგეთში რუსეთის საელჩომ უარყვეს გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი პარიზის გარეუბანში დიდი ფრანგი მწერლის ონორე დე ბალზაკის 40-მეტრიანი ქანდაკების დადგმას აპირებს. საფრანგეთში მოქმედი კანონის მიხედვით, ამა თუ იმ მოღვაწის მონუმენტის სიმაღლე სამ მეტრს არ უნდა აღემატებოდეს. გამონაკლისს მხოლოდ ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონის ძეგლი წარმოადგენს პარიზში, რომლის სიმაღლე 15 მეტრია.

# ღმერთმა დაიფაროს და მეშინია, სადმე რაიმე არ ააფეთქონ



ხანდახან ჩვენს ხალხს პანიკა მოიცავს ხოლმე. არადა, ადამიანები ყურადღებით უნდა იყვნენ, რომ არ გამორჩეთ ხალხმრავალ ადგილზე, ტრანსპორტში დატოვებული ჩანთა, ბარგი, ნივთი. როცა დაღესტანსა და ვლადიკავკაზში ასეთი საშინელი ტერაქტები ხდება, პანკისის პრობლემაც რომ არ გვქონდეს და საზღვრებიც მაქსიმალურად დაცული იყოს, უკვე უნდა გავფრთხილდეთ და პრევენტიული ზომები მივიღოთ.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ხანს კავკასია კიდევ ერთხელ ავისმომასწავებლად შეზანზარდა. თუ ჩრდილო კავკასიას სროლა და უსაშინლესი ტერაქტები არყევდა, საქართველოს გულს უკვე მერამდენედ გადაუარა პოლიტიკური გაუმაძღრობის „ზეიმმა“. ამ სტიქიის წარმომშობი უპირველესი მიზეზი კი ამბიციებით ტვინგამოტენილ ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა და მათ უკან მდგარი კლანების გაუმაძღრობაა... როცა ამ პოლიტიკური აურზაურის ფონზე და მიწისძვრიდან ორი კვირის შემდეგ 9 წლის თბილისელი ბიჭუნა კვდება დაზიანებული სახლის ჩამონგრევის შედეგად, ტელეეკრანზე კი ქალაქის „მამების“, პოლიტიკოსთა და ჩინოვნიკთა გასუქებულ და გაავებულ სახეებს შეჰყურებ ყოველდღე და ყოველ საათს, დამეთანხმებით ძალიან ძნელია ემოციის და თავის შეკავება... ისედაც გაწამებულ ხალხს მშვიდ ცხოვრებასაც აღარ აცლიან და იმის გაფიქრებაც კი შემზარავია, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს მტერმა საკუთარი ინტერესებისთვის აქ მიმდინარე წინასაარჩევნო ბაქანალია და უკიდურესად საშიშ ზღვრამდე მისული დაპირისპირება. ვესაუბრებით სახელმწიფო უშიშროების მინისტრს **ვალერი ხაბურძანიას:**

— რიგ პროცესებს ვაკონტროლებთ და ვაკვირდებით მოვლენათა განვითარებას. პანკისის ხეობის მიმართულებით ვითარების ესკალაციას არ გამოვრიცხავ. საკმაოდ მწვავე სიტუაციაა და ვცდილობთ მის განმუხტვას. იქ შემოსულთ და ადგილობრივ მკვიდრთაც ვეუბნებით, რომ ისინი დიდ პრობლემებს გვიქმნიან. თვითონაც უნდა შეიგნონ, რომ მართლაც პრობლემებს უქმნიან საქართველოს. პანკისის ხეობაში არიან უკანონო შეიარაღებული ფორმირებები. ასეთი კვალიფიკაცია მივეცი იქ მყოფ შეიარაღებულ ხალხს და დანარჩენი თვითონ გაარკვიონ — თავისუფლებისთვის მებრძოლები არიან, ტერორისტები თუ სეპარატისტები. ესენი არიან ეთნიკური ჩეჩნებიც, ქისტებიც, არაბებიც და თქვენ წარმოიდგინეთ, ქართველებიც. ამ ქართველებიდან ზოგი კრიმინალია, ზოგმაც ვაჰაბიზმი მიიღო, ანუ არსებობს გარკვეული სამხედრო ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც ხეობის ტერიტორიაზე ძალაუფლებასა და გავლენას ფლობს. სახელმწიფო კი ასეთ მდგომარეობას ვერ აიტანს. სხვა საქმეა აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და შეიძლება საქართველოს სხვა წერტილებიც, მაგრამ პანკისის ხეობასთან დაკავშირებით ვაცხადებ — შეიძლება ნელ-ნელა ისე გამწვავდეს იქ ვითარება, რომ ჩვენ ველარ გავაკონტროლოთ პროცესები და უფრო დიდმა ძალებმა იმოქმედონ ამ ტერიტორიაზე! ამიტომ, ვაფრთხილებთ ამ ხალხს: ან მოიშორონ იარაღი და მიიღონ ლტოლვილის თუ სხვა სტატუსი, ან არადა, ტერორიზმთან მებრძოლი ძალები აქტიურად დაიწყებენ მოქმედებას. აქ დასავლეთიც მყავს მხედველობაში და ჩრდილოეთიც...

— **ნიშანდობლივია ახლახან ბუში-პუტინის სატელეფონო საუბრისას დაფიქსირებული მათი პოზიცია. თუ მოსკოვიდან მოსულ ინფორმაციას ვენდობით, ორივე პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა პანკისის ხეობის მიმართულებით მიმდინარე კონტრტერორისტული ოპერაციის მზადება...**

— გარკვეულწილად, საქართველოს პოზიცია იგულისხმება მათ ნათქვამში. ყველაფერს დეტალურად ვერ ვიტყვით, მით უმეტეს, რომ საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს, — პანკისის ხეობაში ჯერჯერობით არ ვგეგმავთ აქტიურ ღონისძიებებს. მაგრამ, ვიმეორებ, ღონისძიებებისთვის ნიადაგს ამზადებს დასავლეთიც და ჩრდილოეთიც, თუ პანკისში სიტუაცია არ დარეგულირდება. ჩრდილო კავკასიაში მომხდარი საშინელი ტერაქტები ასეთი მზადებისა და აქტიური ღონისძიებების გასატარებლად სერიოზულ ფონს და საბაბს იძლევა. ისეთი ვითარება შეიქმნება, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ვერც დასავლეთს და ვერც ჩრდილოეთს ვერ დავუშლით აქტიური მოქმედებების დაწყებას. უბრალოდ, ვერ შევძლებთ, რადგან შეიძლება, ამის არც ზნეობრივი და აღარც იურიდიული უფლება გვქონდეს. თუ პანკისის ხეობა ტერორისტების ბუდედ ჩამოყალიბდება და კიდევ რაღაც ჯგუფები დაემატებათ, ძნელი იქნება საუბარი ამერიკასთანაც და რუსეთთანაც, მით უმეტეს, რომ როგორც ჩანს, დასავლეთისა და რუსეთისთვისაც საინტერესო პირები გამოიკვეთნენ პანკისის ხეობაში.

— **ე.ი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსეთმაც შეიძლება დაარტყას პანკისს. თუკი იქ განხორციელდება კონტრტერორისტული ოპერაცია...**

— არ გამოვრიცხავ, რომ მოსალოდნელი გართულებების ფონზე, შეიძლება რუსეთმა ისეთი მორალური საფუძვლები იგდოს ხელთ, რომ მსოფლიომ მის ქმედებაზე თვალი დახუჭოს. ბუნებრივია, კატეგორიული წინააღმდეგი ვართ საქართველოსთან შეუთანხმებლად რუსეთმა და დასავლეთმაც პანკისში მასშტაბური ოპერაცია განახორციელონ, ვცდილობთ, რომ აქამდე არ მივიდეს საქმე. მაგრამ თუ რუსები ხეობაში ვიღაც პირების საძებრად და დასაჭერად შევლენ, ჩვენ ვერ დავაკავებთ მათ. გინდა აგრესია დავარქვათ ამას, გნებავთ სხვა რამ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ანტიტერორისტული ოპერაცია ვის მიმართაც ტარდებოდა დღემდე, იმათი თვალსაზრისითაც აგრესია იყო, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობა მათ არ თანაუგრძნობდა...

— **რამდენად ძლიერად მუშაობს რუსეთის აგენტურა პანკისის ხეობაში, რათა იქ პროვოკაციას მისცენ გასაქანი.**

— რუსეთის აგენტურა ისე ძლიერად მუშაობს პანკისში, სერიოზულად მაშინებს, რომ სწორედ პანკისიდან არ განხორციელდეს პროვოკაციები და გარკვეული ქმედებები საქართველოს წინააღმდეგ და არა ის, რომ თვითონ რუსეთმა დაიწყოს აშკარა პროვოკაცია. რუსეთშიც არიან ძალები, რომლებიც სალად აფასებენ პროცესებს და ნორმალურად თანამშრომლობენ ჩვენთან და არიან ისეთებიც, რომლებიც ყველანაირად ხელს უშლიან ამ თანამშრომლობას. დიახ, პროვოკაციების მოწყობა ყველაზე ადვილად პანკისში შეიძლება, მით უმეტეს, რომ იქ დიდი რაოდენობითაა ისეთი ხალხი, რომლებიც ამაზე წავლენ... ღმერთმა დაიფაროს და მეშინია, სადმე რაიმე არ ააფეთქონ. ეს უკვე აშკარა სანქცია იქნება ყველა ძალისთვის, რომ ხეობაში საბრძოლო მოქმედებები დაიწყოს. ბოლოს და ბოლოს დაგვეხმარებიან და მათ განადგურებას წინ აღარაფერი დაუდგება. მაგრამ არა მგონია, ასეთ აბსურდულ საქმეზე წავიდნენ...

— **ამას წინათ დუისთან გატაცებული არაბების შესახებ რას იტყვით? ქისტებმა ამაში სწორედ უშიშროების სამინისტრო დაადანაშაულეს.**

— თუ ოპერაციას ატარებს უშიშროების სამინისტრო, ეს არის კანონიერი ქმედება და ბრალდებები ჩვენი მისამართით არ უნდა ისმოდეს. ავტომატით შეიარაღებული არაბი საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა იყოს და თუ მათ უვნებელყოფაში ჩვენ გვადანაშაულებენ, ეს ბრალდება კი არა, კარგი საქმეა, მაგრამ დანამდვილებით არ ვიცით, რა მოხდა იქ. საერთოდ, საკუთრივ ხეობაში ისეთი ვითარებაა, რომ ეტყობათ, მათ ფული შემოაკლდათ და ხელი მიჰყვეს ერთმანეთის გატაცებას, გამოძალვას, ქურდობას, და უნდა იცოდნენ, ძალიან ცუდად შემოუბრუნდებათ ეს პროცესი.

— **რამდენად არის დაცული თბილისი, სხვა ქალაქები, ბაზრობები და სხვა ხალხმრავალი ადგილები მოსალოდნელი პროვოკაციებისაგან?**

— მაქსიმალური ძალისხმევაა მიმართული ამ მხრივ, მაგრამ დაზღვეულნი არაფრისგან არ ვართ. ნიუ-იორკში ყველაფრით დაცულ მილიონერს 87-ე სართულზე ოფისში თვითმფრინავი შეუვარდა და რაც მოხდა, ვიცით. შესაბამისად, ვერავინ შეჰპირდება ხალხს და 100%-იან გარანტიას ვერ მისცემს, რომ მშვიდად ვიქნებით და არაფერი მოხდება, მაგრამ ვმუშაობთ და საზოგადოებაც ფხიზლად უნდა იყოს. თბილისში მიმდინარე რეიდები მიმართულია კრიმინოგენული სიტუაციის გამოსასწორებლად და მსგავსი ტერაქტების განხორციელების შანსიც კი უნდა გამოირიცხოს. ზუგდიდშიც სერიოზული ღონისძიებები გავატარეთ, მაგრამ ხანდახან ჩვენს ხალხს პანიკა მოიცავს ხოლმე. არადა, ადამიანები ყურადღებით უნდა იყვნენ, რომ არ გამორჩეთ ხალხმრავალ ადგილზე, ტრანსპორტში დატოვებული ჩანთა, ბარგი, ნივთი. როცა დაღესტანსა და ვლადიკავკაზში ასეთი საშინელი ტერაქტები ხდება, პანკისის პრობლემაც რომ არ გვქონდეს და საზღვრებიც მაქსიმალურად დაცული იყოს, უკვე უნდა გავფრთხილდეთ და პრევენტიული ზომები მივიღოთ. ჩემი უწყების ანტიტერორისტულ ცენტრში სულ 100 თანამშრომელია და მარტო თბილისშია ასი ბაზრობა... ვმუშაობთ ოპერატიული ხაზით. გვაქვს წინმსწრები ინფორმაციები ამ ჯგუფებზე, რომელთაგანაც შეიძლება მსგავსი საფრთხე დაგვემუქროს.

— **რუსები მარჯვედ იყენებენ პროპაგანდისტული მიზნებისთვის მსგავს შემთხვევებს. თქვენ ამას წინათ ყურადღება გაამახვილეთ თბომავალ „ავრასიას“ გამტაცებლებზე, რომლებიც აფხაზეთს აფარებენ თავს. როგორც ვიცი, ჩეჩენ გამტაცებლებს შორის იყვნენ აფხაზებიც, რომლებიც დაიჭირეს, მაგრამ მათ თურქეთის ისეთი ციხიდან მოახერხეს გაქცევა, სადაც რადარები დგას და ჩიტიც ვერ გამოფრინდება... რუსები კი, „ავრასიის“ აფხაზ გამტაცებლებზე კრინტს არ ძრავენ და მათ ჩეჩნებად მოიხსენიებენ. რატომ არ ვიყენებთ ამ კოზირს?**

— თავის დროზე განვაცხადე ამის შესახებ და გარკვეული პერიოდის მანძილზე ეს თემა აქტუალური იყო. შემდეგ კი, რადგან საქართველოში ამერიკელი ინსტრუქტორების შემოსავლისა და კონტრტერორისტული პროგრამის განხორციელების პროცესი დაიწყო, ჩვენმა მეგობრებმა გვთხოვეს, ეს პროგრამა არ დაგვეკავშირებინა აფხაზეთის პრობლემატიკისათვის და ვფიქრობ, სწორი მოთხოვნა იყო. მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ აფხაზეთში არიან ტერორისტებიც და თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ სეპარატისტებსაც, რა თქმა უნდა, დამნაშავეებით არის სავსე იქაურობა. ამასთან, ისეთი ტენდენციები გამოიკვეთა აფხაზეთში, მალე პანკისის მსგავსი ვითარება შეიქმნება. იქ გამოჩნდნენ ვაჰაბიტებიც და ტერორისტებიც. იმავე „ავრასიის“ გამტაცებელი ტობჯანი, ახლა ტობჯუას გვარით არის ჩაწერილი. მასთან ერთად „ავრასიის“ გამტაცებელი ორი-სამი კაციც აფხაზეთშია. აღარაფერს ვამბობ სხვა ჯურის ტერორისტებზე, რომლებიც ჩვენი ოპერატიული მონაცემებით, შეიძლება იმყოფებოდნენ აფხაზეთში. საერთოდ, ზიარი ჭურჭლის პრინციპით შეიძლება განვითარდეს მოვლენები, ანუ თუ პანკისსა და ჩრდილო კავკასიაში შევიწროვდებიან ამ ჯურის ადამიანები, ისინი აფხაზეთში მოიყრიან თავს. მეტიც, იქ შეიძლება ავღანელებიც გამოჩნდნენ. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს და შეჩერდა ამ ადამიანთა ნაკადის შემოდინება, თუმცა აღმოჩნდა ავღანელთა ჯგუფი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის გავლით, აფხაზეთიდან აპირებდნენ ევროპაში გასვლას. როგორც ჩანს, მუშაობს გარკვეული სქემა, რომელშიც აფხაზეთიცაა ჩართული, სადაც ამ ჯურის ადამიანებს იმედი აქვთ, რომ პრობლემები არ ექნებათ, მოიცდიან, დაისვენებენ და განსაზღვრავენ, საით და როგორ წავიდნენ... საერთოდ, აფხაზეთში უამრავი ძალა მუშაობს, მათ შორის თურქეთისაც და რუსეთისაც, რადგან იქ შესანიშნავი ნიადაგია საიმისოდ, რომ ფულიც მოიხვეჭონ და ძალაუფლებაც.

— **არძინბას გარდაცვალების შემდეგ სავარაუდოდ რა ძალებმა შეიძლება ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება? ისიც ითქვა, ანრი ჯერგენიამ „გაპრეზიდენტებისთვის“ შეიძლება მხარდაჭერა თბილისსაც კი სთხოვოსო...**

— ღია პროგნოზს, ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე ვერ გავაკეთებ, ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უდავოა — ძალიან მძიმე დრო დგება აფხაზეთისთვის და ჩვენ ასეთი სიტუაციები ყოველთვის უნდა გამოვიყენოთ. როდესაც შიგნით მიმდინარეობს ბრძოლა გავლენისა და ხელისუფლებისთვის, ეს ბრძოლა იწვევს მათ დასუსტებას. რაღაც ჯგუფს შეიძლება მართლაც დასჭირდეს თბილისის მხარდაჭერა, რაც მნიშვნელოვანია. შეიძლება სხვა ჯგუფები რადიკალური ლოზუნგების ფონით უცებ მოვიდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლონ. მით უმეტეს, რომ აფხაზეთში არიან სისხლით და ხორცით აფხაზები, არცთუ უმნიშვნელო ნაწილი, რომელთაც სურთ ჩვენთან მშვიდობა და თანაცხოვრება, მაგრამ სეპარატისტთა „ომის პარტია“ მაინც თავისას აკეთებს. მათ დღემდე მიაჩნიათ თავი „გამარჯვებულად“ და მათთვის ძნელად დასათმობია ხელისუფლებაც და სიტუაციაც, მაგრამ აფხაზ ხალხს მშვიდობა სურს და არა ტყე-ღრეში ხეტიალი და მუდმივი შიშით ცხოვრება...

— **არძინბას ბიძაშვილები აპირებდნენ სასამართლოში სარჩელის შეტანას თქვენს წინააღმდეგ იმის გამო, რომ ისინი ნარკობიზნესში დაადანაშაულეთ. გიჩივლეს?**

— ჩვენი ოპერატიული ინფორმაციებით ნარკოტიკებით ვაჭრობა უკავშირდებოდა ლევან არძინბას ბიზნესს. შეიძლება პირადად არ არის ჩარეული ამ საქმეში და საზოგადოებაში კარგი რეპუტაციით სარგებლობს, მაგრამ ფაქტია, რომ ლევან არძინბა ფლობს და კურირებს ისეთ ბიზნესს, რომელთანაც „მიტმასნილია“ ნარკობიზნესი. აკა არძინბას ბიზნესსა და მასთან ნარკოტიკების სიახლოვეზე ნამდვილად არაფერი ვიცი... ლევან არძინბამ კი ჩემი განცხადების შემდეგ ვაი-უშველებელი ატეხა, — რეპუტაცია შემილახა და სასამართლოში უნდა ვუჩივლოო. მეც შევუთვალე, კი ბატონო, მიჩივლე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში-მეთქი. დღემდე არ ვიცი, სადმე მიჩივლა თუ არა. კვლავ გავიმეორებ, რომ ლევან არძინბას ბიზნესთან „მიტმასნილია“ ნარკობიზნესი...

— **ამ დღეებში რუსეთის მასმედიამ კვლავ გაიხსენა რუსლან გელაევი და განაცხადა, — გელაევი ვაზიანის ბაზაზე ამერიკელ „რეინჯერთა“ ხელმძღვანელებს შეხვდაო... სად არის გელაევი?**

— ვაზიანის ბაზაზე ნამდვილად არ არის... დადის, მოძრაობს აქეთ-იქით და შეიძლება ჩვენი საუბრის მომენტშიც საქართველოში იყოს, ან არ იყოს...

— **ამერიკელებს რა გეგმები აქვთ საქართველოსა და რეგიონის უსაფრთხოების თვალსაზრისით (რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით)? ალბათ მოსკოვში ბუში-პუტინის ამჟამინდელ შეხვედრაზე და რომში ნატოს სამიტზე ბევრი რამ გაირკვევა.**

— ამერიკელებს მყარად აქვთ გადაწყვეტილი საქართველოსთვის დახმარების გაწევა ბევრი მიმართულებით. საქართველოს გაძლიერებას ამერიკაში მიიჩნევენ ჩვენს რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებისა და თავიანთი ინტერესების განხორციელებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად. ამიტომ ლაპარაკი, საქართველოს ხარჯზე ვიღაცასთან გარიგებაზე, ზღაპარია. ამერიკა-რუსეთს შორის ნებისმიერი შეთანხმება, ვფიქრობ, აუცილებლად მიმართული იქნება იქითკენ, რომ ეს რეგიონი არ იქცეს მათი ინტერესების სერიოზული შეჯახების ასპარეზად. ალბათ ბუში-პუტინის სამიტის შემდეგ მათი ინტერესების შემაჯახებელი ფაქტორები გადაინაცვლებს სხვა რეგიონებში. ჩვენთან კი უნდა მოიხსნას ეს მომენტი... მივესალმები დასავლეთთან რუსეთის ინტეგრირებას, რადგან არ შეიძლება გლობალური პროცესებიდან რუსეთის იგნორირება. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივაც სწორედ დასავლეთის, ამერიკისა და რუსეთის დაახლოების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ეს პროცესები თვითონ პუტინსაც სჭირდება, რადგან ხედავს, რომ მარტო ძალიან გაუჭირდება ხელისუფლების კონსოლიდირება. მას სერიოზული პრობლემები აქვს, რომელსაც დასავლეთის დაუხმარებლად ვერ გადაჭრის. პუტინმა ცრურუსული სიამაყე ღირსეულად გადადო გვერდზე და დასავლეთთან ინტეგრირების გზა აირჩია.

— **უშიშროების სამინისტროში მიმდინარე რეფორმისა და ანტიკორუფციული კამპანიის შესახებ გთხოვთ კომენტარს... აქვს კი საქართველოს ხელისუფლებას ნება, რომ რეალურად გადაიდგას ამ მხრივ ნაბიჯები?**

— უშიშროების სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახური გავაუქმეთ და ახალი ტიპის სამსახური შევქმენით. ადრე ამ სამსახურში მუშაობდა 162 კაცი, დღეს არის 51. შევცვალეთ კადრები და აწყობილი სქემები დავარღვიეთ. ვერ ვიტყვი, რომ 51 ანგელოზი მოვძებნე და ვერც მოვძებნი. რეალურად გავუსწოროთ თვალი სინამდვილეს: ზოგს შეიძლება ბიზნესი აქვს და იმას უწყობს ხელს, ზოგს ხელი წაუცდება რაღაცისკენ, მაგრამ ბევრი საქმესაც აკეთებს. რაც ადრე, წლის განმავლობაში საქმეები იყო აღძრული ეკონომიკურ დანაშაულობებზე, იმდენივე საქმე გვაქვს აღძრული ორ თვეში. აქ სოლიდურ თანხებზეა საუბარი და ვნახოთ, რას გვიჩვენებს გამოძიება. მიმაჩნია, რომ არსებული სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობის უკუღმართობის გამო ბევრი რამ ფუჭდება გამოძიებისას და ხანდახან სასამართლოც არ აკლებს ხელს. ამასთან, საქართველოში არ არსებობს უპატრონო, ანუ „უკრიშო“ ბიზნესი. ყველა ყველაფრის პატრონია და ძალიან ძნელია მათ წინააღმდეგ ბრძოლა. პირდაპირ გეტყვით: საკუთარ სისხლსა და ხორცს გადაგკიდებენ, მოგიგზავნიან და ატყდება ვაი-უშველებელი — აი, უკანასკნელ გროშებს ითვლის, ილუპება და იქცევაო და ა.შ. ასეთია რეალობა. უშიშროებამ ავტობუსი არ უნდა გააჩეროს, უშიშროებამ გლობალურ კონტრაბანდაზე უნდა იმუშაოს, მაგრამ ეს გლობალური კონტრაბანდა შედგება წვრილ-წვრილი კონტრაბანდებისაგან, რომელსაც თავში ჰყავს „პატრონი“ და იმ კაცთან ვერ მიხვალ უდავო მტკიცებულებების გარეშე, რადგან, როგორც წესი, ეს ხალხი რეპუტაციით სარგებლობს საზოგადოებაში. არადა, თითო-თითო ავტობუსიდან ხუთ-ხუთი ლარი იყრის თავს და შესაბამისად, „იქ“ ძალიან დიდი თანხა ადის! მიადგები ავტობუსს და აღმოჩნდება, 60-70 კაცი, რომლებიც, როგორც წესი, ვიღაც-ვიღაცების ნათესავ-მეგობრები არიან, თანაც ზოგს შვილი ჰყავს ავად, შეიძლება რომ ზოგ მებაჟესაც ჰქონდეს ჯანმრთელობის პრობლემები და ა.შ. ვფიქრობ, თუ ადმინისტრირებას გავაძლიერებთ, გარკვეული წინსვლა გვექნება ამ საქმეში. მაგრამ ბაზრობებზე ძალიან ძნელია ადმინისტრატორებით რაიმე შედეგს მიაღწიო. უნდა შეიქმნას ისეთი კანონები, რომელიც ხუთ-ექვს ე.წ. „ბაზარნიკს“ არ მისცემს საშუალებას საგურამოში სასახლეების აშენებისა. არ ვამართლებ, მაგრამ ამ ფონზე რა გასაკვირია, ზოგიერთ მინისტრსაც წაუცდეს ხელი იმ მილიონებისკენ, რომელთანაც შეხება აქვს. „ბაზარნიკები“ მშვენივრად ცხოვრობენ და არა იმიტომ, რომ რაიმეს ნიჭი აქვთ, არამედ ხალხს, რომელიც წვალობს და რაღაცა ჩამოაქვს, წურბელებივით ასხედან და სწოვენ სისხლს. ეს არის მთელი მათი „ბიზნესი“. მათთვის მთავარია იცოდნენ — გაყოფა, ანუ ვის რამდენი უნდა მისცენ. სხედან წყნარად და მოდის დიდი ფული!

— **ე.ი. კორუფციის ამ მონსტრს ველარაფერი დაანგრევს?..**

— დაანგრევს ეკონომიკა. ამ ტიპის ბაზარს დაანგრევს მხოლოდ კანონით მოწესრიგებული ვაჭრობა, ნამდვილი და საინტერესო ბიზნესი. ზოგს ჰგონია, რომ ყველაზე უსაფრთხო კონტრაბანდა საქართველოში იქ არის, სადაც, ვთქვათ, საზღვრები ვერ კონტროლდება სათანადოდ. არა, ყველაზე უსაფრთხო ადგილები კონტრაბანდისტებისთვის არის იქ, სადაც უფრო მეტი მაკონტროლებელი დგას. იმიტომ, რომ ეს მაკონტროლებლები დგებიან კონტრაბანდის უსაფრთხო შემოტანის თავდებად. ასეთი ტერიტორია არის აფხაზეთი და ენგური. იქიდან ავტომატიანი ხალხი დგას, შუაში რუსები არიან, აქედან — ავტომატიანი ქართველები და ლამის 100%-იანი გარანტიაა, რომ კონტრაბანდას არაფერი დაემუქრება, რადგან სამი ძალა აგებს პასუხს ტვირთზე! ხანდახან ხდება ხოლმე კონფლიქტები, ისიც ქართული „გადაგდებების“ გამო... ვფიქრობ, ფინანსთა და შემოსავლების სამინისტროების გაერთიანების შედეგად მირიან გოგიაშვილი შეძლებს ძალების კონცენტრაციას და თუ მას ეკონომიკური ბლოკიც მხარს აუბამს, წინსვლა რეალური იქნება. სამწუხაროდ, საქართველოში საჯარო სამსახურის სისტემაა არასტაბილური. ყველა ფიქრობს, სანამ თანამდებობაზეა, რაღაც შინ წაიღოს.

— **ვხედავთ, რა ხდება 2 ივნისის არჩევნების წინ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. გაისმა ხმაც შესაძლო სისხლის ღვრის შესახებ. ამ დაპირისპირების ბოროტად გამოყენებას ალბათ შეეცდებიან გარეშე ძალებიც, რამდენად ვართ დაზღვეულნი ამისგან?**

— როცა ვუყურებ, რა პროცესებს ეძლევა გასაქანი, არ დაგიმალავთ და მეშინია, რომ რაღაც უბედურება არ დაგვატყდეს თავს. ეს არის არა ხელისუფლებისთვის, არამედ ძალაუფლებისთვის ბრძოლა. შექმნილი ვითარება ადვილი გამოსაყენებელია გარეშე ძალების ინტერესებისთვის და პოლიტიკური პარტიებიც შეიძლება მათდა უნებურად იქნენ გამოყენებულნი. არჩევნებთან დაკავშირებით ჩვენ აბსოლუტურ ნეიტრალიტეტს ვინარჩუნებთ, მაგრამ პროცესებს ვაკვირდებით და ანალიზს ვაკეთებთ. ყველა პოლიტიკურ ძალას ვთხოვთ, ფრთხილად იყონ, რათა მათი მოქმედებები გარედან არ იყოს გამოყენებული ისე, რომ თვითონაც ვერ მიხვდნენ ამას.

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# თამარ, ლამაზო ყვავილო...



წმინდა თამარ მეფეს მართლმადიდებელი ეკლესია წელიწადში ორჯერ 1 (14) მაისს და მენელსაცხებლე დედათა კვირას (აღდგომიდან მესამე კვირას) იხსენიებს. „ქართლის ცხოვრებამ" ამგვარად აღბეჭდა მეფის სახე — „იქმნა ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს, სვიანი და ბედნიერი, ღმრთის მოშიში, ტკბილი, სახიერი, ეკლესიათა და მონაზონთა მოყვარე, გლახაკთა და მომჩივართა გამკითხველი".

მეფეთ მეფის სახელი მრავალ წმინდა ადგილს უკავშირდება, მათ შორისაა თბილისის დიდუბის ეკლესია, ფშავის ლაშარის სალოცავი — თამარ დედოფალი, ბეთანიის ღვთისმშობლის შობის ტაძარი, რკონი, ვარძია...

წელს წმინდა თამარ მეფის ხსენების ორივე თარიღი თითქმის ერთდროულად აღინიშნება. ქართულმა ეკლესიამ ღვთისმშობლის, მარიამ მაგდალინელის, სალომეს, სუსანას და სხვათა სახელებს მეფეთ მეფე თამარიც დაუკავშირა. ამ დღის დაწესება შეგვახსენებს იმ დედათა ერთგულ და სიყვარულით მსახურებას, რომლებსაც მაცხოვრის გამოქვაბულში დაკრძალვის შემდეგ, ებრაული წესის მიხედვით, თავისი უფლის ცხედრისთვის ნელსაცხებელი უნდა ეცხოთ. მათ მრავალი დაბრკოლების და საშიშროების მიუხედავად, რაც მათ შესაძლოა საფლავის მცველთაგან და უფლის ჯვარმცმელ იუდეველთაგან ელოდათ, ადრიან დილით უფლის საფლავს მიაშურეს, რათა ჯეროვანი პატივი მიეგოთ მისთვის.

წმინდა თამარ მეფის ცხოვრებიდან ისტორიამ არაერთი მაგალითი შემოგვინახა, რომელიც გვარწმუნებს, რომ სახელოვანი მეფე თანაზიარი იყო მენელსაცხებლე დედათა მოღვაწეობისა.

ერთხელ მეფემ უზომო განძი უძღვნა სათხოვნელად მისულ შავმთელ მონაზვნებს და მშვიდობით გაისტუმრა. კონსტანტინოპოლს მისული ბერები ძმის მკვლელმა კეისარმა ალექსი ანგარმა შეიპყრო და ყველაფერი წაართვა. ეს რომ თამარმა გაიგო, მონაზვნებს უწინდელზე მეტი ოქრო მისცა და „ამით უმეტეს არცხვინა ეშმაკი". ხოლო კეისარს თავისი სპა გაუგზავნა და წაართვა: ლაზეთი, ტრაპიზონი, ლიმონი, სამსონი, ირაკლია, პაფლაგონია და პონტო. შემდეგ ამ ადგილებს ტრაპიზონის სამეფო უწოდა და თავის ნათესავს ალექსი კომნენს ჩააბარა. მოწყალე, კეთილი, ბრძენი მსაჯულის სამეფოში არავინ იყო მტაცებელი, მეკობრე და მპარავი. თავადვე იტყოდა ხოლმე: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა". მის დროს აიკრძალა სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრება.

ისტორიამ ასეთი ამბავიც შემოგვინახა: ერთხელ თამარი სადღესასწაულო წირვაზე აპირებდა წასვლას გელათში და ლალებს იმაგრებდა სამეფო შემოსაკრავზე. როცა მოვიდნენ და უთხრეს, მონასტრის კოშკის კართან მდგომი გლახაკი წყალობას ითხოვსო, მეფემ ბრძანა, დაეცადა გლახაკს. როცა პალატიდან გავიდა და წყალობის გაცემა დააპირა, გლახაკი ვეღარ იპოვა. შეცბუნებული მეფე თავის თავს საყვედურობდა, რომ ამ ღარიბ-ღატაკი დედაკაცის სახით, უარი უთხრა თვით უფალ იესოს. მოიხსნა დამაბრკოლებელი სამეფო შემოსაკრავი და ღვთისმშობლის ხატს შესწირა.

მარხვამ, ფეხშიშველა ლიტანიობამ და მონასტრის ქვის სარეცელზე წოლამ ჯანმრთელობა შეურყია სათაყვანებელ მეფეს. ავადმყოფობას დიდი ხნის მანძილზე არ ამხელდა. როცა ტკივილი აუტანელი გახდა, მაშინღა განაცხადა.

მრავალი მცდელობის მიუხედავად საყვარელ მეფეს ვეღარაფერი უშველეს. ყველა ერთსულოვნად გამოეთხოვა მეფეს, რომლის საფლავის ადგილსამყოფელი მტრისგან სამუდამოდ დასაცავად მომავალი თაობებისთვის უცნობი დარჩა.

ისევე როგორც თამარის დროინდელ ეპოქაში არსებული შეხედულება, მენელსაცხებლე დედათა კვირაც, (რომელიც წელს 19 მაისს აღინიშნება და კვლავ იხსენიება წმინდა თამარი), კვლავ შეგვახსენებს, რომ ჭეშმარიტი თანასწორობა მხოლოდ ქრისტიანობაში, უფლის მიერ დაწესებულ იერარქიულობაშია შესაძლებელი. მადლისა და სასუფევლისთვის არ არსებობს მამაკაცი და დედაკაცი, რომ მადლი და სასუფეველი უფლისა და მოყვასის სიყვარულით აღვსილ მართალთა ხვედრია.

**ანა ჩხეიძე**




ძალიან ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ დრო ულმობლად მიქრის და ყველაფერი იცვლება. იცვლება შენი სახლი, შენი ქუჩა, ის ეზო, სადაც ბავშვობის საუკეთესო წლები გაატარე და სხვადასხვა ეროვნების თანატოლებთან ერთად გრძელ, საერთო აივანზე დარბოდი, სადაც ბინის კარი არასდროს იკეტებოდა, სადაც ჭირიც საერთო იყო და ლხინიც. ჩვენს უფროს თაობას კი კარგად ახსოვს, როგორ გარბოდნენ მტკვარზე საბანაოდ, რიყეზე განლაგებულ სახლებიდან პირდაპირ მტკვარში ხტებოდნენ, როგორ ქეიფობდნენ ორთაჭალის ბაღებში... სამწუხაროდ, ჟამთა სვლას უკეთესობა არ მოუტანია. სადღაა ის თბილი და კოპწია ქალაქი, მწვანეში ჩაფლული ქუჩაბანდები, მტკვარზე გადმოკიდებული სახლები ხმაურიანი

# დავუბრუნოთ ჩვენს ქალაქს სილაღე და ხიბლი



აივნებით, ახლა რომ სასტუმროებად გადაუკეთებიათ და ჩამკვდარა. აღარ არის „პატარა პარიზად" მონათლული ქალაქი. ყველაფერი გაუცხოვდა, ერთფეროვანი გახდა. ადამიანები ხმაურიან ეზოებს გაერიდნენ და მრავალსართულიან ბარაკებში გამოიკეტნენ. საქართველოს გული ჯიხურებისა და ხიმინჯებზე შემოსკუპებული ლოჯიების ქალაქად იქცა. ოდესღაც ზურმუხტისფერი „ივერია" ბოშების ბინძურ ნაბანაკარს დაემსგავსა. ბევრს იქნებ ეხამუშოს კიდეც ეს შედარება და მიზეზად უბედურება და გაჭირვება მოიშველიოს. მაგრამ დალხინებულად ყველას არასდროს უცხოვრია, თუმცა თავის ეზოს, ქუჩას, მდინარესა და სახლს მოფრთხილებია. ახლა კი... ახლა ხელთ მხოლოდ გაუცხოებული ქალაქი და გაუცხოებული ადამიანები შემოგვრჩა. მივეჩვიეთ, რომ თბილისში ამდენი უსახური ნაგებობაა, რომ მობინადრეებით სავსე გადაფერადებული, ავარიული სახლების გვერდით სასახლეები შენდება. „სარემონტოდ ფული არა გვაქვს, ბიუჯეტი არ გვაძლევსო", წუწუნებენ ზოგიერთები. ღმერთმანი, კარგი საბაბია, მაგრამ, იქნებ საკუთარ გულში ჩავიხედოთ? იქნებ უაზროდ დახარჯული თანხების დაზოგვის ხარჯზე ცოტათი მაინც მოვაწესრიგოთ ჩვენი ქალაქი? მარტო ქალაქის მესვეურების იმედად ნუ ვიქნებით, იქნებ ჩვენც გავანძრიოთ ხელი?

უნებლიეთ გამახსენდა კარგა ხნის წინ ნანახი დოკუმენტური ფილმი ერთ მოხუც რომანტიკოსზე. ეს ჩია კაცი ხარაზი იყო და ნახევარ დღეს გაცვეთილ ფეხსაცმელებს ლანჩებს აკერებდა, შემდეგ კი თავის ჯიხურს ბოქლომს ადებდა, პატარა ჩემოდნით ხელში ღიღინით მიუყვებოდა ქუჩას და ახალაშენებული სახლების ეზოებში შედიოდა, სადაც დაჟანგული გარაჟები იყო ჩამწკრივებული. იცით, რას აკეთებდა ეს კაცი? ფერადი საღებავებით გარაჟის კედლებზე ლამაზ, მხიარულ სურათებს ხატავდა. ამით, ცდილობდა რაღაცნაირად გაელამაზებინა ადამიანთა ყოფა. არასდროს დამავიწყდება გარაჟების ღიპიანი, გაზულუქებული პატრონები, საჩხუბრად რომ გაემზადნენ, როცა თავიანთი მოხატული გარაჟები ნახეს და ამ უჩვეულო სილამაზით განცვიფრებულებმა ხმა ვეღარ ამოიღეს... აი, იმ მოხუც კაცს ნამდვილად უყვარდა თავისი ქალაქი.

საბედნიეროდ, ჩვენთანაც არიან ასეთი ადამიანები, რომელთაც უთბილისოდ არსებობაც კი ვერ წარმოუდგენიათ და ცდილობენ, თავისი ნიჭი და სიყვარული მშობლიური ქალაქის სამსახურს მოახმარონ.

ასეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი რატი ჩომახიძე. რატი ჩომახიძე რომ არქიტექტორი და თავის ქალაქზე შეყვარებული ადამიანია, თბილისში მხოლოდ მისმა კოლეგებმა და ახლობლებმა როდი იციან. მისი სახელი კარგა ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და ევროპაშიც ცნობილი გახდა.

ამ რამდენიმე წლის წინ, ინგლისში ჩატარდა საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც რატის პროექტმა პირველი პრიზი დაიმსახურა. კონკურსის მთავარი მიზანი იყო, თითოეულ მონაწილეს მშობლიური ქალაქის ისეთი დიზაინი შეექმნა, რომელიც გაითვალისწინებდა ღია სივრცეში არსებული შენობების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას და ახალი კონსტრუქციების კომბინირებას. ქართველმა არქიტექტორმა შესანიშნავად გაართვა თავი კონკურსის შემდეგ პირობებს: სახლს მდინარესთან უნდა ჰქონოდა კავშირი, უნდა ყოფილიყო 5-7 სართულიანი, მობინადრეთა რაოდენობა, სავარაუდოდ, 750-1000 კაცი, ისინი ერთმანეთს უნდა იცნობდნენ და ყოველდღე ხვდებოდნენ. სახლი უნდა აშენდეს პრესტიჟულ ადგილას. ისტორიულად, ქალაქების გაშენება ყოველთვის მდინარის სანაპიროებზე იწყებოდა. მტკვარიც, თავის დროზე თბილისისთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, მაგრამ ცივილიზაციამ მდინარეები ბეტონის ჯებირებში მოაქცია და ხალხთან უშუალო კონტაქტი შეაწყვეტინა. ქალაქმა დაკარგა თავისი ტრადიციული იერი აგურის სახლებითა და შიდაეზოებით. აქედან დაიწყო ზემონახსენები გაუცხოებაც.

რატი ჩომახიძე შეეცადა გადაელახა ეს ბარიერი. მისმა უჩვეულო, კარგად გააზრებულმა და ორიგინალურმა პროექტმა სპეციალისტების უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

სახლი 5-7-სართულიანი იქნება, სერპანტინის ტიპის და რაც მთავარია, მტკვრის სანაპიროსთვისაა განსაზღვრული. ეს ლამაზი შენობა, დაახლოებით 190-ბინიანი იქნება. სახლის მესამე სართულის გამჭოლი ზოლი გადის მთლიან სახლზე და შენობას რვა ადგილას კვეთს, რაც თავის მხრივ, ქმნის კვარტალის რვა ფოკუსურ სახეს. ეს სართული დააახლოებს მობინადრეებს, მათ უშუალო ურთიერთობები ექნებათ ერთმანეთთან, რადგან ყოველდღე მოუწევთ ამ გზით, საპირისპიროდ მოძრავი ესკალატორით სიარული, თანაც აქვე იქნება სილამაზის სალონები, გასართობი ოთახები, მაღაზიები, საბავშვო ბაღები. მეორე სართულზეც ერთმანეთთან დაკავშირებული შიდაეზოებია ნაგულისხმევი, ბაღებითა და აუზებით. სახლს მიწისქვეშა გარაჟები და მტკვარზე სასეირნო საკუთარი კატერებიც ექნება.

სახლის ასაშენებლად არქიტექტორმა პროექტით გაითვალისწინა თავისუფალი ადგილი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე — მუხრანის ხიდიდან მშრალ ხიდამდე. საგულისხმოა, რომ ამ სახლის აშენებით, იქვე განლაგებული პარკის არც ერთი ხე არ მოიჭრება, არც ჩოგბურთის კორტებსა და რომელიმე შენობას დაემუქრება განადგურება. პირიქით, ხალხმრავლობა იქნება პარკებშიც და სანაპიროზეც. სხვათა შორის, სახლის ასაშენებელი თანხაც არსებობს და სოლიდური მშენებელიც. ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი თბილისის მესვეურები, ნამდვილი პატრიოტები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ამ სამამულიშვილო საქმისათვის.

ღმერთმა ქნას, რომ ასეთმა ორიგინალურმა და ქართული ტრადიციებისთვის შესაფერისმა სახლმა დაამშვენოს ჩვენი დედაქალაქის დედამდინარის სანაპირო.

გამახსენდა ერთი ბრძენის ნათქვამი: ნიჭიერს უნდა დახმარება, თორემ უნიჭო გზას ისედაც გაიკვლევსო. მაშ, მოდით, დავეხმაროთ ჩვენს ქალაქს, დავეხმაროთ მშობლიურ ქალაქზე შეყვარებულ ნიჭიერ კაცს, რომელსაც სურს თბილისს ძველებური ხიბლი და სილაღე დაუბრუნოს.

**ნონა ღამბაშიძე**

# ნეტავ როგორ არის საქართველო...

## ვადიმ კოზოვოი — ქართველების მეგობარი



ემზარ კვიტაიშვილმა 1998 წელს საფრანგეთიდან წერილი მიიღო: „საიდუმლო სამსახურებიცა და არმიაც რუსეთში ჯერ კიდევ საბჭოთაა. ასევე საბჭოთაა აფხაზური სეპარატიზმიც, რომელთანაც მე იმთავითვე მკაცრად უარყოფითი, მტრული დამოკიდებულება მქონდა. ვიდრე ეს და სხვა საკითხები არ გადაიჭრება ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრებში, ძნელია ამ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების, სხვადასხვა თავისუფლების დაცვის იმედი გქონდეს"...

საქართველოს კეთილმოსურნეები და მეგობრები ყოველთვის ჰყავდა საზღვარგარეთ. ისინი შეიძლება ბევრნი არ ყოფილან, მაგრამ ინტელექტითა და სულიერი სიმდიდრით გამოირჩეოდნენ. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ამ წერილის ავტორი, საფრანგეთში მცხოვრები ცნობილი რუსი მთარგმნელი, საქართველოს დიდი მოყვარული ვადიმ კოზოვოი.

ვადიმ კოზოვოის კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. სწორედ საქართველოში, „ლიტერატურნაია გრუზიაში" დაიბეჭდა 60-70-იან წლებში მისი პირველი ლიტერატურული ქმნილებები, რაც მაშინ მთელ საბჭოთა კავშირში წარმოუდგენელ სითამამედ აღიქმებოდა...

ახლახან თბილისს ეწვია სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, პასტერნაკის მიერ სულიერ შვილად შერაცხული, პასტერნაკის მეგობრისა და მუზის — ოლგა ივინსკაიას ქალიშვილი, ვადიმ კოზოვოის ქვრივი ირინა ემელიანოვა. „საქართველო არასოდეს ყოფილა მთლიანად „საბჭოთა" ქვეყანა. აქ დაიბეჭდა პირველად მარინა ცვეტაევას, ბორის პასტერნაკის ლექსები. აქ დაიბეჭდა ვადიმ კოზოვოიც. უპრეცედენტო შემთხვევაც მოხდა: 70-იან წლებში საქართველოში გაიმართა საღამო, სადაც ჩემმა მეუღლემ პარიზში დაბეჭდილი წიგნი წარმოადგინა და ამას არანაირი დასმენა და გართულება არ მოჰყოლია..." — თქვა ქალბატონმა ირინამ.

მას განსაკუთრებულად უყვარდა საქართველო. სწორედ ამიტომ გადასცა პასტერნაკის არქივი რუსეთს კი არა, საქართველოს. მძიმედ განიცდიდა ჩვენს პრობლემებს, აფხაზეთის ომს.

ვადიმ კოზოვოი მთელი სიცოცხლე მუხლჩაუხრელად შრომობდა. თარგმნიდა ფრანგულიდან, წერდა საუცხოო ლიტერატურულ წერილებს. ბავშვობიდანვე გარკვეულწილად განწირული იყო: 6 წლისა ნაღმით აფეთქდა. დაკარგა ცალი თვალი, ჯანმრთელობა. უჭირდა სიარული, მაგრამ ეს ვერ ზღუდავდა უკიდეგანო ინტელექტს.

— მძიმე იყო მისი ცხოვრება, მაგრამ მიუხედავად ამისა, თბილი და უბოროტო გახლდათ. მას ჰქონდა ძლიერი საყრდენი ღერძი — რუსული, ევროპული კულტურული მემკვიდრეობა. უყვარდა ზოგადად ადამიანი და ეს ყველა მის ნაწერში იგრძნობა, — ბრძანა ბაჩანა ბრეგვაძემ.

ვადიმ კოზოვოი აკაკი გაწერელიასთან, ემზარ კვიტაიშვილთან, ბაჩანა ბრეგვაძესთან, გივი გეგეჭკორთან მეგობრობდა... ემზარ კვიტაიშვილთან მიწერილი წერილი გამოსაგზავნი დარჩა... მისი უკანასკნელი საწუხარი ისევ და ისევ საქართველო, ქართველები იყო: „ნეტავ როგორ არიან მეგობარი ლიტერატორები — ბაჩანა, გივი. რითი ცხოვრობენ, თუ მუშაობენ სადმე? თუ იბეჭდება მათი შრომები და რას იძლევა ეს ბეჭდვა?.. ვიცი, როგორ ჭირს ცხოვრება საქართველოში..."

სითბოს წილ სითბო მიაგეს ქართველებმა, ოღონდ ამჯერად მის მეუღლეს, რადგან თვითონ ვადიმ კოზოვოი 3 წელია ცოცხალი აღარ არის... ირინა ემელიანოვა ამ სიყვარულს თან წაიღებს და საფრანგეთში ალბათ საქართველოზე კიდევ ერთი ნათელი ფურცელი გადაიშლება...

**ლელა ჯიყაშვილი**

# „გისურვებთ წარმატებას ამ ბინძურ საქმეში“...

## ბაქქანალია სავარძლების გამო

პარლამენტში ძალთა თანაფარდობის შეცვლასთან ერთად თანამდებობათა ხელახალი გადანაწილების საკითხი წამოიჭრა და პირველ სამიზნედ კომიტეტების თავმჯდომარეთა პოსტები იქცა. „მოქალაქეთა კავშირს“ კომიტეტების სახით კიდევ ერთ საკმაოდ სერიოზულ ბერკეტს აცლიან. დღეს უკვე კულისებშიც და ავანსცენაზეც პოლიტიკოსები თამამად აცხადებენ, რომ პარლამენტში ხავერდოვანი გადატრიალება შედგა.



მართალია, მადას არც ერთი კომიტეტის თავმჯდომარე არ უჩიოდა და არც პრივილეგიების დათმობა სურდა რომელიმე მათგანს, მაგრამ... ფაქტია — „ავრორა“ ყოველთვის მათ სასარგებლოდ ვერ გაისროდა! და აი, გასული კვირის „საბედისწერო“ პარასკევს ჩვიდმეტივე კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა ვაკანტურად გამოცხადდა. „ახლების“ მიერ შეგროვებული 145 ხელმოწერის საფუძველზე კომიტეტების თავმჯდომარეებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და სანამ ძალით (ანუ კენჭისყრით) გადააყენებდნენ, თანამდებობები საკუთარი ნება-სურვილით დატოვეს. თუმცა, პარლამენტართა შორის ერთსულოვნება არც ამჯერად სუფევდა. მოქკავშირელმა გიორგი ბარამიძემ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადადგომაზე სასტიკი უარი განაცხადა და დეპუტატები კარგა გვარიანად ანერვიულა. მეტი გზა არ იყო, ურჩი პარლამენტარი ძალით უნდა გადაეყენებინათ. მანამდე კი ბარამიძემ სიტყვა ითხოვა: „ ...ეს ყოველივე უმაღლესი ხელისუფლების მიერ იგეგმება ისევე, როგორც ამ ცოტა ხნის წინ ქუჩის აქციები დაიგეგმა...

...ქვეყანაში ოლიგარქიული ბატონობა მოდის...

...ასეთი გადაწყვეტილებებით თქვენ საქართველოში დემოკრატიის ყლორტებს თელავთ...“

ყველაზე შთამბეჭდავი კი მაინც ამ გამოსვლის ფინალი იყო: „პატივცემულო კოლეგებო, მოგიწოდებთ, რომ ახლაც ისევე უტიფრად გააკეთოთ ის, რასაც აქამდე აკეთებდით... ძალიან მაინტერესებს, რას იზამენ ადამიანები, რომლებიც დღემდე უამრავ თბილ სიტყვას მეუბნებოდნენ. თქვენ, ჩემმა პოლიტიკურმა მტრებმაც და მოკეთეებმაც ახლა არჩევანი უნდა გააკეთოთ. დაე, თავი იმართლეთ თქვენი სინდისის წინაშე, როდესაც პულტს ხელს დააჭერთ და სამარცხვინო გადაწყვეტილებას მიიღებთ. გისურვებთ წარმატებას ამ ბინძურ საქმეში!“ — ასეთი პათოსით დაასრულა ბარამიძემ თავისი გამოსვლა და ტრიბუნა დატოვა ალბათ, იმ იმედით, რომ „ნამუსზე შეგდებულ“ კოლეგებს მის წინააღმდეგ ხმის მისაცემად ხელი აუკანკალდებოდათ, მაგრამ... 118 ხმით 77-ის წინააღმდეგ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე კოლეგების გზას გაუყენეს.

სხვათა შორის, ბარამიძის ბედი ორადორმა ხმამ გადაწყვიტა. რომ არა ეს ორი ხმა (ქვორუმი 116 იყო), მოვლენები პარლამენტში გაცილებით საინტერესოდ წარიმართებოდა... თავად გიორგი ბარამიძე კენჭისყრის პროცედურას არ დასწრებია — დარბაზი მანამდე დატოვა. ცოტა ხანში კი უკვე ექსთავმჯდომარეს „სულიკოსავით“ ეძებდა მთელი პარლამენტი. შეითხზა ვერსიებიც — ბარამიძე სირცხვილით გარეთ თავს ველარ გამოყოფსო, დეპრესიაში ჩავარდებაო, ვაიმე, თავი არ მოიკლასო და ა.შ.

„კვირის პალიტრამ“ „ძებნილს“ პარლამენტშივე მიაგნო, სადაც ის ჟვანიასთან და სხვებთან ერთად საქართველოში ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს ხვდებოდა. უნდა ითქვას, რომ ბარამიძე ფრიად კარგ გუნებაზე გახლდათ.

**გიორგი ბარამიძე:**

— ჩემი აზრით, ნებისმიერმა პოლიტიკოსმა ბოლომდე უნდა იბრძოლოს, რათა შეინარჩუნოს ის ბერკეტები, რაც მას თავისი პოლიტიკური კურსის გატარებაში ეხმარება. აი, ამიტომ არ გადავდექი ჩემი ნებით და ვინც გადადგა, უბრალოდ არასწორად მოიქცა.

— **საზოგადოების თვალში ეს არცთუ ისე მომგებიანი ნაბიჯი იყო. ბევრმა ისე მიიღო, რომ თანამდებობას ებღაუჭებოდით.**

— თავის დროზე უარი ვთქვი საგადასახადო შემოსავლების მინისტრის პორტფელზე იმიტომ, რომ ვიცოდი, იქ საქმის კეთების საშუალებას არ მომცემდნენ და მხოლოდ გამსვრიდნენ. როცა იმაზე უარი ვთქვი, დაიწყეს — პასუხისმგებლობას გაექცაო. ახლა უარი არ ვთქვი და — ებღაუჭებაო. ვერ გავიგე, რა უნდათ.

— **ეტყობა, იმედი გქონდათ, რომ თქვენი ემოციური გამოსვლის შემდეგ პარლამენტი მხარს დაგიჭერდათ.**

— არა, მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ

მავრი (ანუ ე.წ. ახალი უმრავლესობა) თავის საქმეს გააკეთებდა. უბრალოდ, არ მინდოდა მათთვის ის სიამოვნება მიმენიჭებინა, რასაც ჩემი ნებით გადადგომით მიიღებდნენ. მერე იტყოდნენ, ჩვენ რა შუაში ვართ, კი იყო ბარამიძე კარგი თავმჯდომარე, მაგრამ თვითონ გადადგა და რა ჩვენი ბრალიაო. მინდა, რომ მთელმა ქვეყანამ დაინახოს, ვინ არის ის ხალხი, რომელიც, ფაქტობრივად, ოლიგარქების სამსახურში ჩადგა. იმ ადამიანთაგან, ვინც ჩემს წინააღმდეგ ხმა მისცა, ბევრს შეიძლება თავისთავად ნორმალური ბიოგრაფია აქვს, მაგრამ დღესდღეობით ისინი მოქცეულები არიან რაღაც ინტერესთა ზეწოლის ქვეშ, ალბათ ფულიც დიდ როლს თამაშობს. მე ამ თანამდებობაზე საქმის კეთება შემეძლო...

— **გინდათ თქვათ, რომ ვინც გადადგა, მას საქმის კეთება არ შეეძლო?**

— საქმეც ისაა, რომ არ უნდა გადამდგარიყვნენ. უბრალოდ, ემოციას აჰყვნენ. შეეშინდათ, ვინმეს არ ეფიქრა, სკამს და თანამდებობას ებღაუჭებიანო. ეს კი, ჩემი აზრით, არასწორი პოლიტიკური მიდგომაა. ასე რომ, ვისაც რა უნდა, ის ილაპარაკოს.

— **ბატონო გიორგი, თქვენი გუნდის ყველა წევრმა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ნებით დატოვა. შიგნითვე ვერ შეთანხმდით, რომ ერთსულოვნად გემოქმედათ?**

— რამდენიმე დღით ადრე ვისაუბრეთ ამაზე, მაგრამ ყველაფერი ისე სპონტანურად მოხდა, რომ ყველა წამოეგო. ეს იყო ემოცია და შეიძლება — პროვოკაციაც. არ არის გამორიცხული, რომ




ვინმეს რამეს დაჰპირდნენ კიდეც.

— **მაგალითად, რას?**

— ისევ თანამდებობას. ეტყოდნენ — ნუ გეშინია, გადადექი და კვლავ აგირჩევთო. ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ის უმრავლესობა, რომელიც მოვიდოდა, მე აღარ ამირჩევდა, ამიტომაც, ვალდებული ვიყავი, ბოლომდე მებრძოლა.

— **თუმცა გადაყენებულის სტატუსს ალბათ, მაინც გადამდგარის სტატუსი სჯობს.**

— არა, ნამდვილად არ სჯობს. ეს სწორედ იმიტომ ჩავიდინე, რომ მაინტერესებდა, ვინ აივსო იმდენი ბოლმით, რომ ჩვენს გადაყენებას მხარს დაუჭერდა. მე უნდა ვიცოდე, ვინ არიან ეს ადამიანები.

— **სიები უკვე ნახეთ?**

— არა, ჯერ არ მინახავს, მაგრამ უკვე ამობეჭდილია და აუცილებლად დავტკბები ამ სიის ნახვით. მარტო მე კი არა, უპირველესად ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ არიან ეს ადამიანები.

— **შურისძიებას ხომ არ აპირებთ?**

— არა, როგორ გეკადრებათ. ამ ხალხზე მე შურს ვიძიებ პოლიტიკაში იმით, რომ ვეცდები, მათი გეგმები არ განხორციელდეს. სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებთ.

— **რა პრივილეგიები დაკარგა გიორგი ბარამიძემ, როგორც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ?**

— დაკარგა ის საშუალებები, რაც ზოგადად კომიტეტების თავმჯდომარეებს გააჩნიათ. ეს არის აპარატი, შენი კომიტეტის სახელით საუბრის საშუალება და ა.შ. ვესწრებოდი ხოლმე უშიშროების საბჭოს სხდომებს და ყოველთვის ჩემს პრინციპულ პოზიციას ვაფიქსირებდი. აი, ძირითადად ეს ბერკეტები და პრივილეგიები დავკარგე.

— **რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ პრივილეგიებს?**

— ეს სათქმელადაც არ ღირს იმიტომ, რომ კომიტეტის თავმჯდომარის ხელფასი რიგითი პარლამენტარის ხელფასს მგონი სულ რაღაც 5 ლარით აღემატება. თუმცა, ჩემთვის ნამდვილად დიდი შეღავათი იყო ავტომობილი, რომელიც მემსახურებოდა, როგორც კომიტეტის თავმჯდომარეს.

— **იმედია, ფეხით სიარული არ მოგიწევთ...**

— იცით რა, აქ ამაზე არ არის ლაპარაკი და არც ამის პრობლემა იქნება, მაგრამ... გიორგი ბარამიძეს ეს რომ ნდომებოდა, თავის დროზე მინისტრად წავიდოდა, სადაც ხალხმა საშვილიშვილოდ აიწყო ცხოვრება. ასე რომ, ჩემთვის მთავარი ავტომანქანა და სხვა სიამენი არ გახლავთ.

ასეა თუ ისე, გიორგი ბარამიძე სხვების მსგავსად, უკვე ექსთავმჯდომარედ ითვლება. საპარლამენტო კულუარებში კი კომიტეტების თავმჯდომარეთა თანამდებობები თითქმის გადანაწილებულია. ამ კვირას პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე ახალი თავმჯდომარეები უნდა დაამტკიცოს. თითო ფრაქცია თითო სავარძელს უმიზნებს. როგორც ამბობენ, თანამდებობას შეინარჩუნებს ელენე თევდორაძე და ამით ჟვანიას გუნდის ამბიციებს ნაწილობრივ დააკმაყოფილებს. „აღორძინებას“ იურიდიულ კომიტეტზე უჭირავს თვალი და ამ პოსტისთვის ვალერი გელბახიანს ამზადებს. „ახლებს“ თავდაცვისა და უშიშროების სკანდალურად გათავისუფლებული კომიტეტი უნდათ, „სოციალისტებს“ კი — საპროცედურო საკითხთა კომიტეტი. სავარაუდოდ, ადგილებს შეინარჩუნებენ ზეზვა ლულუნიშვილი (ჯანდაცვის კომიტეტი) და ნოდარ ამაღლობელიც (განათლების და მეცნიერების კომიტეტი). არ არის გამორიცხული, იურიდიული კომიტეტი ერთგვარ საჯილდაო ქვად იქცეს. ამ პოსტზე „აღორძინების“ გარდა საკუთარი კანდიდატურები ჰყავთ „ნაციონალისტებს“, რომლებიც ადეიშვილის დასატოვებლად იბრძოლებენ და ფრაქცია „აფხაზეთს“ — გივი ლომინაძის სახით.

კომიტეტების დაკომპლექტების შემდეგ კი ჯერი ვიცე-სპიკერებზე მიდგება. სხვათა შორის, გასულ კვირას ხათუნა გოგორიშვილის გვარმა იმდენჯერ გაიჟღერა პარლამენტის ხხდომათა დარბაზში, რომ ელიზბარ ჯაველიძემ მოსწრებულად იხუმრა კიდეც — მეშინია, გოგორიშვილი ამაღამ არ დაგვესიზმროსო. ძნელი სათქმელია, გოგორიშვილი მართლა დაესიზმრა თუ არა რომელიმე დეპუტატს, მაგრამ ფაქტია, „მოქალაქეთა კავშირის“ წინააღმდეგ კიდევ ერთი „შეთქმულება“ იგეგმება. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უკვე გროვდება ხელმოწერები პარლამენტის აპარატის უფროსის თანამდებობიდან გადაყენების მიზნით. ბარამიძის მსგავსად, არც გოგორიშვილი აპირებს საკუთარი ხელით მოჭრას ის, ამჯერად უკვე ერთადერთი ტოტი, რომელზეც „მოქალაქეთა კავშირი“ ზის. თუმცა, როგორც ავი ენები ამბობენ, ხელმოწერები უკვე საკმარისზე მეტია და ამ კვირას ხათუნა გოგორიშვილს განაჩენს გამოუტანენ. ასე რომ, ეს კვირაც არანაკლებ ემოციური და პოლიტიკურად მძიმე იქნება. საქართველოში ხომ ყველაზე დიდი ვნებათაღელვა თანამდებობების გადანაწილებას მოჰყვება ხოლმე.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# არძინბამ სული განუტევა?..

## „რუსები ნამდვილად იმსახურებენ შექებას. ვნახოთ რა იქნება მომავალში...“

რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარდაიცვალა აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა. რუსებმა ეს ინფორმაცია გაავრცელეს ახლახან ალცჰაიმერის სენით დაავადებული აფხაზი სეპარატისტების ლიდერის მოსკოვიდან სოუხმში დაბრუნების მე-3 დღეს. ქართული სპეცსამსახურების წარმომადგენლები აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

„არძინბას გარდაცვალების შესახებ“ დეზინფორმაცია გავრცელდა, რამაც თურმე თავად აფხაზების გაოცებაც გამოიწვია. არძინბას მომხრეებმაც და ოპოზიციონერებმაც ვერაფრით ახსნეს რუსების ამგვარი მოქმედება. სოხუმში სიწყნარეა. არძინბას რეზიდენციიდან ძაძები არ გამოუფენიათ. არავინ არ ტირის და მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტის დაუფლების მსურველთა რიცხვი საკმაოდ დიდია, არავინ აცხადებს, რომ „მეფე მოკვდა“. არძინბა ცოცხალია, თუმცა მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, რასაც ისიც მოწმობს, რომ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, მიუხედავად მისი თანაშემწის დაპირებისა, იგი საზოგადოების წინაშე არ წარმდგარა და არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. და თუ მაინც შეიძლება დავუშვათ, რომ რუსები სიმართლეს ამბობენ, საიდუმლო მალე გასკდება. ბუნებრივია, აფხაზები მკვდარ პრეზიდენტს დიდხანს ვერ შეინახავენ და ბოლოს და ბოლოს სიმართლე გაირკვევა (მაგრამ ერთი რამ კი საინტერესოა — მართლაც, რატომ გაავრცელეს რუსებმა ბატონ ვლადისლავის საიქიოში გამგზავრების შესახებ მცდარი ინფორმაცია, იქნებ არძინბას შემცვლელი გამოუჩნდა?). მანამდე ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა კიდევ ერთი უშედეგო შეხვედრა მოაწყვეს სოხუმში, სადაც 5-საათიანი მოლაპარაკების შემდეგ ისევ ვერც ერთ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ და გაბრაზებულმა აფხაზებმა მოლაპარაკება მიატოვეს. მათი განრისხება გამოიწვია კოდორის ხეობის პატრულირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვამ. აფხაზებს არ სურთ შეასრულონ მოსკოვის 1994 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, რომლის მიხედვითაც ქართული მხარისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი კოდორის ხეობის პატრულირების დრო და მარშრუტი. აფხაზები ამის აფიშირებას აპროტესტებენ და დაჟინებით მოითხოვენ კოდორის ხეობის დასახლებულ პუნქტ აჟარაში სამშვიდობოთა სტაციონარული პოსტის გახსნას. აფახაზებს არც ცისფერჩაფხუტიანი რუსები ჩამორჩნენ და სოფელ ჩხალთაში 102-ე საგუშაგოს აღდგენა მოითხოვეს. აფხაზებიც და რუსებიც თავიანთ დაჟინებულ მოთხოვნებს იმით ამართლებენ, რომ თურმე კოდორში 10 000-მდე შეიარაღებული პირი იმყოფება, რის გამოც შესაძლოა ხეობაში სიტუაცია უკონტროლო გახდესო.

— „აფხაზების მოთხოვნები სცილდება ყოველგვარი წერილობითი თუ ზეპირი შეთანხმების ჩარჩოებს და აბსურდულია, ამიტომაც ჩვენ მათი პრეტენზიებისათვის არსებითი მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია. თუმცა პასუხი ყველაფერზე გავეცით. დაუშვებელია ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე რუსული საგუშაგოების გახსნაც, როგორი დიდიც არ უნდა იყოს ამით დაინტერესებული მხარეების სურვილი. ასევე გამორიცხულია საქართველოს მთავრობა დათანხმდეს რუსი სამხედროების მიერ კოდორში ცალმხრივი პატრულირების მოთხოვნას“ — განაცხადა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა **მალხაზ კაკაბაძემ** და დასძინა — „მიუხედავად იმისა, რომ საკოორდინაციო ჯგუფის უკვე მესამე შეხვედრაც უშედეგო აღმოჩნდა, ასეთ შეკრებებს მაინც აქვს დადებითი მხარე. თანდათან ვარკვევთ სიტუაციებს. მნიშვნელოვანი იყო თუნდაც ის ფაქტორი, რომ როგორც სამშვიდობოებმა, ისე გაეროს სამხედრო დამკვირვებლებმა ხმამაღლა აღნიშნეს 3-4 მაისის კოდორის ხეობის პატრულირების შედეგები, რომ ქართულმა მხარემ პირნათლად შეასრულა თავისი დაპირება და კოდორის ხეობიდან ქართული ჯარები გაიყვანა“.

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის შეხვედრაზე რუსებმა მაინც წამოაყენეს უსაფუძვლო მოთხოვნები, აშკარა იყო მათი შესამჩნევად შერბილებული ტონი, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა კოდორის ხეობის ინციდენტამდე ჩვენთვის კარგად ნაცნობი რუსული რიხისაგან. უცნაურად აღიქმებოდა ახლო წარსულში მომხდარი სკანდალების ფონზე რუსი სამშვიდობოების მეთაურის — გენერალ ევტეევის საქციელიც. საინტერესოა, რამდენად გულწრფელი იყო იგი სოხუმის შეხვედრაზე, როცა აცხადებდა, — მხოლოდ იმ საკითხს დავუჭერ მხარს, რაზეც ქართული და აფხაზური მხარეები შეთანხმდებიანო. მან დამსწრეთ აღუთქვა, რომ შეეცდება გაარკვიოს, რამდენად მართლზომიერია რუსი სამშვიდობოების მოთხოვნა კოდორში რუსების ცალმხრივი პატრულირების თაობაზე. რა იმალება რუსების უეცარი და უცნაური დატკბობის მიღმა, ამას, ალბათ, დრო გვიჩვენებს. სოხუმის ბოლოდროინდელი მოლაპარაკების დროს კი მათი მხრიდან განსაკუთრებულ კორექტულობას და დამთმობ პოზიციას ბატონმა მალხაზ კაკაბაძემ ასეთი კომენტარი გაუკეთა:

— რუსები ახლა ნამდვილად იმსახურებენ შექებას, ვნახოთ, რას იზამენ მომავალში.

ვნახოთ, მართლაც რა იქნება მომავალში. ბოლო დროს სიურპრიზების მოლოდინი დიდხანს არ გრძელდება.

***ეკა ლომიძე***

CAC
3 ივნისიდან — 13 ივლისამდე ჩათვლით
SUMMER INTENSIVE COURSE



ტელ.: 25 17 30 / 29 40 80

**შავ ბიზნესში ერთი ასეთი დაუწერელი კანონი ყოფილა – არავითარ შემთხვევაში არ უნდა „ჩაუშვა" შენი პატრონი ან პარტნიორები და ენას კბილი უნდა დააჭირო. თუ სხვა გზა არ არსებობს, მაშინ მახეში გაბმულმა საქმოსანმა ყველაფერი თავის თავზე უნდა აიღოს და თავისი საქმის ამხანაგები უნდა გადაარჩინოს. სამაგიეროდ, მართლმსაჯულებას გადარჩენილი პარტნიორები ვალდებულები არიან კოლეგის დასახსნელად მოისყიდონ სამართალდამცველები (რაც დღევანდელ საქართველოში სრულებით არ არის ძნელი) და თუ მოხდა სასწაული და სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლებმა ქრთამი არ აიღეს და დამნაშავე ციხისათვის „გაიმეტეს", მაშინ ყოფილი კოლეგა და მისი ოჯახი პარტნიორებმა მანამდე უნდა შეინახონ, სანამ იგი „სროკს" არ მოიხდის და საქმეს არ დაუბრუნდება.**



# როდესაც გვარდიის სურსათის ავტომანქანებს ქალაქის სავაჭრო ობიექტებთან შენიშნავთ, იმ კვირას ჯარისკაცები იშიმშილებენ!

## „საწყობის ვირთხები" ქონში ველარ ეტევიან...

სწორედ ამ კანონის ყველა პუნქტის სრული დაცვით მოიქცა შოთა ბერძენიშვილი, როცა 1997 წლის 5 ივლისს სამხედრო დანაყოფისათვის განკუთვნილი 267 ცალი პური აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ მაღაზიას მიჰყიდა. მას სწორედ პურის უკანონო რეალიზაციის პროცესში წაასწრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა, ვიტალი მეტრეველის ხელმძღვანელობით. შოთა ბერძენიშვილი იქვე დააპატიმრეს. ორი დღის შემდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც გამოსაძიებლად გადაეცა ტრანსპორტის პროკურორის თანაშემწეს თეიმურაზ ლათიბაშვილს. მან დაადგინა, რომ 1992 წლიდან ბერძენიშვილი მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №1 ბრიგადის მატერიალური უზრუნველყოფის ასეულის სამხედრო-ტექნიკური ქონების საწყობის უფროსად, ხოლო 1997 წლის 16 მაისიდან რიგით ბერძენიშვილს



შოთა ბერძენიშვილი

**იმ დღიდან, რაც ბერძენიშვილს პროკურატურაში გულახდილი განცხადებების გაკეთება დაუწყია, მას თურმე უცნობი პირები ემუქრებოდნენ. როცა მუქარით ვერ დააშინეს 73 წელს მიტანებული კაცი, ერთ დღეს გენერალური პროკურატურის შენობიდან გამოსულს უცნობმა პირებმა ფიზიკური შეურაცხყოფა იქვე, პროკურატურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიაყენეს და უკანასკნელად გააფრთხილეს, გონს მოსულიყო, თორემ მის ლიკვიდაციას არ მოერიდებოდნენ.**

ბრძანებით დაევალა პურის ექსპედიტორის მოვალეობის შესრულება. ერთი სიტყვით, შოთა ბერძენიშვილმა აღიარა დანაშაული, ყველაფერი თავის თავზე აიღო. ზედმეტი არ ულაპარაკია, რის შემდეგაც თბილისის სამგორის რაიონის სასამართლომ ბერძენიშვილი დამნაშავედ ცნო და ორი წლის ვადით გამოსასწორებელი სამუშაოები მიუსაჯა იმავე სამუშაო ადგილზე მოხდით, ხელფასიდან 15%-ის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდით.

თუმცა მაშინ არც გამოძიება და არც სასამართლო არ დაინტერესებულა, თუ როდიდან ასრულებდა ზევადიანი სამსახურის რიგითი შოთა ბერძენიშვილი პურის ექსპედიტორის მოვალეობას. არსებობდა თუ არა შრომითი ხელშეკრულება და გარდა იმ ერთი შემთხვევისა, რისთვისაც იგი პასუხისგებაში იქნა მიცემული, ადგილი ჰქონდა თუ არა სხვა მსგავს ფაქტებს?! სამწუხაროდ, გამოძიება მხოლოდ ერთი ფაქტით შემოიფარგლა. ასე იყო თუ ისე, შოთა ბერძენიშვილმა პირობითი სასჯელი მოიხადა. სასჯელის მოხდის შემდეგ კარგა ხანს იყო ჩუმად და ელოდა, რომ დღეს თუ არა ხვალ, მის სიჩუმეს სათანადოდ დააფასებდნენ გვარდიის მატერიალური-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელები. განსაკუთრებით კი გვარდიის მთავარი სამმართველოს კვების სამსახურის უფროსი, მაგრამ როგორც თავად ამბობს, ბერძენიშვილი უკვე აღარავის სჭირდებოდა.

ასე არ უნდაო, თქვა შოთა ბერძენიშვილმა და გუდას თავი მოხსნა. სანამ რედაქციაში მოსვლას გადაწყვეტდა, საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიმართა და პროკურორებს ყველაფერი დაუფარავად უამბო — თითქმის ყველა ამხილა, მაგრამ ამაოდ. პირიქით, იმ დღიდან, რაც ბერძენიშვილს პროკურატურაში გულახდილი განცხადებების გაკეთება დაუწყია, მას თურმე უცნობი პირები ემუქრებოდნენ. როცა მუქარით ვერ დააშინეს 73 წელს მიტანებული კაცი, ერთ დღეს გენერალური პროკურატურის შენობიდან გამოსულს უცნობმა პირებმა ფიზიკური შეურაცხყოფა იქვე, პროკურატურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიაყენეს და უკანასკნელად გააფრთხილეს, გონს მოსულიყო, თორემ მის ლიკვიდაციას არ მოერიდებოდნენ. ბერძენიშვილმა პროკურატურაში სიარულით რასაც მიაღწია ის იყო, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის უფროსმა თანაშემწემ ჯიმი ერაძემ აღძრა სისხლის სამართლის საქმე №7401883 თბილისის ტრანსპორტის პროკურორის თანაშემწის თეიმურაზ ლათიბაშვილის (ეს ის პროკურორია, რომელსაც ბერძენიშვილის საქმის გამოძიება მიჰყავდა — ზ.ჩ.) მიმართ დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე.

**შოთა ბერძენიშვილი**: „გვარდიაში პურის ექსპედიტორობის მეტი არაფერი გამიკეთებია. ამ საქმით ადრეც ვიყავი დაკავებული. ოღონდ მაშინ საზკვების ტრესტში ვმუშაობდი, ხოლო 1991 წლიდან გვარდიის ნაწილებს ვამარაგებდი პურით, თუმცა ოფიციალურად საწყობის გამგედ ვიყავი გაფორმებული. გვარდიის კვების სამმართველოს უფროსთან ვიტალი მანაგაძესა და ბუღალტერთან ნადია კარამაევასთან მოლაპარაკებული ვიყავი, რომ გვარდიელების პურს მოქალაქეებზე გავყიდდი და ფულს მათ მივუტანდი. მართალი გითხრათ, ჯარისკაცებს პურს არ ვაკლებდი, უბრალოდ, მეტი გამომქონდა. ერთი სიტყვით, ყველას თავისი საქმე ჰქონდა, — მე პური უნდა გამეყიდა და ფული ბუღალტერიაში მიმეტანა. ბუღალტერი საბუთებს ისე გააფორმებდა, რომ თითქოს ზედმეტი პური გვარდიელებმა შეჭამეს. კვების სამსახურის უფროსი მაიორი მანაგაძე კი ყველაფერ ამას კურირებდა, რათა ჩემთვის ზედმეტი პური გამოეყოთ და გამეყიდა. 1992-1995 წლებში, მოგეხსენებათ, პურზე რა ამბავი იყო, ხალხი ღამეებს ათენებდა რიგში. ასე რომ, ჩემთვის მაშინ პურის გასაღება პრობლემა არ იყო. მაგრამ პურის გაყიდვა იმ დროს რად მინდოდა, როცა ქარხანაში ბრიგადირები თვითონ ყიდდნენ პურს, მერე ეს პური სადღაც ხომ უნდა გაეფორმებინათ და მე, ე. ი. გვარდიას აწერდნენ ფაქტურებით და მის ღირებულებასაც მაძლევდნენ. ყოველდღიურად დაახლოებით 2-3 ათასი მანეთის პურს ვაწერდი, ზოგჯერ 4 ათასი მანეთის პურიც დამიწერია. ერთი სიტყვით, დაახლოებით დღეში 8-10 ათასი ცალი პური ეწერებოდა ზედმეტად გვარდიას; ანუ ტარდებოდა დაუსაქონლებელი ოპერაცია. საბუთები და ფული ბუღალტერთან მიმქონდა, საიდანაც 10% ჩემი წილი იყო. ძირითადად, ეს ორი მაქინაცია კეთდებოდა გვარდიაში პურზე. იყო შემთხვევები, როცა ჩემს უფროსს ომის დროს აფხაზეთში წასვლა უხდებოდა. თუ შეაგვიანდებოდა, კარამაევას ურეკავდა: შოთას რაც შეიძლება მეტი პური გააყიდინეთ და ფული, როცა ჩამოვალ, დამახვედრეთო. გარდა ამისა, მანქანას, რითაც პური დამქონდა, თავისი ხარჯი ჰქონდა. ბენზინს გვარდიის სამმართველო მე არ მაძლევდა, ამიტომ იძულებული ვიყავი 25-25 პური „ბენზინკალონკაზე" მიმეცა, სამაგიეროდ, ისინი ავზში საწვავს მისხამდნენ. სხვათა შორის, პურის საზიდი მანქანა თავიდან ბოლომდე ჩემი სახსრებით ავაწყვე. ასე რომ, რასაც ვშოულობდი, ნახევარს საქმეს ვახარჯავდი. თუმცა სხვა დაუგეგმავი ხარჯიც ბევრი მქონდა. ერთ დღეს, თუ არ ვცდები 1993 წელი იყო, მანაგაძე ომიდან ჩამოვიდა. გამომიძახა და მითხრა, აფხაზეთიდან ერთი დაშლილი, მაგრამ კარგი „ნივა" ჩამოვიყვანე და შენ უნდა ამიწყოო. რა უნდა მექნა, წავიყვანე დაშლილი მანქანა ხელოსანთან და რამდენიმე დღეში უფროსს ჩავაბარე. მაშინ კი მითხრა: რაც დაგიჯდა, გადაგიხდიო, მაგრამ რამდენიმე დღის მერე მოვიდა და მითხრა: შენს გაკეთებულ მანქანას, პატრონმა ჩამოაკითხა და წამართვაო. რა ვიცი, იქნებ გაყიდა კიდეც. ასე რომ, მანქანის ხარჯის გასტუმრებაზე აღარც უფიქრია. გარდა ამისა, მანაგაძეს ჩემგან ყოველთვიურად 200 დოლარი მიჰქონდა, ასეთი „სტავკა" იყო დაწესებული. ხოლო ბუღალტერი ნადია კარამაევა ყოველი კვირის ბოლოს 1000 რუსულ რუბლს იღებდა. ეს მარტო ჩემგან რაც ჰქონდათ ბუღალტერს და მანაგაძეს, ახლა სხვა ექსპედიტორები და საწყობის გამგეები იანგარიშე. მაგალითად, გვარდიის სასურსათო საწყობის გამგე მსხილაძე მანაგაძის დავალებით (აბა, უფროსის გარეშე რას გააკეთებდა?), თითქმის ყოველდღე სავაჭრო ობიექტებს სხვადასხვა კვების პროდუქტს აბარებდა. ერთხელ, მახსოვს, 500 ტონა კარტოფილი გამოუყვეს გვარდიას. ამდენი კარტოფილის შემჭმელი ვინ არისო და გვარდიის კვების სამსახურის უფროსმა მხოლოდ 100 ტონა კარტოფილი დატოვა, დანარჩენი 400 ტონა კი გასაყიდად ჩააბარა. ამ ოპერაციის შემდეგ თავმომწონედ მითხრა, შენი 200 დოლარი რა დოზანაა, ხომ ხედავ რამხელა თანხებს ვატრიალებო. უფრო მეტიც, ზოგჯერ გვარდიაზე გამოყოფილი სურსათი არც შედიოდა საწყობში. გვარდიელებისათვის განკუთვნილ პროდუქტს, მაგალითად: შაქარს, კარაქს, ბრინჯს, ხორცს და სხვა სურსათ-სანოვაგეს პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან ახლოს მცხოვრები აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქის, ვინმე გოჰარის ოჯახში ინახავდნენ და იქიდან გაჰქონდათ სარეალიზაციოდ. ბოლოს ეს საქმე გასკდა და საწყობის გამგეს 35 ათასი დოლარი გადაახდევინეს, რომ ციხეში არ გაეშვათ".

დროებით ვწყვეტთ შოთა ბერძენიშვილის მონათხრობს, რადგან ვფიქრობთ, კომენტარის დრო მოვიდა. ყოფილი ექსპედიტორი, რა ხვითოც ყოფილა, მისი ნაამბობიდანაც კარგად ჩანს. ჩვენი გაანგარიშებით, მისი ყოველდღიური შემოსავალი დაახლოებით 200-300 ლარს აღწევდა; ხოლო მისი უფროსის უკანონო შემოსავლის გამოანგარიშებას ალბათ გამოცდილი ბუღალტრები დასჭირდება. ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი ჯარისკაცებს პურს არ აკლებდა, ან საერთოდ, შეჰქონდა კი ნაწილებში პური?! დავუშვათ, მიჰქონდა კიდეც. რატომ მაშინ არაფერი თქვა, თუ რა დარღვევები იყო გვარდიის სურსათით მომარაგების საქმეში. ალბათ იმიტომ, რომ ერთ-ერთი მჭამელი თვითონაც იყო მათ შორის, ვინც ჯარისკაცებს ლუკმაპურს სტაცებდა და მათ ხარჯზე მდიდრდებოდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დღესაც არ ამოიღებდა ხმას ბერძენიშვილი, რომ არა მისი კოლეგების გაუმაძღრობა და ვერაგობა, თორემ რა ბიჭი იყო, რამე ზედმეტი ეთქვა. თუმცა ბერძენიშვილი იმასაც ამბობს, ასე რომ არ მოვქცეულიყავი და გვარდიელების პური არ გამეყიდა ან დაუსაქონლებელი ოპერაციები არ მეწარმოებინა, იქ არავინ მამუშავებდაო.



**შოთა ბერძენიშვილი**: „არ ვიცი, რა მოხდა — ბუღალტერს ფული ეცოტავებოდა თუ რაში იყო საქმე, ადგა და შსს-ში დამასმინა. 1995 წელია, ერთ დღეს აეროპორტის დასახლებაში პურს ვყიდდი და უცებ სამინისტროს თანამშრომლები დამადგნენ თავზე. ერთი ოფიცერი აქტიურობდა ძალიან, მერე გავიგე მისი გვარი — აბაზოვი ყოფილა, ნადია კარამაევას მეგობარი. დამიწყო აბაზოვმა ვაჭრობა და სანამ 6,5 ათასი დოლარი არ შევთავაზე, მანამდე არ მომეშვა. რას ვიზამდი, მივეცი ეს ფული ჩემი სახლის სადარბაზოში. მერე დამიძმაკაცდა და მითხრა, — აწი როგორც გინდა ისე იმუშავე, ხმას არავინ გაგცემსო, თან დასძინა: ვინც შენ ჩაგიშვა, ათასი დოლარი იმას უნდა მივცე. აგერ კიდევ სხვა თანამშრომლებიც არიან, ყველაფერი ჩემს ჯიბეში კი არ ჩადისო. ვიფიქრე, ჩემმა მძღოლმა დამაბეზღა-მეთქი, ამიტომ მანაგაძეს მისი განთავისუფლება მოვთხოვე სამსახურიდან, მან კი მითხრა — 23 ათასი მანეთი მომეცი და ამ კაცს თავიდან მოგაცილებო. ასეც მოვიქეცი და მძღოლად დავით კუჭაშვილი მოვიყვანე. ერთი წლის შემდეგ ისევ პურის გაყიდვის დროს დამადგნენ თავზე შსს-ს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლები ვიტალი მეტრეველის ხელმძღვანელობით. გადამიგრიხეს ხელები, შემაგდეს მანქანაში და წამიყვანეს პოლიციაში. იგივე განმეორდა — სანამ 6,5 ათას დოლარზე არ მოვრიგდით, მანამდე არ გამომიშვეს. ფული ვისესხე და მეორე დღეს მეტრო „სამგორთან" მეტრეველს გადავეცი. არ გასულა ორი თვე და კვლავ აბაზოვი მომადგა და 1500 დოლარი მომთხოვა. 1000 ადგილზევე მივეცი, დარჩენილი 500 დოლარის გადასაცემად რომ მივდივარ მეორე დღეს, შემთხვევით მეტრეველი შემხვდა. მას ჩემი გაჭირვება შევჩივლე. წამიყვანა და აეროპორტის კლუბთან დამაყენა, — აქ გაყიდე პური და აწი ვერავინ შეგეხებაო, მაგრამ უბნის ინსპექტორმა 2000 დოლარი მაინც წამგლიჯა. მივედი ჩემს უშუალო უფროსთან, მანაგაძესთან და ვუთხარი, თავს ვანებებ მუშაობას, მეტი აღარ შემიძლია-მეთქი. ნუ გეშინია, აგერ არ ვარო, გამამხნევა, მაგრამ არაფერი გაუკეთებია. გავიდა 6 თვე, ისევ მომადგა მეტრეველი. უხეშად ვუთხარი, ახლა არაფერი მაქვს-მეთქი. როგორ, ექვსი თვე გავიდა

**პურის გაყიდვა იმ დროს რად მინდოდა, როცა ქარხანაში ბრიგადირები თვითონ ყიდდნენ პურს, მერე ეს პური სადღაც ხომ უნდა გაეფორმებინათ და მე, ე. ი. გვარდიას აწერდნენ ფაქტურებით და მის ღირებულებასაც მაძლევდნენ. ყოველდღიურად დაახლოებით 2-3 ათასი მანეთის პურს ვაწერდი, ზოგჯერ 4 ათასი მანეთის პურიც დამიწერია. ერთი სიტყვით, დაახლოებით დღეში 8-10 ათასი ცალი პური ეწერებოდა ზედმეტად გვარდიას; ანუ ტარდებოდა დაუსაქონლებელი ოპერაცია. საბუთები და ფული ბუღალტერთან მიმქონდა, საიდანაც 10% ჩემი წილი იყო.**

და არაფერი არ გაგიკეთებიაო და დამიდარაჯდა — რამდენიმე დღეში ისევ პურის გაყიდვის ფაქტზე დამიჭირა. ვიტალი მანაგაძემ შინ მომაკითხა და მითხრა — შენზე საქმე რომ არ აღძრან, 5 ათასი დოლარი უნდაო. როგორც გავიგე, ამ ფულს პროკურორის თანაშემწე თეიმურაზ ლათიბაშვილი მთხოვდა. ეს ფული კი გადავიხადე, მაგრამ მერე კიდევ 12 ათასი დოლარი მომთხოვა პროკურორის თანაშემწემ. ამდენი თანხა არ მქონდა და იძულებული გავხდი, სახლი გამეყიდა. ამას არ დასჯერდნენ და კიდევ დამატებით 3 ათასი დოლარი მომთხოვეს. გასაყიდი აღარაფერი მქონდა, ამიტომ ვერ გადავიხადე დასახელებული თანხა. ადგა ლათიბაშვილი და საქმე სასამართლოს გადაუგზავნა. სასამართლომ ორი წელი პირობითი სასჯელი მომცა. ჩემთან ერთად მეტრეველმა ჩემი მძღოლიც დაიჭირა, რომელიც „პოლნი" წილში მეჯდა, მაგრამ დავით კუჭაშვილი მაშინვე გაათავისუფლეს. მერე გავიგე კუჭაშვილი მეტრეველთან შეკრული ყოფილა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მასთან მიშვებდა. მეტსაც გეტყვით, 1996 წლიდან ოფიციალური ხელფასი არ ამიღია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხელფასის უწყისში არ იყო ჩემი გვარი შეტანილი. როცა მოლარე შევაწუხე ჩემი ვიზიტებით და ხელფასის მოთხოვნით, პირდაპირ მომახალა მწარე სიმართლე — შენს ადგილზე სხვა კაცია დანიშნული და ხელფასსაც ის იღებსო. ე.ი. გამოდის, რომ არც მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ვყოფილვარ. იმ წელს კი, როცა დამიჭირეს, საერთოდ არ ვირიცხებოდი შტატში. მხოლოდ ჩემი დაჭერის შემდეგ შეთითხნეს ძველი რიცხვით ექსპედიტორად დანიშვნის ბრძანება, მაგრამ შრომითი ხელშეკრულების გაფორმება დაავიწყდათ. ვიცი, რომ დამნაშავე ვარ და თავს არ ვიმართლებ. ვიცი, რომ ის პირობითი სასჯელი, რომელიც უკვე მოვიხადე, რეალურად არ შეესატყვისება ჩემს დანაშაულებრივ საქმიანობას გვარდიის სამმართველოში პურის ექსპედიტორად მუშაობის მანძილზე. თანახმა ვარ, პასუხი ვაგო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ჩემთან ერთად პასუხს აგებენ და გვერდით მომისვამენ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს და მის ხელმძღვანელებს, აგრეთვე იმ პროკურორებსა და პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც ფულს მძალავდნენ.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# სხვის ფულსა და ოლიგარქებზე ისინი ყვირიან, ვისაც ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი აქვს მითვისებული...



## ახალი უმრავლესობის ახალი ლიდერი?..

გასულ კვირას „მოქალაქეთა კავშირმა“ 9-წლიანი საპარლამენტო (და სამთავრობო) ჰეგემონია საბოლოოდ დათმო და პარალელურად საპარლამენტო უმცირესობისთვის კანონმდებლობით ბოძებული გარანტიები ითხოვა... მაგრამ ყალყზე დამდგარ, „აჭრილ“ პარლამენტში, ჯერჯერობით, არც უმრავლესობის ფუნქციის მტვირთველი ალმოჩნდა ვინმე და არც ახალი უმცირესობისთვის სტატუსის მიმნიჭებელი... სანამ პოლიტიკური ბრძოლის ექსტაზში შესული დეპუტატები საპარლამენტო მიკროფონებთან „კეჭნაობდნენ“, კულუარებში ახალი უმრავლესობის სავარაუდო ლიდერზეც ალაპარაკდნენ. ამბობენ, — ახალი ვაკანსია ექსსახელმწიფო მინისტრ ვაჟა ლორთქიფანიძისთვის შეიქმნა, ხავერდოვანი რევოლუცია ლორთქიფანიძის რევანში იყოო.

ფრაქცია „ახალი აფხაზეთი-ქრისტიან დემოკრატების“ ახალი თავმჯდომარის **ვაჟა ლორთქიფანიძისთვის** ჩვენი კითხვები დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა, როგორც ჩანს, ექსსახელმწიფო მინისტრი უკვე ფიქრობს ახალ ამპლუაზე.

**— როგორც „მოქალაქეთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, როგორ შეაფასებთ პარტიაში განვითარებულ პროცესებს?**

— სამწუხაროდ, ეს რღვევის და დანგრევის სტადიაა. იმ პროცესების ლოგიკური შედეგია, რაც ბოლო წლებში განვითარდა „მოქალაქეთა კავშირში“. მე, როგორც პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ამაში სასიხარულოს ვერაფერს ვხედავ. შინადაპირისპირებამ, რამდენიმე ჯგუფად გაყოფამ და კიდევ ბევრმა სხვა მიზეზმა მიიყვანა აქამდე პარტია. არ იყო სწორი მთლიანი ორგანიზაციის, გუნდის ქვეგუნდებად დაყოფა, შეცდომა იყო დაპირისპირება ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის და იმის მტკიცება, რაც კარგია და პროგრესული საკანონმდებლო ხელისუფლებას და დეპუტატ მოქალაქეებს უკავშირდება, უარყოფითი კი — აღმასრულებელ ხელისუფლებასო. ჩემთვის გაუგებარი იყო პარტიის წევრთა ერთი ჯგუფის მიერ ოპოზიციონერობის თამაშიც. პრეზიდენტის ფაქტორი რომ არ მივილოთ მხედველობაში, ამან თავისთავად გამოიწვია დაპირისპირება, რომლის საფუძველი, სამწუხაროდ, ამბიციები იყო. აქედან გამომდინარე, მოვლენებიც შესაბამისად წარიმართა.

**— უკვე ლაპარაკობენ ახალი საპარლამენტო უმრავლესობის შესახებ. როგორ გესახებათ ამ ახალი გაერთიანების კონტურები და რა პრინციპის საფუძველზე იქმნება იგი?**

— ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ცოტა სოფისტიკას ჰგავს ზოგიერთი დეპუტატის გამოსვლა — რადგან კომიტეტის თავმჯდომარეები გადადგნენ, ახალი უმრავლესობა იქმნებაო. კომიტეტის თავმჯდომარეების პოსტები რომელიმე პარტიას რომ დაეკომპლექტებინა, მაშინ გვექნებოდა ახალი უმრავლესობა, მაგრამ ფრაქციათა ხელმძღვანელები შევთანხმდით, რომ ფრაქციებში კომიტეტები თანაბრად გადანაწილდეს. როცა ამ პრინციპით ხდება კომიტეტის თავმჯდომარეების არჩევა, რაღა უმრავლესობაზეა ლაპარაკი, ან კიდევ იმ ძალის ძებნაზე, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს. დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ იმაში, რომ არ იყოს პარლამენტში უმრავლესობა, გარკვეულწილად ასეთი პარლამენტი უფრო დემოკრატიულიც იქნება.

> არ იყო სწორი მთლიანი ორგანიზაციის, გუნდის ქვეგუნდებად დაყოფა, შეცდომა იყო დაპირისპირება ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის და იმის მტკიცება, რაც კარგია და პროგრესული საკანონმდებლო ხელისუფლებას და დეპუტატ მოქალაქეებს უკავშირდება, უარყოფითი კი — აღმასრულებელ ხელისუფლებასო. ჩემთვის გაუგებარი იყო პარტიის წევრთა ერთი ჯგუფის მიერ ოპოზიციონერობის თამაშიც.

**— მაგრამ არაერთხელ ითქვა, ცალკეული საკითხების გატანისთვის პრეზიდენტს სჭირდება საპარლამენტო უმრავლესობაო...**

— ჩემთვის პრეზიდენტს ეს არ უთქვამს... მაგრამ ვიცი, რომ უმრავლესობის შექმნის ფორსირება ნამდვილად არ ხდება. თუმცა არ გამოვრიცხავ რაღაც პერიოდის შემდეგ გარკვეულ საფუძველზე მოხდეს ალიანსები და შეიქმნას უმრავლესობა...

**— კულუარებში უკვე ახალი უმრავლესობის ლიდერზეც მიანიშნებენ — ითქვა, თითქოს ეს კოალიცია თქვენთვის იქმნება.**

— ხვალ და ზეგ ამ უმრავლესობის შექმნის რეალურობას ვერ ვხედავ და მიჭირს ამაზე ლაპარაკი...

**— როცა შეიქმნება უმრავლესობა, უარს იტყვით მის ლიდერობაზე?**

— გააჩნია რის საფუძველზე შექმნილი და როგორი უმრავლესობა იქნება. თუ ახალი უმრავლესობის შექმნის დედაიდეა ქვეყნის ტერიტორიული, საზოგადოებრივი და ასევე პიროვნებების გამთლიანება იქნება, მაშინ ვიქნები ასეთ უმრავლესობაში, ხოლო თუ უმრავლესობა პოლიტტექნოლოგიებისათვის, ძალაუფლების ხელში აღებისა და დაპირისპირებისთვის იქმნება, ასეთი უმრავლესობის პოზიციას ვერასოდეს გავიზიარებ.

**— ითქვა, რომ სარჩელზე, რომელიც ჟვანიას გუნდის წინააღმდეგ შეიტანეს სასამართლოში, თქვენი ხელმოწერა იყო...**

— ალბათ, მთავარი საბჭოს სახელით შესულ სარჩელზე ბრძანებთ... დიახ, მოვაწერე ხელი.

**— მაგრამ თქვენ ხომ გასული ხართ „მოქალაქეთა კავშირიდან“?**

— როგორც მითხრეს, ფორმალურად მაინც ვარ მთავარი საბჭოს წევრი. ხელი მოვაწერე იმიტომ, რომ ვფიქრობ მთავარი საბჭო უფრო უფლებამოსილი ორგანოა, ვიდრე ერთი კომიტეტი ან ჯგუფი. რომელიმე ერთ ჯგუფს არ აქვს ოპოზიციონერობის თავის თავზე აღების უფლება.

**— უმცირესობაში დარჩენილი „მოქალაქეთა კავშირი“ აცხადებს, ძალაუფლებას ხელში ოლიგარქები იღებენო...**

— ვერ ვხედავ ამის საშიშროებას. თუ ბიზნესმენი კანონიერი გზით შოულობს ფულს, ამის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს. სხვა საქმეა, თუ არასწორი გზით მდიდრდება. ბუში ბიზნესმენი იყო, ისევე როგორც მამამისი; ბეიკერი, შულცი ბიზნესმენები იყვნენ, ასევეა ევროპულ ქვეყნებში... სხვის ფულსა და ოლიგარქებზე ისინი ყვირიან, რომელთაც ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი აქვთ მითვისებული. სამწუხაროდ, მათ არ გახსენებიათ, როცა წინა არჩევნებში ეს ე.წ. ოლიგარქები მათ უჭერდნენ მხარს. ასეთი მანიპულირება არასწორია.

*გვერდი მოამზადა იზო რიკაძემ*





ჟურნალი თქვენთვის


# „ჩვენ ეს წინადადება მივიღეთ, როგორც ჩვენკენ გადმოსროლილი სამაშველო რგოლი...“

**გ**ასულ ზაფხულს შევარდნაძის გაკრიტიკება ძვირად დაუჯდა ჟვანიას გუნდს. შევარდნაძემ „შვილივით საყვარელ ზურაბს“ ურჩობა არ აპატია და სამაგალითოდ დასაჯა. ჟვანიას უსიამოვნებათა ჯაჭვის ბოლო რგოლი არჩევნებიდან მისი გუნდის მოხსნა იყო... რომ არ ჩაძირულიყო, ექსპარლამენტის თავმჯდომარეს მაშველი რგოლი დასჭირდა. ჟვანიას გადარჩენა 4-5-მა პარტიამ სცადა. მათ შორის, „ნაციონალისტებმაც“, მაგრამ ჩვენი წყაროს ცნობით, მხარეები კვოტებზე (საარჩევნო სიის პირველ ათეულზე — ი.რ.) ვერ შეთანხმებულან. როგორც ამბობენ, ჟვანიას გადარჩენა ედპ-საც უცდია. ამ ვერსიას ოფიციალურად არავინ ადასტურებს, მაგრამ ცსკ-ოში ედპ-ის წარმომადგენლის ჟვანიასადმი გაცხადებული მხარდაჭერა ამ არგუმენტის რეალურობას დასაშვებად ხდის... მაგრამ ჟვანიამ არჩევანი ქრისტიან-კონსერვატორთა კავშირზე შეაჩერა. ალბათ იმიტომ, რომ ეს ზვიადისტური პარტია ნაკლებამბიციური ალმოჩნდა და „მოქალაქეთა კავშირის“ ცნობილ სახეებს თავის პარტიულ სიაში უშურველად დაუთმო პირველობა.



გასულ კვირას ჟვანიას გუნდს ერთდროულად 3 ფრონტზე მოუწია ბრძოლა. პარლამენტის ექსთავმჯდომარის მცდელობა, რომ მისი გუნდი არჩევნებზე „მოქკავშირის“ სიით დაეშვათ, სასამართლოში მარცხით დამთავრდა. პარლამენტში ყველა „მოქალაქე“ კომიტეტის თავმჯდომარეს დაატოვებინეს პოსტი. უშედეგო ალმოჩნდა გია ბარამიძის „განწირულის სულისკვეთება“ — მამაცი კომიტეტის თავმჯდომარე მაინც გადააყენეს. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კი ჟვანიას კიდევ ერთ თანაგუნდელს მოუხდა მძიმე ჭაპანის გაწევა. მაჭავარიანი-ბათიაშვილის პაექრობა სილის გარტყმა-გამორტყმაში გადაიზარდა...

ყველაზე საინტერესოდ პროცესები პარლამენტში განვითარდა. საპარლამენტო ოქტაგონის მთავარი გმირები მოქალაქე-რეფორმატორები და „ახალი მემარჯვენეები“ სხდომათა დარბაზში შეერკინენ ერთმანეთს. ზურაბ ჟვანიამ ოფიციალურად ითხოვა მისი გუნდისთვის საპარლამენტო უმცირესობის ტიტული. პასუხისმგებლობის აღებას ახალ მემარჯვენეებს ტრადიციონალისტებიც სთხოვდნენ. როგორც ჩანს, საპარლამენტო ზეწოლას ისევ ლევან გაჩეჩილაძემ ვერ გაუძლო და სახელისუფლებო პასუხისმგებლობაზე დაყაბულდა, ოღონდ სამომავლოდ — ყველას დაგაწყნარებთ, ხელისუფლებაში თუ მოვალთ, პასუხისმგებლობასაც ავიღებთ და არც მუდმივ ოპოზიციაში ვიქნებითო.

ახალი საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის მიზანს თუ იკითხავთ, კულუარებში გიპასუხებენ, რომ ეს იყო ერთის (ჟვანიას) წინააღმდეგ შექმნილი კოალიცია, კოალიციის შემქმნელთა პროგრამა-მაქსიმუმი კი მოქკავშირისთვის ყველა საპარლამენტო და სახელისუფლებო ბერკეტის წართმევაა. ახალი უმრავლესობის შემადგენლობა ჭრელი და მრავალრიცხოვანი იქნება. დღეს კონკრეტული ლაპარაკი უმცირესობაზე უფრო შეიძლება. უმცირესობაში, ჯერჯერობით, 3 სუბიექტს მოიაზრებენ. ჟვანიას გუნდის გარდა, მასში „ტრადიციონალისტები“ და „ნაციონალისტები“ შევლენ.

უმრავლესობაში დარჩება არარეფორმატორ „მოქალაქეთა“ ნაწილი, ალიანსი — ერთობა-მაჟორიტარები. ახალ უმრავლესობის ე.წ. ასოცირებულ წევრობას უქადაგებენ „აღორძინებას“, „მრეწველებს“ და „სოციალისტებს“. ახალი უმრავლესობის ახალ ფავორიტ „ახლებს“ პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის კეთილგანწყობის სანაცვლოდ, პარლამენტშიც და ადგილობრივ არჩევნებშიც წარმატებას უწინასწარმეტყველებენ.

დარჩენილ ერთ წელიწადს პარლამენტში აყალმაყალი და ბრძოლები უცხო ხილი არ იქნება. დაპირისპირება მოჰყვება უმრავლესობის ლიდერის გამოკვეთის პროცესს. თუ ეს პრობლემა ასე თუ ისე გადაიჭრა, უმრავლესობა მაინც დაიშლება იმიტომ, რომ პარლამენტში აღარ იქნება სუბიექტი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინი პარტიებს გააერთიანებსო, — დასძენს ჩვენი წყარო.

რას ფიქრობს და რა გეგმები აქვს ამ ეტაპზე ექსპარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას? ამ საკითხზე პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრის შემდეგ ასეთი კომენტარი მოგვცა:

— საქართველო შედის განვითარების იმ ფაზაში, როდესაც პოლიტიკური თავზეხელაღებულობა, უკანონობა, პოლიტიკური თავისუფლებისა და კონსტიტუციური გარანტიების შელახვა გახდება ჩვენი ყოველდღიური ყოფის განუყოფელი ნაწილი. 7 წლის მანძილზე ვცდილობდი შემექმნა ისეთი კანონმდებლობა, რომლის წყალობითაც არა მარტო პარტიები, არამედ ცალკეული მოქალაქეებიც იქნებოდნენ დაცულნი ადმინისტრაციისა და ხელისუფლების თავნებობისაგან. დღეს კი თავად განვიცდით უპრეცედენტო დევნას — არც ჩემი მეგობრები და არც მე, არ ვაპირებთ ავყვეთ ამ გაუთავებელ ინტრიგებს და მიუხედაად იმისა, რომ საარჩევნო კამპანიას უაღრესად დისკრიმინირებულ პირობებში ვიწყებთ, ბევრისგან მაინც მოვიპოვებთ მხარდაჭერას.

მე დამიკავშირდნენ ჩემი მეგობრები აშშ-ის კონგრესიდან, ევროპარლამენტიდან, ევროსაბჭოდან... მათი სურვილია საქართველო დემოკრატიული ქვეყანა იყოს. ბუნებრივია, ვეცდებით ის საკითხები, რომელიც ჩვენ გვაწუხებს, საერთაშორისო განხილვის საგანი გახდეს. ვაპირებთ სარჩელის შეტანას ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში და გამოვიყენებთ ყველა საშუალებას, ჩვენი მომხრეების არჩევანის გაკეთების უფლება რომ დავიცვათ, არჩევანი უნდა გააკეთოს ამომრჩეველმა და არა ხელისუფლებამ.

**— ახალი უმრავლესობა უკვე შეიქმნა პარლამენტში?**

— მე მოვუწოდე ჩემს კოლეგებს, განაცხადონ, რომ არის უმრავლესობა და, შესაბამისად აიღონ პასუხისმგებლობა მთავრობის, ხელისუფლების პოლიტიკაზე, ისევე როგორც მე მქონდა აღებული რთულ ვითარებაში. როცა „ახალი მემარჯვენეები“ გადაკეტავენ რუსთაველის გამზირს, ტელევიზიით არ უნდა აცხადებდნენ — ოპოზიციამ რუსთაველის გამზირი გადაკეტაო. ოპოზიციურ პარტიებზე სამუშაოდ არ უნდა იყოს დარაზმული მთელი ადმინისტრაცია.

**— კულუარებში მსჯელობენ, რეალურად ვინ არის ამ უმრავლესობის ლიდერი — პრეზიდენტი თუ ჯორბენაძე... თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ჯორბენაძეს ვერ განვიხილავ როგორც პრეზიდენტისაგან ცალკე მდგომ პიროვნებას.

**— რატომ აირჩიეთ არჩევნებში ქრისტიან-კონსერვატორთა სიით გასვლა...**

— არჩევანი მე არ გამიკეთებია. მქონდა ერთადერთი შანსი, თუმცა, უმძიმეს და არათანაბარ პირობებში, მაგრამ მაინც მიეღო ჩემს გუნდს მონაწილეობა არჩევნებში. ამ პარტიამ დიდსულოვნად შემოგვთავაზა მათი რეგისტრაციის გამოყენება და ჩვენც ეს წინადადება მივიღეთ, როგორც ჩვენკენ გადმოსროლილი სამაშველო რგოლი.

**— მაგრამ ანალოგიური წინადადებით თქვენ სააკაშვილმაც მოგმართათ...**

— არა... სააკაშვილის მოძრაობასთან ჩვენ გვაქვს და გვექნება თანამშრომლობა, მაგრამ აქ ლაპარაკი იყო ჩვენს ჯგუფზე. ეს განსხვავებული პოლიტიკური ჯგუფია...

# რუსები ჩეჩენ ბოევიკებს საქართველოსკენ გამორეკავენ?!

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრთა შეშფოთება შეიძლება იმ ინფორმაციამაც გამოიწვია, რომლის თანახმადაც ზაფხულის დადგომისთანავე რუსეთის ფედერალური ძალები გადამწყვეტ გამანადგურებელ შეტევას დაიწყებენ დაუმორჩილებელი, შეიარაღებული ჩეჩნების წინააღმდეგ.

გასული წლების გამოცდილების საფუძველზე ოფიციალური თბილისი, საბედნიეროდ, ადრიანად იწყებს ზრუნვას ჩრდილოეთის საზღვრის გამაგრებაზე.

თუმცა ეს სიტყვა შეიძლება მისაღები იყოს თოვლის დადნობისა და უღელტეხილებზე გადასასვლელების გახსნის თვალსაზრისით, თორემ საქართველო-რუსეთის საზღვრის დაცვის გასაძლიერებლად სახელმწიფოს მუდმივად უნდა ეზრუნა და არა კრიზისული სიტუაციის მოახლოების წინ.

10 მაისს გამართული ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა სწორედ ჩრდილოეთ საზღვარზე სიტუაციის შესაძლო გართულებას მიეძღვნა.

მაისის ბოლოსა და ივნისის შუა რიცხვებში გაუვალი თოვლისგან გაიხსნება ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის, ინგუშეთის, დაღესტნისა და, რაც მთავარია, ჩეჩნეთისკენ მიმავალი მთავარი გადასასვლელები. ყოველი ბილიკის განუწყვეტელი თვალთვალი არათუ ქართველ, არამედ უფრო ძლიერი ქვეყნის სასაზღვრო სამსახურსაც არ ძალუძს. ეს სადღეღამისო მორიგეობა უზარმაზარ ფინანსურ ხარჯს მოითხოვს, რადგან 24 საათის განმავლობაში თვალი არ უნდა მოაშორონ საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახმელეთო საზღვრის 825 კმ-იან მონაკვეთს. აქედან ყარაჩაეთ-ჩერქეზეთზე — 175 კმ მოდის, ამას მოსდევს ჩრდილო ოსეთი — 166 კმ, პატარა საზღვარი არც დაღესტანს აქვს საქართველოსთან — 148 კმ. ყაბარდო-ბალყარეთი ჩვენს ქვეყანას 114 კმ-ზე „ებჯინება“, ხოლო კრასნოდარის მხარე — 76 კმ-ზე. ინგუშეთს რუსეთ-საქართველოს საერთო საზღვრის მხოლოდ 62 კმ მიაქვს, ჩეჩნეთს — 84 კმ.

## რამდენად დაცულია საზღვარი დამრღვევების შესაკავებლად



საქართველო-რუსეთის საზღვარზე ასობით საცალფეხო გადასასვლელია, რომელთა სრული გაკონტროლება დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს

საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარი ერთი შეხედვით მცირე სიგრძისაა, მაგრამ ძალზე რთულია (მთაგორიანი რელიეფი, ასობით მცირე და დიდი ხეობა...). ყველა საზღვრისპირა ხეობაში და საცალფეხო ბილიკზე მესაზღვრეების დაყენებას არათუ სასაზღვრო დეპარტამენტის, არამედ მთლიანად ქვეყნის ბიუჯეტიც დიდხანს ვერ გაუძლებს. მხოლოდ ერთი სტაციონარული სასაზღვრო საგუშაგოს გახსნას და მის აღჭურვას სათანადო, თანამედროვე, აღმოჩენისა და კავშირგაბმულობის სისტემებით, არანაკლებ 1 მლნ დოლარი სჭირდება. მნიშვნელოვნად რომ შემცირდეს საზღვრის დარღვევის ალბათობა, ათასობით ასეთი სასაზღვრო საგუშაგოს სასწრაფოდ გახსნაა საჭირო.

10 მაისის უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზეც განიხილებოდა საკითხები ქართველი მესაზღვრეებისთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის შესახებ, რათა თოვლის დადნობამდე საქართველო-რუსეთის საზღვრის რთულად გასაკონტროლებელ მონაკვეთებზე რამდენიმე საგუშაგო მაინც გაიხსნას. ალბათ ლაპარაკი იქნება უფრო დროებით, სათვალთვალო პოსტებზე, რომლებსაც 5-10-კაციანი მესაზღვრეთა გათვლები მოემსახურებიან. ასეთი ტიპის დროებითი სასაზღვრო საგუშაგოები შედარებით იაფი ჯდება. მესაზღვრეთა ჯგუფს ექნება გადასატანი რადიოსადგური, რომლითაც უახლოეს სტაციონარულ სასაზღვრო საგუშაგოს გადაეცემა ინფორმაცია მათ მონაკვეთზე საზღვრის დამრღვევთა შესაძლო გამოჩენის შესახებ. თავის მხრივ, ეს სტაციონარული საგუშაგო საგანგაშო ინფორმაციას თბილისში შტაბს გადასცემს, სადაც სწრაფად შეირჩევა მობილური რაზმი (სავარაუდოდ, სასაზღვრო დეპარტამენტის მოტოსამანევრო ჯგუფიდან) საზღვრის დარღვევის რაიონში შვეულმფრენებით ოპერატიულად გადასასროლად. ამ მექანიზმით ქართველმა მესაზღვრეებმა რამდენჯერმე უკვე იმოქმედეს.

პარტიზანული ბრძოლის მეთოდებით მოქმედი ჩეჩნების სრული ფიზიკური განადგურება შეუძლებელია, თუმცა არ არის გამორიცხული, რუსულმა სპეცსამსახურებმა კიდევ რამდენიმე ცნობილი ჩეჩენი და არაბი საველე მეთაური მოსპონ, ამასთან რუსულმა ავიაციამ და არტილერიამ დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით, გაანადგუროს ჩეჩენი მებრძოლების საიდუმლო საველე ბანაკები და იარაღის საწყობები.

თუკი მოვლენები ამ სქემით განვითარდა, სულაც არ არის გამორიცხული, ჩეჩნების დიდმა ნაწილმა თავის შეფარება მეზობელ საქართველოში სცადოს ძალ-ღონის აღდგენისა და საბრძოლო საჭურვლის შევსების მიზნით.

სხვათა შორის, ეს ყველაფერი ძალიან წააგავს ავღანეთის ომის ცხრაწლიან სისხლიან ეპოპეას. როდესაც ავღანეთში მოქმედი საბჭოთა მე-40 არმია ფართომასშტაბიან შეტევას იწყებდა ავღანელი მოჯაჰედების გასანადგურებლად, ეს უკანასკნელნი პაკისტანის ტერიტორიაზე აფარებდნენ თავს საბჭოთა ბომბდამშენებისა და ჰაუბიცების გამანადგურებელ დარტყმებს. შემდეგ კი ძალამოკრებილნი კვლავ ბრუნდებოდნენ ავღანეთში პარტიზანული ომის გასაგრძელებლად.

მსგავსი სიტუაციის შექმნა საქართველოსთან მიმართებაში, დამღუპველი იქნება მთლიანად ჩვენი ქვეყნისთვის როგორც რუსეთთან შემდგომი მეზობლური ურთიერთობების ჭრილში, ისე საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში.

# ამერიკული კატარღა — ქართული საზღვაო აკვატორიის დასაცავად

## უფულობის გამო ნაჩუქარი კატარღების უმრავლესობის ექსპლუატაცია ჭირს




ამერიკელების ნაჩუქარი „პოინტ ბეიკერი“ ქართულ წყლებში ერთ თვეში შემოცურდება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ აღმოჩენილი „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის პარალელურად გრძელდება სხვა ამერიკული დახმარების — „საზღვრის დაცვისა და კანონის განმტკიცების“ პროგრამაც.

ეს უკანასკნელი რამდენიმე წელია მიმდინარეობს და მის ფარგლებში ამერიკა მნიშვნელოვნად დაეხმარა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს. ქართველ მესაზღვრეებს გადასცეს შვეულმფრენები, თვითმფრინავი, რადიოსადგურები, საკონტროლო მოწყობილობები, რადიოლოკატორები და, რაც მთავარია, სანაპირო დაცვის კატარღები საზღვაო საზღვრის გასაკონტროლებლად.

ბოლო ამერიკული საჩუქარი დანიშნულების ადგილს ერთ თვეში ჩამოაღწევს.

ეს გახლავთ „პოინტ ბეიკერის“ ტიპის სანაპირო დაცვის კატარღა, რომელიც 6 თებერვალს მექსიკის ყურეში მდებარე საბინაპის პორტში ოფიციალური ცერემონიის შემდეგ ქართველი მესაზღვრეების კუთვნილება გახდა.

ყოველი ახალი კატარღის ჩუქება ქართველი მესაზღვრეებისა თუ თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალებისთვის სასიხარულოა, თუმცა რამდენიმე ქვეყნის მიერ გამოგზავნილი სხვადასხვა ტიპისა და სახეობის მცურავი საშუალების ექსპლუატაციას დიდი ხარჯები სჭირდება. ბევრი მათგანი გაუმართავია და ფოთის სამხედრო პორტში ტივტივებს, რითაც, როგორც იტყვიან, გარეთ მტერს უბრმავებს თვალს, შიგნით — მოყვარესო. ამის მაგალითად გამოდგება ყველაზე დიდი წყალწყვის სამხედრო დანიშნულების P22 „აიეტი“, რომელიც გერმანიამ გვაჩუქა.

„პოინტ ბეიკერის“ საქმე შედარებით უკეთაა — მისი ტიპის P210 „ცოტნე დადიანს“ მესაზღვრეების სანაპირო დაცვის დივიზიონი უკვე დიდი ხანია საკმაოდ ეფექტიანად იყენებს. იგი 2000 წლის ნოემბერში გადაეცა ქართველ მესაზღვრეებს და მას შემდეგ არაერთ სწავლებასა თუ რეალური საბრძოლო ამოცანის შესრულებაში მიიღო მონაწილეობა. მაგალითისთვის შარშანდელი შემთხვევაც კმარა, როდესაც „ცოტნე დადიანმა“, სხვა კატარღებთან ერთად, დააკავა საქართველოს ტერიტორიული წყლების დამრღვევი, თურქეთის რესპუბლიკის მშრალტვირთმზიდი „ილდიზ “, რომელსაც ოჩამჩირიდან უნებართვოდ გაჰქონდა ტყვარჩელის ქვანახშირი.

„ცოტნე დადიანის“ ორწლიანმა ექსპლუატაციამ გამოცდილება შესძინა ქართველ მეზღვაურებს. ამიტომ ახალი კატარღის მისაღებად 9-კაციან ეკიპაჟს აშშ-ში მხოლოდ ორი კვირით ყოფნა დასჭირდა, რადგან არ გასჭირვებია „ცოტნე დადიანის“ ანალოგის შესწავლა.

ქართველი მესაზღვრეებისთვის გადმოცემის შემდეგ „პოინტ ბეიკერი“ გალვესტონის გემთსაშენ ქარხანაში გაიგზავნა სრული კაპიტალური რემონტისა და რესურსის აღსადგენად. რაღა დასამალია და, ამერიკული საჩუქარი წელს 40 წლისა გახდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამერიკელები ჯართს გვჩუქნიან. გარემონტების შემდეგ მას თავისუფლად შეეძლება თავისი ამოცანების შესრულება შავი ზღვის საქართველოს სანაპირო წყლებში. თანაც მისი ექსპლუატაცია შედარებით იაფი ჯდება უფრო თანამედროვე და ძვირად ღირებულ სამხედრო კატარღებთან შედარებით.

სწორედ ექსპლუატაციის ხარჯები გახლავთ დღეს საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი პრობლემა. რა მნიშვნელობა აქვს, თავდაცვის სამინისტროს 90 ტანკი ეყოლება თუ 220, თუკი მათ მუდმივად არ გამოიყენებენ და თვეობით ფარეხებში იდგებიან აკუმულატორებისა და საწვავის უქონლობის გამო.

იგივე შეიძლება ითქვას მოიერიშე Су-25-ებსა და საბრძოლო კატარღებზეც.

საბჭოთა პერიოდში საზღვაო აკვატორიაში ტერიტორიულ წყლებსა და ეკონომიკურ ზონას სასაზღვრო ხომალდები და კატარღები მუდმივი მორიგეობის რეჟიმში ახორციელებდნენ, ანუ სანაპიროდან კარგა მოშორებით რამდენიმე დღე დრეიფობდა საზღვაო კატარღა და იმ რაიონში გამოჩენილ დამრღვევ გემს ადვილად პოულობდა. მორიგეობის დამთავრების შემდეგ კი მას სხვა კატარღა ცვლიდა.

ეკონომიკური პრობლემების გამო, სასაზღვრო კატარღები ძირითადად ფოთის სამხედრო პორტის პირსებთან დგანან და რადიოლოკაციური ან საჰაერო დაზვერვის მიერ აღმოჩენილი დამრღვევი გემის დასაკავებლად აქედან გადიან.

„პოინტ ბეიკერი“ ისევე, როგორც „ცოტნე დადიანი“, საკმაო ეკონომიურობით გამოირჩევა და 2-2,5-ჯერ ნაკლებ საწვავს ხარჯავს, ვიდრე საბჭოთა პერიოდის „გრიფები“. თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ „გრიფების“ სიჩქარე მნიშვნელოვნად აღემატება ზემოხსენებული ამერიკული კატარღებისას.

დავუბრუნდეთ „პოინტ ბეიკერის“ შემდგომ ბედს: კაპიტალურად გარემონტებული კატარღა 10 მაისს სპეციალური საოკეანო გემით წამოვიდა და თურქეთის იზმირის ნავსადგურში 5 ივნისს ჩავა. იზმირში „პოინტ ბეიკერზე“, რომელსაც მართალია, საბორტო ნომერი — P211 უკვე მიენიჭა, მაგრამ საკუთარი სახელი ჯერჯერობით არა აქვს, ქართული ეკიპაჟი გადაჯდება და 9 ივნისს გეზს სამშობლოსკენ აიღებს. თუ რთულმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა ხელი არ შეუშალა, ახალი სასაზღვრო კატარღა ფოთის სამხედრო პორტში 13 ივნისს შემოვა.

**ჩვენი დოსიე: „პოინტ ბეიკერის“ ტიპის ამერიკული სანაპირო დაცვის კატარღის სიგრძე 82 ფუტია (25 მ), სიგანე — 17 ფუტი (5 მ), მისი წყალწყვა 60 ტ-ს აღწევს. ორი დიზელის ძრავა (თითოეული 286 ცხ.ძ.-ის სიმძლავრისა) კატარღას მაქსიმალური 19 კვანძის განვითარების საშუალებას აძლევს. კატარღის ზღვაოსნობის ზღვარი 5 ბალამდე აღწევს. ავტონომიური ცურვის ხანგრძლივობა 3 დღე-ღამეა. ემსახურება ათკაციანი ეკიპაჟი.**

„პოინტ ბეიკერი“ აშშ-ის სანაპირო დაცვის ამ ტიპის უკანასკნელი კატარღაა. ამჟამად ამ საქმისთვის მათ უფრო თანამედროვე მცურავი საშუალებები გააჩნიათ. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ქართველებისთვის ნაჩუქარი სანაპირო დაცვის კატარღამ, სამაშველო ფუნქციებიც უნდა შეასრულოს (როგორც ამბობენ, მას ზღვაში ბუქსირების ოპერაციის წარმატებით განხორციელებაც შეუძლია).

„პოინტ ბეიკერის“ ჩამოყვანის შემდეგ საქართველოს სანაპირო დაცვის განკარგულებაში უკვე 32 მცურავი საშუალება იქნება. ისინი გადანაწილებულია ბათუმის პირველ და ფოთის მეორე დივიზიონებში (ამ რიცხვში არ შედის თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის საბრძოლო და სადესანტო კატარღები).

მიუხედავად შთამბეჭდავი რიცხვისა, ტერიტორიული წყლების საზღვარზე დამრღვევი გემის დაკავება მხოლოდ 14-ს თუ შეუძლია და ისიც თეორიულად, რადგან პრაქტიკულად კატარღების გარკვეული ნაწილი დაუფინანსებლობის გამო სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არ არის.

ეს სამხედრო საიდუმლოება კი არა, სამწუხაროდ, მწარე სინამდვილეა.

# ტრაგედია კასპიისკში: აღლუმის მონაწილეები სპეციალური ნაღმით ააფეთქეს

ტერორისტებმა 9 მაისის გამარჯვების აღლუმი ქ. კასპიისკში მთელ რუსეთს ჩაუშხამეს.

ორმოცზე მეტი დაღუპული და ასზე მეტი დაჭრილი — ასეთი საშინელება მოჰყვა ქალაქის ცენტრში ნაღმის აფეთქებას. სამწუხაროდ, კასპიისკელებზე ეს პირველი თავდასხმა არ ყოფილა. 1996 წელს ტერორისტებმა ააფეთქეს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის თანამშრომელთა ოჯახების საცხოვრებელი კორპუსი. მაშინ ამ აფეთქების რამდენიმე ვერსია ფიგურირებდა. ერთ-ერთი იყო იმ ბრაკონიერთა შურისძიების შესაძლებლობა, რომლებსაც მესაზღვრეები კასპიის ზღვაში ზუთხის დაჭერასა და ხიზილალის მოპოვების საშუალებას არ აძლევდნენ.




განსაკუთრებული დანიშნულების ნაღმი МОН-50 დიდი დამაზიანებელი თვისებებით გამოირჩევა

თუკი 6 წლის წინ ტერორისტულ აქტს შეიძლება უფრო ეკონომიკურ-კრიმინალური საფუძველი ჰქონდა, 9 მაისს ტერორისტების მიზანი გახლდათ რუსი სამხედროების ფიზიკური განადგურება; თანაც არა ჩვეულებრივი სამხედროების, არამედ რუსეთის კასპიის ზღვის ფლოტილიის 77-ე ცალკეული საზღვაო ქვეითთა ბრიგადის ხელმძღვანელობისა.

ამ საზღვაო ქვეითთა ბრიგადის მებრძოლებმა არაერთხელ გამოიჩინეს თავი ჩეჩნეთის ომში და ბევრი მოსისხლე მტერიც გაიჩინეს — ტერორისტების გათვლა მარტივი იყო — 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით გამართულ სამხედრო აღლუმში ქალაქის ქუჩებში საზეიმო სვლით საზღვაო ქვეითთა ბრიგადის ოფიცრებიც ჩაივლიდნენ.

სწორედ მათ გასანადგურებლად ტერორისტებმა გამოიყენეს განსაკუთრებული დანიშნულების ნაღმი — МОН-50. ეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი იმით გამოირჩევა სხვა ტიპის ნაღმებისგან, რომ მისი აფეთქებისას წარმოქმნილი ნამსხვრევების ტალღა მხოლოდ ერთი მიმართულებით ვრცელდება. МОН-50-ში მოთავსებულია მეტალის პატარა ბურთულაკები, რომლებიც მომაკვდინებელ ძალას 50 მ-ის დისტანციაზე ინარჩუნებენ.

საერთოდ, МОН-50-ტიპის ნაღმებს (ისევე, როგორც მის უფროს „ძმებს“ — МОН-90-ს, МОН-100, МОН-250-ს) სპეცდანიშნულების რაზმები და დივერსიული ჯგუფები იყენებენ.



МОН-50-ების შეკვრა 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო მეთაურზე ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერორისტული აქტის დროს გამოიყენეს.

კასპიისკში ტერორისტებმა МОН-50, რომელიც დამატებით ტროტილის ბრიკეტებით იყო გაძლიერებული, დისტანციურად ააფეთქეს, ოღონდ იჩქარეს, რადგან ნაღმის აფეთქების ტალღის მიმართულება ძირითადად სამხედრო მუსიკოსები დააზიანა და არა საზღვაო ქვეითთა ბრიგადის მეთაურობა.

თუკი რუსეთის სპეცსამსახურები უტყუარ საბუთებს მოიპოვებენ ტერორისტულ აქტში ჩეჩნების მონაწილეობის შესახებ, სავარაუდოა, რომ დასავლეთი და პირველ რიგში აშშ-ის ადმინისტრაცია უფრო მკვეთრ პოზიციას დაიკავებს ამბოხებული ჩეჩნების წინააღმდეგ, რაც კრემლს ხელს გაუხსნის შეიარაღებული ჩეჩნების მიმართ უფრო რადიკალური ზომების გასატარებლად.

# ამერიკა ერაყს მაინც დაარტყამს

## ისრაელ-პალესტინის დაპირისპირების მინელებისთანავე პენტაგონი ერაყში „წერტილოვან“ დაბომბვებს განახორციელებს

უკვე აღარავის ეეჭვება, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალები მიზანმიმართულად ემზადებიან ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად.

ბუში-უმცროსის გაპრეზიდენტებისთანავე ცხადი გახდა, რომ მამის დაწყებული და ბოლომდე მიუყვანელი საქმის დამთავრებას შვილი შეეცდებოდა.

მაგრამ თეთრი სახლისთვის მოულოდნელად ამერიკამ დარტყმა თავად მიიღო და ისიც „გულში“ — 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა პენტაგონს სამიზნე შეუცვალა — ერაყიდან ავღანეთისკენ.

ავღანეთში თალიბების საბოლოო დამარცხებაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან იქ პარტიზანული ომის დაწყების ნიშნები გამოჩნდა; მაგრამ მიუხედავად ამისა, აშშ-ს თავისუფლად შეუძლია ამჯერად ერაყისთვის მოიცალოს.

თეთრი სახლი ცდილობს არ გაიმეოროს კრემლის მიერ 20 წლის წინ ავღანეთში დაშვებული შეცდომები და ამიტომაც ამ პრობლემას საერთაშორისო ძალების მეშვეობით წყვეტს. თავის დროზე მოსკოვს ავღანეთში მარტო თავისი მე-40 საერთო საჯარისო არმია რომ არ ჰყოლოდა და როგორმე ვარშავის პაქტის ქვეყნებიც (იგივე გდრ, ბულგარეთი ან ჩეხოსლოვაკია) „შეეთრია“, საბჭოთა არმია ისე კუდამოძუებული არ გამოიქცეოდა ავღანეთიდან.

ოფიციალურმა ვაშინგტონმა ხან პოლიტიკური ზეწოლით, ხანაც დიდი თანხების დაპირებით ავღანეთის კამპანიაში კიდევ 18 სახელმწიფო „ჩაება“, მათ შორის უმეტესობა NATO-ს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრია. ამით ხელი გაითავისუფლა ერაყში ახალი სამშვიდობო თუ სადამსჯელო ოპერაციის წამოსაწყებად. მალე ავღანეთში შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს პენტაგონის სამხედრო დანაყოფების რაოდენობა, რადგან მათი ძირითადი ნაწილი ერაყისკენ „შემობრუნდება“ (თავად ავღანეთში კი გაეროს სამშვიდობო ძალებს უახლოეს ხანში თურქები ჩაუდგებიან სათავეში).


ამერიკელი სამხედროები ერაყზე თავდასასხმელად პრეზიდენტ ბუშის ბრძანებას ელოდებიან

აშშ-ის ხელისუფლებამ მეტ-ნაკლებად მოაგვარა ავღანეთის პრობლემა (პირველ რიგში ამერიკელი მოქალაქეების თვალში, რომლებიც კმაყოფილნი დარჩნენ პენტაგონის შურისმაძიებელი დარტყმებით ავღანეთში, თალიბების პოზიციებზე) და უკვე ორი თვის წინ იყო მზად დაეწყო ახალი საბრძოლო ოპერაცია ამჯერად ერაყის წინააღმდეგ.

მაგრამ თეთრი სახლისთვის მოულოდნელად, მეტისმეტად გამწვავდა ურთიერთობა ებრაელებსა და პალესტინელებს შორის. ებრაულ ქალაქებში განხორციელებულ ყოველდღიურ ტერორისტულ აქტებს ისრაელმა პალესტინის ავტონომიაში მძიმე საბრძოლო ტექნიკის შეყვანით უპასუხა. ქუჩის ბრძოლების დროს ებრაელი სპეცრაზმელები, როგორც ამბობდნენ, არ ინდობდნენ არა მარტო რეალურ, არამედ პოტენციურ არაბ ტერორისტებსაც. ამით აღშფოთებულმა დასავლეთ ევროპის მოსახლეობის არც ისე მცირე ნაწილმა პარიზის, ლონდონის, მადრიდის და სხვა დიდი ქალაქების ქუჩებში მრავალრიცხოვანი დემონსტრაციებით უკიდურესი პროტესტი გამოხატა ისრაელის ძალისმიერი ქმედებების მიმართ.

არადა თეთრი სახლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის მომზადებას ყოველი ახალი საბრძოლო ოპერაციის დაწყების წინ. იმ მომენტში პენტაგონს რომ ერაყისთვის საჰაერო დარტყმები მიეყენებინა, ეს იქნებოდა ბოლო წვეთი არაბული ქვეყნებისთვის (მათ შორის იგულისხმება აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორები) — დაიწყებოდა საღვთო ომი მთელი მსოფლიოს მასშტაბით! მუსლიმანებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — შეიძლება სწორედ ამ ლოზუნგით მომხდარიყო ათეულმილიონობით ისლამის მიმდევრის გაერთიანება, რითაც აუცილებლად ისარგებლებდნენ ამ რელიგიას ამოფარებული ტერორისტული ორგანიზაციები.

ისლამის მიმდევრები კი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში საკმაოდაა (სომხეთის გარდა) და შესაძლო იყო ერთგვარი „მეხუთე კოლონის“ როლი ეთამაშათ, მაშინ 11 სექტემბერი მონაგონი გახდებოდა.

მოვლენების სწორედ ამგვარი, სახიფათო მიმართულებით განვითარების თავიდან ასაცილებლად თეთრი სახლის ადმინისტრაცია ძალ-ღონეს არ იშურებდა, ჩაექრო ისრაელ-პალესტინის დაპირისპირება, რისთვისაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თავის საუკეთესო სტრატეგიულ პარტნიორზე — ისრაელზე რამდენჯერმე ძლიერი პოლიტიკური ზეწოლაც განახორციელა.

დღეისათვის თითქოს შენელდა ახალი ფართომასშტაბიანი ომის დაწყების საშიშროება — ისრაელმა მდ. იორდანეს მარცხენა სანაპიროს ბევრი დასახლებული პუნქტიდან გამოიყვანა თავისი ტანკები და იასირ არაფატსაც მოუხსნა ბლოკადა.

ამის პარალელურად კი პენტაგონმა გააორმაგა მოსამზადებელი სამუშაოები ერაყზე იერიშის მისატანად. ამ სამხედრო უწყებაში საბრძოლო მოქმედებების დაწყების რამდენიმე სცენარია შემუშავებული. ერთ-ერთის მიხედვით ოპერაციაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების 250-ათასიანი კონტინგენტი ჩაერთვება. ცნობილია ოპერაციის ხელმძღვანელის ვინაობაც — გენერალი ტომი ფრენქსი, რომელიც ამჟამად აშშ-ის ცენტრალურ სამხედრო მეთაურობას სარდლობს. ერაყზე შეტევა სავარაუდოდ ამ წლის ბოლომდე დაიწყება. ამერიკული სამხედრო ძალების შტაბი კატარში განთავსდება.

უცხოელი სამხედრო ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ 250-ათასიანი კონტინგენტი არც ისე დიდი ძალაა, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ აღარც ერაყს გააჩნია იმ რაოდენობის სამხედრო შენაერთები, რამდენიც 1991 წლის იანვარ-თებერვალში, „უდაბნოს ქარიშხლის“ საერთაშორისო ოპერაციის მიმდინარეობისას ჰყავდა.

არსენალი

# „კალაშნიკოვი“ თუ M16?!

## „შავი შაშხანა“ მალე ქართველი მებრძოლების შეიარაღებაში გამოჩნდება

### „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა ქართული არმიის შეიარაღების NATO-ს სტანდარტზე გადასვლას შეუწყობს ხელს

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის დეტალები ნელ-ნელა ფართო საზოგადოებისთვისაც ხდება ცნობილი. გასულ კვირას ამერიკელმა ინსტრუქტორებმა დააკონკრეტეს იმ იარაღის და აღჭურვილობის სახეობები, რომლითაც ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში შეიარაღდებიან ქართველი მებრძოლები. ესენია: შაშხანები, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ხელყუმბარები და ტყვია-წამალი.

ამ იარაღის სახეობების ტიპაჟი ჯერ ბოლომდე არ არის ცნობილი, მაგრამ ცხადია, რომ ქართული მხარე მიიღებს არანაკლებ 1600 ერთეულ ცეცხლსასროლ იარაღს, მათგან უმეტესობა ამერიკული M16A2 ტიპის ავტომატური შაშხანებია.

M16-ს „შავი შაშხანა“ ფერის გამო არაოფიციალურად თავიდანვე დაერქვა, ამერიკულ არმიაში იგი ავტომატურ შაშხანად მოიხსენიება; თუმცა ჩვენი აზრით, ჩვეულებრივი ავტომატია.

კონსტრუქტორმა იუჯინ სტონერმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში შექმნა 7,62 მმ კალიბრის AR-10, მაგრამ მისი ნახელავით პენტაგონი არ დაინტერესდა.

სტონერს ხელი არ აუღია საყვარელ საქმეზე და 1957 წელსააწყო ავტომატური შაშხანის ახალი ნიმუში — AR-15. ახალ შაშხანას კალიბრიც ახალი — 5,56 მმ ჰქონდა. მისი ნასროლი ტყვია მიზანში უფრო ზუსტად ხვდებოდა და დამაზიანებელი ძალაც ძველზე მეტი გააჩნდა. პენტაგონი ძალზე უკმაყოფილო იყო ამერიკული არმიის შეიარაღებაში შემორჩენილი M14 ტიპის ავტომატური შაშხანებით, რომლებიც აშკარად მარცხდებოდნენ ჯუნგლებში ვიეტნამელი პარტიზანების საბჭოთა AKM-ებთან.

ამ და სხვა მიზეზების გამო, 1963 წელს პენტაგონმა შეიარაღებაში მიიღო იუჯინ სტონერის ავტომატური შაშხანა AR-15 და იმავე წელს 104 ათასი ეგზემპლარის დამზადებაც შეუკვეთა. სტონერის AR-15-ს ამერიკულ არმიაში სახელი შეუცვალეს და M16-ად მონათლეს.

თავდაპირველად, ვიეტნამში M16-ის ბევრი დადებითი მხარე დაინახეს ამერიკელმა რეიჯნერებმა, მაგრამ მალე „შავი შაშხანის“ ნაკლოვანებებიც გამოჩნდა. ხშირი სროლისას მასრა იჭედებოდა და მისი ექსტრაქცია მხოლოდ ხელით, შომპოლის დახმარებითღა იყო შესაძლებელი. ამ საქმით „გართულ“ ამერიკელ ჯარისკაცებს არაერთხელ წადგომიან თავს „კალაშნიკოვიანი“ ვიეტნამელი პარტიზანები.

გარდა ამისა, ვიეტნამის ჯუნგლების სინესტეში M16-ის ლითონის ნაწილები იჟანგებოდა და პენტაგონს სასწრაფოდ მოუხდა მათი დიდი პარტიის ქრომირება. ვიეტნამის პარტიზანულ ომში ამერიკელი ჯარისკაცები დიდი დისციპლინით არ გამოირჩეოდნენ, „შავ შაშხანებს“ არც კი წმენდდნენ. ასე რომ, ზოგიერთის ლულაში ტყვია არც კი ეტეოდა. ასეთი მოუვლელობის გამო კი M16-ები მწყობრიდან გამოდიოდა.

1967 წელს ამერიკულ სამხედრო ნაწილებში დაიგზავნა „შავი შაშხანის“ ახალი მოდიფიკაცია — M16A1, რომელშიც გამოსწორებული იყო ბევრი ნაკლი.


ამერიკული ავტომატური შაშხანა M16A2, მასზე დაყენებული ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით M203

**ჩვენი დოსიე: ამერიკული ავტომატური შაშხანის M16-ის ავტომატიკა დენთის აირების უკუცემის პრინციპით მუშაობს, თუმცა, „კალაშნიკოვისაგან“ განსხვავებით, არ გააჩნია აირრეგულატორი და დგუში. ტყვიის გასროლის შემდეგ გამოყოფილი დენთის აირები ლულაში გაკეთებული გვერდითი ნახვრეტებიდან ხვდება მილაკში და მიემართება უკან, საკეტისკენ. აირების წნევის დაწოლით საკეტი უკან გადადის და აღებს ლულის არხს. ამ დროს გასროლილი ვაზნის მასრა გარეთ ვარდება, ხოლო თავად საკეტს ამუხრუჭებს ორიგინალური კონსტრუქციის ბუფერული მოწყობილობა (რომელსაც გარეთ და შიგნით ზამბარები აქვს) და შემდეგ საწყის პოზიციაში აბრუნებს საკეტს. თუმცა მანამდე მჭიდიდან ახალი ვაზნა ასწრებს ლულის ჭრილში მოთავსებას. ხელის გადასატენი „შავ შაშხანას“, „კალაშნიკოვისგან“ განსხვავებით, მარჯვენა მხარეს კი არა აქვს, არამედ ზემოთ, შუაში, ამიტომ მისი მარჯვედ გამოყენება ცაციებსაც კი შეუძლიათ. „შავ შაშხანას“ ზემოთ დამონტაჟებული აქვს ერთგვარი სახელური, რომელიც მის გადატანასაც აადვილებს და თან სამიზნე მოწყობილობასაც წარმოადგენს. საჭიროების შემთხვევაში ამ სახელურზე მაგრდება სნაიპერული სამიზნე ან ღამის ხედვის აპარატურა. დამცველის გადართვით ხერხდება როგორც ერთჯერადი, ისე უწყვეტი სროლები. გასროლილი ვაზნების ექსტრაქციის „სარკმელი“ სპეციალური „ფარდით“ იფარება, რათა მასში ჭუჭყი და ტალახი არ მოხვდეს.**


ქართველი გვარდიელი აფხაზეთის ომში ამერიკული „შავი შაშხანით“ უმიზნებს, მხარზე კი რუსული AKC-74 აქვს გადაკიდებული

ერთი შეხედვით M16 „კალაშნიკოვზე“ უფრო დიდი და ტლანქი ჩანს. მისი სროლის ხმა სულ სხვანაირია, უცხოა. ამიტომაც ის ლეგენდა, რომ თითქოსდა ვიეტნამის ომში ამერიკელი ჯარისკაცები თავიანთ M16-ებს ყრიდნენ და „კალაშნიკოვებს“ ირჩევდნენ, ნაკლებდასაჯერებელია და საბჭოთა КГБ-ს გავრცელებულ დეზინფორმაციას ჰგავს. შეიძლება რომელიმე ამერიკულ დივერსიულ ჯგუფს მართლაც „კალაშნიკოვები“ აერჩია, რათა ტყვია-წამლის მარაგი დახოცილი ვიეტნამელი პარტიზანების მარაგიდან შეევსო, მაგრამ რეგულარული ამერიკული ქვედანაყოფები „კალაშნიკოვებს“ არ გამოიყენებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი სროლის ხმა მკვეთრად განსხვავდება „შავი შაშხანის“ ხმისგან, რაც ამერიკელთა რიგებში დეზორგანიზაციას შეიტანდა — ერთი ქვედანაყოფი იფიქრებდა, რომ გვერდით ვიეტნამელების „კალაშნიკოვები“ ისვრიანო და ცეცხლს გაუხსნიდნენ მათ.

სხვათა შორის, ეს ფაქტორი მომავალში გასათვალისწინებელი იქნება იმ სხვადასხვა ქართული სამხედრო დანაყოფებისთვის, რომლებსაც შეიძლება ერთად მოუწიოთ საბრძოლო ამოცანის შესრულება.

1982 წელს პენტაგონმა შეიარაღებაში „შავი შაშხანის“ მორიგი მოდიფიცირებული ვარიანტი M16A2 მიიღო. იგი ბელგიელი კონსტრუქტორების მიერ გაუმჯობესებულ 5,56 მმ კალიბრის ტყვიებს ისვრის და 100 მ-ში 3,5 მმ სისქის ფოლადის ფურცელს ხვრეტს. სავარაუდოდ, ივლისის მიწურულს ქართველ სპეცრაზმელებს სწორედ ამ მოდიფიკაციის ავტომატური შაშხანები ჩამოუვათ.

M16-ის ბაზაზე შეიქმნა ათზე მეტი სხვადასხვა მოდიფიკაციის ავტომატური შაშხანა, სნაიპერული შაშხანა, კარაბინი და ხელის ტყვიამფრქვევი, რომლებიც აშშ-ის გარდა მსოფლიოს 30-მდე ქვეყნის არმიის შეიარაღებაშია — ლიცენზიით უშვებენ სინგაპურში, ტაივანში, ფილიპინებსა და სამხრეთ კორეაში.

„შავი შაშხანის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა „კალაშნიკოვთან“ შედარებით ის გახლავთ, რომ მისი ლულის ღერძი ემთხვევა კონდახის ღერძს და სროლისას უკუდარტყმის იმპულსი ერთ წრფეზე ვრცელდება, რასაც მსროლელის მხარი შედარებით ადვილად ანეიტრალებს. „შავი შაშხანა“ ავტომატური სროლისას „კალაშნიკოვივით“ ხელში არ ხტის, რადგან მისგან განსხვავებით, „კალაშნიკოვში“ ლულის გაგრძელებაზე კონდახი აღარ ძევს, ცოტა ქვემოთაა ჩამოწეული და ამიტომაც ავტომატებით სროლისას უკუდარტყმის მნიშვნელოვანი იმპულსის მნიშვნელოვნად განეიტრალებას მსროლელი ვეღარ ახერხებს, რის გამოც „კალაშნიკოვის“ ლულის „ცხვირი“ თამაშობს და ტყვიებიც მიზანს ცილდება.

მიზანში სროლის სიზუსტეში „შავი შაშხანა“ „კალაშნიკოვს“ სჯობნის. მისი ბოლო მოდიფიკაცია M16A2 100 მ დისტანციიდან სროლისას ყველა ტყვიას 80 მმ-იან დიამეტრში არტყამს, „კალაშნიკოვის“ ტყვიები კი მხოლოდ 100 მმ-იან დიამეტრში „თავსდება“. თავად M16A2-ის 5,56 მმ კალიბრის ტყვიები რუსულ AK-74-ის 5,45 მმ კალიბრის ტყვიებზე უფრო აზიანებს სამიზნეს.

მაგრამ ამერიკულ M16-ს გარკვეული უარყოფითი კონსტრუქციული გადაწყვეტილებებიც გააჩნია. რახან მისი კონდახი მაღლაა განთავსებული, ამიტომ სამიზნე მოწყობილობაც მაღალ ფეხებზე არის დამონტაჟებული. მსროლელი დამიზნებისას იძულებულია, თავი და სხეულის ნაწილი სანგრიდან უფრო მაღლა წამოსწიოს, რაც ზრდის მოწინააღმდეგის ტყვიებით მისი დაზიანების შესაძლებლობას.

M16-ის კონდახში მოთავსებული სპეციალური ბუფერული მოწყობილობა ამცირებს უკუდარტყმის იმპულსს, მაგრამ, სამაგიეროდ, არ იძლევა საშუალებას, რომ „შავ შაშხანას“ დასაკეცი კონდახი დაუყენდეს, როგორც ეს „კალაშნიკოვის“ AKMC, AKC-74, AKC-74У მოდიფიკაციებს გააჩნიათ.

ამასთან, უშუალოდ ბრძოლების დროს „კალაშნიკოვი“ უფრო ამტანია ჭუჭყისა და მტვრისა, ვიდრე ამერიკული M16.

ათასზე მეტი ახალი ტიპაჟის და, რაც მთავარია, ახალი კალიბრის იარაღის გამოჩენა ქართულ არმიაში მრავალ ახალ პრობლემასაც გააჩენს, რომლებსაც დროულად დასჭირდებათ მოგვარება, უპირველესად ეს ეხება ახალი, 5,56 მმ კალიბრის ვაზნებისა და ავტომატური შაშხანების სათადარიგო ნაწილების მომარაგებას. მოწინააღმდეგის ზურგში გადასროლილ ქართულ სწრაფი რეაგირების ჯგუფებს, თუკი ისინი ამერიკული ავტომატური შაშხანებით იქნებიან აღჭურვილნი, მოუწევთ საჭირო ვაზნების დიდი მარაგის წაღება, რადგან ამ კალიბრის ვაზნებს მოკლულ მტერს ვერ აართმევენ.

გამოადგება კი ქართულ არმიას ამერიკული „შავი შაშხანები“? წმინდა საბრძოლო თვალსაზრისით, შეიძლება მაინცდამაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, სპეცოპერაციას რუსული „კალაშნიკოვებით“ ჩაატარებ თუ ამერიკული M16-ებით, მაგრამ მეორე მხრივ, ამერიკული „შავი შაშხანების“ ქართული არმიის შეიარაღებაში გამოჩენას უფრო მეტად სამხედრო-პოლიტიკური ელფერი ენიჭება და აჩქარებს NATO-ს სტანდარტებზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გადასვლის პროცესს. თუ დღეს ამერიკა თავის შაშხანებს გვჩუქნის, ხვალ ალბათ ვაზნების მომარაგებაზეც იფიქრებს, ან სულაც დაგვეხმარება, რომ NATO-ს სტანდარტის ვაზნები და სხვა აღჭურვილობის ნაწილი მაინც საქართველოშივე დამზადდეს.

დღემდე ვაზნების და ჭურვების, ანუ სახარჯო მასალის მუდმივი უკმარისობა ძალიან აძნელებს საბრძოლო სწავლების ხშირ გამართვას, სროლის უცოდინარი გაუწვრთნელი ჯარისკაცი კი ბრძოლაში ნაკლებად გამოდგება.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ორი ყაჩაღის ამბავი, რომელთაც ას ჩვიდმეტი მკვლელობა ედებოდათ ბრალად...

იმპერატორი ნიკოლოზ 1914 წლის ნოემბრის დამლევს საქართველოს ესტუმრა. პირველი მსოფლიო ომი თითქმის ოთხი თვის დაწყებული იყო. ოქტომბერში გაიხსნა კავკასიის ფრონტი, რასაც დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ თავადაზნაურობა და მრეწველები (ე.წ. ბურჟუაზია). გადაწყდა, რომ ფრონტზე გაიგზავნებოდა მოხალისეებისგან დაკომპლექტებული თავად-აზნაურთა ორი ლეგიონი. გარდა ამისა, ფრონტის საჭიროებისათვის მხოლოდ თბილისში ას თხუთმეტი ათასი მანეთი შეგროვდა, რაც იმ დროისთვის დიდი ფული იყო და მეფისათვის რომ უფრო ესიამოვნებინათ, სასწრაფოდ, საგანგებოდ გამოყოფილი დაცვის თანხლებით გაგზავნეს დანიშნულების ადგილისაკენ. მაგრამ დილით გასამგზავრებელი სამზადისი ისე გაიწელა, რომ პირველ დღეს, უფრო სწორად, პირველ საღამოს ფასანაურს ვერ გასცდნენ. რა თქმა უნდა, ღამითაც შეიძლებოდა მგზავრობა, მაგრამ დეკემბერი ახლოვდებოდა და მთები უკვე დაეფარა თოვლს. იგრძნობოდა, რომ მლეთის ზემოთ იმ წუთებშიც თოვდა. ტრაქტირის პატრონს ზემოდან მომავალი საღამო ხანს აღარავინ ენახა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გზა დაიკეტა, ან უბრალოდ, მგზავრები გათენებას ელოდებოდნენ, რათა უშიშრად განეგრძოთ გზა ამ ხევხუვეებში, სადაც ფათერაკი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო ჩასაფრებული. უგზოობის გამო შიშს დროდადრო ყაჩაღთა თარეშიც ამძაფრებდა და ღამით მგზავრობას მხოლოდ გამორჩეულად გამბედავი ან უპოვარი ხალხი თუ გაბედავდა. რაც არა გვაქვს, რას წაგვართმევენ, მდიდრებს ეშინოდეთო, — ხუმრობდნენ ისინი. მაგრამ, როცა ამ რამდენიმე დღის წინ ვიღაცამ ამბავი მოიტანა — კობის ქვემოთ სატირალიდან მომავალ თიანელ გლეხს დახვედრიან და წასართმევი რომ ვერაფერი უნახავთ, ქალიშვილი გაუუპატიურებიათ გაკოჭილი მამის თვალწინ. მერე ეს თავლაფდასხმული გოგო ქარაფიდან გადაეშვა და მამაც ზედ მიჰყოლიაო, — ყველა შეშინდა, ფულიანიც და უფულოც. მართალია, ათი შეიარაღებული ჟანდარმი მიაცილებდა ფულს, მაგრამ გარისკვა მაინც არ ღირდა. ფულიანი სკივრი ფურგონიდან საძინებელ ოთახში გადაიტანეს, ტრაქტირის პატრონი გააფრთხილეს, — თუ რამე საეჭვოს შენიშნავ, მაშინვე გაგვაღვიძეო და წახემსების შემდეგ, დასაძინებლად დაწვნენ.

**კაცის კვლა მათთვის ჩვეულებრივ საქმიანობად იქცა და საბოლოოდ ას ჩვიდმეტი მკვლელობა ედებოდათ ბრალად. შეძლებულ ოჯახს რომ შეიგულებდნენ, ჯერ პირწმინდად გაძარცვავდნენ, მერე აუცილებლად ქალებს მისდგებოდნენ და დაბორკილი მამაკაცების თვალწინ აუპატიურებდნენ.**

საკმაოდ გვიანი იყო, როცა ტრაქტირს ორი ცხენოსანი მოადგა. მასპინძელმა პირველსავე დაძახებაზე იცნო სტუმრები. ერთს დიანოზა ერქვა, მეორეს — გურგენოზა. დუშელები იყვნენ. დროდადრო ჩალვადრობდნენ, — ვლადიკავკავში გადაჰყავდათ ხოლმე საქონელი. იქიდან კი ღორებს მოერეკებოდნენ და ბარის სოფლებში ან სულაც მცხეთის ბაზრობაზე ყიდდნენ. ნაცნობი ხალხი იყო, ამიტომ კარი უშიშრად გაუღო.

— საჭმელი გექნება რამე, სპირიდონ. ხომ იცი, უვახშმოდ დაძინებას არ ვართ ჩვეული, — მასპინძელს გასძახა ტანად უფრო დაბალმა, რა ნახა, რომ სპირიდონი მათ გამასპინძლებას არ აპირებდა. — ვიფიქრე, გვიანია და დაიძინებენმეთქი. კი, ბატონო, ახლავე... ერთი ეს მითხარით, ბევრი ხალხია ზემოთ დარჩენილი?

— არ ვიცი... დათვლას ხომ არ დავიწყებდი. გვეშინიაო რომ გაიძახიან, აგერ მე და დიანოზას საქონლის ფული მოგვაქვს ვლადიკავკავიდან, მაგრამ მაგათსავით კი არ შევმძვრალვართ სოროში. ვიღაც გიჟი მამაშვილი კლდიდან გადახტა და არიქა, ყაჩაღები, არიქა, ბანდიტებიო, გაიძახიან. დაგვანახვეთ, ვინ არიან ეს ბანდიტები და ყაჩაღები და იქნებ ჩვენც შეგვეშინდეს. არა, დიანოზა? — ახლა უკვე მაღალმა ამოიღო ხმა.

— ჰო, ჩემო გურგენოზ, მაგათ ის ესიზმრებათ, რაც ელანდებათ და რა გიკვირს, შე კაცო. ხალხს აშინებენ, ღამე არ იმგზავროთ, თორემ დაგხვდებიანო. სახელს უტეხენ ჩვენს გზას. ვაი, მაგათ პატრონს, — ჩაიღიმა დიანოზამ და ეშმაკურად გახედა თავის მეგობარს. ეს თვალის პაჭუნი არ შეუნიშნავს მასპინძელს, მაგრამ სტუმრების საუბრის ტონმა ცოტა კი გაჰკენწლა. მართალია, ეს ბიჭები თვალში არც ადრე მოსდიოდა, მაგრამ ახლა უფრო დარწმუნდა თავისი აზრის სისწორეში. იფიქრა, ესენი ალბათ იმდენს იყაყანებენ, რომ გამოძინებასაც ველარ მოვასწრებო და უფრო მათ შესაშინებლად ჩაილაპარაკა, — ყაჩაღების რა გითხრათ, მე მათ არც ვიცნობ და არც თვალით მინახავს, მაგრამ თუ მართლა აქ ახლომახლო არიან, დღეს ნამდვილად გაერიდებიან აქაურობას. ათ სტრაჟნიკს სძინავს აქ, ზემოთ სართულზე.

სტრაჟნიკების ხსენებაზე ცოტა ფერიფური ეცვალათ ძმაკაცებს.

— სტრაჟნიკებმა რაღა გვინდაო, ნეტავ. იმ გადარეული მამა-შვილის საქმეს ხომ არ იძიებენ? — ცნობისმოყვარედ ჩაეკითხა გურგენოზა მასპინძელს.

— არა, ეტყობა, ძვირფასი ნივთი მიაქვთ. სკივრი ოთახში შეიტანეს და ადრე დაწვნენ დასაძინებლადო, — მიუგო მასპინძელმა. გურგენოზა წამით გაირინდა, მერე მრავალმნიშვნელოვნად გახედა დიანოზას და წყნარად, ისე, რომ მასპინძელს არ ეგრძნო, სტრაჟნიკების ხსენებამ მართლა შეაშინა ჩემი ახალი სტუმრები, ზრდილობიანად ჰკითხა — აბა, ჩვენ სადღა უნდა დავიძინოთ შენ დაბლა საძინებელი არა გაქვს და...



— ზემოთ არის ერთი ცარიელი ოთახი აქეთ, მარჯვენა კუთხეში, იქ დაიძინებთ.

— არ მიყვარს იმ ოთახში ძილი, იქითა, გზის მხარეს რომ ოთახია, იქ ხომ არავინ გყავს?

— რას ამბობ, ის სკივრიანი ხალხი სწორედ იმ ოთახში შევუშვი. ხომ იცით, ურდულით მარტო ის ოთახი იკეტება. აბა, იმ სკივრს სხვა ოთახში როგორ შევატანინებდი?!

— კი, მაგრამ იქ სამი საწოლია და ამდენი ხალხი როგორ დაატიე. ისე, რაღაცას ხომ არ გვატყუებ, ა? — თვალები მოწკურა დიანოზამ.

— რატო ყველანი, კაცო? იქ სამი კაცი შევუშვი, დანარჩენები გვერდით ოთახებში წვანან, — გაეპასუხა ცოტა არ იყოს, გამწყრალი მასპინძელი და დახლიდან გამოვიდა. რითაც ანიშნა სტუმრებს, დროა, ვახშამი დაასრულოთ და დასაძინებლად დაწვეთ, მე ღამისთევას არ ვაპირებო. სტუმრებიც დაემორჩილნენ მასპინძელს. მორჩილად წამოდგნენ და ზემო სართულზე ამავალ კიბეს აუყვნენ. სანთლის შუქზე არც თავისი ოთახის მიგნება გასჭირვებიათ. აქ მათ ყველაფერი იცოდნენ. როგორ იღებოდა და როგორ იკეტებოდა თითოეული ოთახის კარი. იცოდნენ, რომ იმ ოთახის ფანჯარას, სადაც სკივრიან სტრაჟნიკებს ეძინათ, კარი კი კარგად ეკეტებოდა, მაგრამ ფანჯარას ანჯამები ისე ჰქონდა მორყეული, ოდნავ ღონიერი ხელი თავის ლურსმნებიანად დააძრობდა. ისიც იცოდნენ, მასპინძელი იმისათვის ჩქარობდა დაძინებას, რომ ლოგინში ახალშერთული მარწყვივით ქალი ელოდებოდა. ერთი სიტყვით, აქ ისინი შინაურულად გრძნობდნენ თავს, — მესამე წელი იყო, კვირაში ერთხელ მაინც ათევდნენ აქ ღამეს.

— თავი ნუ მოგიკვდება, გურგენოზ, მითხარი ბარემ, რას ფიქრობ იმ სკივრზე. ათი კაცი ნამეტანი ბევრია. ოთხ-ხუთს კიდევ მოვერეოდით. მაგრამ ათი?

— ტანზე არ გაიხადო, ისე წამოვწვეთ. რაღაცას მოვიფიქრებ, — ჩაიდუდღუნა და ლოგინზე მიეგდო გურგენოზა. მთვარე ახალი ამოსული იყო და საწოლზე ნათლად იკვეთებოდა გურგენოზას ლომის ტორები. ისედაც მაღალი და მხრებგანიერი, მთვარის შუქზე კიდევ უფრო ახოვანი ჩანდა. გურგენოზას უკვე მოეხსნა უწყინარი ჩალვადრის ნიღაბი და სიბნელეში აკვესებდა გაბოროტებულ თვალებს, რომლითაც ამ წუთში მხოლოდ ძვირფასეულობით სავსე სკივრს ხედავდა და მეტს არაფერს. საათზე მეტი გაუნძრევლად იწვნენ. დიანოზას კრინტიც არ დაუძრავს, იცოდა, გურგენოზა ფიქრობდა. ფიქრობდა მის ნაცვლადაც, რადგან თვითონ არც ფიქრის თავი ჰქონდა და არც სურვილი. დიანოზას სახეზე აშკარად იკითხებოდა იმ იდიოტის გამომეტყველება, რომელიც მხოლოდ სხვისი კარნახით მოქმედებს.

**ოთახში რაღაცამ ისე დაიხრიგინა, მძინარე, ნიფხავ-პერანგის ამარა სტრაჟნიკები იატაკზე დაცვივდნენ. ცოტაც და, ახლა უკვე ეზოდან გაისმა ყრუ გრუხუნი. ეს სკივრის მიწაზე დაცემის ხმა იყო. გურგენოზამ წამით შეაყენა ცხენები.**

— ავდგეთ ახლა და საქმეს მივხედოთ, — ჩუმად ჩაიბურტყუნა გურგენოზამ.

— ფეხთ არ ჩაიცვა, ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ. შენ თავლაში შედი და ორი ცხენის გარდა, ყველა ჩაიყვანე არაგვის პირას. მერე აღვირები დახსენი და გაუშვი. ამას რომ მორჩები, ამოდი და მე მომეხმარე, ტრაქტირის უკან ვიქნები. ფრთხილად იყავი, არავინ გავაღვიძოთ.

გურგენოზამ წყვილი ცხენი ფურგონში შეაბა და დიანოზას ჩააბარა, მერე კი აბგებიდან საქონლის დასაბმელი თოკები ამოიღო, ერთმანეთზე გადააბა და თოკიანად ეზოს უკან, საჯინიბოზე მიყუდებული კიბით იმ ოთახის ფანჯარაზე აძვრა, სკივრიან სტრაჟნიკებს რომ ეძინათ. მიაყურადა. სამივე გულიანად ხვრინავდა. მერე ნელ-ნელა მაუზერის კონდახით დააწვა ანჯამებს და ისე უხმაუროდ ჩამოიღო ფანჯარა, კაცი იფიქრებდა, მთელი სიცოცხლე ამ საქმიანობაში გაუტარებიაო. მერე ფრთხილად გადაძვრა ოთახში, სკივრი იქვე, მაგიდის გვერდით იდო. მაგიდა ფანჯარასთან გადადგა, შემდეგ დევის ძალით სკივრი აიღო და მართალია, გაუჭირდა, მაგრამ ისე უხმაუროდ შედგა მაგიდაზე, თვითონვე გაუკვირდა. სკივრს თოკი საიმედოდ ჩააბა და კიბეზე დაეშვა. მეორე ბოლო ეტლს გამოაბა, დიანოზას ანიშნა, ფანჯარას უყურეო და ისე მაგრად დაიქნია მათრახი, რომ დაფეთებულმა ცხენებმა ადგილიდან მოწყვიტეს ფურგონი. წამიც და, ოთახში რაღაცამ ისე დაიხრიგინა, მძინარე, ნიფხავ-პერანგის ამარა სტრაჟნიკები იატაკზე დაცვივდნენ. ცოტაც და, ახლა უკვე ეზოდან გაისმა ყრუ გრუხუნი. ეს სკივრის მიწაზე დაცემის ხმა იყო. გურგენოზამ წამით შეაყენა ცხენები. ფურგონიდან ჩამოხტა, სკივრს წაეტანა. მერე მთელი ძალით ასწია და კოფოზე, მეეტლის ფეხებთან შეაგდო. კვლავ შეუძახა ცხენებს. ეს ისე სწრაფად გააკეთა, დიანოზამ ძლივს მოასწრო ფურგონზე შეხტომა. ვიდრე სტრაჟნიკები გამოერკვნენ, ვიდრე მდინარის პირას გარეკილ ცხენებს მიაგნეს, მზე თითქმის საშუადღეოზე წამოიმართა. დუშეთში კაცი აფრინეს, მოგვეშველეთო, მაგრამ მიშველება აღარ დასჭირვებიათ. ზემოურებიდან ვიღაცამ ამბავი მოიტანა, — მლეთის აღმა, ხევში, ფურგონი და გაუხსნელი სკივრი აგდიაო და ყველანი იქით გაემართნენ. ბედად, ფურგონს ბორბალი მოსძრომოდა და გადაბრუნებულიყო. ჩანდა, ბევრი ეწვალათ გამტაცებლებს, მაგრამ ცარიელი ხელებით სკივრს როგორ გახსნიდნენ, მერე ეტყობოდა, დილამაც უწია და იქაურობას გასცილებიან. რუსი ჯარისკაცებისათვის შეგროვილი ქართული ფული უკლებლივ ჩავიდა დანიშნულების ადგილზე. გურგენოზამ და დიანოზამ კი ის მოიგეს, რომ თუ აქამდე არავინ იცოდა მათი ავკაცობის შესახებ, ახლა მთლიანად მოიხსნეს ნიღაბი და იძულებული გახდნენ ტყე-ღრესათვის შეეფარებინათ თავი. რაკი ყველაფერი გამჟღავნდა, დაურიდებლად იწყეს თარეში. ერთ მშვენიერ დღეს ერთი ოჯახი მთლიანად ამოხოცეს, რადგან სხვაგვარად ვერ დაიმორჩილეს მასპინძლის ქალები. კაცის კვლა მათთვის ჩვეულებრივ საქმიანობად იქცა და საბოლოოდ ას ჩვიდმეტი მკვლელობა ედებოდათ ბრალად. შეძლებულ ოჯახს რომ შეიგულებდნენ, ჯერ პირწმინდად გაძარცვავდნენ, მერე აუცილებლად ქალებს მისდგებოდნენ და დაბორკილი მამაკაცების თვალწინ აუპატიურებდნენ.

**ტყის სიღრმეში შეყოლას აზრი არ ჰქონდა, იქ უპირატესობა ყაჩაღების მხარეს იქნებოდა. შებინდებისას წილკნის გზაზე გამოაღწიეს დაჭრილმა ყაჩაღებმა, იქ ერთ გამვლელს ცხენი წაართვეს და სოფელ ყოფაში ავიდნენ.**

1915 წლის აგვისტოში ეს ორი ყაჩაღი წინ გადაუდგა კავკასიაში მეფისნაცვლად დანიშნულ დიდ მთავარს რომანოვს, რომელიც თერგის ხეობით მიემართებოდა თავისი პოსტის დასაკავებლად, მაგრამ რუსებმა ისეთი ცეცხლი გახსნეს, ძლივს გამოასწრეს ხეობიდან. 1918 წელს მენშევიკების წინააღმდეგ დუშეთის გლეხთა აჯანყებას უნდოდათ მიტმასნოდნენ, მაგრამ გლეხებმა ახლოსაც არ გაიკარეს და ნადირებივით ისევ ტყეს მისცეს თავი.

ცხრა წელიწადი გრძელდებოდა დიანოზასა და გურგენოზას ავკაცობა. არაგვის ორივე ხეობა გამწარებული ჰყავდათ, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და მათი თარეშიც უნდა დასრულებულიყო. აი, როგორ მოხდა ეს:

შუახეველი (სოფელია დუშეთში) ალექსი ქულუკაშვილი და რევაზ სენაშვილი მუხრანში მიდიოდნენ ნათესავის ქორწილში. შორი გზა ჰქონდათ და ჯერ კიდევ დილით მიადგნენ მჭადიჯვარსა და მუხრანს შორის მდებარე უსიერ ტყეს. მეზობლები ამ ტყეს კარგად იცნობდნენ და მოკლე ბილიკებით აპირებდნენ მეორე მხარეს გაღწევას, მაგრამ წამით მათ სმენას ვიღაც უცხოების საუბარი შემოესმა. ჯერ დააყურადეს, შემდეგ მალულად მიუახლოვდნენ და ასეთ სურათს წააწყდნენ: გურგენოზას და დიანოზას კოცონი გაეჩაღებინათ, ზედ მწვადებს წვავდნენ და გემრიელად შეექცეოდნენ, თან ისე ბილწსიტყვაობდნენ, თავმოყვარე კაცს გული აერეოდა:

— გახსოვს, გურგენ, მჭადიჯვარში ტოპრაკაშვილებს რომ დავეცით, რა გოგოები ჰყავდა სახლში? ორთავ ერთმანეთზე უკეთესი იყო... შენ რომ არ დაგესწრო, უეჭველად უმცროსს ავირჩევდი. ეგრე გემრიელადა ჩემ დღეში არ... მართალია, ძალიან იკბინებოდა, მაგრამა აბა, ქალი თუ არ გაგიძალიანდა, ისე რა გემო აქ. არა, კაცო, ამათი გამკვირვებია, ესენი რომ ამის გულისთვის თავებს იკლავენ, რაც მე რუსეთში ქალთან საქმე მქონია, ყველას რომ თავი მოეკლა, ერთი სასაფლაო არ ეყოფოდათ. გიჟები არიან ეს შობელძაღლები, განა?!

ქულუკაშვილმა ვეღარ გაუძლო ამ სიბინძურის მოსმენას, გადმოიღო მხრიდან სანადირო თოფი, ისიც გაახსენდა, როგორ ააწიოკა ამ რამდენიმე თვის წინ ამ ორმა გარეწარმა ერთი მისი მეზობლის ოჯახი. სისხლი აუვარდა თავში ალექსის. სენაშვილსაც წამოეღო სანადირო თოფი, ან ნადირი შემოგვეფეთება ტყეში, ან თავის დასაცავად დამჭირდებაო და აგერ ა, თავდაცვის საუკეთესი მომენტი დაუდგათ. ეს ტყიურები ხვალ თუ არა ზეგ მათ ოჯახებსაც მიაკითხავენ და გვიან იქნება მერე სინანული. შენ თუ არ დაასწრებ, ის დაგასწრებს. შენ თუ არ მოკლავ, ის მოგკლავს.

პირველად ალექსის თოფმა იჭექა და გადაჭრილ ხეზე ჩამომჯდარი გურგენოზა ტყვიამ ბურთივით გაისროლა განზე, მერე რევაზმაც დაახალა, მაგრამ ჩანდა ააცილა, რადგან დიანოზა ფიცხლად წამოხტა და თავდაღმართში ისე დაეშვა, თავისი კარაბინის აღებაც ვეღარ მოახერხა. მხარში დაჭრილმა გურგენოზამ კი მაუზერი იძრო და აქეთ გაუხსნა ცეცხლი მეზობლებს, მერე იმდენი მოახერხა, ფეხზე წამოდგა და ისიც თავდაღმართზე დაეშვა. ტყის სიღრმეში შეყოლას აზრი არ ჰქონდა, იქ უპირატესობა ყაჩაღების მხარეს იქნებოდა. შებინდებისას წილკნის გზაზე გამოაღწიეს დაჭრილმა ყაჩაღებმა, იქ ერთ გამვლელს ცხენი წაართვეს და სოფელ ყოფაში ავიდნენ. სოფლის განაპირა მცხოვრებ გლეხს სთხოვა გურგენოზამ, ორიოდე დღით საბძელში დამმალეო. დიანოზამ კი ვლადიკავკავში გადაწყვიტა წასვლა. მისი დაბნელებული გონება იმდენს კი მიხვდა, რომ დაჭრილ გურგენოზასთან მეგობრობა დამთავრდა და ამიერიდან მარტოს უნდა გაეტანა თავი.

საბძლის პატრონისათვის გუშინ რომ გეკითხათ, გურგენოზა რომ შეგხვდეს, რას იზამო, დაუფიქრებლად გეტყოდათ, — ვესვრიო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ამდენი ვეღარ გაბედა, თუმცა ის კი გააკეთა, მილიციას შეატყობინა და გურგენოზას მაუზერმა ვეღარ უშველა, ბოლო რამდენიმე ვაზნა ისროლა და დანებდა.

ჭკვიანი კაცი იყო იქაური აღმასკომის თავმჯდომარე გიგა ბრეგვაძე. მან პირველმა გათვალა, რომ დიანოზა ჩრდილოეთში შეეცდებოდა გადასვლას, ამიტომ როგორც კი გურგენოზას დაჭერის ამბავი შეიტყო, იმწამსვე გაგზავნა ხალხი კობისხევში, რომელიც აუცილებლად უნდა გაევლო კავკასიონის იქითა მხარეს მიმავალ მგზავრს.

სამი დღე და ღამე არ უძინიათ გუშაგებს. მერე იფიქრეს, ალბათ ჩვენს აქ მოსვლამდე გადაიარაო კავკასიონი და ის იყო, უკან დაბრუნებას აპირებდნენ, რომ აღმართზე ამომავალი ცხენოსანი დალანდეს. კიდევ რომ მოახლოვდა, დანებება მოსთხოვეს უცნობს. თუმცა დიდი იმედი აღარ ჰქონდათ, რომ ღამეული მგზავრი დიანოზა იქნებოდა. ღამე ერჩია დიანოზას ამ მონაკვეთის გასავლელად. აქამდე ძირითადად, წყალ-წყალ მიუყვებოდა ხეობას. ახლა კი იძულებული შეიქნა, გზაზე გამოსულიყო, რადგან მლეთის იქით დინების საპირისპიროდ სიარული შეუძლებელი იყო. აბა, დღე როგორ გაბედავდა გზაზე გამოსვლას?! დიანოზამ იფიქრა, მიცნესო და ერთი ისეთი შეიღრინა, უმალვე გასცა თავი, მერე ნაგანი შემართა და დამხვდურებისაკენ მიუშვა ტყვიები. ვიდრე გუშაგები გონს მოეგებოდნენ, ცხენს ქუსლი ჰკრა და ღამის სიბნელეს შეერია. ამაოდ ისროდნენ გუშაგები სიბნელის მიმართულებით. დიანოზამ იქვე, სოფელში ერთ ძველ ნაცნობთან შეაფარა თავი. თუმცა იმ ნაცნობსაც ისევე ეზიზღებოდა ყაჩაღი, როგორც ამ მხარის დანარჩენ მოსახლეობას და როცა მილიციამ შეიტყო, დიანოზა სოფელში იმალებაო, იქაურებს მოსთხოვეს გაეცათ ყაჩაღი. მასპინძელმა თავი მოვალედ ჩათვალა, თვითონვე გამოესწორებინა თავისი შეცდომა და ბერდენა დააცალა დიანოზას. მისი გვამი მილიციამ წაიღო და სადღაც უკაცურ ადგილას დაფლეს იმავე საღამოს.

დაჭრილი გურგენა, ცოტა რომ მოიკეთა, დუშეთიდან თბილისის ციხეში გადაჰყავდათ. გზაში ყაჩაღმა გაქცევა სცადა და იქვე დახვრიტეს მცველებმა.

ამაზე წერდა (ძალიან მოკლედ) გაზეთი „კომუნისტი“ 1924 წლის 23 დეკემბერს.

***ვაჟა გავაშელი***

# რა ხდება „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელის ირგვლივ და ვინ გაიტაცა მისი შვილი?..



***ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელს ჯემალ ჭკუასელს, „შატილის ასულისთან“ დაკავშირებული სკანდალის შემდეგ, ახალი უსიამოვნება შეემთხვა. საოლქო სასამართლოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, სადაც ვინმე არჩილ იოსელიანს ბრალად ედება ფულის გამოძალვის მიზნით ჯემალ ჭკუასელის ვაჟის, კახაბერ ჭკუასელის გატაცება. არადა, იოსელიანის მეუღლე ნათელა იოსელიანი აცხადებს, რომ ჭკუასელების ოჯახის წევრები თაღლითები არიან და მისი მეუღლე პატიმრობისთვის გაწირეს. თავის მხრივ ჯემალ ჭკუასელი იოსელიანებს ყაჩაღებს უწოდებს.***

**ნათელა იოსელიანი:** „ეს ყველაფერი დაიწყო 1999 წელს. ჩვენ ვარკეთილში გვქონდა ოთხოთახიანი ბინა. ამ პერიოდში ჩემი მეუღლე იყო უმუშევარი, თუმცა თავისი გამოგონება ჰქონდა და პატენტი რომ მიეღო, ამისთვის სჭირდებოდა თანხები. ეს იყო „მიწისქვეშა-მიწისზედა ავტოფარეხები“. საქართველოს მასშტაბით კი მიიღო პატენტი, მაგრამ საერთაშორისოზე წარსადგენად სჭირდებოდა ეს თანხა. გადავწყვიტეთ ამ ბინის გაყიდვა. სწორედ ამ დროს ჩვენთან მოვიდა მისი მეგობარი გოგი თამლიანი. სუფრასთან ერთმანეთი მოიკითხეს და ჩვენი გასაჭირიც გაიგო. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ კვლავ მოვიდა და თქვა, რომ მის მეგობარს, კახაბერ ჭკუასელს ბერძენ პარტნიორებთან წამოწყებული აქვს ხეტყესთან დაკავშირებული საქმე, რისთვისაც სჭირდება თანხა და თუკი შენს ბინას დაჩქარების წესით გავყიდით, ერთი თვის თავზე იმ თანხას დაგიბრუნებთ, რამდენადაც ახლა ყიდი ბინასო. ჩვენ ბინას ცხრა ათას დოლარად ვყიდდით. კახაბერ ჭკუასელი გახლავთ ჯემალ ჭკუასელის ვაჟი. ჯემალი და ჩემი მაზლი მეგობრები იყვნენ. ჩემს ოჯახშიც კი არის ნამყოფი. ჩემს მეუღლეს უარი არ უთქვამს, იმიტომ, რომ ერთი თვე არაფერს წყვეტდა ჩვენთვის. თუმცა ეს ყველაფერი სამწუხაროდ, მოხდა სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე. ორ კვირაში საბუთები გადავაფორმეთ ვიღაც მყიდველზე კახაბერ ჭკუასელთან ერთად. იქიდან წამოვედით მანქანით და როდესაც ნოტარიუსში მივედით, გაირკვა, რომ ბინა გაიყიდა 4.500 დოლარად, არადა, ჩვენთან მოლაპარაკება ჰქონდათ, რომ 9 ათას დოლარად გაყიდდნენ და ჩვენც ასე დაგვიბრუნებდნენ თანხას. გარდა ამისა, შეთანხმება ასეთი იყო, რომ გაყიდვის შემდეგ, იმავე საღამოს, ჩვენთვის უნდა მოეცათ 1.000$. არაფერი მოუციათ და იმ დღის შემდეგ საერთოდაც აღარ გამოჩნდნენ.

— **რატომ გაყიდეს ბინა 4.500 დოლარად თუ მისი გაყიდვა 9.000-ად იყო შესაძლებელი?**

— იმ მომენტში სჭირდებოდათ სწორედ ის თანხა. ეს ჩვენ მერე გავიგეთ ვიღაც გრიქულოვს მიჰყიდეს... ერთი თვის თავზე ჩვენი მდგომარეობის გასარკვევად წავედით თამლიანთან. სახლში არ დაგვხვდა. მე და ჩემი მეუღლე ქუჩაში ველოდებოდით ღამის 2 სთ-მდე. სამი იქნებოდა დაწყებული, რომ მისი მანქანა გამოჩნდა და არ გააჩერა. წავიდა. მივხვდით, რომ საქმე ვერ იყო კარგად. ჭკუასელების ოჯახში ტელეფონით ვრეკავდით და პასუხი ყოველთვის ერთი იყო — არ არის სახლში. მერე დარეკვაც აგვიკრძალეს.

— **თვითონ ბატონ ჯემალს არ ესაუბრეთ?**

— ყოველივე ამის შემდეგ მე და ჩემი მეუღლე მივედით ბატონ ჯემალთან. ჩვეულებრივად გადაკოცნეს ერთმანეთი. საქმის არსი გავაცანით და შეგვპირდა, რომ ორ დღეში ყველაფერს გაგვირკვევდა. მართლაც დაურეკა მეუღლემ და ასეთი პასუხი გასცა: „იცით რა, კახას თქვენი ვალი არ ჰქონია და მეტი აღარ დარეკოთ!“ — დაკიდა ყურმილი. ამით რა თქმა უნდა, შეურაცხყოფილი კი დარჩა ჩემი მეუღლე, მაგრამ რას ვიზამდით?! ის ისევ შეეცადა კახას ნახვას, კიდეც შეხვდა, მაგრამ იყო მხოლოდ დაპირებები. შემდეგ ჩემი მეუღლე თავდაცვის მინისტრის, დავით თევზაძის დედის დაკრძალვაზე, თამლიანსაც გადააწყდა, რომელმაც პირობა მისცა, რომ ჭკუასელთან ერთად მოვიდოდა და მოუბოდიშა კიდეც. უკვე 2000 წლის სექტემბრის ბოლოს დარეკა ჩვენთან ვინმე გურამ ღარიბაშვილმა და შემპირდა, რომ ჭკუასელთან ერთად მოვიდოდა დასალაპარაკებლად. მართლაც მოვიდნენ. გაირკვა, რომ ფულის მოტანა კიდევ არ შეეძლო და ვადა ითხოვეს. ჩემმა მეუღლემ ორი კვირაც მისცა ფულის მოსატანად.

ეს დათქმული ორი კვირაც გავიდა, მაგრამ არაფერი. ამის შემდეგ ყველანი დაიკარგნენ. მერე ახლობლების საშუალებით ვცდილობდი დაკავშირებას. ასევე ვესაუბრე კახაბერ ჭკუასელის მეუღლეს, ლუიზა ფურელიანს, რომელიც საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწეა. ავუხსენი მდგომარეობა და გაიკვირვა. დაახლოებით რვა თვის შემდეგ ჩემმა მეუღლემ როგორღაც ნახა ჭკუასელი და მან თავისი კუთვნილი მანქანა გადმოუფორმა. ეს მანქანა შეფასდა 650$-ად.

მოკლედ, ამის შემდეგ ჩემი მეუღლე მივიდა ჭკუასელთან სახლში და შეხვდა. ლაპარაკი უკვე ფულზე კი აღარ იყო, არამედ ჩვენი ბინის დაბრუნებაზე. თუმცა არც ეს მოხდა, რადგან ვინც იყიდა ბინა, იმასაც უკვე გაეყიდა. ამასობაში კი მისმა მეუღლემ კრწანისის რაიონში იჩივლა, თითქოს არჩილ იოსელიანი მათ ფულს სძალავდა.

— **რამდენადაც ვიცი, თქვენს მეუღლეს ბრალად ედება კახა ჭკუასელის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით...**

— ჩემი მეუღლე ყოფილი პარლამენტარია. იგი „სოციალური სამართლიანობის კავშირის“ თავმჯდომარე იყო. 2001 წლის 1 მაისს ის დააპატიმრეს. ეს საქმე უკვე იხილება საოლქო სასამართლოში, სადაც დაზარალებულ მხარეს წარმოადგენს ჭკუასელის მეუღლე, რომელიც როგორც გითხარით, იქვე, საოლქო სასამართლოში მუშაობს. ჩვენ არ ვენდობით ამ სასამართლოს, თუმცა, რამდენჯერაც მოვითხოვეთ აცილება, არც ერთხელ არ დაგვაკმაყოფილეს. ჭკუასელის მეუღლე ზეგავლენას ახდენს სასამართლოზე — და უკვე აღარ ვიცი, რა გავაკეთო.

— **ბინაზე აღარ საუბრობენ?**

— საერთოდ არა. ლაპარაკობენ მხოლოდ იმაზე, რომ ჩემს მეუღლეს თურმე გაუტაცია კახაბერ ჭკუასელი, რაც აბსურდია.

— **თქვენ ფიქრობთ, რომ მათ შეგნებულად არ დაგიბრუნეს ფული თუ მართლა არ ჰქონდათ?**

— რა თქმა უნდა, შეგნებულად გააკეთეს. ფული რომ არ გადაეხადათ, ყველაფერზე წავიდნენ. ჩემი მეუღლეც კი დააპატიმრებინეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი მეუღლე დაკავებამდე სახლში არ იყო და პოლიციამ მე წამიყვანა ქალაქის სამმართველოში, სადაც დილიდან ღამის 1 სთ-მდე ვიყავი. შეურაცხყოფაც მომაყენეს, ქალს სილა გამარტყეს...

— **რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— ჩემი მეუღლის ადგილსამყოფელის თქმას, რაც მე ნამდვილად არ ვიცოდი. ჩემს ყვირილზე არავინ შემოსულა. მერე მეთერთმეტე სართულზე ამიყვანეს. იქ ჩემი მაზლი დამხვდა. რომ დამინახა გაგიჟდა, ქალს ხელით როგორ შეეხეთო. სიტყვის დამთავრება არ აცალეს, დაესივნენ, თხუთმეტი კაცი ფეხით შედგა. გაათრიეს მეორე ოთახში, დაახლოებით 15 წთ სცემდნენ. მესმოდა ჩემი მაზლის ყვირილი. ამ დროს, პროფესორი კაცია. შემდეგ ამაზეც შევიტანე საჩივარი. ვიყავი ქალბატონ ელენე თევდორაძესთანაც, რომელმაც მაშინვე გადარეკა ალავიძესთან. აღძრული კი არის სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ დღემდე გაურკვეველია ისევ ყველაფერი. ფაქტი ის არის, რომ ამ თაღლითებმა ჩვენი კუთვნილი ოთხოთახიანი ბინა წაგვართვეს და დღემდე ფული არ მოუციათ.

— **რაღაც ნაწილი ხომ მოგცეს?**

— 1.900$-მდე აქვთ საერთოდ მოცემული ნაწილ-ნაწილ. ჩემი მეუღლე ციხეში ჩასვეს. სამი შვილი გვყავს, რით უნდა ვარჩინო, არავის აინტერესებს.

*„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელს* ***ჯემალ ჭკუასელს:***

— **ბატონო ჯემალ, მართალია, თუ არა, რომ იოსელიანებს თქვენმა ოჯახმა ბინის სანაცვლოდ ფული არ გადაუხადა?**

— ეგენი არიან ყაჩაღები. ადამიანის გამტაცებლები...

— **მე მესმის, რომ თქვენი შვილი გაიტაცეს და ემუქრებოდნენ, მაგრამ რატომ?**

— თქვენ არა ხართ გამომძიებელი, რომ ყველა კითხვაზე პასუხი გაგცეთ. ტელეფონზე ამ თემაზე არ დაგელაპარაკებით.

— **მაშინ მოვალ და გნახავთ...**

— თბილისში არ ვიმყოფები.

— **თუ შეიძლება მიპასუხეთ, გადაუხადეთ თუ არა ბინაში ფული. თუ გადაუხადეთ — რამდენი?**

— რაო, თქვეს, არ გადამიხადესო? რა საცოდავები არიან ეგ ყაჩაღები! სასამართლოშია საქმე. გადავუხადე კი არა, სამჯერ მეტი გადავუხადე და მორალურად არაერთხელ გავამხნევე. სასამართლოზე გამოჩნდება — ვინ არის მართალი.

— **ბატონო ჯემალ, ისინი ამბობენ, რომ ბინა 9.000 ღირდა და თქვენს ოჯახს 2.000-მდე გადაუხდია. მართალია?**

— ეგ ბინა 9.000$ კი არა, საერთოდ არაფერი არ ღირდა. მე არც მინახავს. ასე ამბობენ. მიბრძანდით სასამართლოზე და იქ გაიგებთ ყველაფერს.

— **მაგრამ სასამართლო ბინის საკითხს კი არ იხილავს, არამედ, თქვენი შვილის გატაცებასთან დაკავშირებულ საქმეს...**

— დიახ. ჩვენ მაგ ხალხს ორი წელი ვერ გავაგებინეთ ვერაფერი. მე ვერ ვიტყვი იმას, კარგი ვარ თუ გლახა, მაგრამ ჩემი შვილი რამდენჯერმე გაიტაცეს. ეგენი არიან არაკაცები. ამ ხალხმა გაგვიმწარა სიცოცხლე. თუ 9 ათასი ღირდა, 24 ათასს რატომ ითხოვდნენ?! აი, ნახავთ, სასამართლო დამთავრდება და მიხვდებით, რომ მართალი ვარ!

— **ბატონო ჯემალ, რა თანხა მიეცით ბინაში?**

— ათჯერ იმაზე მეტი, ვიდრე ეკუთვნოდათ. სასამართლო მიმდინარეობს და სიმართლე გაირკვევა.

*„კვირის პალიტრა“ ყურადღებით მიადევნებს თვალს ამ პროცესს და შესაბამისად, მის შედეგებსაც ამცნობს საზოგადოებას.*

***მარინა მამისაშვილი***

*(დასაწყისი იხ. მე-6 გვ.)*

საბოლოოდ სამსახურიც დავკარგე, თბილისში სახლი გავყიდე, ზედ ავეჯიც მივაყოლე, ვალების დასაფარავად სოფელშიც გავყიდე სახლ-კარი და დავრჩი ცარიელ-ტარიელი. რომ ვიანგარიშე, საერთო ჯამში პოლიციელებსა და პროკურორებს დაახლოებით 63 ათასი დოლარი მივეცი. უარესის ღირსი ვარ, მაგრამ ნუთუ ამ ქვეყანაზე აღარ არის სამართალი?!“

სამართალი, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ამაზე 73 წლის კაცს ცოტა ადრე რომ ეფიქრა, კარგი იქნებოდა. ჩვენ ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად ბერძენიშვილის მიერ დასახელებული პირები — სამმართველოს კვების სამსახურის უფროსი ვიტალი მანაგაძე და მისი ბუღალტერი ნადია კარამაევა, ასევე პროკურორის თანაშემწე თეიმურაზ ლათიბაშვილი უფრო გვაინტერესებს.

გვარდიის კვების სამსახურის უფროსი კვლავ თავის თანამდებობაზე იმყოფება. მან, ისევე როგორც ბუღალტერმა, კატეგორიული უარი განაცხადა ჟურნალისტთან შეხვედრაზე. საქმეს არც თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელობის ჩარევამ უშველა რამე. შოთა ბერძენიშვილის ადვოკატის ლია ვაჩეიშვილის მეშვეობით ჩვენთვის მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ როცა ბერძენიშვილმა 2001 წელს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამომძალველები ამხილა, იმავე წელს სისხლის სამართლის საქმე აღუძრავთ, მერე კი გვარდიის მთავარ სამმართველოს 1997 წლის ბრძანებით თითქოს გაუნადგურებია ყველა დოკუმენტაცია და საბუთი, მათ შორის იმ წლების პურის ანგარიშფაქტურებიც. ვაჩეიშვილის განცხადებით, გვარდიის მთავარ სამმართველოს საბუთების განადგურება იმიტომ დასჭირდა, რომ ვინმეს მართლაც არ დაეწყო საქმის გამოძიება. იმ ოფიციალური საბუთებით დღეში ერთი გვარდიელი 7 კილოგრამ ხორცს და 4 კილოგრამ კარაქს მიირთმევდა, სინამდვილეში კი ჯარისკაცები შიმშილისგან დაოსებულები დადიოდნენ.

# როდესაც გვარდიის სურსათის ავტომანქანებს ქალაქის სავაჭრო ობიექტებთან შენიშნავთ, იმ კვირას ჯარისკაცები იშიმშილებენ!

## „საწყობის ვირთხები“ ქონში ველარ ეტევიან...

ჩვენ კომენტარისთვის მივმართეთ საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანაშემწეს **მირიან კიკნაძეს**. მან მოგვიბოდიშა, რომ ჩვენი თხოვნა გვარდიის სარდალთან შეხვედრის თაობაზე ვერ შეასრულა, რადგან სარდალი თურმე ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. კიკნაძემ კი ბრძანა: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დამნაშავე, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება იგი — აუცილებლად მკაცრად დაისჯება. პირიქით, თუ ასეთ პირს გამოვავლენთ, ჩვენთვის ეს სახელი იქნება, მაგრამ უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ჯერ სადამსჯელო ღონისძიებებს ვერ მივმართავთ. დაველოდებით სამხედრო პროკურორის დასკვნას და შემდგომ ვიმოქმედებთ. ამასთან არა მგონია, ვიტალი მანაგაძე ან ნადია კარამაევა ახლა თავიანთ პოსტებზე იყვნენ. იმ წლების ყველა ჩინოსანი ან პენსიაზე გავუშვით, ან საერთოდ გავათავისუფლეთ. ორივეს აუცილებლად მოვძებნი და შეგახვედრებთ“.

მირიან კიკნაძეს ბევრი ძებნა არ დასჭირვებია, რადგან ვიტალი მანაგაძე და ნადია კარამაევა დღესაც თავიანთ პოსტებზე არიან და მათ შევხვდით კიდეც.

**ვიტალი მანაგაძე:** „ყველა ბრალდება, რომელსაც შოთა ბერძენიშვილი გვარდიის კვების სამმართველოს ხელმძღვანელობას და მათ შორის მეც მიყენებს, აბსურდულია. მეტსაც გეტყვით, როცა იგი სამსახურიდან დაითხოვეს, დაგვემუქრა, თუ დამითხოვთ, თქვენ შესახებ ყველაფერს ვიტყვიო“.

— **ე.ი. სათქმელი მას მართლაც ჰქონია და რადგან გაათავისუფლეთ, მუქარა აღასრულა.**

— ცილს მწამებს. მერწმუნეთ, ყველაფერი შეთხზულია...

— **რატომ ლაპარაკობს თქვენზე და არა სხვაზე?**

— მან რატომღაც ჩემი განადგურება გადაწყვიტა. ჰგონია, რომ პოლიციაში მე ჩავუშვი და რაც მას გადახდა, ჩემი ბრალია...

როგორც გაირკვა, 2001 წლის ზაფხულზე შოთა ბერძენიშვილს დახმარებისთვის მიუმართავს საქართველოს სახალხო დამცველისთვის, რომელსაც ბერძენიშვილის განცხადება შესასწავლად გადაუგზავნია გენერალურ პროკურატურაში. გენერალური პროკურორის მაშინდელი თანაშემწის, ამჟამად ბოლნისის რაიონის პროკურორის **ჯიმი ერაძის** განცხადებით: „2001 წლის 24 ივლისს პროკურატურაში შემოვიდა მოქალაქე შოთა ბერძენიშვილის განცხადება, რომელშიც იგი ამხელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ზოგიერთ თანამშრომელს სხვისი ქონების მითვისებაში, ხოლო თბილისის ტრანსპორტის პოლიციის თანამშრომლებს მექრთამეობაში. მოკვლევას ამ საქმესთან დაკავშირებით მე ვაწარმოებდი. დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს ჩამოვართვით ახსნა-განმარტებები, რამაც საფუძველი მომცა აღმეძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შემდგომი გამოძიების მიზნით გადაეცა პროკურატურის გენერალურ ინსპექციას. მეტს ვერაფერს გეტყვით, კოლეგებზე საუბარი არაკოლეგიალურად მიმაჩნია“.

საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექციის პროკურორის **ლაშა ლაშაურის** თქმით: „ბერძენიშვილის განცხადება-მხილებასთან დაკავშირებით მართლაც აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც მე ვიძიებდი. გამოძიების მსვლელობისას ეჭვმიტანილმა პირებმა მოკვლევის პროცესში ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებებში მოყვანილი ფაქტები უარყვეს. ვიტალი მანაგაძემ განაცხადა, ჩემი ჩვენება იმიტომ განსხვავდება ახსნა-განმარტებისაგან, რომ ამ უკანასკნელის შინაარსი ჯიმი ერაძემ (ამ საქმის პირველი მომკვლევი — ზ.ჩ.) მიკარნახაო; მეორე ეჭვმიტანილმა, დავით კუჭაშვილმა კი განაცხადა, რომ ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტები შავი სამყაროს წარმომადგენლების ზეწოლის შედეგად დაწერა (საინტერესოა, რა უნდოდათ შავი სამყაროს წარმომადგენლებს პროკურატურაში საქმის მოკვლევის პროცესში — ზ.ჩ.). ერთი სიტყვით, დაკითხვისას და დაპირისპირებისას არც ერთმა ეჭვმიტანილმა არ დაადასტურა ბერძენიშვილის განცხადებაში მოტანილი ფაქტები. ამიტომ სისხლის სამართლის საქმე ჩემი მითითებით შეწყვეტილ იქნა“.

როგორც გავარკვიეთ, რადგან საქმეში რამდენიმე სამხედრო პირი ფიგურირებდა, ამიტომ გენერალურ ინსპექციას მათი საქმე ცალკე გამოუყვია და გამოსაძიებლად საქართველოს სამხედრო პროკურატურისთვის გადაუცია.

საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი გამომძიებლის **როსტომ არჩვაძის** განცხადებით: „დარწმუნებული ვართ, ბევრი ფაქტი, რომელსაც ბერძენიშვილი ასახელებს, მართლაც ხდებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ დიდი ხანია გასული, ოფიციალური დოკუმენტებით ვერაფერს ვადასტურებთ. როცა ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დავიწყეთ და სასამართლოდან მივიღეთ ბრძანება გვარდიის სამმართველოს საბუღალტრო დოკუმენტების შემოწმების თაობაზე, აღმოჩნდა, რომ 1992-1997 წლების არც ერთი საბუთი ბუღალტერიაში უკვე აღარ არსებობდა. თავდაცვის მინისტრის 1999 წლის ბრძანებით ისინი განადგურებულ იქნა, თუმცა არსებობს საბუღალტრო საბუთების 10 წლით შენახვის 1997 წლის ბრძანება, მაგრამ სამხედრო ბუღალტრების განცხადებით, ეს ბრძანება მათ არ მიუღიათ. ყველა ეჭვმიტანილი უარყოფს ბერძენიშვილის მიერ დასახელებულ ფაქტებს. ამიტომაც ვერ შევკრიბეთ საჭირო ნივთმტკიცებები და ალბათ საქმეს ჩვენც შევწყვეტთ“.

P. S. როგორც ბერძენიშვილისაგან შევიტყვეთ, გვარდიის სურსათით მომარაგების მხრივ დღემდე არაფერი შეცვლილა. კვლავ ხდება ჯარისკაცების კუთვნილი ულუფის დატაცება და თურმე არც ამას სჯერდებიან — ასეულებში უამრავი მკვდარი სულია რეგისტრირებული და ბიუჯეტიდან მათ შესანახად არცთუ უმნიშვნელო თანხები გამოიყოფა. ეს თანხები გვარდიის მაღალჩინოსანთა ჯიბეებში ილექება. ყველაფერი კი იმ დროს ხდება, როცა ჯარისკაცებს — ჩვენს და თქვენს შვილებს, ძმებს, რომლებიც თავიანთ მხედრულ ვალს იხდიან სამშობლოს წინაშე და მის საკეთილდღეოდ ალბათ სიცოცხლესაც არ დაიშურებენ, — შიმშილისგან სული სძვრებათ, ხოლო საწყობის „ვირთხები“ ქონში ველარ ეტევიან.

***ზვიად ჩაკვეტაძე***



# უკრაინის რადაში სამი ქართველი პარლამენტარია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 4-თვიანი სტაჟირება გაიარა 11-მა უკრაინელმა სტუდენტმა — მომავალმა ქართველოლოგმა. ორ წარჩინებულ სტაჟიორს თავისი ხელფასიდან უხდის სტიპენდიას **გრიგოლ ქათამაძე,** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, მოლდოვასა და რუმინეთში.


გრიგოლ ქათამაძე

ბატონი გია დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებს, ხელს უწყობს უკრაინელ სტუდენტებს, ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის შესწავლა-გაცნობაში. ჩვენს საელჩოს დიდი წვლილი მიუძღვის კიევის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების გახსნის საქმეშიც.

გია ქათამაძის სამშობლოში ვიზიტს გასული ზაფხულის შემდეგ, რომ იტყვიან, ჩასაფრებულივით ველოდი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი შეხვედრაც შედგა (ცნობისათვის: გრიგოლ ქათამაძემ კიევის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დაამთავრა და იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ჰყავს მეუღლე და 2 შვილი).

ბატონ გიას სწამს, რომ სიკეთე და საქვეყნო საქმე ჩუმად, უხმაუროდ უნდა აკეთოს ადამიანმა. ამიტომაც არ ისურვა თავისი მოღვაწეობის კონკრეტულ ფაქტებზე საუბარი. სალაპარაკო და განსასჯელი ბევრი სხვაც გვაქვსო, — მითხრა. საუბარი რუმინეთით დავიწყეთ.

**— ბატონო ელჩო, ქართველი დიპლომატის თვალით როგორია დღეს რუმინეთი?**

— არა მარტო დიპლომატისთვის, არამედ საზოგადოდ, ყველა ქართველისთვის რუმინეთი მრავალმხრივ საინტერესოა ისტორიული თუ სულიერი თვალსაზრისით. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ანთიმოზ ივერიელი — წმინდანად შერაცხულმა სულიერმა მამამ ოცდაცამეტი ტაძარი ააშენა, იყო ხატმწერი, სალიტერატურო ენის ერთ-ერთი მესაფუძვლე...

ასევე რუმინეთში განისვენებს ჩვენი დიდი პოეტი და დიპლომატი ბესიკი. მართალია, ქვეყანაში ქართული დიასპორა არ არის, მაგრამ რუმინელებს დიდი სურვილი აქვთ, შექმნან ანთიმოზ ივერიელის ფონდი.

ერთმორწმუნე რუმინეთი დიდ წარმატებებს აღწევს ეკონომიკაში, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. უახლოეს მომავალში განზრახულია რუმინეთის ევროატლანტიკურ კავშირში გაერთიანება. სამხედრო საქმეშიც წინ მიიწევენ. მათ ჩვენც დიდი დახმარება გაგვიწიეს კვალიფიციური სამხედრო კადრების მომზადებაში. კარგი იქნება, თუ ამ ურთიერთობებს ტრადიციად ვაქცევთ.

**— ქვეყნებისა და ხალხების დაახლოებას ხელს უწყობს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და ტურიზმი. ამ მხრივ რა პერსპექტივებს ხედავთ?**

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შავ ზღვაზე „გაიდო" ხიდი — დუნაის გავლით. ეს იქნება უმოკლესი გზა ჩრდილოეთ ევროპაში გასასვლელად.

საქართველო-რუმინეთის ურთიერთობა განამტკიცა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტმა. ა/წ 1-3 ივლისს დაგეგმილია რუმინეთის პრეზიდენტის იონ ილიესკუს საქართველოში საპასუხო სტუმრობა, პრეზიდენტს თბილისში ჩამოჰყვება ბიზნესმენთა ჯგუფი. ისინი შეხვდებიან ქართველ კოლეგებს და უეჭველია, საქმიანი თანამშრომლობისთვის სათანადო ნაბიჯებიც გადაიდგმება.

**— რა პროდუქცია შემოდის დღეს ჩვენში უკრაინიდან?**

— უმეტესად შავი ლითონები, მილსადენები, სარკინიგზო ვაგონები, კოქსი, ხორბალი, სათესლე მარცვლეული... ხოლო საქართველოდან, ტრადიციულად, გადის ღვინო, ღვინომასალები, მინერალური წყლები, ჩაი, ციტრუსები... მაგალითად, შარშან გავიტანეთ 3 მლნ 700 ათასი დოლარის ღვინომასალები. იმატა ციტრუსების ექსპორტმაც.

**— რამდენად გაამართლა ფოთი-ბათუმი-ილიჩოვსკის საბორნე გადასასვლელმა?**

— გაგაცნობთ მხოლოდ ერთ მონაცემს: 1999 წლიდან პორტებს შორის საქონლის ტვირთბრუნვა 7-ჯერ გაიზარდა და 303 ათას ტონას მიაღწია. 2001 წელს — 473 ათასი ტონა გახდა. ასე რომ, 5 წლის მანძილზე ბორანმა გადაზიდა 1 მლნ ტონა ტვირთი. ბორანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია აბრეშუმის გზისა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება კონსტანცა-ბათუმის ხაზიც.

**— რას გამოყოფდით უპირველესად ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობიდან?**

— ძალზე მნიშვნელოვანია სამხედრო კადრების მომზადება. უკრაინაში 200-მდე ქართველმა სამხედრომ მიიღო უმაღლესი განათლება, ბევრიც სასაზღვრო აკადემიაში სწავლობს. 27 ქართველი კურსანტი ეუფლება ექსპერტ-კრიმინალისტის ურთულეს პროფესიას, რომლის უკმარისობასაც განვიცდით. მათი განათლებისა და რჩენის ხარჯები უკრაინამ იკისრა.

**— უკრაინაში მცხოვრებ ქართველებს რაიმე დაბრკოლებები ხომ არ აქვთ?**

— შეიძლება ითქვას, რომ მათ შესაშური პირობები აქვთ. წარმოიდგინეთ, სამი ქართველი ბიზნესმენი — ტარიელ ვასაძე, დავით ჟვანია და ენვერ ცქიტიშვილი უკრაინის პარლამენტის წევრები გახდნენ.

უკრაინელებს ძალიან უყვართ ქართული კულტურა. შარშან წარმატებით ჩატარდა რუსთაველის თეატრის გასტროლები, უაღრესად თბილად შეხვდნენ გია ყანჩელს, სოფიკო ჭიაურელს, კოტე მახარაძეს, რომელთა შემოქმედებითი საღამოებიც გაიმართა კიევში. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისისთვის, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ეროვნული ბალეტის მოწვევას ვაპირებთ. მათი კონცერტით გვსურს ჩვენი ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნა.

მოგეხსენებათ, ტურიზმი საუცხოო საშუალებაა ხალხთა დასაახლოებლად. ამიტომ ვცდილობ, უკრაინელი საზოგადოება დავაინტერესო საქართველოთი. ყოველ კვირას რადიოთი გადაიცემა შემეცნებითი ხასიათის ვიქტორინები. ჩვენი ბიზნესმენების დახმარებით დავაწესეთ პრიზი — საგზური საქართველოში დასასვენებლად, რომელიც გამარჯვებულს გადაეცემა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ვაცნობთ და ვახსენებთ უკრაინელებს, მოლდოველებსა და რუმინელებს საქართველოს. როცა ტაშს უკრავენ შენი ქვეყნის ხელოვნებას, სვამენ შენს მინერალურ წყალს, შენს მიწაზე მოწეულ ღვინოს, ჩაის, ისვენებენ შენს კურორტებზე, სწავლობენ შენს ისტორიას და ლიტერატურას, ეს, ცხადია, ხელს უწყობს ქვეყნებს შორის მეგობრობის განმტკიცებას. სწორედ ეს არის სახალხო დიპლომატია, მას კი საფუძველი პროფესიონალურმა დიპლომატიამ უნდა ჩაუყაროს.

***დოდო იორდანიშვილი***

---

*აღდგომა დღეს მარნეულის რაიონის, სოფელ თამარისს ვესტუმრეთ. მისი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას აზერბაიჯანელები შეადგენენ. სოფლის შუაგულში დარეჯანის ციხესიმაგრე დგას — იმდენად კარგ მდგომარეობაშია, გუშინდელი აშენებული გეგონებათ. მისი მშენებლობის დასრულებიდან სამი წლის შემდეგ საქართველო მეფის რუსეთის ნაწილი გახდა და ციხეს მნიშვნელოვანი ბრძოლები არც გადაუხდია. ულამაზესი ციხესიმაგრის შუაგულში პაწაწინა ბაზილიკა დგას, რომლის მოძღვარი და „სულის ჩამდგმელიც"* ***მამა კვირიკე*** *გახლავთ:*

— როდესაც პირველად ვნახე აქაურობა, ეკლესიის ამოქმედება უფრო ფანტასტიკის სფეროდ მეჩვენა, ვიდრე რეალობად — ადგილობრივ მოსახლეობას რომ თავი დავანებოთ, რომლის უმრავლესობაც აზერბაიჯანელია, აქაურობა საშინელ მდგომარეობაში იყო. მაგრამ მცირე ყოყმანის შემდეგ უკან აღარ დამიხევია. ციხესიმაგრის ეზოდან მარტო 25 „კამაზი" ნაგავი გავიტანეთ. აქ მცხოვრები მცირერიცხოვანი ქართველობა თავდადებით შრომობდა. ეკლესიის აღდგენაც მოვახერხეთ და... შობის დღესასწაულზე — აშენებიდან 200 წლისთავზე, 1998 წელს ვაკურთხეთ.

**— ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობა არ შეგხვედრიათ?**

— როგორ არა. იყო და თანაც სერიოზული წინააღმდეგობა, მაგრამ მერე, თანდათან მოვახერხე მათთან ურთიერთობის დათბობა. აზერბაიჯანელთა შორის ყველაზე ინიციატივიანი ვინც იყო და ყველაზე აქტიურად ვინც მეწინააღმდეგებოდა, პირველად სწორედ ის მოვნათლე. დროთა განმავლობაში კი, როდესაც დარწმუნდნენ, რომ შრომისა და აქაურობის აყვავების მეტი სხვა განზრახვა არ მქონდა, უფრო დაგვიახლოვდნენ და აღარც ბავშვებს უშლიან ჩვენთან მოსვლას.

*აღდგომა დღეს ეკლესიის წინ უამრავი ხალხი იყო შეკრებილი — იყვნენ აზერბაიჯანელებიც და ქართველებიც. ყველაზე ძალიან ის გამიკვირდა, რომ ბავშვების უმრავლესობა აზერბაიჯანელი იყო. ისინი თავისუფლად შედიოდნენ ეკლესიაში, ანთებდნენ სანთლებს — ცდილობდნენ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ჩვენ, ეკლესიაში მყოფი მართლმადიდებლები.*

— არ გვინდა, თავს მოვახვიოთ ვინმეს რამე. ვისაც აინტერესებს და ეკლესიაში მოდის წირვაზე ან სხვა რიტუალზე, დასწრებას არ ვუშლით. მერე და მერე, სიტუაციას ეჩვევიან, უფრო მეტი ინტერესიც უჩნდებათ და ვისაც სურვილი აქვს, ვნათლავთ კიდეც...

**— თქვენ ისე საუბრობთ, თვალწინ ეთნიკური თანაცხოვრების სამოთხე წარმოგვიდგა...**

— არც მთლად ასეა საქმე. საგანგაშოც ბევრი ხდება და უარესიც მოხდება, თუ აქაურობას ყურადღება არ მივაქციეთ. აქვე, ლტოლვილები ცხოვრობენ, უკიდურეს გაჭირვებაში არიან. სასმელი წყლის მოტანაც კი ძალიან შორი მანძილიდან უწევთ. იძულებულნი არიან, ყოველდღიური სარჩოსთვის აზერბაიჯანელებთან იმუშაონ ხელის მუშად... წეღან რომ მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ვსაუბრობდი, იმის თქმა მინდოდა, რომ თუ მცირე ყურადღებას და გონიერებას გამოვიჩენთ, აზერბაიჯანელები ჩვენდამი არცთუ ცუდად განწყობილი ხალხია. თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან ხშირად მოსაკითხსაც გვიგზავნიან ხოლმე... იოლად შევძლებთ, ეს არემარე კვლავ ქართულად ავამეტყველოთ და გავაცოცხლოთ... აუგს ვერ ვიტყვი, ბევრი ადამიანი იჩენს ქველმოქმედებას — ჩინიანიც და უჩინოც. მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრია. სახელმწიფოებრივი მიდგომაა საჭირო. გარშემო, ციხესიმაგრის მომიჯნავე ტერიტორიაზე მიწები სახნავ-სათესი სავარგულების სახით არის გაცემული. ამ ულამაზეს ციხესიმაგრეზე ხვალ რომ ვინმემ სახლის, ან ბოსლის მიშენება მოინდომოს, ვერავინ დაუშლის. მერე კი, როგორც ხდება ხოლმე — ერთს მეორე მიჰყვება, მეორეს მესამე და საბოლოოდ ან ბოსლებით დაიფარება, ან ქვა-ქვა გაიცლება. აზერბაიჯანელებთან მივაღწიე იმას, რომ თუ სანაცვლოდ მიწას გამოუყოფენ, ციხის გარშემო ტერიტორია გაათავისუფლონ. მიწებიც არის, მაგრამ ახლა მათ გამოყოფას გვიჯანჯლებენ...

## წითელ კვერცხებს ერთად ელოდნენ ქართველი და აზერბაიჯანელი ბავშვები...

*აღდგომა დღეს მამა კვირიკემ კიდევ ერთი კათაკმეველი მონათლა — აფხაზი ბიჭუნა ირაკლი. აფხაზეთის ომის წინ აფხაზზე გათხოვილი ქართველი ქალი მშობლებს ბავშვიანად ჩამოუყვანიათ. მოგვიანებით, შეიტყვეს, რომ ირაკლის მამა ბრძოლების დროს დაღუპულა. ათიოდე წლის ბიჭუნა მამა კვირიკეს გვერდიდან არ შორდება. მღვდლად უნდა გავზარდოო, სიამაყით ამბობდა მოძღვარი.*

*კეთილი ადამიანების დახმარებით სააღდგომო საჩუქრების მომზადებაც მოახერხეს — უნდა გენახათ, რა აჟიოტაჟი და ჟრიამული გაუდიოდათ თავისი წილი წითელი კვერცხისა და ლოცვანის მომლოდინე ქართველ თუ აზერბაიჯანელ ბავშვებს.*

***დაჩი გრძელიშვილი***

---


## გამოვიდა და იყიდება წიგნი




**რომელიც პასუხს გაგცემთ თქვენთვის საინტერესო 1000 კითხვაზე**

იყიდება „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, ეკლესიებთან არსებულ (რიტაძის ქ. ქაშვეთის წინ) და წიგნის მაღაზიებში (მარჯანიშვილისა და ლესელიძის ქ. გამომცემლობა „სამშობლოს" წინ და სხვ)


---



# რას გვეტყვი, მამაო?

**— რატომ ცვალებადობს აღდგომის დღესასწაული და ვინ დააწესა მისი სწორედ იმ განსაზღვრულ დროს აღნიშვნა?**

— აღდგომის დღესასწაული აღინიშნება პირველ კვირადღეს გაზაფხულის სავსემთვარეობიდან, ხოლო, რადგან სავსემთვარეობა ყოველ წელს ერთსა და იმავე დღეს არ უწევს, სააღდგომო კვირაც გაზაფხულის პირველი ორი თვის სხვადასხვა რიცხვში (ძველი სტილით) უწევს. აღდგომის დღესასწაულობა გაზაფხულის სავსემთვარეობიდან პირველ კვირადღეს დაწესდა პირველ საეკლესიო კრებაზე, ქრისტეს დაბადებიდან 325 წელს.

**— რატომ ეწოდება კვირაცხოვლობის შემდგომ კვირას „თომას კვირა"?**

— აღდგომის შემდგომი კვირადღის — კვირაცხოვლობის მომდევნო კვირას იმიტომ ეწოდება თომას კვირა, რომ ამ დროს ჩვენ ვიხსენიებთ მოციქულ თომას, რომელსაც თავიდან არ სჯეროდა, რომ მაცხოვარი მკვდრეთით აღსდგა, ხოლო შემდეგ, როდესაც ირწმუნა, შესძახა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!" რის შესახებაც იკითხება კიდეც ამ დღეს სახარებაში წმინდა ლიტურგიაზე.

**— განქორწინების შემდეგ „მორწმუნე" მამაკაცმა ქორწინების გარეშე კავშირი დაამყარა ქალთან, რომელიც საცხოვრებლად თავისთან გადაიყვანა, ხოლო, როდესაც ქვეყანას მოევლინა პატარა არსება, წინააღმდეგობა გაუწია დედას, ბავშვს მისი გვარი ეტარებინა, რადგან თვლის, რომ ახალი სიცოცხლე ჩაისახა მაშინ, როცა ის „მოჯადოებულ" მდგომარეობაში იმყოფებოდა. შეუძლია თუ არა პიროვნებას, რომელიც უარს აცხადებს საკუთარ შვილზე, თავს მორწმუნე და ეკლესიური უწოდოს? მოეკითხება თუ არა მას ჩადენილი საქციელი და ეკუთვნის თუ არა შენდობა და მიტევება?**

— ადამიანს არა აქვს უფლება, განუსაზღვროს სხვა ადამიანს მისი მორწმუნეობის თუ ურწმუნოების ხარისხი. უფალია უზენაესი მსაჯული იმის გასარკვევად — რამდენად მორწმუნეა ესა თუ ის პიროვნება. რაც შეეხება იმ საკითხს, მოეკითხება თუ არა ჩადენილი ცოდვისთვის დამნაშავეს და მიიღებს თუ არა შენდობას, უფალი ყოვლისმხედველია და ვანდოთ მის უზენაეს მსჯავრს მისაგებელი ყოველი ჩვენი საქციელისათვის.

**— მყავს ასაკით ჩემი თანატოლი ნათლია. მოვინათლე სტუდენტობის პერიოდში. გავიდა ხანი. მე დავოჯახდი. ჩემი ნათლია დარჩა გაუთხოვარი. ერთ დღეს მოვიდა ჩემთან და გამომიცხადა, რომ ნანობს ჩემს მონათვლას: „ჩემი ბედნიერება შენ დაგანათლე და მე უბედო დავრჩიო". როგორ უნდა მოვიქცე, როდესაც ჩემი ნათლია ნათელმირონს უარყოფს?**

— თქვენი ნათლიის ემოციური გაცხარება არ შეიძლება ჩაითვალოს ნათელმირონობის უარყოფად. მოსაზრება, რომელსაც ემყარება მისი მტკიცებულებანი, ცრურწმენაა და სრულიად აბსურდულია. როდესაც ამას თავად შეიმეცნებს, შეინანებს და შეგირიგდებათ.

**— სიზმარში ვნახულობ ხოლმე გაბრწყინებულ ეკლესიას, შიგ შესულს გასაოცარი სისუფთავე მხვდება — ვანთებ სანთელს ხატებთან, ვიწერ პირჯვარს. ცხადში კი, სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან იშვიათად დავდივარ ეკლესიაში. თუმცა რადიო-ტელევიზიით რომ ვისმენ საგალობლებს, ცრემლი მადგება და ტანში ჟრუანტელი მივლის. ხომ არაფერს მირჩევდით?**

— ჩვენი რჩევა იქნება — ეკლესიების სიზმარში ნახვისა და საგალობლების რადიო-ტელევიზიით მოსმენის ნაცვლად, ცხადში იაროთ ეკლესიაში, ნამდვილ, რეალურ ტაძარში აანთოთ სანთელი, იქ მოუსმინოთ ქრისტიანულ გალობას — გახდეთ ეკლესიური — თქვათ აღსარება და მიიღოთ წმინდა ზიარება.

**— კომუნისტებს იდეალად კომუნიზმის მშენებლობა ჰქონდათ დასახული. ქრისტიანებისთვის ეს იდეალი არის — სამოთხე. პირველთა აღმაფრენა იყო ამქვეყნიური საქმეები, კლასთა ბრძოლა, მეორეთათვის კი რა უნდა ქმნიდეს სათანადო განწყობილებას?**

— ჭეშმარიტი სიხარულისა და ბედნიერების წყარო ქრისტიანისათვის არის არა წარმავალი წუთისოფელი, არამედ მომავალი მარადიული ცხოვრება. დროებითი კეთილდღეობით ისე უნდა ისარგებლოს, რომ მან ხელი არ შეუშალოს სულის ცხონებაში. ქრისტიანი უნდა გრძნობდეს თავს როგორც მოგზაური გზაში — შეიყვაროს ყოველივე, რაც მიიყვანს მას სამშობლომდე!

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ*** ***იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები***

# ბატონებო, ევროპაში არც მთლად ასე ყოფილა საქმე...

## ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია სექტებთან დაკავშირებით...

ბოლო დროს საქართველოში რელიგიის პრობლემა ევროპაში ინტეგრაციის პროპორციულად იზრდება. იზრდება რელიგიური კონფესიების აქტიურობაც, რაც შეიძლება მეტი მიმდევრის მოსაპოვებლად. საერთაშორისო სექტები საქართველოს და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებს ისე უყურებენ, როგორც იოლად ასათვისებელ ბაზარს. კაპიტალისტურმა აზროვნებამ ცივილიზებულ დასავლეთში ყველაფერი ფინანსური მოგების წყაროდ აქცია, მათ შორის, ადამიანთა რელიგიურობაც. ამიტომაც, ამერიკასა და ევროპაში მიაჩნიათ, რომ ისევე, როგორც მოდა, სარწმუნოებაც გემოვნების საკითხია და არ შეიძლება ვინმეს მისი გავრცელება თუ პროპაგანდა აუკრძალო. ეს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას ეყრდნობა და არა საშოვარზე გაფაციცებულ ერს; თუ მას კეთილსინდისიერი მოხელეები მართავენ და არა ცრუპენტელა, პირად გამორჩენაზე გადაგებული დემაგოგები. ჩვენ ხომ ევროპულ წესრიგამდე ბევრი გვაკლია. ამიტომაც, ევროპისგან განსხვავებით, საქართველოში სარწმუნოება მოდაზე გაცილებით მეტს ნიშნავს. ესეც არ იყოს, საქართველოში სულიერება და ეროვნება ისტორიულად გაიგივებული ცნებები იყო. მაგრამ 70-წლოვანი ათეისტური ცხოვრების შემდეგ რელიგიური თავისუფლებისთვის ხალხიც მოუმზადებელი აღმოჩნდა, ხელისუფლებაც და ეკლესიაც. ზემოთ ნახსენები კაპიტალისტური კონკურენციის პირობები კი საზღვრების გახსნის შემდეგ საქართველოზეც გავრცელდა და ჩვენს საზოგადოებას ათასგვარი მიმართულებისა თუ კონცეფციის სექტა შეუჩნდა. ყველანაირი, მათ შორის რელიგიური ურთიერთობები, სახელმწიფოში კანონის ძალით უნდა რეგულირდებოდეს, რათა სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად არც ცემა-ტყეპა იყოს საჭირო და არც ვინმეს დასაცავად გრანტების მოთხოვნა. რატომღაც, ჩვენში მიაჩნიათ, რომ რწმენის თავისუფლება რელიგიურ ანარქიას ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, უკვე სტერეოტიპად ჩამოყალიბდა აზრი, რომ „ევროპა ასეა და თავის ოჯახში მისაღებად ჩვენგანაც ამასვე მოითხოვს". თუმცა, როგორც ევროსაბჭოს ასოციაციაში, ევროსამართლის ექსპერტთან, ბატონ **ლევან ბოძაშვილთან** საუბრისას გავარკვიეთ, ევროპაში არც მთლად ასე ყოფილა საქმე. უფრო მეტიც, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას სექტებთან დაკავშირებით რეზოლუციაც კი გამოუცია, რომლის მოწოდებაა, სხვადასხვა სექტამ ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-9 მუხლი „რწმენის თავისუფლების შესახებ" (ჩვენში რომ ასე ხშირად იმოწმებენ) ბოროტად არ გამოიყენოს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ჯერ კიდევ 1991 წლის 29 ნოემბერს სპეციალური რეზოლუცია გამოსცა, „სექტებისა და რელიგიური მიმდინარეობების შესახებ" (RAPORT SUR LES SECTES ET NOUVEAUX MOUVEMENTS RELIGIEUX). იგი გვთავაზობს ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ გეგმას და ამასთან აღნიშნავს, რომ ბოლო დროს:

— შეინიშნება სექტების განსაკუთრებული მომრავლება და აქტიურობა;

— შეინიშნება იმ ორგანოთა უმოქმედობა, რომლებიც ვალდებულნი არიან, რაც შეიძლება მეტი გაიგონ ამ ფენომენზე; ეს უჩვეულო ქმედებები რელიგიური მოტივებით არის გამოწვეული, რასაც მოხერხებულად იყენებენ სექტები;

— სექტების უმრავლესობა საერთაშორისო მასშტაბით მოქმედებს;

— სექტები ხშირად სარგებლობენ ეკლესიების სახელით.

რეზოლუცია საჭიროდ მიიჩნევს, რომ შეიქმნას სპეციალური კანონი, რომელიც მიმართული იქნება სექტების უკანონო ქმედებათა წინააღმდეგ, რითაც განსაკუთრებით ზარალდება ახალგაზრდა თაობა.

ზემოაღნიშნულმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო რეზოლუციამ ოფიციალური სტატუსი 1992 წელს მიიღო (№1178/1992). მასში ნათქვამია:

— უნდა შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის საშუალებითაც საზოგადოება ინფორმირებული იქნება სექტების საშიშროების შესახებ.

საჭიროა:

— სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ფართო ფენების ინფორმირება იმ ზიანის შესახებ, რაც სექტების საქმიანობას მოჰყვება;

— აღნიშნულ თემაზე ადამიანთა პირადი ინიციატივისა და აქტივობის ზრდის ხელშეწყობა;

— შემოღებულ იქნეს სპეციალური კანონმდებლობა, რომლის ძალითაც სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრაცია უნდა გაიარონ როგორც სექტებმა, ისე საზღვარგარეთ მდებარე მათმა ცენტრებმა;

— შეიქმნას სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც დაიცავს ახალგაზრდებს სექტების მავნე ზეგავლენისგან;

— იმ კანონების უმკაცრესი დაცვა, რომელიც იცავს არასრულწლოვნებს სექტების მავნე ზეგავლენისგან;

— სექტების მიმდევარნი ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, რომ არიან თავისუფალნი და ნებისმიერ დროს შეუძლიათ დატოვონ სექტა;

— სექტებში მომუშავეებს უნდა შეეხოთ კანონი შრომისა და დაზღვევის შესახებ.

1999 წელს ევროპის **საბჭოს** საპარლამენტო ასამბლეამ **განაახლა აღნიშნულ** საკითხზე **მსჯელობა. ახალ რეზოლუციაში (№1412/1999) ნათქვამია**, რომ საჭიროა დაწესდეს **კონტროლი** სექტების მეთოდებსა **და ტაქტიკაზე**, რისი საშუალებითაც **ისინი უამრავ** ადამიანს ითრევენ.

**— გამოდის, რომ საქართველო ძალად იხვევს თავს სხვადასხვა ვალდებულებას რელიგიის თავისუფლების შესახებ?**

— ჩვენი უმთავრესი პრობლემა ევროსაბჭოს პრინციპები ან საერთაშორისო კონვენციები კი არ არის, არამედ, პირველ რიგში, საკუთარ იდეოლოგიასა და ღირებულებებში გარკვევა. ყველა განვითარებულ სახელმწიფოს გარკვეული ღირებულებები გააჩნია, რაზეც არის დამყარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, დამოკიდებულება თუნდაც იმავე სექტების მიმართ. საქართველო დეტალურად ვერასოდეს გაიზიარებს იმ ძირითად ღირებულებებს, რაც ამერიკას ან, ვთქვათ, საფრანგეთს აქვს. ჩვენ ხომ ჩვენი გეოპოლიტიკური სივრცე გაგვაჩნია, ჩვენი ისტორია და ტრადიციები. თუმცა, ამას არც არავინ მოითხოვს. ევროსაბჭოსა და ამერიკაში უბრალოდ, არ ესმით, როგორ შეიძლება ქვეყანა ცხოვრობდეს იდეოლოგიის, პრინციპების გარეშე, თუნდაც იმავე რელიგიის საკითხები ხალხის ანაბარა იყოს მიტოვებული. როდესაც ზემოთ ევროსაბჭოს მიერ სექტების გმობის შესახებ ვსაუბრობდი, რასაკვირველია, ცალსახად არ მიგულისხმია — არიქა, უფლება გვაქვს იეღოველებს ან ბაპტისტებს დავერიოთ-მეთქი. ვინც ამას აკეთებს, ისიც იმავე სექტად მოიაზრება და მას ისევე ეხება ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვების რეკომენდაციათა ნუსხა, როგორც სხვებს. ჩვენმა საზოგადოებამ არასწორად მიიღო ევროსაბჭოსა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენება ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ. ამ დოკუმენტებში არსად არის ნათქვამი, რომ მაინცდამაინც რომელიმე რელიგიის ხარჯზე სხვა რომელიმე შევზღუდოთ. პირიქით — ჩვენგან ამ სფეროს მოწესრიგებას მოითხოვენ. მოდელი კი თავად უნდა შევარჩიოთ მას შემდეგ, **რაც ძირითად პრიორიტეტებს განვსაზღვრავთ. ჩვენს** შემთხვევაში, რეალ**ობიდან და ისტორიული** გამოცდილ**ებიდან გამომდინარე**, მიმაჩნია, რომ **პრიორიტეტი** მართლმადიდებლობა **უნდა იყოს**, ღირებულებები, რომლებიც **ამ სარწმუნოებამ** შესძინა ჩვენს ქვეყანას.

**— ასეთი პრიორიტეტი საბერძნეთს აქვს, მაგრამ როგორც ამბობენ, ძალიან ხშირად უწევს სტრასბურგის სასამართლოში ჯარიმების გადახდა.**

— ვერ დაგეთანხმებით. უამრავი მაგალითი შემიძლია დაგისახელოთ, როდესაც ამა თუ იმ ევროპულ სახელმწიფოს სხვადასხვა სექტა შევიწროებისა და დევნისთვის უჩიოდა. უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოთა პოლიტიკა გამართლებულია. თუნდაც, იმავე კოკინაკისის საქმე (23.5.93) ავიღოთ: საბერძნეთის მთავრობას ჯარიმა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დაუწესდა, რომ მოქალაქესთან ბინაში მისულ კოკინაკისს, რომელიც იეღოვას მიმდევარი იყო, თავისი რელიგიის პროპაგანდა არ დაუმტკიცდა. მობინადრემ მის პირველივე სიტყვაზე პოლიციას გამოუძახა, რომელმაც კოკინაკისი პროზელიტიზმისთვის დააპატიმრა. ამ საქმეში ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ სტრასბურგის სასამართლომ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციასთან სრულ შესაბამისობაში ცნო ბერძნული კანონმდებლობა, რომელიც პროზელიტიზმისთვის თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ასევე კონვენციასთან შესაბამისად იქნა ცნობილი დიდი ბრიტანეთის კანონი სარწმუნოების შეურაცხყოფის შესახებ (25.11.1996, Wingrow-ის საქმე), კრიშნაიტებისთვის სარიტუალო ტაძრის აკრძალვის შესახებ (08.03.1994). ევროპის კომისიამ უარი განაცხადა მის უწყებაში შესული ორი საჩივრის განხილვაზე, რომელიც ეხებოდა არატრადიციულ რელიგიათა მოტივებით საჯარისო სამსახურზე უარის თქმას. დადასტურებულ იქნა ავსტრიის ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა მუნისტების დაჯგუფების დაშლას და გაუქმდა მათი საჩივარი (15.10.91). ასეთი უამრავი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ. პრობლემა სახელმწიფოებრივი მიდგომისა და შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობაა და არა რომელიმე სექტის არსებობის საკითხი.

**P.S.** ახლახან ტელევიზიით გვიჩვენეს აშშ-ის ერთ-ერთი კონგრესმენის გამოსვლა. იგი შეეხო საქართველოში არსებულ რელიგიურ ჩაგვრას, თითიც გვიქნია და ლამის მუშტიც გვიბრახუნა. ზოგმა — მართალიაო, ზოგსაც არ მოეწონა — გადამთიელი ჭკუას რატომ გვასწავლისო. ეგებ, ასეც იყოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს... ამიტომაც, წერილს მასში განვითარებული აზრით დავასრულებთ — სანამ საქართველოს საკანონმდებლო სივრცე ამ სფეროში მოუწესრიგებელი იქნება, ჩვენში კვლავაც იარსებებს სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებაში „გარკვევის" სამარცხვინო გზა — ცემა-ტყეპა და ტერორი. მეორე მხრივ, ეს უკანასკნელი მავანთ კვლავაც მისცემს საშუალებას, საქართველოში დასავლეთის სახით შექმნან რელიგიური ჯოჯოხეთის სიმბოლო, ხოლო დასავლეთში — საქართველოს სახით და ამგვარად, წამებულთა გვირგვინით თავშემკულებმა, რაც შეიძლება მეტი დახმარება და გრანტი მოიპოვონ. ჭეშმარიტება კი ევროპა-ამერიკაშიც და საქართველოშიც ერთადერთია — მას ეროვნული ინტერესები ჰქვია.

*დაჩი გრძელიშვილი*




# გაზაფხული შემოსულა...

ზოგჯერ ვნატრობთ ხოლმე, თავი დავაღწიოთ ოთახის ნაცრისფერ, სიგარეტის კვამლით გაჟღენთილ ვიწრო სივრცეს და მზის სხივებით, ჟანგბადით გაჯერებულ ბუნებაში გავისეირნოთ, ჩავისუნთქოთ გაზაფხულის ნიავის მოტანილი ტყემლისა და ატმის ყვავილის სურნელი... თუნდაც უბრალოდ თბილისის ქუჩებს, სანაპიროს გავუყვეთ და დროებით მაინც ჩვენი ფიქრები ჭადრებს მივანდოთ. ჩვენ ხომ ასე ველოდით გაზაფხულის დადგომას, ბუნების გამოცოცხლებას, ნუშის ყვავილობას...

მაგრამ არსებობს ალერგია და ზოგისათვის სამყაროს მშვენიერება სასჯელად იქცევა.

ამ შემთხვევაში ზოგიერთები მდგომარეობის შესამსუბუქებლად სახლში რჩებიან, სადაც შედარებით დაბალი ტემპერატურაა და უფრო მცირე მტვერია, ვიდრე ქუჩაში, ძვირფასი ადამიანების მიერ მორთმეულ (ჰოლანდიურ) ყვავილებს სანაგვეში მოისვრიან, ან თვალებდაწითლებულები, აცრემლებულები, ხველებითა და ცხვირის ცემინებით, სხეულზე მრავალრიცხოვანი გამონაყრებით ნერვიულად იწყებენ ფიქრს, თუ სად იშოვონ აირწინაღი, რომ ჰაერში მოფარფატე ჭადრის ყვავილის მტერისაგან დაიცვან თავი. მაგრამ ასე ცხოვრება ხომ შეუძლებელია!

## გამოსავლის ძიებაში

გამოცდილ პრეპარატებს უკვე აღარ ენდობით? რა თქმა უნდა, არავის უნდა სამსახურში პირდაპირ მნიშვნელოვან შეხვედრაზე აუტყდეს მთქნარება. თქვენ ახალი, გამოსაყენებლად კომფორტული და უფრო ეფექტური პრეპარატი გჭირდებათ მიიღოთ, რომელიც გაგიუმჯობესებთ თვითშეგრძნებას.

# ალერტეკი

## სპეციალისტები გვირჩევენ

თქვენი პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა პრეპარატი ალერტეკი! დღესდღეობით ალერტეკი ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული სამკურნალო და პროფილაქტიკური პრეპარატია, რომელიც ინიშნება ალერგიის გამოვლინების საწყის ეტაპზე, ან მძიმე გამოვლინებების შემთხვევაში ანტიალერგიული საინიექციო საშუალებებით მკურნალობის შემდგომ პერიოდში.

ალერტეკი არ იწვევს შეჩვევას და ძილიანობას, პრაქტიკულად არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები და, რაც მთავარია, ანალოგებთან შედარებით ფასი მნიშვნელოვნად დაბალი და ხელმისაწვდომია მოსახლეობის ფართო ფენებისთვის!




ჯი-ემ-პი

მიიღეთ ალერტეკი დღე-ღამეში მხოლოდ 1 აბი და თქვენ ირგვლივ სამყარო კვლავ ჩვეულ მშვენიერებას დაიბრუნებს!

GMP

# ნატოს მხედველობის არეალში არის შავი ზღვა

**საბერძნეთის და თურქეთის შემდეგ ალიანსის წევრები გახდებიან ბულგარეთი და რუმინეთი. საქართველოში ამერიკელი სამხედროები ბინას დაიდებენ. სტრატეგიულად მნიშვნელოვან შავი ზღვის რეგიონში ნატო თანდათანობით იკრებს ძალას.**

დაგეგმილია ნატოს გაფართოება აღმოსავლეთისკენ. ამიტომ, ბულგარეთი და რუმინეთი ჩრდილო ატლანტიკის სამხედრო პაქტის წევრები უმოკლეს ხანში უნდა გახდნენ. 11 სექტემბრის შემდეგ ნატო უკვე ამ წელიწადში აპირებს საფუძვლიან გაფართოებას. ვაშინგტონი კი საქართველოში სამხედრო მრჩევლებს გზავნის. მისი მიზანი გარდა რეგიონის სამხედრო-პოლიტიკური კონტროლისა, ნავთობიც არის.

ასე რომ, ნატოს შეკრებაზე, რომელიც ნოემბრის ბოლოს პრაღაში შედგება, ალიანსის წევრები გახდებიან არა მარტო ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი, არამედ რუმინეთი და ბულგარეთიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები კორუფციის, სიღარიბის და გაჭიანურებული რეფორმების გამო ნატოში შესასვლელად მზად არ არიან. 11 სექტემბრის შემდეგ ნატოსთვის შავმა ზღვამ, როგორც ბუნებრივმა საყრდენმა აღმოსავლეთისკენ გასაწევად, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

ეს ზღვა ესაზღვრება ბალკანეთს, რუსეთს, წიაღისეულით მდიდარ ცენტრალური აზიის შფოთიან მხარეს და თურქეთს.

ბულგარეთმა და რუმინეთმა უკვე ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ნატოს ჯარებს თავის ტერიტორიაზე განლაგების უფლებას აძლევს. რუმინეთში, ფეტესსა და ტიმისოარაში სამხედრო აეროპორტები შენდება, ხოლო შავი ზღვის ნაპირზე — ნავსადგური კონსტანცა.

თუ როგორ ახორციელებს ნატოს ხელმძღვანელობა თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს რეგიონებში, ყველაზე ნათლად საქართველოს მაგალითზე ჩანს. თებერვალში თბილისში აშშ-ის საელჩოს თანამშრომელმა ფილიპ რემლერმა განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში ავღანელი ალ-ქაიდას მებრძოლები იმყოფებიან და საქართველოში გაიგზავნება 150 ამერიკელი სამხედრო მრჩეველი, რომლებიც ქართველ მებრძოლებს ტერორისტებთან ბრძოლაში დაეხმარებიან. ამან მოსკოვის სასტიკი პროტესტი გამოიწვია. რუსეთმა ეს რეგიონში თავისი უფლებების შელახვად მიიჩნია და საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტებთან ბრძოლა თავად მოინდომა.

მიუხედავად ამისა, თბილისში დაუბრკოლებლად ჩავიდა 18 ამერიკელი სამხედრო. ამით დაიწყო პენტაგონის უკვე საკმაოდ გახმაურებული გეგმის განხორციელება: მომავალში რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბინას დაიდებს აშშ-ის შენაერთი, რომლის შემწეობითაც ვაშინგტონი გააკონტროლებს წიაღისეულით მდიდარ კრიზისულ ადგილებს შავი ზღვიდან დასავლეთ ჩინეთამდე. მეცნიერებისა და პოლიტიკის საზოგადოება (SWP) საქართველოში აშშ-ის ქმედებაში ხედავს ხანგრძლივი პოლიტიკის ნაწილს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობის ხაზის და სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოებას ითვალისწინებს. ამერიკელი სამხედრო მრჩევლების საქართველოში ჩასვლამ შეიძლება კავკასიის ისედაც ფეთქებადი პოლიტიკური მდგომარეობა უფრო გაამწვავოს.

ბულგარეთსა და რუმინეთში კი ნატოს ხელგაშლილი ხვდებიან. ამ ალიანსში გაწევრებით ისინი იღებენ დასავლეთში შესასვლელ საოცნებო ბილეთს. შეიძლება ასეთი გეგმაც შედგეს: ნავთობის ხაზმა ბულგარეთის ნავსადგურ ბურგასიდან მაკედონიის გავლით, ალბანეთის ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურ ფლორემდე დაუბრკოლებლად მიაღწიოს. ამგვარად, კასპიის ნავთობი ბოსფორის (რომელსაც დიდი სანავთობო ტანკერების მიღება და გატარება არ შეუძლია), გვერდის ავლით მიაღწევს ევროპამდე.

***ნოიეს დოიჩლანდ ცაიტუნგი***

# კავკასია

# ინგუშეთში ჩეკისტებმა „ოლიგარქებს“ აჯობეს




ინგუშეთმა პრეზიდენტად □□□-ის გენერალი მურად ზიაზიკოვი აირჩია.

გენერალი-ჩეკისტის მეტოქეები ეკონომიკური კეთილდღეობის ზონის „ინგუშეთის“ ყოფილი წევრები იყვნენ. მათი ლიდერი გახლდათ ალიხან ამირხანოვი.

დამკვირვებლებმა რესპუბლიკის მცხოვრებთა საოცარი აქტიურობა აღნიშნეს. ასეთივე აღმაფრენა სუფევდა ჩეჩნეთში 1997 წელს, როდესაც მასხადოვს ირჩევდნენ. ხალხს ესმოდა, რომ თავის მომავალს აძლევდა ხმას.

ამირხანოვის მომხრეები თავის არჩევანს იმით ხსნიდნენ, რომ მათ უკან „ოლიგარქები“ და ყოფილი პრეზიდენტი რუსლან აუშევი იდგნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მემკვიდრეები აუშევის ხაზს გააგრძელებდნენ — ე.ი. სტაბილურობა და წესრიგი გარანტირებული იქნებოდა. ამირხანოვი ინგუშეთისა და ჩეჩნეთის გაერთიანებასაც არ დაუშვებდა, ასეთი ხმები კი კარგა ხანია დადის.

მურად ზიაზიკოვის მომხრეებს თავისი არგუმენტები ჰქონდათ — ზიაზიკოვს პუტინი უჭერს მხარს, ე.ი. ინგუშეთს ფულიც გაუჩნდება, დახმარებაც და ახალი სამუშაო ადგილებიც. ზოგს ბინების მიღების იმედი აქვს, ისე როგორც საბჭოთა კავშირის დროს იყო. წინასწარ ძნელია თქმა, გამართლდება თუ არა მათი იმედები. ზიაზიკოვზე ამბობენ, ჭკვიანია და უხეშობა არ უყვარსო, მაგრამ გენერლის პირად თვისებებს რა მნიშვნელობა აქვს, როცა მის უკან ფედერალური სამხედროები დგანან და ახლა ძალაუფლება „ოლიგარქებიდან“ მათზე გადავა. მაგრამ ძველი „ოლიგარქები“ იოლად არ დათმობენ თავის კაპიტალს და პოსტებს. უეჭველია, უპირველესად კონტროლი ნავთობზე დაწესდება, რომელზეც სამხედრო პირებს განსაკუთრებით უჭირავთ თვალი...

მოსკოვმა აუშევს ზიაზიკოვი ამჯობინა, მაგრამ სანამ ინგუშეთში აუშევია, ზიაზიკოვის ზეიმი ნაადრევია. არ არის გამორიცხული, რომ კრემლი მოახერხებს გადამდგარი სენატორის მშობლიური რესპუბლიკიდან დეპორტაციას და საპატიო ფედერალურ სამსახურს შესთავაზებს.

ინგუშეთის ექსპრეზიდენტს პოლიტიკა არ მიუტოვებია. პირიქით, შეიძლება სწორედ ახლა დაბრუნდეს ნამდვილ პოლიტიკაში.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №75***

# რუსულად ლაპარაკობ? – დაისჯები

მრავალი წლის მანძილზე რუსული ენა მთელი საბჭოეთის საერთო ენა იყო. გაჩნდა მცნებაც — „რუსულენოვანი მოსახლეობა“. უწინ მათ არსად არავითარი პრობლემა არ ჰქონდათ, ახლა კი ყოფილ რესპუბლიკებში ისე შეიცვალა საქმე, რომ თუ სახელმწიფო ენა არ იცი, შავ დღეში ჩავარდები.

აზერბაიჯანის პარლამენტმა მიიღო შესწორება ადმინისტრაციული დარღვევების კოდექსისათვის: ახლა სახელმწიფო ენის საწინააღმდეგო პროპაგანდისთვის, მისი გამოყენების შეზღუდვისთვის, ლათინური დამწერლობის ხმარების აკრძალვისთვის თანამდებობის პირები დაჯარიმდებიან 50-დან 90 დოლარამდე. იურიდიული პირები — 150 და 300 დოლარამდე.

1992 წელს პრეზიდენტმა მუთალიბოვმა დაიწყო ლათინურ დამწერლობაზე ქვეყნის გადაყვანა. საკითხი საბოლოოდ ჰეიდარ ალიევმა მოაგვარა. 2001 წლის ბრძანებულების „სახელმწიფო ენის გამოყენების სრულყოფის შესახებ“ თანახმად, ქვეყანა უნდა გადავიდეს ლათინურ ანბანზე და საბოლოოდ დაფუძნდეს აზერბაიჯანული ენა. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა იმის გამო, რომ მედიაში, ოფიციალურ მიმოწერასა და საქმის წარმოებაში გამეფებული იყო რუსული ენა. უცხო ენაზე მიმდინარეობდა ურთიერთობა უცხოურ დიპლომატიურ მისიებში; აზერბაიჯანში მომუშავე კომპანიებისა და ფირმების უცხოურ წარმომადგენლობებში. ე.ი. აზერბაიჯანული ენა ფაქტობრივად იგნორირებული იყო. მაშინ მიიღეს გადამწყვეტი ზომები აზერბაიჯანული ენის, როგორც სახელმწიფო ენის დამკვიდრების შესახებ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნოსის ენის შეზღუდვას — არავითარი დისკრიმინაცია, მაგრამ ყველამ უნდა შეიგნოს სახელმწიფო ენის სტატუსი და საჯარისობა — ის ჩინოვნიკი, ვინც სახელმწიფო ენას სრულად არ გამოიყენებს, ქვეყნის კონსტიტუციის დამრღვევად ჩაითვლება!

„ჩვენ 200 წელი ვცხოვრობდით რუსეთთან ერთად და ამ ხნის მანძილზე აზერბაიჯანულ ენაში დიდი-დიდი ხუთი-ექვსი რუსული სიტყვა შევიდა, ხოლო ჩვენი დამოუკიდებლობის 10 წლის მანძილზე



ინგლისური სიტყვები უხვად დამკვიდრდა. არა მგონია, რომ ეს კარგი იყოს“, — ამბობს აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ანარი. მისი აზრით, მალე პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს „აზერბაიჯანული ენის განვითარებისა და დაცვის შესახებ“.

„ეს არ ნიშნავს შეტევას რუსული ენის წინააღმდეგ, ეს მოკრძალებული ცდაა საკუთარი სახელმწიფო ენის დაცვისა“, — ამბობს მწერალი.

რესპუბლიკაში კვლავ ფუნქციონირებენ რუსული სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები და ტელეგადაცემები. ის, რომ აზერბაიჯანს რუსების დისკრიმინაციაში ადანაშაულებენ, უსაფუძვლოა.

აკი რუსეთმაც მიიღო კანონი „მოქალაქეობის“ შესახებ, სადაც სახელმწიფო ენის ცოდნა დეკლარირებულია, როგორც ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის სავალდებულო.

***ნეზავისიმაია №79***

# ჯანმრთელი სული დამპალ სახელმწიფოში



რობერტ სტურუას ოთხი სპექტაკლი — ლეგენდარული „კავკასიური ცარცის წრე“ ბრეხტისა, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“, შექსპირის „მეთორმეტე ღამე“ და სულ ცინცხალი „ჰამლეტი“ არა მარტო საქართველოს მთავარი თეატრის რეპერტუარს და რეჟისორის შემოქმედებით გზას გვიჩვენებს, არამედ, ამ ქვეყნის ცხოვრებასა და პრობლემებზე მოგვითხრობს. ქვეყნისა, რომელიც ოდესღაც მდიდარი და უზრუნველი იყო, ახლა კი გაღატაკებულია, მაგრამ სულით მაინც არ ეცემა. რობერტ სტურუას თავისი სამშობლო ყოველ სპექტაკლში სცენაზე გამოჰყავს: ხან მოშუღარ კავკასიურ სამთავროებს ბრეხტისეული სიმძაფრით წარმოაჩენს, ხან შექსპირის მეფე ლირის ტრაგედიით მოსავს...

რეჟისორი ამბობს, რომ „ჰამლეტის“ ახლანდელი დადგმა „დრომ მოიტანა“. სტურუამ კაცობრიობის მთავარი პიესა მესამედ დადგა (პირველი ორი — ლონდონსა და მოსკოვში). ამჯერად — თავის სამშობლოში. იმიტომ, რომ „დროის კავშირის დარღვევა“ დღეს საქართველოში განსაკუთრებით იგრძნობა. მაგრამ ეს სპექტაკლი პოლიტიკაზე არ არის, არც შუასაუკუნეების დანიელებსა და თანამედროვე ქართველებზე. ის უბრალო ხალხზეა, რომელსაც ადრე თუ გვიან არჩევანის გაკეთება უხდება. „შეებრძოლოს უსამართლობას, სიცრუეს და ღალატს თუ დათმოს და გაჩუმდეს“, — ასე აყალიბებს თავის კითხვას სტურუა. ამიტომაც ყბადაღებულ „ყოფნა-არყოფნას“ მისი ჰამლეტი პირდაპირ სცენაზე წვავს და ნაგვის ყუთში აგდებს, როგორც გამოუსადეგარ მონოლოგს.

მიუხედავად პრობლემის სერიოზულობისა, განთქმული თავნება რეჟისორი დამდუღრულივით გაურბის პათოსს და როგორც მის სპექტაკლებს სჩვევიათ, ერთმანეთში არის ჩახლართული ტრაგიკული და კომიკური.

რეჟისორის ჩანაფიქრით, თანამედროვე მაყურებელმა პასიურად კი არ უნდა აღიქვას წარმოდგენა, არამედ, ამ „ჰამლეტში“ თავისი თავი შეიცნოს. შეიძლება ქართული საზოგადოებრიობა ლპობაშეპარულ დანიის სახელმწიფოში თავის ქვეყანას გულისხმობს და სიმწრით აღიქვამს ამას. სრულიად სხვაგვარად რეაგირებენ მოსკოველები. რადგან საქართველოს ჭირ-ვარამი მოსკოვური აპოლიტიკური საზოგადოებისთვის სხვა არაფერია, თუ არა ბიძგი დიდი რეჟისორისთვის მორიგი შედევრის შესაქმნელად.

***კომერსანტი №78***


# „მედი“–ჭარბთმიანობის კომპლექსური მკურნალობა

**ჭარბთმიანობის პრობლემაზე მსოფლიოში მრავალი ცნობილი კოსმეტოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიის ფირმა მუშაობს.**

**ყველასათვის ცნობილია, რომ არასასურველი თმის ტრადიციული გზებით მოშორება გამოსავალი არ არის, ხოლო ყოველი ჩარევის შემდეგ კი უფრო გაუხეშებული თმა იზრდება.**

**გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია სხვადასხვა სახის გართულება, რასაც კანის ხარისხის გაფუჭება მოსდევს. ელექტროეპილაციის და პრიმიტიული ლაზერული აპარატებით ჩატარებული ეპილაციის დროს კანის საფარის დაზიანების გამო, დიდია შიდსითა და ჰეპატიტით ინფიცირების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიო შიდსის პანდემიის საშიშროების წინაშე დგას.**



**მსოფლიოს კოსმეტოლოგთა ოცნება, ეპილაციის ჩატარება უკონტაქტოდ, ჩხვლეტისა და კანის დაზიანების გარეშე, რეალობა გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წელს ამერიკელებმა შექმნეს ალექსანდრიტის დერმატოლოგიური ლაზერი. მის მიერ გამოსხივებული სხივი სავსებით უვნებელია ორგანიზმისათვის და დიდი ხანია გამოიყენება მედიცინაში გულის, სისხლძარღვებისა და თვალის სამკურნალოდ.**

**სხვა, ნებისმიერ ლაზერულ და სინათლის სპექტრზე (ფოტოეპილაცია) მომუშავე აპარატებთან შედარებით, ალექსანდრიტის ლაზერი უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მაღალეფექტურ ეპილაციას კანის დაზიანებისა და მასზე პიგმენტური ლაქების განვითარების გარეშე.**

**რამდენადაც არ ზიანდება კანის საფარი, შიდსით ან ჰეპატიტით დაავადება ამ აპარატით ჩატარებული ეპილაციის დროს გამორიცხულია.**

**ეპილაციის დროს თმის ძირი ისე ნადგურდება, რომ არ ზიანდება ირგვლივ მყოფი ქსოვილი. ეპილაციას ალექსანდრიტის ლაზერით უმეტესად რამდენიმე წუთი სჭირდება. საბოლოო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება, რაც დამოკიდებულია საეპილაციო თმის ხარისხზე, პაციენტის ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე და ჰორმონალურ ფონზე.**

**მას შემდეგ, რაც ამერიკელი პარტნიორების მეშვეობით, სამედიცინო ცენტრში „მედი“, დამონტაჟებულ იქნა ალექსანდრიტის ლაზერის 2000 წლის მოდელი, იგი საქართველოს მოსახლეობისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი. მთელ კავკასიაში ეს აპარატი ერთადერთია, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში სულ რამდენიმე ცალი.**



**სამედიცინო ცენტრი „მედი“, ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის გარდა, გთავაზობთ სიახლეს – ჭარბთმიანობის მიზეზების გამოკვლევას. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს გინეკოლოგის კონსულტაცია.**



**უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბთმიანობის მედიკამენტოზური მკურნალობის კომბინაცია ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციასთან, იძლევა საუკეთესო და სწრაფ ეფექტს.**

**ფირმა „მედი“ – და მისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან იზრუნონ თქვენს სილამაზეზე.**

**სამედიცინო ცენტრი „მედი“**

**25-02-02 93-89-75**

**ალ. ყაზბეგის გამზ. №1**



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები ბრძნობენ

**4 წლის ამიკო მელიას** მამას მანქანა გაუფუჭდა და ორივენი ტაქსის აჩერებენ. გამოიარა უნომრო სამარშრუტო ტაქსიმ.

— მამა, მამა, ეს მარშრუტკა გავაჩეროთ, ეტყობა, უფასოა, ფასი არ აწერია.

***

**5 წლის გიორგი გოცაძე** და მისი და **თამთა** კიკეთში ისვენებენ. თამთას ძალიან უყვარს ბიჭებთან თამაში. გამოიარა ნაცნობმა და გიორგის ერთ ბიჭზე ჰკითხა:

— გიორგი, ეს ბიჭი შენი ძმაა?

— არა, ჩემი ძმა გოგოა, — უპასუხა დანაღვლიანებულმა გიორგიმ.

***

**2,6 წლის გურიკო ძებაძე** ღამის ქოთნის საჭიროებას ბული-ბულის ეძახის. ერთ დღეს ტელევიზორში სოსო თოლორაიას უყურებს, რომელიც ასრულებს სიმღერას „ფული-ფული, ბევრი ფული“. გურიკო დედას ეძახის:

— დედიკო, ამ ბიძიას ბული-ბული უნდა, ქოთანი მოუტანე.

***

კირილე ბაბუას დასაფლავებიდან დაბრუნებული **5 წლის ბექა** ეკითხება მამას:

— მამიკო, კირილე ბაბუა იმიტომ ჩადეს მიწაში, რომ ბევრი კირილე უნდა ამოვიდეს?

***

— ბაბუმ თქვა, — რა არის, ეს ტელეფონი წამდაუწუმ რეკავს.

— წამი ვიცი რა არის და უწუმ რა არის? — იკითხა **პატარა ანიმ.**

***

**2 წლის ლუკაკო** თავის მეზობელ ლამარა ბებოს ეკითხება.

— სად იყავი?

ლამარამ მიუგო, — მოხუცი დედა მყავს. საჭმელი მივუტანე და სარეცხი დავურეცხეო.

— შენ რა, წითელქუდა ხარ? — გაუკვირდა ლუკას.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი ანდაზიდან გამოტოვებულ სიტყვას: „ცუდად ჯდომას ცუდად ... სჯობიაო“.




## იპოვე 11 განსხვავება



## გამოიცანი, რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა?






ამოხსენი მაგალითები და პასუხების მიხედვით დაადგენ, რომელი კვერცხიდან რომელი დაიბადა

მიიყვანე დათუნია და ბიჭუნა ბუტერბროდებთან





მოძებნე ორი ერთნაირი დალმატინი

## I რებუსი





## ჭიაკოჩლი

| ბოსტნეული | სახის ნაწილი | უხეშის ანტონიმი | კავშირი | კაცის სახელი | კაციჭამია, ანუ ... |
|---|---|---|---|---|---|

| ფიცი მწამს, ... მაკვირვებსო | დიალექტი, ანუ ... | ყაყაჩოსა სიწითლითა ... დაუმშვენებია | მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი | ქათმის ხმიანობა კვერცხის დადების შემდეგ | რომელი ხილი ღირს „ათი შაური“ |
|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალლო-სალალო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## გაწბილებული ბეჟანა



მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. როგორც ახლა, მაშინაც ძალიან ჭირდა ცხოვრება. კახეთში, ჩვენს სოფელში ერთ ახალგაზრდას — ბეჟანას ძალიან უყვარდა სიგარეტი. უფულობის გამო თამბაქოს ვერ ყიდულობდა და სხვისი ნარჩენი სიგარეტით (თუ სიგარეტად ჩავთვლით გაზეთის ქაღალდში გახვეულ თუთუნის ნამწვს) „გადიოდა იოლას“. ამ ნარჩენს „სოროკს“ უწოდებდნენ, ბეჟანასაც მეტსახელად „სოროკას“ ეძახდნენ. ერთხელ მან დაინახა მინდორში მიმავალი მხარზე თოხგადებული თანასოფლელი კაცი, რომელმაც გაზეთის ნაგლეჯში თამბაქო შეახვია და საკმაო სიგრძის „პაპიროსს“ ტალკვესით ცეცხლი მოუკიდა. ბეჟანამ იფიქრა, ბედმა გამიღიმაო და მის კვალს აედევნა. დროდადრო უთვალთვალებდა, ან ახლა გადააგდებს „სოროკს“, ან ახლაო. საკმაო მანძილი გაიარეს და „მდევარი“ თოფნაკრავივით უკან გამობრუნდა. გზად თანატოლი ბიჭი შეხვდა.

— ბეჟან, თოხი დაგრჩა სახლში თუ ასე ადრე უკან რატომ მოდიხარ?

— დამრჩა კი არა, მაგ საძაგლიან მიხაი დედა ვატირე! მაგეთი დამწვარი და წუწურაქი კაცი გინახავ, ჯოო?! ლამის ერთი კილომეტრი ტყუილად მატარა, თუთუნს ეწეოდა, უკან მივდევდი, მეგონა ან ახლა გადააგდებს „სოროკ“ ან ახლა-მეთქი, მაგრამ ჩააქრო და ქუდის ნაკეცში შაინახა! აბა, ეგ კაცია?!

**ირაკლი მარტყოფლიშვილი, თბილისი**

## სიმამრი



ბუხენვალდის „პლენივით“ ჩუსტებში და ზოლიან პიჟამაში გამოწყობილი ჩავიდა ეზოში ყურშაია (ზურიკო ხუსკივაძე) დომინოს სათამაშოდ. იქვე ბაკურიაც იჯდა მაგიდასთან და გვერდით ახალთახალი „მერსედესი“ ეყენა — სიმამრის ნაჩუქარი.

— ეჰ, — ამოიხვნეშა ყურშამ, — ბიჭო ბაკურია, შენი სიმამრიც სიმამრია ახლა და ჩემიც?!

— რატო, სიმონ, რას ემდური შენს სიმამრს? — დაინტერესდა ბაკური.

— რატო და გუშინწინ შემეკითხა, — ტუფლი რა ნომერი გაცვიაო. — 42-თქვა, ვუთხარი გახარებულმა, მეგონა ყიდვას აპირებს-მეთქი. გაგახარა ღმერთმაო, მითხრა, „კაკრაზ“ კარგად მექნებაო, ჩაიცვა ჩემი ტუფლები და ასე ჩუსტებში გამოწყობილი ვუცდი მესამე დღეა...

**ჯანო ონიანი, ქუთაისი**

## რატომ აჩქარდი?



იმერელი მეზობლები არიან რაჟიკო ხუსკივაძე და იოსკა ბზიკაძე.

მეგობრობენ ერთმანეთთან, მაგრამ ორივეს, რომ იტყვიან, „მომსპარი“ ენა აქვთ და ხშირად „აშაყირებენ“ ერთმანეთს. მოკლედ, მთელი საძმაკაცო მათი ქილიკით ერთობა.

მოხდა ისე, რომ რაჟიკო ცოლს გაშორდა და დაბოღმილი დაბორიალებდა ქალაქში.

შევიდნენ ძმაკაცები „ლოთის აფთიაქში“ გულის გადასაყოლებლად.

მესამე ჭიქაზე იოსკამ ხმა ამოიღო.

— თქვი ახლა, რაჟიკო, რატომ გაშორდი ცოლს?

— გავშორდებოდი, აპა რას ვიზამდი. პირდაპირ შევუსწარი სხვა კაცთან, მივლინებიდან რომ დავბრუნდი.

— იქნება მეგობრულად იწვნენ! — ჩაფიქრდა იოსკა.

იფეთქა რაჟიკომ, მაგრამ ძმაკაცებმა ყანწი აჯახეს.

ეს „მიკროშეხვედრა“ იოსკაამ მოიგო, მაგრამ ბუნებაში ხომ ყველაფერი მეორდება: ცოტა ხანში იოსკა გაშორდა ცოლს.

დაუდგა საზეიმო მომენტი რაჟიკოს.

საძმაკაცო ისევ შეიკრიბა „ლოთის აფთიაქში“.

— შენც გაგშორდა ცოლი? — იკითხა მძიმედ რაჟიკომ.

— კი არ გამშორდა, მე გავაგდე!

— რატომ? არ მოგვატყუო, ყველაფერი გვითხარი!..

— მეც მივლინებაში ვიყავი, დეპეშა გამოვუგზავნე, ხვალ საღამოს ვიქნები სახლში-თქვა.

— მერე?

— რა მერე... ჩამოვედი და ვინცხა საყვარელთან მივუსწარი ლოგინში და არ მითხრა ახლა, რაჟიკია შტერო, მეგობრულად ხვარ იწვნენო!..

— არა!.. — ჩაფიქრდა რაჟიკო, — მაგას რავა გეტყვი, შენსავით უტვინო კი არ ვარ, მარა მე ერთი ეჭვი მაქვს!

— რა ეჭვი?

— იქნება არ მიუღია ის დეპეშა შენს ცოლს და მაგიზა გაწირე?

... სიცილმა 8 ბალს მიაღწია (ეპიცენტრი რესტორანში იყო).

**მურმან მერკვილიშვილი, თბილისი**

# მკითხველის — — საყვარელი ანეკდოტი

ერთი სვანი მეორეს შესჩივის:

— რა არის, პირი შეკრეს ამ მოლარეებმა?

— რაზე ამბობ?

— მეტროს ათი სადგური მოვიარე ფეხით და ჟეტონი ყველგან 20 თეთრი ღირს.

**ალიკა ხაჩიძე, სურამი**





სიღნაღის საავადმყოფო:

ექთანი შედის პალატაში.

— მიხო, მიხო, გაიღვიძე, გაიღვიძე!..

ღრმა ძილში წასული მიხო შეშინებული წამოხტა:

— რა მოხდა, ჯო?!

— აჰა, დასაძინებელი აბი მოგიტანე!

**ნათელა ხ., თბილისი**

სვანი ყოველ დილით უთენია მორბის ეზოში.

— საიდან მორბიხარ ასე დილაადრიან, თან ყოველდღე? — დაინტერესდნენ მეზობლები.

— მითხრეს, რაც უფრო ადრე მოიყვან ცოლს, მით უკეთესიაო, მეც ყოველდღე 5 საათზე გავრბივარ მესტიისკენ...

— მერე?

— რა მერე, ჯერ ვერავინ ვნახე!

**მანანა ჯ., ქუთაისი**





რაჟიკუნა რაჭაში ახალი კოსტიუმით ჩავიდა. გადაირივნენ იქაურები, ისე მოეწონათ.

— რაჟიკუნა, სად იყიდე ეს შარვალ-კოსტუმი?

— სად ვიყიდე და სან-რემოში!

— შორსაა ამბროლაურიდან?

— იქნება ასე, 2000 კილომეტრი.

— უყურე შენ, რა მიყრუებულ ადგილასაა და რა კარგად კერავენ!..

**რეზო ღარიბაშვილი, თბილისი**

## ქმარი წამოიყვანე, ქმარი!..



კომუნისტების დროს წყალტუბოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა ბატონი რეზო კ. — ნაღდი იმერელი, მოქეიფე, დარდიმანდი, ქალების მოყვარული, ერთი სიტყვით — კაცური კაცი.

იმხანად წყალტუბოში მრავალი დამსვენებელი ჩამოდიოდა დიდი რუსეთიდან და აღმასკომის თავმჯდომარეს, ბუნებრივია, ქართული სტუმართმოყვარეობის გამოჩენა მართებდა ჩრდილოეთელ ცივსისხლიანთა „გასათბობად“. ამრიგად, ბატონი რეზო, გარდა იმისა, რომ რაიონს უნარიანად უძღვებოდა, რუსეთის ელიტარულ დამსვენებელთა კერპიც გახლდათ.

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. მერე ჩვენი ამბის გმირი სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე გადაიყვანეს: ხან წყალტუბოში მოღვაწეობდა, ხან ქუთაისში. ძველი ნაცნობები არა და არ ივიწყებდნენ, წყალტუბოში ჩამოსვლის წინ აუცილებლად მას უკავშირდებოდნენ.

ერთხელაც, ერთ-ერთი მოსკოველი ქალბატონი 15 წლის შემდეგ დაუკავშირდა თურმე ბატონ რეზოს და სიხარულით აცნობა, როგორც იქნა, გამოვნახე თავისუფალი დრო და წყალტუბოში მოვდივარ დასასვენებლად და ჩვენი მეგობრობის გასახსენებლადო...

ყოფილ აღმასკომის თავმჯდომარეს მშვენიერი ნატაშას ხავერდოვანმა ხმამ ძველი კარგი დროება გაახსენა, თუმცა, ცოტა არ იყოს შეცბა და ნირწამხდარმა ჩასძახა ყურმილში, შენი ჩამოსვლა ძალიან გამახარებს, მაგრამ...

— რა მაგრამ?! — გაიოცა მშვენიერმა ხმამ.

— რა მაგრამ და ია ბოლშე ნე მოგუ, ნე მოგუ!.. ქმარი წამოიყვანე, ქმარი, ან საყვარელი!..

გაგრძელებას აღარ მოგიყვებით...

**გია პატარიძე, თბილისი**

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.**

**მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.**

C M Y K

## არავინ და არაფერი

ქვეყნის ერთ მივიწყებულ ქალაქში იყო და არა იყო „არავინ და არაფერი". დახეტიალობდა ქალაქში, არავის იცნობდა, მასაც არავინ იცნობდა.

ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ის შეხვდა ძალიან ლამაზ არსებას, რომელსაც ქალწული ერქვა.

მოხდა სასწაული!

„არავინ და არაფერს" შეუყვარდა ქალწული. გაიგო მისი სახლი და ყოველი დილის ცისკარს, როცა ქალწულს ეძინა, მის სასთუმალთან მდგარ ლარნაკს ვარდებით ავსებდა. დილაობით, ქალწულს საოცარი ვარდების სუნი აღვიძებდა. მან არ იცოდა, ვის მოჰქონდა ვარდები და, ისე მიეჩვია, რომ ეგონა, აუცილებლად ასე უნდა ყოფილიყო.

ერთხელაც, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. „არავინ და არაფერმა", როგორც იქნა, გადალახა რაღაც ზღვარი და უთხრა: „მე შენ მიყვარხარ". ქალწული გაოცდა, თვალებში შეხედა და უპასუხა: „მე შენ არ მიყვარხარ და არც არასდროს შეგიყვარებ, რამეთუ, შენ არავინ და არაფერი ხარ".

ქვეყნის ერთ მივიწყებულ ქალაქში იყო და არა იყო „არავინ". მან მოიშორა „არაფერი", რამეთუ შეიცნო არსება-ქალი.

## სიზმარი

მე ვნახე სიზმარი, გასაოცარი სიზმარი — შენ გეძინა. მე ვიყავი შენს ოთახში. უცბად საშინლად მომინდა შემოვსულიყავი შენში.

... და მე შემოვედი შენში.

შენ ხედავდი სიზმარს, რაღაც ნახევრად აბსტრაქციას, ნახევრად რეალობას. ვუყურე, არ მომეწონა.

ჩავეშვი დაბლა, სულის მიუკარებელ სიღრმეებში... და გავოცდი! უფსკრულის ძირას ვიხილე ჩემი თავი.

მას ეძინა. გავაღვიძე და ვკითხე:

— აქ რას აკეთებ?

— ველოდები.

— რას ელოდები, შე იდიოტო! — გავბრაზდი მე, — აქ არასოდეს ჩამოაღწევს სინათლის სხივი.

მან ბრიყვული თვალებით შემომხედა და დაიძინა.

ამოვედი მაღლა. შენ ისევ იმ ძველ განზომილებაში — ძველ სიზმარში იყავი.

გამოვედი შენგან.

მოვედი შინ. ჩემი სხეული სამშვინველთან ერთად ფშვინავდა. შევედი მასში. ჩავეშვი სულის მიუკარებელ სიღრმეებში, სადაც ხანდახან ჩამოაღწევს სინათლის სხივი და... დავიძინე.

მე ვნახე ამაზრზენი სიზმარი. ვიდექი მუხლებამდე წყალში და წყალი სავსე იყო უამრავი გველით. ისინი ნელ-ნელა მოცოცავდნენ ჩემს სხეულზე, ლამის იყო გამსკდა გული. უცებ, ერთმა გველმა, ყელზე შემოხვეულმა, ყურში ჩამსისინა:

— ნუ გეშინია ჩვენი! ჩვენ შენ არ გიკბენთ, რამეთუ შენ არა გაქვს სხეული.

## სატანა

უცნაურმა სიზმარმა გამაღვიძა. პირდაუბანელი და უჭმელი, საწერ მაგიდას მივუჯექი, მინდოდა, სიზმრისაგან აღგზნებული აზრები ქაღალდზე დაულაგებლადვე გადამეტანა.

პირი დავიბანე. შემთხვევით, სარკეში თვალებს წავაწყდი. მოულოდნელობისაგან გავშტერდი — სხვისი თვალები, გაყინული და შეშლილი, სადღაც, ჩემს იქით, იყურებოდნენ.

ოთახებში სიმარტოვის აჩრდილი დაძრწოდა, ყველასაგან დაკარგული და მივიწყებული. მსიამოვნებდა აჩრდილის ყურება, ალბათ, მიყვარდა კიდეც, რამეთუ ის იყო ჩემს გულში ნადების ერთადერთი მხილველი და ცხოვრების უაზრობისაგან გარიყულის ერთგული თანამგზავრი...

მარტის თვე იდგა. დავეხეტებოდი ნახევრად დაცარიელებულ ქუჩებში ტრამალის მგელივით და ზიზღნარევი თვალებით ვაკვირდებოდი ქალაქის ცხოვრებას.

ვხედავდი, რომ მხოლოდ იმ მიზნისათვის ვსუნთქავდი, რომელიც ჩემს არსებაში უკვე გაცვეთილიყო, ცხოვრებაც უაზრობად გადაექცია და ყოფნა-არყოფნას შორის მერყეობდა გრძნობებისაგან მიტოვებული ჩემი სხეული.

სხეულიც, ყველაფრისაგან თავისუფალი, ყოფისაკენ იხრებოდა. ალბათ, ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი ცხოველური ინსტინქტი. არყოფნისაკენ მხოლოდ სული იდგა მყარად, სხეულისაგან დაღლილი და დაქანცული. უნდოდა გასცლოდა იქაურობას და სადღაც, თოვლიანი მთის ძირას „ხმელ წიფელში" გარდაცვლილიყო.

დაბნელდა. ვიგრძენი, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა. არ ჰგავდა სიმარტოვის აჩრდილს. შავი მოსასხამი ემოსა და სახე სულ არ უჩანდა.

სატანა! — გამიელვა უცბად. თითქოს ველოდი და შიშისაგან სულ გამეყინა ისედაც გაყინული სისხლი.

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი!

გაუჩინარდა... ჩინარდა...

ოთახის სიბნელეში ცისკრის ოდნავ გახსნილი ჭიშკრიდან სინათლე იპარებოდა.

საათის ისრებს ჩასძინებოდათ.

## თეთრი, შავი და წითელი

(დაუხვეწავი სცენარი)

პავილიონი. უცნობი ბუტაფორია. აღმართულია სამი ჯვარი.

სამყარო ამოტრიალდა. დრო წაღმა დატრიალდა. კაცობრიობის სწრაფვა სიბნელისაკენ — სინათლისაკენ სწრაფვამ შეცვალა. ადრე იესო გააკრეს ჯვარზე. ახლა პირიქითაა — ცოდვას აკრავენ ჯვარზე. სამი გველი უნდა დალურსმნონ: თეთრი, შავი და წითელი.

პავილიონის უკან ფუსფუსია. მსახიობები, გრიმიორები, ცისფერები და სხვა მომსახურე პერსონალი ერთმანეთში არიან არეულები. ლაზღანდარობენ, ჭორაობენ, სიგარეტს ეწევიან.

თეთრი — იზაბელ აჯანი.

შავი — კიმ ბესინჯერი.

წითელი — სილვია ქრისტელი, იგივე ემანუელა.

ემანუელას — წითელი კაბა, თმა — მოკლედ



შეკრეჭილი.

კიმ ბესინჯერს — შავი კაბა, თმა — ქერა, გრძელი და გაშლილი.

იზაბელს კაბა — ქათქათა თეთრი, აუცილებლად კოჭებამდე. თმა — შავი და გრძელი, უკან შეკრული, ცხენის კუდივით.

სატანა შევიდა გველში. გველი შევიდა ქალში. ქალი შევიდა ადამში.

თეოდორ დოსტოევსკი ერთ-ერთ რომანში ბრძანებს: „ყველა გველი ქალია და ყველა ქალი გველი". სხვაგან იმასაც ამბობს: „სილამაზე გადაარჩენს კაცობრიობას".

არა მგონია. ვნახოთ!

— მზად ხართ? — ისმის რეჟისორის ხმა, — დავიწყოთ.

შემოჰყავთ წითელი. გაფითრებულია. ჯვარზე მიდგმულია ორი კიბე.

— ჯერ არ დალურსმოთ. თოკებით მიაბით. შემოიყვანეთ შავი.

საოცრად ლამაზია. თავი ამაყად უჭირავს. თვალებში ბოროტი, მაცდუნებელი და დამცინავი მზერა უთამაშებს.

თეთრი. ფეხშიშველაა. გველების მეფის, კობრის თვალებზე მეტად მომნუსხველი თვალები, თეთრი სიკვდილი, თეთრი სატანა, ულამაზეს დედოფალთა შორის ულამაზესი დედოფალი.

— ფრთხილად!

აჰყავთ კიბეზე. თოკებით აბამენ.

აჰა, აღსრულდა!

შეხედეთ, მეძავნო და მემრუშენო! ვინც ქალს ვნებით შეხედა, მან უკვე იმრუშა გულსა შინა თვისსა. და მრუშობს მთელი კაცობრიობა. შეხედეთ ემანუელას, ამ გველს, რამდენჯერ შემოსრიალებულა თქვენში?!

რა! — არა?! ბჭობა.

— რა ვქნათ, მოვკლათ? — ამბობს რეჟისორი.

— ესენი როგორ უნდა მოვკლათ?!

— შენ რას იტყვი?

— მე? რა უნდა ვთქვა?!

— ცუდია წითელი, — ამთავრებს ბჭობას რეჟისორი.

ალეგორია ამერიკული მხატვრული ფილმისა: „კარგი, ბოროტი და ცუდი".

სასაფლაოს სცენა.

თეთრი, წითელი და შავი სასაფლაოს შუაგულში დგანან. ირგვლივ თვალუწვდენელი სივრცეა, უამრავი ჯვრიანი საფლავებით.

დუელი... მზერა... ქალის თვალები. თან, რა თვალები! მუსიკა იგივეა.

თეთრმა იცის, რომ შავს ტყვიები არა აქვს. მთელი ყურადღება წითელზე აქვს გადატანილი. შავმა არ იცის, რომ ტყვიები არა აქვს. წითელი ორივესგან ელოდება ტყვიას. სროლა.

თეთრი კლავს წითელს. შავი გაოცებულია, ხვდება, რომ თეთრმა ტყვიები ამოაცალა. ილანძღება, იგინება. პავილიონი.

რეჟისორი სკამზე უკუღმა ზის. ჩაფიქრებული ჯვარცმულებს უყურებს და სიგარეტს ეწევა. უცებ, დგება. სკამს ხელით მოისვრის და მტკიცე ხმით ყვირის:

— მიალურსმეთ წითელი!

აღსრულდა ემანუელა — „ჩვენთან არს ღმერთი".

შეხედეთ, მრუშო კაცობრიობავ! ვითომცდა, ქრისტეს მიმდევრებო! შეხედეთ თქვენს ნამდვილ ღმერთს!

— ამათ რა ვუყოთ?

— ჩამოხსენით და გაუშვით.

თეთრი ტირის. შავი — არა. ფრთხილად ხსნიან.

ფინალი. ისევ სასაფლაოს სცენა.

შავს ხელები უკან აქვს შეკრული. ყელზე თოკი აქვს შემოხვეული. ოდნავი მოძრაობა და ჩამოხრჩობილია. თეთრი თეთრ ცხენზე ამხედრებული ნელ-ნელა შორდება. შავი ხან ეხვეწება, ხან იგინება.

სროლა. თოკი წყდება.

განძს უყოფს თეთრი შავს, განძს — ნახევარ სასაფლაოს, სამყაროს ცოდვილ სულებს, რომლებში ერთ-ერთი მეც ვარ.

დასასრული.

*P.S.* ერთხელ, ჩემს ძველ ნაცნობს, გიო მგელაძეს, სადგურის გადასასვლელ ხიდზე შევხვდი.

მოვიკითხეთ ერთმანეთი.

— რას შვრები, გიო? — ვკითხე.

— თეთრსა და წითელზე ვფიქრობ.

— ვა! — გავოცდი, — მე კიდევ თეთრზე, წითელსა და შავზე.

— სამწუხაროდ, შავი არა მაქვს, — მიპასუხა.

გიოს თუ სურვილი გაუჩნდება, შეუძლია გადაიღოს. სცენარის დახვეწაში შემწეობას ვთხოვ ამ საქმის დიდოსტატს, დათო ტურაშვილს.

**უცნობი ბერი**

# „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალემ"...

ხუთი წელიწადია, რაც მონასტერში ვცხოვრობ. ბოლო სამი წელიწადი, თითქმის ყველაფრისგან მოწყვეტილი ვარ. ერთადერთი, რაც გარე სამყაროსთან მაკავშირებს, „კვირის პალიტრაა".

რაციონიდან „კვირის პალიტრას" თუ ამოვიღებ, დაყუდებული ბერი გამოვდივარ, რისთვისაც ჯერ მზად არა ვარ. ჩვენს დროში დაყუდება ძალიან რთულია. ასე რომ, მონასტრის გარეთ არსებულ სამყაროს თქვენი თვალსაწიერიდან ვუყურებ. ძალიან მომწონს თქვენი ხედვა და გემოვნება. ყველაზე უფრო მომწონს სუფთა ქართული სული, რომელიც მონასტრის გადმოსახედიდან კარგად სჩანს.

მიმიღეთ რა, თქვენს გუნდში! ძირითად შემადგენლობაში თამაშს არ გთხოვთ. ხანდახან, როგორც სათადარიგოს, თუ შემიშვებთ მინდორზე. როგორც ბერი, გიქნები უშტატო და უსასყიდლო.

## მრუში დედაკაცი

(იოანე, 8, 3-11)

მაცხოვართან ფარისევლებს მიჰყავთ ჩასაქოლად განწირული ქალი.

ღრიანცელი, გინება და თვალები — მამაკაცის გაბოროტებული, ამღვრეული თვალები. ქვები...

შეშინებული, სიკვდილს თვალებში ჩახედული მემრუშე ქალი.

„ვინ უცოდველ-არს თქვენგანი, პირველად მან დაუტევენ ქვა მაგას ზედა".

მიდიან. ქალი მარტო რჩება უფალთან.

სიტუაციის საოცარი მეტამორფოზა. გაბოროტებული, ჩასისხლიანებული თვალების შემდეგ სულიწმიდით მადლმოსილი, თვით სიყვარულის სინათლით გამთბარი თვალები.

„არავინ განგიკითხა შენ?"

„არავინ, უფალო!"

„არცა მე განგიკითხავ შენ, წარვედ და ამიერითგან ნურღარა სცოდავ".

შესცოდავს კი?!

მეძავნო და მემრუშნო! შეხედეთ უფალ იესო ქრისტეს ამ ქალის თვალებით!

## ათი მცნება

ადამიანის ვნებების მამამთავარია ამპარტავნება. ამპარტავნებიდან იბადება განკითხვა. ამპარტავნება ეგოცენტრისტია — მთელ სამყაროს ვატრიალებ ჩემს გარშემო. მე ვარ აღმოსავალი, ათვლის წერტილი. სწორედ ეს არის ადამიანის დაცემული ბუნების არსი. ამ აზროვნებით დაეცა მთავარანგელოზი.

სინამდვილეში ვინ ვარ? უფალო, შემიწყალე!

არაფერი. მტვერი, ნაცარი. გული ფეთქავს ყველას და ყველაფრის განკითხვით.

დილით რომ ვიღვიძებ, ახალგაღვიძებული გონების ათვლის წერტილი განკითხვაა. ამაზე იგება მერე აზროვნების მთელი სისტემა. ამის გამოა ათივე მცნებას რომ ვარღვევ. ვარღვევ ყოველდღე, ყოველ საათში, ყოველ წუთში, ყოველ წამში. გული ფეთქავს, სისხლძარღვები სისხლს აწვდის ათი მცნების საწინააღმდეგოდ.

ვღალატობ უფალს ლოცვის დროს, ჭამის დროს, ძილის დროს...

რასაც გავიფიქრებ, უკვე რომელიღაც კერპის მსახური ვარ.

კვირადღე საუფლოა. კვირა კი არა! წუთიც არ არის ჩემში, უფალს რომ ეკუთვნოდეს! გული სულ კლავს ვიღაცას. სულ იპარავს რაღაცას. სულ მრუშობს...

ცოდვის მონა ვარ — ცილისმწამებელი...

ეხ! ფხიზელი კი არა! რომ მძინავს, მაშინაც შურიანი ვარ. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ სინანული არ გამაჩნია. გული გამომშრალია, როგორც უდაბნოში ნაგდები ქვა, რომელსაც ერთი წვეთი ცრემლი არ გააჩნია.

რა ლაკონიურია ახალი აღთქმისეული ათი მცნება...

და შენ, მკითხველო! შენც ჩემნაირი დაცემული ბუნების მატარებელი ხარ! შენც ჩემნაირი...

„გული წმიდაი დაჰბადე ჩემთან, ღმერთო. და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა" (ფს. 50,10).

შეინანეთ, ადამის შვილნო!

შეინანეთ, ადამიანებო! „რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა" (მთ. 4,17).

## მართა და მარიამი

(ლუკა, 10, 38-42)

უფალი იესო ქრისტე სტუმრადაა ბეთანიელი დების, მართა და მარიამის ოჯახში.

იესო ქადაგებს. მარიამი ზის „ფერხთა თანა იესოსთა", შეჰნატრის თვალებში და მის იქით არაფერი აინტერესებს.

მართა სამზარეულოში ფუსფუსებს: „არა იღვწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტო დამიტევა მე მსახურებად? არქუ მას, რათა შემეწეოდეს მე".

„მართა! მართა! ჰზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათვის..."

მართა და მარიამი. ქალის ორი განსხვავებული ხასიათი. მარიამი სულიერია, ნაზი, გულუბრყვილო, შემეცნებე. მართა ხორციელია, რეალისტი.

ახლაც, ტრაპეზს ამზადებს. ზრუნავს მრავლისათვის. მარიამი მდაბალია, მორჩილი. მართა ამაყი, დედაკაცის დამახასიათებელი თვისებით — „შფოთ ხარ".

„უფალო, არა იღვწი"... — მომაქციეთ ყურადღება, მე მარტო ვაკეთებ ყველაფერს. თქვენ კი მანდ ლაპარაკობთ. უფალს განიკითხავს, ჭკუას ასწავლის. და ეს ყველაფერი თავისი ქალურობით მოსდის და არა სხვა, რაიმე ცუდი განზრახვით.

ეხ, მართა! მართა!

## სასუფეველში შესული ავაზაკი

(ლუკა, 23, 39-43)

ჯვარცმა.

იესოსთან ერთად ჯვარს აცვამენ ორ ავაზაკს. ერთი ავაზაკი, რომელიც წარწყმდა და ჯოჯოხეთში შთაჰხდა, გმობდა მას:

„შენ თუ ხარ ქრისტე, იხსენ თავი შენი და ჩვენცა".

კეთილგონიერი ავაზაკი გაპრაზებული მიუგოდა:

„არცაღა გეშინის შენ ღმრთისა... და ჩვენ სამართლად ღირსი, რომელი ვჰქმენით, მოგვეგების, ხოლო ამან არა რა უჯერო ჰქმნა".

აუტანელი სიცხე. ხელებში და ფეხებში ლურსმნები. და განსჯა, მაინც შეუშლელი, კაცური. მთელი ცხოვრება ქურდობდა, მაგრამ იყო მასში მართალი, ვაჟკაცური. არსებობს აპოკრიფული გადმოცემა, რომ კეთილგონიერი ავაზაკი მაშინდელი იერუსალიმის დამნაშავეთა სამყაროს მაყურებელი იყო, დაახლოებით, იმის მსგავსი, ქუთაისში „განაბს" რომ ეძახიან.

„და ეტყოდა იესოს: მომიხსენე მე, უფალო! ოდეს მოჰხვიდე სუფევითა შენითა".

„ამინ გეტყვი შენ, დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა".

შემთხვევით არაფერი ხდება. სიკვდილის წინ მას მიეცა სინანული, რომელმაც სასუფეველში შეიყვანა.

ფარისეველნო! ორგულნო! ქურდები და მეძავები გიძღოდეთ თქვენ სასუფევლის გზაზე.

## „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალემ"...

ბრძოლის ველი — დრო-ჟამის ზღვარი...

— შეინანე, ლუციფერ!.. „ნათელი იგი ბნელსა შინა სჩანს" (იოან. 1,5).

ნათლის მთავარსარდალი, მებრძოლი ღვთისა, მიქაელი. ანგელოზთა ლაშქარი, იგივე ციური ძალნი, მათთვის ჩვეულ მწყობრად განლაგებულნი...

მეფე სიცრუისა, ჰაერის ბატონი, ბოროტი ანგელოზების ერთმმართველი ტირანი...

... და იყო ჟამი ბრძოლისა ცათა შინა, ხილული სამყაროს დასაბამამდე და ბოროტის გაჩენამდე.

ნათელი ქერუბიმი, ლუციფერად წოდებული, ამპარტავნებისგან დაცემული.

და სძლია ანგელოზთა სარდალმა მიქაელმა. განიდევნა ნათლის იერარქიიდან „გველი დასაბამისა" და გაიყოლა მოდასე უთვალავი ანგელოზი.

და აჰა! მიზანი — ადამის მოდგმის, ქვეყნის მაწყევრის დამარცხება. ციური და უცოდველი სხეულით შემოსვა. ქალაქი მართალთა — ახალი იერუსალიმი და სამუდამო ნეტარება.

— შეინანე, ლუციფერ! რამეთუ მოახლოვდა აღსასრული სიკვდილისა.

— „რაი არს ჭეშმარიტება?" (იოან. 18,38).

— სინანული.

შეინანა ნინევიამ.

ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა, ღმერთი ცოცხალთა და არა მკვდართა.

ადამი. ადამიანი, ხატად და მსგავსად ქმნილი. ქვეყნის მეუფედ დადგინებული. დამარცხებული და ან სატანისგან დამონებული. ცოდვილი, გარყვნილი, სისხლის მსმელი, მაგრამ „უფალო, შემიწყალეს" — თქმის შემძლებელი.

... და დადგა ჟამი მეორედ მოსვლისა, ჟამი ჯოჯოხეთის შემუსვრისა და ეშმაკთ ბატონის შეპყრობისა.

სამყარო გაირინდა, გაყუჩდა, უზარმაზარი ბრძოლის წინ, მიწამაც იგრძნო თვისი გარდაცვალების მოახლოება.

და „იქმნა დუმილი ცათა შინა, ვითარ ნახევარსა ჟამისასა" (გამოცხ. 8.1).

— შეინანე, ლუციფერ! — დაარღვია სამყაროს დუმილი მთავარანგელოზმა მიქაელმა.

— სჯობს სიკვდილი.

— სიკვდილი დაბადებაა.

„და იქმნა ბრძოლა ცათა შინა მიქაელ და ანგელოსნი მისნი ჰბრძოდეს ვეშაპს მას და ვეშაპნი და ანგელოსნი მისი ებრძოდეს მათ" (გამოცხ. 12,7).

სამყარო შეირყა, შეზანზარდა. მზე დაბნელდა, დაკარგა ძალა. ძალაუფლება დაკარგული სისხლისფერი გახდა და უსწრაფესად მიწისკენ გაქანდა.

... და დაირღვა ჰარმონია ქვეყანასა ზედა. ვარსკვლავებმაც მიჰბაძეს მზეს. ჯერ ერთმანეთს დაერივნენ, აიზილნენ, მერე, თითქოს პირი შეკრესო, ყველანი მიწისკენ გაქანდნენ.

...და დადგა ჟამი მეორედ მოსვლისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

დიდება შენდა უფალო, იესო ქრისტე, დიდება შენდა!

„ვსცოდე, უფალო, ვსცოდე ცად მიმართ, და არა ვარ ღირს ახილვად სიმაღლედ მიმართ დიდებისა შენისა". ყოვლად უღირსი მონაი შენი მომიხსენე, უფალო, ზეციურსა ქალაქსა — ახალსა იერუსალიმსა.

„ჰე, მოვედ, უფალო იესო" (გამოცხ. 22,19).



# ვის აქვს „არტ-იმედის“ იმედი?

„არტ-იმედის“ გამოჩენამ საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მუსიკალურ წრეებში.

პირველი მომღერალი, ვინც მასთან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მერაბ სეფაშვილი იყო. მისი კოლეგების და თაყვანისმცემლების ერთი ნაწილი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ყველასთვის უსაყვარლესმა მომღერალმა თავისუფლება დაკარგა, რომ მას ამ კომპანიის გარეშე, სიმღერა კი არა, ინტერვიუს და ავტოგრაფის მიცემაც აღარ შეუძლია. თავად მომღერალმა პირად საუბარში სიხარულით აღნიშნა, რომ ის და მისი კოლეგები დიდხანს ელოდნენ იმ დღეს, როცა მათი პრობლემებით ვინმე სერიოზულად დაინტერესდებოდა. „არტ-იმედი“ საკუთარ თავზე იღებს მომღერლების ყოველგვარ ფინანსურ თუ საორგანიზაციო მხარის მოგვარებას. მუსიკოსები მხოლოდ საკუთარი საქმის კეთებით დაკავდებიან და სპონსორების ძებნაში, სხვადასხვა ინსტანციაში სირბილსა და კონცერტების ორგანიზატორებთან პირობების გარკვევაში დროს უქმად არ დაკარგავენ. დღითი დღე იზრდება იმ მომღერალთა რიცხვი, რომელთაც „არტ-იმედთან“ დაკავშირების სურვილი აქვთ. სიტუაციის გასარკვევად კომპანიის ოფისს ვეწვიეთ, სადაც მერაბს და „არტ-იმედის“ მთავარ მენეჯერს ლანა ქუთათელაძეს გავესაუბრეთ.

**ლანა ქუთათელაძე:** — ეს არის კომპანია „მედია-ჰოლდინგი“, რომელიც მედიასთან დაკავშირებულ უამრავ პატარა კომპანიას აერთიანებს — ტელევიზიას, რადიოს, პრესას, საინფორმაციო და სარეკლამო სააგენტოებს და ასე შემდეგ... „მედია ჰოლდინგის“ ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია „არტ-იმედი“, რომელიც საქართველოში შოუბიზნესის განვითარებას ემსახურება. სულ ცოტა ხანია, რაც ჩვენი კომპანია შეიქმნა — ჯერ ჩამოყალიბების პროცესში ვართ... ორი თვის განმავლობაში ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს მომღერლებთან. უკვე 9 შემსრულებელთან თანამშრომლობაზე გავაფორმეთ ხელშეკრულება — პირველი, ვინც კონტრაქტს ხელი მოაწერა, იყო მერაბ სეფაშვილი, შემდეგ შემოგვიერთდნენ დათო გომართელი, ნუკრი კაპანაძე, ეკა მამალაძე, ქრისტინა იმედაძე, ნატო მეტონიძე, ეკა კვალიაშვილი, აჩიკო მეფარიძე და ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“. მიმდინარეობს მოლაპარაკება კიდევ რამდენიმე მომღერალთან. ვნახოთ, რა იქნება...

**მერაბ სეფაშვილი:** — გავიგე, რომ იქმნებოდა კომპანია, რომელიც ხელს შეუწყობდა შოუბიზნესის განვითარებას საქართველოში. ასეთი კომპანიის შექმნა ყველა მუსიკოსის დიდი ხნის ოცნება იყო. აღმოჩნდა, რომ ამ საქმეში სახელმწიფო უძლურია — დიდხანს ველოდით და ვერანაირი რეალური შედეგი ვერ დავინახეთ. „არტ-იმედმა“ საკმაოდ სერიოზული განაცხადი გააკეთა — შეგვპირდა, რომ ის ჩვენთან ააყვავებს შოუბიზნესს. შემდეგ გავეცანი პირობებს და ჩემთვის ამ ეტაპზე ყველაფერი მისაღები აღმოჩნდა. კონტრაქტს იდეალურს ვერ ვუწოდებ და ეს არც არის გასაკვირი — კომპანია მხოლოდ ახლა იწყებს საქმიანობას. მე ვალდებულად ჩავთვალე თავი, ამ ადამიანების გვერდით დავმდგარიყავი.

**ლანა ქუთათელაძე:** — მართალია, არსებობს რაღაც ჩარჩო, რომელიც ყველა კონტრაქტს საერთო აქვს, მაგრამ ამის მიღმა თითოეულ მომღერალთან ფორმდება ინდივიდუალური ხელშეკრულება, ყოველ მათგანში არის განსხვავებული დეტალები. მე უფრო მეტად ვერ დავკონკრეტდები, რადგან პირობები გასაიდუმლოებულია, ჩვენ არ გვაქვს უფლება, წინასწარ ვისაუბროთ იმ საქმიანობაზე, რომელსაც მხოლოდ ახლა ვიწყებთ.

**მერაბ სეფაშვილი:** — კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი იყო და ვერავინ ჩაერეოდა ჩემს საქმეში. სამწუხაროდ, ეს ჩვენი სენია — ყოველ ახალ წამოწყებას დასაწყისშივე ლანძღვა-გინებით ვხვდებით. მე მეყოლება მენეჯერი, რომელიც ყოველგვარ საორგანიზაციო თუ ფინანსურ საკითხს მომიგვარებს და ვთვლი, რომ ამ პრობლემებისგან თავისუფალი, უფრო მეტის გაკეთებას შევძლებ. „არტ-იმედში“ გაწევრება სულაც არ ნიშნავს დაკაბალებას. ვალდებულებები ყველას გვაქვს. არიან მომღერლები, რომლებსაც ამ კომპანიასთან არავითარი კავშირი არა აქვთ და ჰყავთ მენეჯერები. ისინიც ისეთივე ვალდებულნი არიან მათ წინაშე, როგორც ჩვენ „არტ-იმედის“ წინაშე... რამდენადაც ვიცი, ისინი საკუთარი მენეჯერების გარეშე ვერსად მიდიან, და ალბათ, აქაც რომ ძალიან მოინდომონ მოსვლა, მათ გარეშე ვერ მოვლენ. „არტ-იმედი“ თუ გაგვიმართლებს იმედებს, შეძლებს დააფინანსოს და შეასრულოს ის პროექტები, რაც უკვე გეგმაში აქვს, — ბედნიერი ვიქნები, თუ არა და, თავისუფლად შევძლებ აქედან წასვლას.

**ლანა ქუთათელაძე:** — სერიოზული არგუმენტაცია, თუ რატომ არის ცუდი „არტ-იმედის“ წევრობა, ვერ მოვისმინე, ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ მომღერლებს ეკრძალებათ ურთიერთობა თაყვანისმცემლებთან, ჟურნალისტებთან და ასე შემდეგ... ეს სიმართლესთან ახლოსაც არ დგას. აკრძალვასა და კონტროლს შორის დიდი განსხვავებაა. უბრალოდ, ეს პროცესები კონტროლირებადი გახდება, რათა არ მიეცეს სტიქიური სახე. რაც შეეხება მომავლის გეგმებს, თითოეული მომღერლისთვის უკვე შედგენილი გვაქვს სერიოზული პროექტი, მათ შორის კი, პირველია მაისის თვეში ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ გამგზავრება ესპანეთში, ისინი წავლენ ჩვენი ეგიდით, ჩვენი დაფინანსებით, მიჰყვება ჩვენი აღმასრულებელი დირექტორი და წარმატების იმედიც გვაქვს...

*ალნიშნულის შესახებ რამდენიმე კითხვით მივმართეთ პოპულარულ მომღერალს* **დათო ხუჯაძეს**

**— დათო, როგორც ცნობილია, თქვენ ერთ-ერთი ხართ იმ მომღერალთა შორის, რომელმაც კატეგორიული უარი განაცხადა „არტ-იმედთან“ კონტრაქტის გაფორმებაზე რა იყო თქვენთვის მიუღებელი „არტ-იმედის“ საკონტრაქტო პირობებში?**

— პირადად ჩემი, ჩემი მენეჯერის და იურისტის აზრით, საერთოდ მიუღებელია „არტ-იმედის“ საკონტრაქტო პირობები, რადგან, ვთვლი, რომ ეს პროექტი ხელსაყრელია მხოლოდ დამწყები მომღერლებისთვის. მე კი, დამეთანხმებით ალბათ, რომ დამწყები მომღერალი ნამდვილად არა ვარ, ეს კონტრაქტი ითვალისწინებდა ყველა იმ პირობას, რაც ვთქვათ, გააჩნია ჩემს მენეჯერს ნატო დუმბაძეს, რადგან მათ არაფერი სიახლე არ შემოუთავაზებიათ...

**— ნატო დუმბაძე რა როლს თამაშობს თქვენს ბიზნესში? რა ფუნქცია აკისრია მას?**

— ნატო დუმბაძე ჩემი პროდიუსერია და ჩვენი საკონტრაქტო პირობები საკმაოდ მაკმაყოფილებს, რამდენადაც ყველა პუნქტი ურთიერთშეთანხმებული გვაქვს და საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება ნებისმიერი პროექტის განხორციელებაც.

**— არის თუ არა „არტ-იმედის“ საკონტრაქტო პირობებში ისეთი პუნქტები, რომელიც შეზღუდავს ან გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცევს მომღერლის თავისუფლებას?**

— დიახ, გართმევენ მოქმედების არჩევანის თავისუფლებას. ვისაც ეს პირობები „აწყობს“, ხელიც იმან მოაწეროს „არტ-იმედთან“, მე კი აქამდეც ვიყავი პოპულარული და ახლაც ვარ. ასე რომ, „არტ-იმედი“ იქნება თუ არა, ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ახლაც რომ ვლაპარაკობ, მგონი ისე გამოდის, რომ რეკლამას ვუკეთებ მაგ „ზავედენიას“ თუ დაწესებულებას, ამიტომ გთხოვთ, რომ ამ თემაზე აღარ ვისაუბროთ.

**— და მაინც, როცა „არტ-იმედს“ შეხვდით მათივე ინიციატივით და საკონტრაქტო პირობებს გაეცანით, რა თანხები შემოგთავაზეს ჰონორარის სახით?**

— არანაირ თანხებზე არ ყოფილა საუბარი ჩემთან.

**— როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდი თანხები შესთავაზეს მომღერლებს, როგორც ამბობენ, თვეში 500-დან 5.000 დოლარამდე ხელფასის სახით.**

— მსგავსი არაფერი გამიგია, არაფერი ვიცი და მაგ თემას საერთოდ აღარ ვეხები. „არტ-იმედი“ არ მაინტერესებს.

*დავინტერესდით, რამდენად ერთნაირი პოზიცია აქვთ დათოს და მის პროდიუსერს* **ნატო დუმბაძეს**

**— ნატო, თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორც პროდიუსერი, თუ ეს პროექტი, დათოს ნათქვამის მიხედვით, მხოლოდ დამწყები მომღერლებისთვის არის უპრიანი, მერაბ სეფაშვილს, ეკა კვალიაშვილს, ეკა მამალაძეს რატომ უნდა მოეწერათ კონტრაქტზე ხელი?**

— ჩვენ ჩვენი აზრი გვაქვს და მათ კიდევ — თავისი. რატომ მოაწერა ეკა კვალიაშვილმა ხელი „არტ-იმედის“ კონტრაქტს, ამაზე პასუხს ჩვენ ვერ გაგცემთ. ალბათ, ეს მათი პრობლემაა. ჩვენ არ გვინდა „არტ-იმედზე“ საუბარი და გვირჩევნია, ვისაუბროთ იმაზე, რაც უშუალოდ დათოს ეხება.

**— თუნდაც რა, არჩევნებში მისი მონაწილეობის თემაზე?**

— დიახ. დათო ხუჯაძე საკრებულოს არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატია ქვანიას გუნდში.

**— ეს იდეა თქვენ, როგორც პროდიუსერს შეგითანხმათ?**

— რა თქმა უნდა. მე მომეწონა მისი აზრი და დავეთანხმდი.

*ეკა მახარაშვილი*
*ეკა ლომიძე*



# გვაჩვენეს ნუგზარ შარიას ფოტოსურათი და გვითხრეს, ეს კაცი ახლოს არ მიიკაროთო

**თამრიკო ჭოხონელიძეს**

მისი ნაცნობ-მეგობრები და ახლობლები იცნობენ არა მხოლოდ როგორც პროფესიონალ მომღერალს, არამედ როგორც საუკეთესო დედას, მეუღლეს, ქალს, დიასახლისს, მეგობარს და სხვა უამრავი ღირსებით დაჯილდოებულ პიროვნებას. თამრიკოსთან ერთი-ორი შეხვედრაც საკმარისია, მისი ღირსებების დასანახად. თუმცა ერთი ნაკლიც აქვს, რაც თითქმის მთელი საქართველოს პოლიციისთვისაა ცნობილი და რომლის გამოც, თამრიკო ჭოხონელიძის მეუღლე გია როინიშვილი თურმე არაერთხელ აღმოჩენილა უხერხულ მდგომარეობაში. ამის შესახებ ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**— თამრიკო, თქვენზე ერთმა ქალბატონმა მითხრა — თამრიკოს რომ ვუყურებ, ასე მგონია, გაიშალა უზარმაზარი გვირილა, საიდანაც პატარა გოგონამ ჭყიტა თვალები, საოცარი სიცილით ახედა ზეცას, მზეს და გადაწყვიტა, ყველასათვის სიხარული მიენიჭებინაო. დამეთანხმებით, პოეტურადაა ნათქვამი. როგორ დაიწყეთ ცხოვრება. მართლა „ყვავილებიდან გაჩნდით?“**

— ჩემთვის ცხოვრება თვალის ახელისთანავე დაიწყო — როდესაც გავაცნობიერე, რომ მყავდა თბილი მშობლები, ბებია-ბაბუა და უამრავი მოსიყვარულე თვალი. მათი წყალობით მეჩვენა ყველაფერი ლამაზი და ცხოვრებაც ხალისით დაიწყო.

**— როდიდან მღერით?**

— ძალიან ადრე, თითქმის წლინახევრის ასაკში, დედაჩემთან და მამაჩემთან ერთად მიმღერია სამ ხმაში „დავალ მუდამ მოხიბლული“. ამის ჩანაწერიც არსებობს. მერე სცენაზე გასვლამდე მშობლების დაბადების დღეებზე მათი მეგობრები მიკრავდნენ ტაშს, მამღერებდნენ, მეფერებოდნენ, მაფასებდნენ. „ორერა“ მღეროდა ერთ რუსულ სიმღერას „ტაპალია, ტაპალია“. იმასაც სიამოვნებით ვმღეროდი სამ ხმაში, ჯერ კიდევ ძალიან პატარა.

**— პირველად როდის შედგით სცენაზე ფეხი?**

— ოთხი წლის ვიყავი. საბავშვო ბაღში მოვიდნენ უცნობები, ოპერისათვის ბავშვს ეძებდნენ და ასე წამიყვანეს პუჩინის ოპერა „ჩიო-ჩიო-სანში“, ბიჭის როლის შესასრულებლად. შემღებეს, პარიკი გამიკეთეს, კიმონო ჩამაცვეს და დიდ სცენაზე პირველად შევდგი ფეხი როგორც „მსახიობმა“. არ ვმღეროდი, მხოლოდ „ვმსახიობობდი“ და ვისმენდი არაჩვეულებრივ მუსიკას არაჩვეულებრივი მომღერლების გვერდით. მაშინ ატლანტოვი იყო ჩამოსული გასტროლით და მე მქონდა ბედნიერება მასთან ერთად ვმდგარიყავი სცენაზე.

**— ოთხი წლის ასაკში რა ხდებოდა თქვენ ირგვლივ, ეს დღესაც ნათლად გახსოვთ?**

— თითქოს გუშინწინ იყო ეს ყველაფერი. სცენის, საგრიმიოროს სუნი მახსოვს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დამწვარი. ოპერაში მანამ „ვმოღვაწეობდი“, ვიდრე ისე არ გავიზარდე, რომ სპექტაკლში ძიძას გაუჭირდა ჩემი ხელში აყვანა. 5 წლის ვიყავი, როცა დედამ და ბაბუამ, ვალიკო კალანდაძემ, რომელიც სუხიშვილების ანსამბლის ერთ-ერთი პირველი მოცეკვავე იყო, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მიმიყვანეს ციცინო ციცქიშვილთან, ვოკალურ წრეში გასასინჯად. მე ძალიან სასაცილოდ ვმღეროდი სიმღერას სიყვარულზე. მახსოვს ქალბატონი ციცინოს და აკომპანიატორ ეთერ გოგატიშვილის რეაქცია. ჩემს სიმღერაზე სიცილისაგან იგუდებოდნენ. პროტესტის გრძნობა გამიჩნდა, რატომ იცინოდნენ, ვერ ვხვდებოდი. იმავე კვირაში გამომიყვანეს კონცერტზე. ეს ამბავიც არაჩვეულებრივად მახსოვს. მამაჩემის მამა, ჩემი დათიკო ბაბუა ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა მე გავჩნდი მისი პირველი შვილიშვილი ვიყავი, სცენაზე რომ გავედი ასეთი პატარა, ამით აღფრთოვანებული და ბედნიერი იყო.

**— ამიტომაც ესწრებოდა მთელ სამეგობროსთან ერთად „ჩიო-ჩიო-სანს“?**

— ჰო, სულ ანშლაგით მიდიოდა ყველა სპექტაკლი და ხალხს უკვირდა ასეთი განსაკუთრებული წარმატება. არ იცოდნენ, ბაბუის მთელი სამეგობრო რომ ესწრებოდა სპექტაკლებს. ბაბუაჩემი პირველ კონცერტზე, ბოლოდან მეორე რიგში იჯდა, მისი ღელვა და ღიმილი გუშინდელივით მახსოვს. სწორედ მისი წყალობით დამამახსოვრდა ის დღე. მაშინ დიდი „უზნეობაც“ ჩავიდინე. ვიტირე იმის გამო, რომ სამჯერ გამამეორებინეს სიმღერა, მეგონა, კარგად ვერ ვიმღერე, ამიტომ მამეორებინებენ-მეთქი და ავტირდი. თურმე პირიქით ყოფილა, მოეწონათ და იმიტომაც მამღერებდნენ.

**— ოპერაში „წესიერად“ იქცეოდით?**

— იქ უფრო დიდი „უზნეობა“ მაქვს ჩადენილი. დიდი მომღერალი ატლანტოვი იხსენებდა — მეგონა ყველა მე მიკრავდა ტაშს, რადგან ეს ჩემი გასტროლი იყო, მაგრამ მივიხედე გვერდზე და აღმოვაჩინე, რომ მთელი დარბაზი უყურებდა ამ პატარა გოგონას, რომელიც ვიღაცას დარბაზში ენას უყოფდაო. ჩემი მეზობელი ბიჭი დავინახე დარბაზში და იმას გამოვუყავი ენა. ახლა კარგად ვიქცევი, ყველას მადლობას ვუხდი აპლოდისმენტებისათვის.

**— ეი. გაიზარდეთ. ბავშვობა დატოვეთ და ახალი ცხოვრება დაიწყეთ?**

— არა, ბავშვი ისევ ცხოვრობს ჩემში და კარგადაც ვგრძნობ თავს. რამდენიმე წლის წინ ჩემს შვილებთან ერთად ტაქსიში ჩავჯექი. მძღოლი სომეხი იყო. გადამეკიდა, საიდანღაც მეცნობითო და ჩამომითვალა გვარები. ამათ ოჯახში ხომ არ შემხვედრიხართო. უცებ ჩემმა შვილებმა სასაცილო რაღაც წამოიძახეს და გულიანად გამეცინა. მძღოლმა მანქანა გააჩერა, მომიბრუნდა და მეუბნება — სიცილზე გიცანი. შენ თამრიკო ხარ. გაზრდილხარ, სიცილი კი ისევ ბავშვური შეგრჩენიაო.

**— ალბათ თქვენს შვილებთან ერთად დროს ხშირად ატარებთ და თავგადასავლებიც არ გაკლიათ.**

— შარშან ზაფხულს ჩემს პირველ კომპაქტ-დისკს ვწერდი და მოუცლელობის გამო ბავშვები დიდხანს ვერ გავიყვანე დასასვენებლად. ერთ დღესაც მითხრეს — დედიკო, ძალიან მოგვენატრე და მუშტაიდში წაგვიყვანეო. ვისხედით კარუსელებზე, „ეშმაკის“ ბორბალზე“, ნავებზე. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ტირში სროლა მოინდომა ჩემმა ბიჭმა. სიმართლე გითხრათ, ჩემს შვილებზე მეტად მე მინდოდა სროლა. ძალიან კარგად ვისვრი ტირის თოფით. აზარტში შესულს ტირის თანამშრომელი ახალგაზრდა კაცი დამაკვირდა, როგორც ჩანდა თვალებს არ უჯერებდა, რომ მის წინ მე ვიყავი. მითხრა — თამრიკო არა ხარ? გამეხუმრა, — სერიოზული ქალი მეგონე და შენ კიდევ ტირში ისვრიო? არასერიოზულობაა ტირში სროლა-მეთქი? უნდა შეგეჯიბრო, კარგად ისვრიო. დაიჯერებთ? ტირში ჩემთან შეჯიბრების მსურველთა რიგი დადგა. გარეთ გასულები თურმე ამბობდნენ — ტირში ვიღაც გოგოა, რომელიც ყველას უგებსო და რიგიც თანდათან იზრდებოდა. ყველა დავამარცხე. ასე რომ, მერე მივხვდი, მუშტაიდი უფრო ჩემთვის მომიწყვია იმ დღეს, ვიდრე ბავშვებისათვის.

**— თქვენი შვილების შესახებ რას გვეტყვით? რამდენად იჩენენ ხელოვნების მიმართ ინტერესს?**

— ყოველგვარი სუბიექტურობის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მარიამი კარგად მღერის, მაგრამ სიტყვა „კარგად მღერის“, ჩვენთან ძალიან გააუფასურეს. არსებობს კარგი სიმღერა და კარგად მღერა. მარიამმა სწორედ კარგად მღერა იცის და კარგი გემოვნებაც აქვს.

(გაგრძელება იხ. გვ. 22)

# ბევრი რამ მიწისძვრის შესახებ...

მ დღეს, როცა „კვირის პალიტრამ“ ერთი ჩვენი მკითხველის სიზმარი და გაფრთხილება გამოაქვეყნა გაზეთის გვერდზე, დიდი აჟიოტაჟი ატყდა — ხალხი სერიოზულად დაშინდა და გადასარჩენად თადარიგიც დაიჭირა. იმ დღეს, როცა მიწისძვრა იყო ნავარაუდები, თბილისელთა უმრავლესობამ ბინები დატოვა და გაშლილ ადგილებს მიაშურა...

საბედნიეროდ, მაშინ მიწისძვრა არ მოხდა!

25 აპრილის შემდეგ ბევრი მკითხველი გვირეკავს, ზოგი პირადად მოდის და გვეუბნება, — თქვენ რომ გვაფრთხილებდით, მაინც ახდაო.

ახლა, როცა ჩვენი რესპონდენტის ნაამბობს ვიხსენებთ, გაოცებას ვერ ვფარავთ, როგორი სიზუსტით აღწერა მან 25 აპრილის მიწისძვრა... სწორედ ის უბნები დაასახელა (მტკვრის მარცხენა სანაპიროზე), რომლებიც ყველაზე მეტად დაზიანდა ამ მიწისძვრისას. ადამიანთა მსხვერპლი დიდი არ იქნებაო, — გვითხრა; მადლობა ღმერთს, გამართლდა... (დიდ თანაგრძნობას ვუცხადებთ ჩვენი დაღუპული თანამოქალაქეების ახლობლებს). საჭიროდ არ მივიჩნიეთ ყველაფერი გამოგვექვეყნებინა, რაც მაშინ გვითხრა — არ გვინდოდა ხალხი დაგვეთრგუნა; თუმცა რაც დავბეჭდეთ, იმაზე რეაქციამაც მოლოდინს გადააჭარბა.

ამჯერად გთავაზობთ მაშინდელისგან სრულიად განსხვავებულ მასალას — მიწისძვრის შესახებ მეცნიერულად დადასტურებულ თვალსაზრისს.



მიწისძვრა მეხიკოში. 1985 წ.

მართალია, 25 აპრილის მიწისძვრას თბილისში, საბედნიეროდ, დიდი მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ მოსახლეობა გვარიანად შეშინდა და ამ შიშს, ცხადია, აქვს საფუძველი — მიწისძვრა ხომ ერთ-ერთი საშინელი და ამოუხსნელი სტიქიაა, რომელსაც კაცობრიობა, ჯერჯერობით, ბევრს ვერაფერს უპირისპირებს. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ვიცოდეთ მეტი რამ მიწისძვრების და მისი ბუნების შესახებ. გვესაუბრება გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმომეტრიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი **დავით კიტოვანი**.

— **რა არის მიწისძვრა?**

— ეს გახლავთ დედამიწის სიღრმეში სხვადასხვა გეოტექტონიკური პროცესების შედეგად დაგროვილი ენერგიის გამოთავისუფლების პროცესი. მიწისძვრები 3 ძირითად ტიპად განიყოფება — ტექტონიკური, ვულკანიზმთან დაკავშირებული და ე.წ. ტექნოგენური. ყველაზე უმთავრესი და დიდი კლასია — ტექტონიკური, რომელთა წილად მოდის მომხდარ მიწისძვრათა 99%. ამიტომ მის შესახებ ვისაუბროთ.

როგორც ცნობილია, დედამიწა სამი სიღრმული ჭრილისგან შედგება — დედამიწის ქერქი (რომლის სისქეც 60კმ-ია), მანტია და ბირთვი. თავად დედამიწის ქერქი არ გახლავთ ერთი მთლიანობა. იგი შედგება არაერთგვაროვანი ფილებისგან, რომლებიც ბირთვსა და მანტიაში განვითარებული გეოტექტონიკური პროცესების შედეგად მოძრაობენ: აწვებიან ერთმანეთს, ერთმანეთის მიმართ განიცდიან წელიწადში რამდენიმე სანტიმეტრიან დრეიფს, ზოგჯერ ხდება წანაცვლება. იქ, სადაც ერთმანეთს აწვებიან, წარმოიქმნება მთები. ასე წარმოიშვა მაგ. კავკასიონი, ალპები, ჰიმალაი და სხვა. ამ მოძრაობის შედეგად ფილები განიცდიან დეფორმაციას და ხდება ენერგიის დაგროვება. შემდეგ კი, როცა დაგროვილი ენერგიის რაოდენობა აღემატება ფილების შემადგენელი ქანების სიმტკიცეს, ხდება განტვირთვა, ენერგიის გამოთავისუფლება, რაც იწვევს დედამიწის ზედაპირზე მიწისძვრას.

— **მაგრამ თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს პროცესები მიმდინარეობს დედამიწის სიღრმეში. როგორ ხდება მისი ამოტანა დედამიწის ზედაპირზე?**

— ენერგიის ამოტანა ზედაპირზე ხდება სეისმური ტალღების მეშვეობით.

— **რას წარმოადგენს სეისმური ტალღები?**

— სეისმური ტალღები 2 ტიპისაა — მოცულობითი და ზედაპირული. მოცულობითი, თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად: P ტალღები (პირველადი) ანუ გრძივი ტალღები და S ტალღები (მეორადი).

ნებისმიერი დედამიწის ზედაპირიდან ახლო მიწისძვრის დროს, როგორც წესი, ჯერ შეიგრძნობა ვერტიკალური ბიძგი (P ტალღა) და შემდეგ გაცილებით უფრო ინტენსიური ჰორიზონტალური რყევა, გამოწვეული პირველ რიგში S და შემდეგ უკვე ზედაპირული ტალღებით.

— **სეისმოაქტივობის მიხედვით, როგორაა დაყოფილი ჩვენი პლანეტა და რამდენად სეისმოაქტიურ ზონაში იმყოფება საქართველო?**

— პლანეტარული მასშტაბით, მაქსიმალურად აქტიურ ზონად ითვლება ის ტერიტორიები, სადაც ზემოთ ნახსენები ფილები ერთმანეთს ეხებიან. ეს ადგილებია:

*წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და ფილიპინები — ყოველწლიურად მომხდარი მიწისძვრების 26,5%.*

*ცენტრალური აზია და თურქეთი (16%).*

*კურილის კუნძულები, კამჩატკა (6%).*

*ალასკა (4,5%) და ა.შ.*

გარდა ამ გლობალური მიწისძვრებისა, არსებობს ლოკალური, რეგიონალური მიწისძვრები, რომლებიც უფრო მცირე მასშტაბის რღვევებთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება კავკასიას, იგი სეისმური თვალსაზრისით ცენტრალურ აზია-თურქეთის რეგიონს მიეკუთვნება. კავკასია ზომიერად სეისმოაქტიური რეგიონია. ამიტომ აქ ყოველთვის იყო და იქნება მიწისძვრები, თუმცა — ზომიერი. ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად საქართველოში დაფიქსირებულია დამანგრეველი მიწისძვრები: 1089 წელს — კატასტროფული მიწისძვრა, რომელმაც თითქმის დაანგრია სამხრეთი საქართველო. მაშინ დაინგრა თმოგვი, გეგუთი და უამრავი სხვა ტერიტორია. როგორც მემატიანე მიუთითებს, ეს მიწისძვრა აღდგომა დღეს მომხდარა.

*1283 წ. — დამანგრეველი მიწისძვრა. დაინგრა თბილისი.*

*1318 წ. — მნიშვნელოვნად დაინგრა თბილისი.*

ცხადია, ამ მიწისძვრათა ეპიცენტრის განსაზღვრა მაშინ ვერ მოხდებოდა. მას შემდეგ, რაც XIX ს-ის ბოლოდან შესაძლებელი ხდება მიწისძვრების ექსპერიმენტული რეგისტრაცია, უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ ეპიცენტრზე, მაგნიტუდასა და ინტენსივობაზე.

— **საქართველოს რომელი მხარეა სეისმურად უფრო აქტიური?**

— სეისმური საშიშროების მიხედვით საქართველო შეიძლება დაიყოს 3 რეგიონად. ყველაზე სეისმოაქტიურია ჯავახეთის ზეგანი (იგი ვულკანური წარმოშობისაა და მის წიაღში მუდმივად რღვევებია), სადაც დაფიქსირებულია არაერთი 8-ბალიანი მიწისძვრა. კონკრეტულად ახალქალაქის — 1899 წ., ტაბაწყურის — 1940 წ., მადათაფის — 1959 წ., დმანისის — 1978 წ., იმავე რეგიონს შეიძლება დავუკავშიროთ გორის მიწისძვრა — 1920 წელს. ყველა ჩამოთვლილი მიწისძვრა 8-ბალიანი იყო.

სეისმოსაშიშროების თვალსაზრისით საქართველოში II ადგილზეა ყაზბეგის მიმდებარე რეგიონი, სადაც აგრეთვე დაფიქსირებულია ბარისახოს (1947წ.) და მთათუშეთის (1951წ.) 7-8-ბალიანი მიწისძვრები.

*საშიშროების თვალსაზრისით III რეგიონია — დასავლეთი საქართველო:*

*1930წ. — სამეგრელო-სვანეთის მიწისძვრა (7 ბალი);*

*1955წ. — ზემო სამეგრელოს (7 ბალი);*

*1957წ. — გეგეჭკორის (8 ბალი);*

*1958წ. — აჩიგვარის (7 ბალი);*

*1959წ. — აჭარა-გურიის (7 ბალი);*

*1963წ. — ჩხალთის (9 ბალი, მაგნიტუდა — 6,2);*

*1991წ. — რაჭის (9 ბალი, მაგნიტუდა 6).*

ჩვენ ჩამოვთვალეთ საქართველოში მომხდარი უძლიერესი მიწისძვრები. ნაკლები სიძლიერისა — უამრავი მომხდარა.

რაც შეეხება თბილისს და მის მიმდებარე ტერიტორიებს, იგი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემას. თბილისის დასავლეთით მდებარეობს ასპინძა-მანგლისის ქვეზონა, აღმოსავლეთით — სართიჭალის ქვეზონა. ამ ზონებს შორის საზღვრები — ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით — გადის ზედ თბილისზე. ეს რღვევა იჩენს ზომიერ სეისმურ აქტიურობას. ცნობილია 1969 წლის მიწისძვრათა გუნდი (გუნდი — როცა ერთი და იგივე ეპიცენტრალურ ზონაში ხდება რამდენიმე ათეული ან მეტი მიწისძვრა). ზუსტად იგივე რღვევას უკავშირდება წლევანდელი აპრილის მიწისძვრებიც. 1969 წლის მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა თბილისის სამხრეთით. წლევანდელისა კი — თბილისის აღმოსავლეთით. ე.ი. მოხდა ეპიცენტრების მიგრაცია.

— **რა მაქსიმალური სიმძლავრის მიწისძვრა შეიძლება მოხდეს ზოგადად?**

— თეორიულად შეიძლება მოხდეს ნებისმიერი მაგნიტუდის მქონე მიწისძვრა. თუმცა დღემდე დაფიქსირებული ყველაზე ძლიერი მიწისძვრა მოხდა იაპონიაში, ქ. სან-რიკიუში, 1933 წელს — 8,9 მაგნიტუდა (რიხტერის სკალა) და კოლუმბიაში — 1906 წელს, იმავე სიმძლავრის. ორივე მათგანს




ტექტონიკური ფილები

კატასტროფული შედეგები ჰქონდა. თეორიულად რომ დავუშვათ და მოხდეს 10 მაგნიტუდის მიწისძვრა, ეს იქნებოდა კატასტროფა არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ მთელი დედამიწისთვის. მაგრამ, საბედნიეროდ ასეთი მიწისძვრა მოსალოდნელი არ არის, რადგან ქანების სიმტკიცეს გააჩნია ზღვარი და ენერგიის გამოთავისუფლება ხდება მანამ, სანამ იგი გიგანტურ მასშტაბებს მიაღწევს.

რადგან მოსალოდნელი მიწისძვრების მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 9 ბალს, ამიტომ რიხტერის სკალა 9-ბალიანია. ეს გახლავთ ლოგარითმული სკალა და მასზე 1 ბალში განსხვავება 27-ჯერ მეტ გამოყოფილ ენერგიას ნიშნავს, რაც შეეხება მაგნიტუდას, იგი 12-ბალიანი სკალით განისაზღვრება და დამოკიდებულია მანძილზე ეპიცენტრიდან, მიწისძვრის კერის სიღრმეზე, კონკრეტული ნაგებობების კონსტრუქციასა და გეოლოგიურ პირობებზე.

— **ახლა ცოტა პროვოკაციულ შეკითხვას დაგისვამთ. რა შეიძლება აკავშირებდეს მიწისძვრასა და პოლიტიკას?**

— სტიქიური უბედურება და კერძოდ, მიწისძვრა შესაძლოა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა პოპულისტური მიზნებითაც გამოიყენოს. შემიძლია კონკრეტულად დავასახელო მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე, რომელიც აცხადებს, რომ აპრილის მიწისძვრა ხელოვნურად იყო გამოწვეული და მას რუსეთი მართავდა ეშერიდან. ეს აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. მსოფლიოში არ არსებობს იარაღი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მიწისძვრის გამოწვევა. თუკი ასეთი იარაღი იარსებებდა, მისი დამალვა და ჩუმად გამოყენება სრულიად წარმოუდგენელი აბსურდია. ამას მაშინვე დააფიქსირებდნენ სხვა ქვეყნები — ცხადია, განვითარებული ქვეყნები.

— **დავუბრუნდეთ ძირითად თემას. როგორ ხდება მიწისძვრების რეგისტრაცია და რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?**

— სამარცხვინო! ჯერ კიდევ 10 წლის წინ საქართველოში მოქმედებდა 40 სეისმური სადგური, სადაც ხდებოდა უწყვეტი სეისმური დაკვირვება. ეს სადგურები გაიძარცვა და განადგურდა. დღეს მხოლოდ 3-4 სეისმური სადგური მოქმედებს და ისინიც თითქმის ვერ მუშაობენ სხვადასხვა მიზეზის გამო — უხელფასობა, უშუქობა და სხვა. ამიტომ 25 აპრილის თბილისის მიწისძვრის განსაზღვრა მხოლოდ 2 სადგურის საშუალებით მოხდა. არადა, ეპიცენტრის დასადგენად, როგორც მინიმუმი, სამი სადგურის მონაცემებია საჭირო. ბოლოს, სომეხმა სპეციალისტებმა დაადგინეს ეპიცენტრი. მადლობა მათ.

— **მოსალოდნელია თუ არა 25 აპრილის სიმძლავრის მიწისძვრის გამეორება.**

— დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ 25 აპრილის ინტენსივობის მქონე მიწისძვრა ერთი 30 წელი აღარ გამეორდება. მაგრამ იქნება სუსტი ბიძგები ანუ ავთერშოკები, რომლის ინტენსივობაც ნელ-ნელა დაიკლებს.

— **რატომ არ არის მოსალოდნელი ძლიერი მიწისძვრა? რატომ უსწრებდა 25 აპრილის ძლიერ მიწისძვრას ნაკლები სიძლიერის მიწისძვრები და რატომ გრძელდება ბიძგები ახლაც?**

— ნებისმიერი მიწისძვრა — არის დაგროვილი ენერგიის გამოთავისუფლების სეისმური პროცესი. ეს გამოთავისუფლება შეიძლება მოხდეს ერთი მძლავრი ბიძგის ან შედარებით სუსტი ბიძგების სერიის მეშვეობით. მთავარი ბიძგის შემდგომი ბიძგები შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვის ან მთელი წლის მანძილზეც კი. ამაში საგანგაშო არაფერია.

— **ანუ ძლიერი მიწისძვრა ნაკლებად არის მოსალოდნელი?**

— 25 აპრილის მიწისძვრის წინ შეინიშნებოდა ცვლილებები მაგნიტურ ველში, რაც დააფიქსირა დუშეთის ობსერვატორიამ. აზერბაიჯანელი სპეციალისტების მონაცემებითაც, ცვლილებები შეინიშნებოდა წყლის შემადგენლობაში. დღეისათვის ყველა ეს პარამეტრი ნორმაშია, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ძლიერი მიწისძვრა აღარ განმეორდება.

— **ბ-ნო დავით, ბოლო შეკითხვასაც დაგისვამთ არამეცნიერული სფეროდან. ბევრი ადამიანი ამბობს, რომ ღმერთმა ჩვენი ცოდვებისათვის დაგვსაჯა და ეს მიწისძვრა ამიტომ მოგვივლინა. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ამ შეკითხვაზე ერთ ტაძარში, ერთი მოძღვრისაგან ამგვარი პასუხი მოვისმინე: ღმერთი კი არ გვსჯის, ჩვენ თავად ვცხოვრობთ უგნურად — სახლების მშენებლობისას ვიპარავთ საშენ მასალას, არ ვაგებთ მყარ ნაგებობებს, ვჩეხთ ტყეებს და ათას სხვა ცოდვას ჩავდივართ.

ამიტომ მიწისძვრით ღმერთი კი არ გვსჯის, ჩვენი სიხარბის, უგნურების და ცოდვების საპასუხოდ ვიღებთ ცნობილი გამოთქმის სინდრომს: იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ვსხედვართ.

— **გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის!**

***ესაუბრა მანანა ჯიქია***

## ანეკდოტი მიწისძვრის შემდეგ

ქრისტეს დაბადებიდან ოთხასი წლის შემდეგ კონსტანტინეპოლში დიდი მიწისძვრა მოხდა, რომელიც სახლებსა და ნაგებობებს არყევდა და ანადგურებდა. ამ მოვლენით შეშფოთებული მეფე თეოდოსი და ქალაქის მცხოვრებნი თვალებს ცისკენ აღაპყრობდნენ და ღმერთს შველას ევედრებოდნენ.

საერთო ლოცვის დროს ერთი ღვთისმოსავი ყრმა ყველას თვალწინ უხილავმა ძალამ ცად აიტაცა და შემდეგ უვნებლად დაუშვა დედამიწაზე.

დაბრუნებულმა მოუთხრო გარშემომყოფთ, თუ რა იხილა ცად აღვლენილმა და თუ რა სიტყვებით უგალობდნენ უფალს ანგელოზები: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო“.



ნანახით შეძრულმა და გულაჩუყებულმა ხალხმა მაშინვე გაიმეორა ეს ლოცვა და თავის მხრივ დაუმატა: „შეგვიწყალენ ჩვენ!“ მიწისძვრა მაშინვე დაცხრა.

მას შემდეგ ეს ლოცვა „ანგელოსთა საგალობლის“ სახელით არის ცნობილი და იგი იკითხება სამგზის — სამების სამპიროვნების სადიდებლად.

ღმერთში იგულისხმება წმიდა სამების პირველი პირი — მამა ღმერთი, ძლიერში — ძე ღმერთი, რადგანაც იგი ისეთივე ყოვლად ძლიერია, როგორც მამა ღმერთი, თუმც კი ადამიანური ბუნებით ევნო და იტანჯა კაცთათვის.

უკვდავში — სულიწმიდა, იმიტომ, რომ იგი არა მხოლოდ მარადიულია, ისევე, როგორც მამა და ძე, არამედ ყოველ სულიერს შთაბერავს სიცოცხლესა და უკვდავ სულს.

რადგან ამ ლოცვაში სიტყვა „წმიდა“ სამგზის მეორდება, მას სამწმიდაობითი ლოცვა ეწოდება.

**— როცა გათხოვილი ქალი კოპწიად გამოიყურება, ეს მის ქმარს „ბრალდება“. თქვენ რას იტყვით?**

— როცა ჩემს ქმარს შესაძლებლობა ჰქონდა, არაფერს იშურებდა ჩემთვის, არც სიურპრიზებს ივიწყებდა... თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ბედმა მოგვიწყო „სიურპრიზები“.

მე და ზურა თანაკლასელები ვიყავით. ერთმანეთი გვიყვარდა. სკოლის დამთავრებიდან ორი წლის თავზე გავიპარეთ. ჩემი მშობლები კარგა ხანს არ მირიგდებოდნენ. ზურამ იმდენი ქნა, მათი გული სამუდამოდ მოიგო. პირველი ბიჭი შეგვეძინა, გიორგი. ახალგაზრდები ვიყავით, გავლა-გამოვლა გვიყვარდა. მშობლები ხელს გვიწყობდნენ. მერე ქეთი შეგვეძინა. თითქოს ჩვენს ბედნიერებას აღარაფერი აკლდა, მაგრამ... ჩემი მშობლები ავარიაში დაიღუპნენ. თავზარი დამეცა. ზურა და მისი მშობლები რომ არა, ვერც გადავრჩებოდი. აბა, ამ თანადგომას როგორ დავივიწყებ? გიორგი მეორე კლასში იყო, როცა ზურამ „ბიზნესი“ წამოიწყო. სწორედ მასზე ითქმის: არა შეჯდა მწყერი ხესაო. ზურა ისტორიკოსი იყო. ერთი პერიოდი აბიტურიენტებსაც კი ამზადებდა და მისი შემოსავლით ვკმაყოფილდებოდით, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ეშმაკი რომ შეუჩნდება კაცს. ჩვენთვის ასეთი „ეშმაკი“ ნათესავი აღმოჩნდა. დღე და ღამე ჩასჩიჩინებდა: როდემდე უნდა იყო წიგნის ჭია, „ხალხში“ გამოდიო. თავისას მალე მიაღწია. ზურა „ხალხში“ გაიყვანა... ზურამ 5.000 დოლარი (პროცენტიანი ვალი) ისესხა და ნათესავის დაჟინებული რჩევით „დიდ საქმეში“ ჩადო. მათ ქართული ჩაი რუსეთში გასაყიდად წაიღეს იმ იმედით, რომ ორ კვირაში მოგებული თანხით უკან დაბრუნდებოდნენ. მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... ხელი მოეცარათ.

ნათესავმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და ლოგინში ჩაწვა. საწყალ ზურას მოუხდა აქეთ-იქით სირბილი, მაგრამ ვერაფერი გააწყო. იქაც ყველა ატყუებდა. დათქმული ორი კვირის ნაცვლად ექვსი თვის შემდეგ საშინლად გამხდარი, ნირწამხდარი და დაბეჩავებული ჩამოვიდა. როცა მევალეებმა ვალი მოგვთხოვეს, პირველად მაშინ ჩავარდა დეპრესიაში. ეს ის დრო იყო, როცა გვარდია და მხედრიონი თავიანთი „მოღვაწეობის“ ზენიტში იყვნენ...

ვალი 8.000-მდე ავიდა... ზურამ ვენები გადაიჭრა, ამ გზით აპირებდა ქვეყნიერებას გასცლოდა და ჩვენი ვაი-უბედურებისთვის აღარ ეყურებინა... ცოტა ხანში მევალეებმა „შავები“ გამოგვიგზავნეს, რომლებმაც წყნარად, მაგრამ კატეგორიულად „აუხსნეს“ ჩემს ქმარს: ძმაო, მისაცემი უნდა მისცე. „სროკს“ ერთ კვირას გაძლევთ, თუ არადა, ყოველ გადაცილებულ დღეზე 1.000 დოლარს დაამატებო. კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ ზურას რომ შევხედე, მივხვდი, ცოცხლებში აღარ ეწერა და გადავწყვიტე, ბინა გამეყიდა. მაკლერებში მშრალ ხიდთან მთელი დღე დგომისაგან ისეთი დაღლილ-დაქანცული ვბრუნდებოდი შინ, რომ აღარაფრის თავი აღარ მქონდა. ზურა მკითხავდა: სიგარეტი მომიტანე? მე თავს ვუქნევდი და ვაძლევდი. ამით მთავრდებოდა ჩვენი „საუბარი“. არ აინტერესებდა, როგორ ვშოულობდი სიგარეტის, თუ პურის ფულს.

**— მართლაც, როგორ შოულობდით?**

— დედაჩემის თუ დედამთილის ნაჩუქარ ოქრო-ვერცხლს ვყიდდი. ერთი ბეჭდის ფული 7-8 დღე გვყოფნიდა.

**— მალე გაყიდეთ ბინა?**

— სამწუხაროდ, ვერა. „შავებისგან“ დათქმულ დროს საკმაოდ გადავაცილეთ. სამი კვირის მერე კვლავ მოგვაკითხეს... ამჯერად სხვაგან წაიყვანეს ზურა. ცუდი დრო იყო, კაცის მოკვლა არაფრად მიაჩნდათ. სანამ დაბრუნდებოდა, ერთი სიკვდილი გავათავე. მოვიდა და ამოღერღა: კიდევ ხუთი დღე დამიმატესო და საწოლზე დავარდა. კვლავ ნერვული შეტევა დაეწყო. ექიმებმა დაგვარიგეს, — სიმშვიდე სჭირდება, ოთახი ჩამოუბნელეთ, კარგი იქნება, თუ ბევრს იძინებსო... მივხვდი, რომ ვიღუპებოდი. რაღაც უნდა მეღონა. საზაფხულო ციებ-ცხელება იწყებოდა აბიტურიენტებისთვის. ჩემი მეგობარი მიმღები კომისიის წევრი იყო. მეზობლის შვილი აბარებდა უნივერსიტეტში და შევთავაზე დახმარება... გაეხარდა, დამპირდა — პატივისცემა ჩემზე იყოსო. მეგობარს დავუკავშირდი და ვუთხარი: ჩემი სული შენს ხელშია-მეთქი. დამაიმედა, მივხვდავო. მართლაც, ინგლისურ ენაში უმაღლესი შეფასება მიიღო მეზობლის შვილმა. „სპეციალობა“ რადგან წარმატებით ჩააბარა, სხვა გამოცდებზეც იოლად მიიღო კარგი შეფასებები და იმ წელს ჩაირიცხა. მეზობელმა 300 დოლარი მაჩუქა და მითხრა: ყველაზე მეტად ინგლისურის გვეშინოდა. ეს ფული გინდა შენ მოიხმარე, გინდა იმ შენს მეგობარს უწილადეო. ჩემმა მეგობარმა კი ქოქოლა მომაყარა, — თავადვე მოიხმარეო... ვალის გადახდის დღე ახლოვდებოდა. მაკლერებისგან 40.000 დოლარად შეფასებული ჩვენი 4-ოთახიანი ბინა არა და არ იყიდებოდა. ორი დღით ადრე ერთი კლიენტი მოვიდა. დიდხანს იარა, ყველაფერი დაათვალიერა, მოეწონა, მაგრამ ასეთი რამ მითხრა: 28.000 დოლარის მეტი არა მაქვს და თუ თანახმა ხართ, დღესვე დაგიტოვებთ ნაწილსო. ეტყობა, მაკლერმა გააგებინა ჩვენი ამბავი. უარი ვუთხარი... კვლავ გადავაცილეთ დათქმულ დროს, მაგრამ არავინ ჩანდა არც კარებთან, არ ტელეფონით გვირეკავდა ვინმე.



ერთ საღამოს, როცა ფეხები ძლივს მივიტანე სახლში, კარი ღია დამიხვდა. მეზობლები ჩვენთან იყვნენ შეკრებილები. ელდა მეცა. ჩემი დედამთილი გულწასული ესვენა, მამამთილი ცრემლს ვერ იკავებდა, ზურა მაგიდაზე თავდამხობილი იჯდა. მე რომ დამინახეს, ერთი ამბავი ატყდა. გიორგი გახანგრძლივებულიდან ჩემს დედამთილს 4 საათზე მოჰყავდა. იმ დღესაც ჩვეულებრივ მიაკითხა. მასწავლებელს უთქვამს, — გაკვეთილების მერე აღარ შემოსულა, ალბათ შინ წავიდაო. შინაც რომ არ დახვდა, მიხვდნენ, ვისი ხელიც ერია ამ საქმეში... ის ღამე თეთრად გავათენეთ. დილით ტელეფონმა დარეკა და უცნობმა ხმამ გვამცნო: სანამ ოცი ათას დოლარს არ მოგვიტანთ, ბავშვს არ გაღირსებთო.

**— სამართალდამცავებს რატომ არ გააგებინეთ, რატომ ვინმე არ ჩარიეთ ამ საქმეში?**

— ჯერ ერთი, დაგვემუქრნენ, თუ ვინმეს გააგებინებთ, ბავშვს მოგიკლავთო, მეორეც, არავის იმედი არ გვქონდა. ისევ მე გამინათდა გონება. უცებ მოვძებნე იმ მაკლერის ტელეფონის ნომერი, რომელმაც კლიენტი გამომიგზავნა ორი დღის წინ... მართლაც არ გასულა ერთი საათი და კლიენტმა დამირეკა. შევთანხმდით 28 ათას დოლარზე. იმ საღამოსვე მომიტანა მთლიანი თანხა. „შავებს“ მე თვითონ ჩავუთვალე ფული ხელში. ცოტა ხნის მერე ბავშვი მომიყვანეს. როგორც კი გიორგი დავინახე, ჩავიხუტე და მუხლები მომეკვეთა. გარეთ გამოვედით. ვტიროდი უხმოდ, ვერაფრით ვიჩერებდი ცრემლებს. გიორგი მეფერებოდა და ისიც ტიროდა. მერე ვიღაც მადლიანმა წამომაყენა (აღარც მახსოვდა, რომ მუხლებზე დაჩოქილი ვიყავი), და ბინის მისამართი მკითხა. ხმას ველარ ვიღებდი. ბავშვმა უპასუხა. ტაქსით გამომისტუმრა შინ... მახსოვს, ზურა მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა, მაგრამ მაშინ მისი დანახვა არ შემეძლო. უხეშად მოვიცილე. ალბათ ესეც და ყველაფერი, რაც ბოლო დროს თავს დაგვატყდა, გახდა მისი მეორე საბედისწერო ნაბიჯის მიზეზი. რამდენიმე დღის შემდეგ მტკვარში გადახტა. მაშინაც ბედმა გადმოხედა და ვიღაც ღვთისნიერმა გადაარჩინა... მახსოვს, ამ ორი წლის წინ თქვენს გაზეთში წავიკითხე ერთი კაცის აღსარება, რომელსაც სურდა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე. ასე მეგონა, ჩემი ქმარი ლაპარაკობდა იმ რესპონდენტის პირით. ის კი არა, ვკითხე კიდეც ზურას, — შენ ხომ არ ესაუბრე ჟურნალისტს-მეთქი. არაო, — იუარა, — ხომ გამოვედი მდგომარეობიდან და თავს ხომ არ მოვიჭრიდი საქვეყნოდო?

**— ახლა, თქვენ რომ მაძლევთ ინტერვიუს, არ ეწყინება მეუღლეს „საქვეყნოდ“ გამოჭენება?**

— ჯერ ერთი, ის ახლა გერმანიაშია, მეორეც, როცა ჩამოვა, მე თვითონ წავაკითხებ ამ წერილს. ჩვენ არასოდეს აღარ გაგვიხსენებია წარსული. ახლა კი, როცა ფეხზე დავდექით, მინდა იცოდეს, რა გადავიტანე. ეგეც რომ არ იყოს, ქალებს ვურჩევ: ქმრებს გაუფრთხილდნენ (რა თქმა უნდა, თუკი უყვართ და ოჯახის შენარჩუნება სურთ), რადგან ნათლად დავინახეთ, რომ მამაკაცები ნაკლებად ეგუებიან რთულ სიტუაციებს და თავსაც ვერ ართმევენ პრობლემებს. ბევრმა ჩემმა ნაცნობმა მამაკაცმა მიიღო ინფარქტი ან თავი მოიკლა...

**— შემდეგ რა მოხდა?**

— დარჩენილი თანხით ბინა დავიგირავეთ. შარშანწინ კი ჩვენი ნათესავი ოჯახით წავიდა საბერძნეთში სამუშაოდ და თავისი ბინა დაგვითმო. მე ინგლისურში ვამეცადინებ ბავშვებს და ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში საზღვარგარეთის ისტორიის კურსს ვკითხულობ. ზურას კი მანქანები ჩამოჰყავს გერმანიიდან... სული მოვითქვით და სიმშვიდეც დავიბრუნეთ. ალბათ მალე ახალ ბინაშიც გადავალთ.

**— გილოცავთ! კიდევ რას გვეტყვით?**

— არ შეიძლება ღვთით ბოძებულ სიცოცხლეს „გავეთამაშოთ“. ღმერთი გამოცდას გვიწყობს. ეს გამოცდა მტკიცე და ნებისყოფიანმა ადამიანმა კარგად უნდა ჩააბაროს. ის, რაც თავს გადაგვხდა, მწარე გამოცდა იყო. მართალია, ძნელად გადავიტანეთ, მაგრამ სამაგიეროდ, სირთულეებთან ბრძოლა გვასწავლა, ადამიანები უკეთ გაგვაცნო და, რაც მთავარია, რწმენა და იმედი ჩაგვინერგა, რომ დალმართს უსათუოდ აღმართი მოჰყვება.

***მარინე ბაბუნაშვილი***

ჭორფლს ვერასოდეს მოვიცილებთ. ეს არც არის საჭირო, რადგან ის სახეს მიმზიდველსაც კი ხდის. აბა, დააკვირდით ძალიან ბევრ თოფ-მოდელს, სახეც დაწინწკლული აქვთ, მთელ სხეულზეც ჭორფლი აყრიათ და მათ ეს არ ადარდებთ.



თუ არ გსიამოვნებთ ჭორფლი, შეგიძლიათ გაიფერმკრთალოთ. ამისთვის საჭიროა ხშირად მიირთვათ ფორთოხალი, კივი ან შტოში, რადგან ისინი შეიცავენ C ვიტამინს (შეიძლება C ვიტამინის აბების მიღებაც), რომელიც ამ ფერად წინწკლებს აუჩინარებს.

კარგია კიტრის, ოხრახუშის, ლიმონის წვენი და კვერცხის ცილაში ათქვეფილი 1%-იანი სუფრის ძმარი. როგორც ვიცით, წყალბადის ზეჟანგი აუფერულებს თმას, მაგრამ თუ მის სუსტ, 3%-იან ხსნარს შევურევთ ლიმონის წვენს (1:1) და გაიწმენდთ სახეს, ჭორფლიც გაღიავდება. მაგრამ, გახსოვდეთ, ამ ხსნარის ხშირად გამოყენებამ შეიძლება სახის კანი გამოგიშროთ, ამიტომ, დაიცავით ზომიერება.

# მსოფლიოს ქალები სარკის წინ



**ყოველთვის თვალს იტაცებს ქალის სრიალა, გარუჯული კანი, მბზინავი თმა, ჯანმრთელი სახის ფერი. როგორ მივაღწიოთ ამას? სხვადასხვა ქვეყნის ქალების საიდუმლო დაგეხმარებათ კიდევ უფრო გალამაზებაში.**

**საბერძნეთი.** პილინგის გასაკეთებლად საკმარისია გახვიდეთ პლაჟზე, — გვირჩევენ ბერძენი ქალები, — წაისვით სხეულზე ცხიმი და მსუბუქად დაიზილეთ ჩვეულებრივი სილით — შედეგი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს.

**იაპონია.** იაპონელები კერძის მოსამზადებლად ხშირად იყენებენ ზღვის მცენარეებს, ბრინჯსა და სოიას ყლორტებს. სწორედ ეს უწყობს ხელს იაპონელ ქალებს შეინარჩუნონ კარგი კანი და მბზინვარე თმა.

**ინგლისი.** ჩაის მოყვარული ინგლისელები გვირჩევენ, არ გადავაგდოთ ნახმარი ჩაის პაკეტი, შევინახოთ მაცივარში და როგორც კი თვალების დაღლილობას ვიგრძნობთ, რამდენიმე წუთით დავიდოთ ქუთუთოებზე. ტკივილიც და დაღლილობაც გაქრება.

**ესპანეთი.** ზეითუნის ზეთი არა მარტო ესპანელების საყვარელი პროდუქტია, არამედ სილამაზის რეცეპტების უცვლელი შემადგენელი ნაწილი. აი, ერთი მათგანი: მანიკიურის გაკეთების წინ თითები შემთბარ ზეითუნის ზეთში გააჩერეთ, შეგიძლიათ ცოტა ლიმონის წვენი ჩააწვეთოთ. კანი ფრჩხილების გარშემო დარბილდება, ხოლო მანიკიური უმტკივნეულო გახდება.

**არგენტინა.** არგენტინელ ქალს როგორც კი სახის კრემი გაუთავდება, მაშინვე არაჟანზე გადადის. არაჟანი კარგად უნდა ათქვიფოთ და ისე წაისვათ სახეზე.

**იტალია.** წამწამებზე წასმული ზეითუნის ზეთი წამწამებს აგრძელებს. სალბი კბილებს ათეთრებს, ლიმონის წვენი თმას აუფერულებს.

**ჩინეთი.** ორი უძველესი ჩინური საიდუმლო: საკვებში დანაყილი ნუში გამოიყენეთ და ნაოჭები აღარ გაგიჩნდებათ. ნივრის სამ თავს და ნახევარ ლიმონს დაასხით 150 მლ ბრინჯის ღვინო, გააჩერეთ 6 თვე, სხეულის მშვენიერ ტონაკს მიიღებთ.



ევროპელებს ყოველთვის აკვირვებდნენ აფრიკელი ქალები — ქალი, რომელსაც თავზე უზარმაზარი, 30-კილოგრამიანი ფუთა აქვს შემოდებული, გვერდით ხელჩაკიდებული ორი ბავშვი მოჰყვება და შეიძლება, ზურგზეც ერთი ჰყავს მოკიდებული, ისე მსუბუქად და წელგამართული მოაბიჯებს, გეგონება, მთელი სიცოცხლე საბალეტო სცენაზე გაატარაო.

რა არის მათი გამძლეობის საიდუმლო?

აფრიკელი ქალები ამტკიცებენ, რომ ეს მრავალსაუკუნოვანი ჩვევის შედეგია, ისინი ბავშვობიდან ეჩვევიან ტვირთის თავით ტარებას (თანაც დიდ მანძილზე) და დაღლილობასაც ვერ გრძნობენ.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს ეს ფენომენი და დაადგინეს, რომ ამის მიზეზია სიარულის მანერა, რომელიც აფრიკელ ქალებს დროთა განმავლობაში თავისდა უნებურად გამოუმუშავდათ. ისინი ტვირთიანად ოდნავ წინდახრილი დადიან, რაც ტვირთის წონას ამსუბუქებს.

# სალათი „ციციკაკა“

**6 ულუფისთვის საჭიროა: 6 კვერცხი, 2 ქილა სიმინდის მარცვალი, 1 ქილა ანანასი, 3 ძირი ქორფა ხახვი, 500 გ პომიდორი, 2 ნაჭერი ლორი, 200 გ მაიონეზი, შავი პილპილი, კამა.**

მოხარშეთ კვერცხი. სიმინდი და ანანასი გაწურეთ თუშფალანგზე, წვრილად დაჭერით ანანასი და ხახვი, მოწალეთ ოდნავ მარილიან ცოტა წყალში, დაკეპეთ პომიდორი, კვერცხი, ლორი დაჭერით გრძლად. თითოეული პროდუქტი ფენა-ფენა ჩაყარეთ გამჭვირვალე ჭურჭელში, მოასხით მაიონეზი, მოაყარეთ მარილი და შავი პილპილი, ერთი დღე-ღამით შედგით მაცივარში. სუფრაზე გატანის წინ მოაყარეთ დაკეპილი კამა.





— რატომ არ სჯერა ბევრს ქალების ფეხბურთის?

— აბა, სად იპოვით თერთმეტ მანდილოსანს, ვინც დათანხმდება საზოგადოების წინაშე წარდგეს ერთნაირი ტანსაცმლით.

# (მარიკა ჭიჭინაძე ახალ როლებში შედის)

მსახიობის ცხოვრებაში ადრე თუ გვიან დგება ხოლმე მომენტი, როცა გადაწყვეტს სცენიდან წასვლას. ზოგი ამას ძალიან განიცდის, ზოგი ნაკლებად. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, დიდი ხნის შემოქმედებითი პაუზისა და ფიქრის შემდეგ, რუსთაველის თეატრის დატოვება გადაწყვიტა მსახიობმა მარიკა ჭიჭინაძემაც. დაწერა განცხადება და ასე „ხელდამშვენებული“ გამოცხადდა დასის ხელმძღვანელთან, ბატონ რეზო ჩხაიძესთან. თეატრში კი მსახიობს სიურპრიზი ელოდა — ზედიზედ ორი როლი — „სველ იასამანში“ — ნია (ამ სპექტაკლში მარიკამ ლელა ალიბეგაშვილი შეცვალა) და „ჰამლეტში“ ჰერტრუდა (ამ სპექტაკლში კი ნინო კასრაძის მაგივრად გავიდა სცენაზე). დიდხანს არწმუნებდნენ ბატონი რეზო და კოლეგები როლებზე დათანხმებულიყო. განცხადება დახიეს და დაიწყო პერსონაჟების შექმნის მღელვარე პერიოდი. სულ მალე პრემიერის დღეც დადგა. უნდა გენახათ, როგორ გულშემატკივრობდა მარიკას მთელი თეატრი. თვითონაც ასეთია — თბილი, ყურადღებიანი და ემოციური. სპექტაკლის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში არ უშვებს ხოლმე სცენიდან მაყურებელი მონატრებულ მსახიობს... ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა გულშემატკივრები და კოლეგები უმტკიცებენ არტისტს, რომ ის სჭირდება თეატრს, და არა პირიქით...

— ძალიან ვნერვიულობდი. „სველ იასამანზე“, თუ გახსოვთ, ჩემი პერსონაჟი დაფრინავს. მე სიმაღლის შიში მაქვს და მიჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა. არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა. მაგრამ როლი იმდენად დიდ ემოციას იწვევდა ჩემში, ამასთან შედარებით ფრენა სასაცილოდ მომეჩვენა...

**— ძალიან ძნელია სპექტაკლში შესვლა. მაყურებელს ამ როლში სხვა მსახიობი ჰყავს ნანახი, უნდა მოახერხო შენეული, მისგან განსხვავებული სახის შექმნა...**

— ეს ყველაფერი ძალიან რთულია. მინდა აღვნიშნო, რომ ფეხმძიმე ნინო კასრაძე ერთი წამითაც კი არ მომშორებია გვერდიდან. საოცარი პროფესიონალია. ძალიან უყვარს თეატრი — არა თავისი თავი თეატრში, არამედ, თეატრი ზოგადად. გამუდმებით მიხსნიდა, რა როგორ უნდა მეკეთებინა და მთელი არსებით გულწრფელად მგულშემატკივრობდა. მისმა კეთილშობილებამ გამაოგნა და ბოლოს დავასკვენი — ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ მე და ნინო დავმეგობრებულიყავით. პრემიერაზე ისე ვღელავდი, არაფრის თავი არ მქონდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ტანსაცმელსაც თვითონ მაცმევდა, საყურეებსაც თვითონ მიკეთებდა... აღფრთოვანებული ვარ... თურმე, ასეთი რამ თეატრშიც შეიძლება მოხდეს.

**— მარიკა, პირველ როლს როგორ იხსენებთ?**

— თავიდანვე დამებედა სპექტაკლში შესვლა. მაშინ რუსთაველის თეატრის რეპერტუარში იყო ასეთი სპექტაკლი „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“. მახსოვს, მარინა კახიანი იყო ფეხმძიმედ და მე შევცვალე... ამ სპექტაკლის მეორე რეჟისორი ქალბატონი ბელა მირიანაშვილი გახლდათ. ძალიან ლამაზად მახსოვს მასთან ურთიერთობის დღეები... შემდეგ, როცა მარინა ჯანაშია წავიდა თეატრიდან, მის როლშიც მე შევედი... ასე რომ, ეს პროცესი ჩემთვის უცხო არ არის.

**— კარგად მახსოვს სპექტაკლი „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდით. მაშინ თქვენს გმირს ბევრი ჰბაძავდა...**

— მეც კარგად მახსოვს. ჯერ ერთი, ძალიან პატარა ვიყავი მაშინ, მეორეც — მაყურებელსაც უყვარდა ეს სპექტაკლი. სხვათა შორის, „შეშლილი, შეშლილი ახალი წელიც“ ბატონმა რეზო ჩხაიძემ დადგა...

**— ძალიან მიკვირს, ასეთმა ახალგაზრდამ როგორ გადაწყვიტეთ თეატრის დატოვება...**

— მე ვარ ქალბატონ ლილი იოსელიანის სტუდენტი. ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი. ერთხელ სტუდენტობის დროსაც გადავწყვიტე თეატრის მიტოვება — გამოვაცხადე ფსიქოლოგიურზე ვაბარებ-მეთქი და წავედი. მერე, მოდიოდნენ კურსელები და მეხვეწებოდნენ, დავბრუნებულიყავი. ქალბატონმა ლილიმაც ასე იცოდა — რაღაცაზე რომ გაბრაზდებოდა, მიატოვებდა ყველაფერს და მიდიოდა. მერე ჩვენ, მისი სტუდენტები მივადგებოდით ხოლმე სახლში და დიდხანს ვეხვეწებოდით დაბრუნებულიყო. ერთხელ მამაჩემმა უთხრა: ქალბატონო ლილი, მარიკამ ეს წასვლაც თქვენგან ისწავლაო... სხვათა შორის, ახლახან იყო ქალბატონი ლილის იუბილე. მივედით, მისმა ყოფილმა სტუდენტებმაც მივულოცეთ. ამ საღამოზე მხოლოდ მისი ახლობელი ადამიანები შეიკრიბნენ. თვითონ ისევ ისეთია, როგორიც წლების წინ. სულ მეტირებოდა, ის დრო რომ მახსენდებოდა. ყველაზე კარგი წლები ბავშვობისა და სტუდენტობის წლები ყოფილა.

**— თქვენი მეუღლე როგორ აფასებს ხოლმე თქვენს ნამუშევრებს?**



— გოგაც (ხაინდრავა) ისე ღელავს ხოლმე, როგორც მე. „სველ იასამანზე“ ისე ვინერვიულეთ... რომ გაიგო „ჰამლეტშიც“ მე უნდა შევსულიყავი, გაგიჟდა. გეყოფა ძალა და ენერგიაო? — მეკითხებოდა... სულ მამხნევებდა და გვერდით მედგა.

**— როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

— მე და გოგა ერთმანეთს პირველად კინოს სახლში, თემურ ბაბლუანის ფილმის პრემიერაზე შევხვდით. ჩემს მეგობარს სთხოვა გამაცანიო. მე თავიდან რეაქცია არ მქონდა. უცებ, გაუცნობიერებლად, თითქოს რაღაც შინაგანმა ხმამ მითხრა — „ეს იქნება შენი ქმარი“ და... ამით იმ დღეს დამთავრდა ყველაფერი... გავიდა დრო... გოგა თურმე მეძებდა, რატომღაც სხვა სახელით და გვარით და რატომღაც ეგონა, რომ ჟურნალისტი ვიყავი. ერთ დღეს ქუჩაში შევხვდით ერთმანეთს. მკითხა, სად მუშაობო. ვუპასუხე — რუსთაველის თეატრის მსახიობი ვარ-მეთქი. გაუკვირდა, ვიფიქრე, რომ ასეთი მძაფრი რეაქცია ჰქონდა საერთოდ მსახიობებზე. მერე სტუდიაში დამიბარა — ფოტო უნდა გადაგიღოო... ის ფოტო დღემდე არ არსებობს... მერე ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა — ჩვენ შევუღლდით, მალე ლევანიც გაჩნდა.

**— ძალიან ტკივილიანი წლები გაიარეთ ერთად — გოგას დაჭერა, მერე აფხაზეთი...**

— უმძიმესი პერიოდი იყო. მაშინ „ირინეს ბედნიერებაზე“ ვმუშაობდი. ვერ შევძელი, წამოვედი სპექტაკლიდან... არც მინდა ხოლმე გახსენება... დავდიოდი ციხეში... განვიცდიდი... ჩვენს ცხოვრებას დიდი დაღი დაასვა იმ წლებმა... ცხრა აპრილიდან მოყოლებული, არ დაუსვენია. ფილმის გადაღება უნდოდა, ესეც კი ვერ მოახერხა აქამდე (თუ არ ჩავთვლით აფხაზეთის ომის დროს გადაღებულ „ოცნებების სასაფლაოს“)... ახლა მეგობრების დახმარებით გააკეთა სარეკლამო სტუდია, რაზეც დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა... საოცრად მინდა თავისი საქმე აკეთოს. თვითონაც განიცდის... საერთოდ, ძალიან ემოციურია. ძნელია როცა დაფრინავ და მერე უცებ მიწაზე აღმოჩნდები.

**— ლევანი რას აკეთებს?**

— ლევანი მამასთან სწავლობს და ფოტოხელოვნებას ეუფლება. ახლახანს ცოლი მოიყვანა, ძალიან პატარები და საყვარლები არიან ორივენი...

**— თქვენი უმცროსი შვილი?**

— მარიამი შვიდი წლისაა. ვთვლი, რომ იმ ტკივილიანი წლების სანაცვლოდ, ღმერთმა საჩუქარი მომიძღვნა. მარიამი არის ჩვენი ხსნა, სიმშვიდე, ცხოვრებისკენ შემობრუნება. ძალიან აფორიაქებული და აღფრთოვანებულია იმით, რომ მალე ლევანი და მისი მეუღლე — სოფო ჩვენთან გადმოვლენ საცხოვრებლად. სწავლობს ფრანგულ სკოლაში, სადაც ხშირად სპექტაკლებსაც დგამენ. რეპეტიციებიდან დაღლილი რომ მოვდიოდი და ვწუწუნებდი — ყველაფერი მტკივა-მეთქი, თვითონაც სერიოზულ სახეს მიიღებდა და მეუბნებოდა — ჩვენც რეპეტიცია გვქონდა, ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და დავიღალეო...

**— რა გენატრებათ ყველაზე ძალიან?**

— სულ წარსულში ვიქექები, ძველ დროს ვიხსენებ ხშირად და გული მწყდება. თითქოს სიცარიელეა გარშემო, თითქოს პოეზია სადღაც დაიკარგა... ჩვენ, ახალგაზრდობაში ერთმანეთს წიგნებს ვჩუქნიდით, ბევრს ვკითხულობდით. დღეს სულიერებამ თითქოს მეორე პლანზე გადაინაცვლა... ამიტომ, მირჩევნია, ჩემს სამყაროში ჩავიკეტო. ხშირად ვიყო შინ, ვიკითხო.

**— კინოროლებზე რას მეტყვით?**

— საოცრება ხდება... სწორედ მაშინ დამიძახეს სინჯებზე, როცა თეატრში ბევრი საქმე მაქვს. ფრანგი რეჟისორი ქართველებზე იღებს ფილმს და მეც მიმიწვია... ეკრანზე საკუთარ ნამუშევარს კრიტიკულად ვუყურებ ხოლმე.

**— გასტროლები?**

— ახლა ცოტა ხნით მივდივარ მოსკოვში. დიდი ხნით სხვაგან ყოფნა მიჭირს. სულ ვდარდობ, როგორ არიან ჩემები...

**— სხვა თეატრში თუ გიმუშავიათ?**

— არასოდეს. ბუნებით ძალიან კონსერვატორი ვარ. კარგ ცვლილებასაც კი ძნელად ვეგუები. ამიტომ, ჩემი თავი სხვა სცენაზე ვერ წარმომიდგენია. ეს არის ჩემი მშობლიური თეატრი და ამიტომ, თუ ოდესმე აქედან წავალ, მხოლოდ იმიტომ, რომ დავასრულებ სამსახიობო კარიერას.

***ეკა მახარაშვილი***



შვილებთან ერთად

*(დასაწყისი იხ. გვ 19)*

**— მარიამი, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა, ხშირად არ ჩანს კონცერტებზე, მაშინ, როცა მისი თანატოლები უკვე „ვარსკვლავობენ“.**

— იგი აბსოლუტურად უპრეტენზიო ბავშვია და ფიქრობს, რომ რამდენჯერაც მე ჩავთვლი საჭიროდ, იმდენჯერ უნდა იმღეროს. არ მახსოვს, რომ მან ან ხმაურიანი დაბადების დღე, ან ფესტივალი, ან კლიპი, ან რამე მსგავსი მოითხოვოს. შეიძლება ეს ყველაფერი სურს, მაგრამ არ ამბობს. სხვისი შვილი რომ იყოს, ალბათ უფრო მეტის თქმა შემეძლებოდა მასზე. თუმცა ვთვლი, რომ თუ საქებარია, შენი შვილიც უნდა შეაქო. მარიამის მოკრძალებული ბუნება მაფიქრებინებს, რომ იგი არასოდეს იქნება თავისი თავით კმაყოფილი, არასოდეს იტყვის, რომ ვარსკვლავია...

მამაჩემი სულ მეუბნებოდა, არასოდეს იფიქრო, რომ ვინმეზე რაიმეთი მეტი ხარ, თავმდაბლობა დიდი ღირსებაა და ეცადე, არასოდეს დაკარგო ეს უნარიო. მარიამს ამის შეხსენება არ სჭირდება, თუმცა, ეს არც მე მჭირდებოდა.

**— კონსტანტინეზე რას იტყვით? როგორც გავიგე, ის მამის კვალს მიჰყვება და მსახიობობაც დაუწყია.**

— დიახ. კინომსახიობთა თეატრში, ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით დადგმულ ნუგზარ ბაგრატიონის სპექტაკლში „ნუ მიგვატოვებ, მზეო“. კონსტანტინე და გია, შვილიშვილს და ბაბუას თამაშობენ. კონსტანტინე როგორც თეატრის „პოლკის შვილი“ თვალში მოხვდათ, მხოლოდ ამიტომ აიყვანეს როლზე. როგორც ამბობენ, გაამართლა კიდეც. შემდეგ „ანა კარენინაშიც“ მისცეს სერიოჟას როლი.

**— როცა ინტერვიუ გთხოვეთ, ეჭვი გამოთქვით, ღირს თუ არა ჩემთან ინტერვიუს ჩაწერა, ვარ თუ არა აქტუალური? რამ დაგაეჭვათ?**

— იცით რა, ვფიქრობ, მომღერლის შეფასების დღევანდელ კრიტერიუმებს ვერ ვპასუხობ — არ ვარ კომერციული მომღერალი და ამდენად, ვითომ ნაკლებად გამოსადეგი ე.წ. შოუბიზნესისათვის. ერთი რამ კარგად ვიცი — ვმღერი ქართულ სიმღერას და არ ვღალატობ პრინციპს, რომ არ შეიძლება ქართველმა მომღერალმა სახე დაკარგოს. ძალიან მეამაყება, რომ ქართველი ვარ და უცხოელს არ ვბაძავ, ან კი რა მჭირს მისაბაძი. ვერც იმას ვიტყვი, რომ პრესის ყურადღება მაკლია და კიდევ კარგი, კორესპონდენტები არ მეკითხებიან, რამდენი წყვილი ფეხსაცმელი მაქვს, არც გარდერობში შეხედვას ითხოვენ. დანარჩენებმა კი, თუ უცხოელებს ბაძავენ, გაითვალისწინონ, რომ საზღვარგარეთ არსებობს ყვითელიც და ძალიან სერიოზული პრესაც. ამას წინათ გია ბაღაშვილმა თქვა კარგად — ბროდვეიზე გაკეთებულმა ერთმა სტატიამ შეიძლება ხელოვანი საერთოდ დაასამაროს, იმდენად მნიშვნელოვანი და წონიანია კორესპონდენტიც და სტატიაცო. ჩვენთან რეცენზიის და კრიტიკის დამწერები არ ჩანან.

**— თუმცა, ამისი დეფიციტი არ იყო თუნდაც ათი წლის წინ.**

— რა თქმა უნდა. ძალიან კარგად მახსოვს უფროსი თაობის სიტყვები — თითოეული კონცერტის შემდეგ შიშით ვშლიდით პრესას, რომ რამე კრიტიკული არ დაწერილიყოო. ახლა იმ კრიტიკის ძიებაში ვარ, მაგრამ ვერსად ვპოულობ. ჩვენთან კრიტიკის მოსმენაც არ უყვართ, რადგან მიაჩნიათ, რომ ვინც აკრიტიკებს, მათი მტერია. არადა, დღეს უკვე აქტუალურია ბევრი პრობლემა, რომელთა მოსაგვარებლადაც დიდი ხნის წინ უნდა შემოეკრათ განგაშის ზარები. ასეთია თუნდაც ფონოგრამის პრობლემა, რაზეც სამი წლის წინ ვთქვი. მაშინ უკვე იგრძნობოდა ფონოგრამის „გამეფების“ საშიშროება, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ დღეს მომღერლები მხოლოდ პირს დააღებდნენ მაყურებლის წინაშე.

**— არადა, სრულიად ნორჩი გოგონები „მზიურიდან“ ყოველგვარი ფონოგრამისა და მინუს-პლუსების გარეშე აღაფრთოვანებდით მსმენელს.**

— „მზიური“ იყო დიდი სკოლა, რომელმაც გვაზიარა სცენისა და დარბაზის საიდუმლოს, აქ ვისწავლეთ იმ უხილავი ძაფების გაბმის ხელოვნება, რომელიც მსმენელსა და მომღერალს აკავშირებს ერთმანეთთან.

**— ამბობენ, როცა უცხოეთში გადიოდით, თურმე „კაგებეს“ მეთვალყურეები თქვენც გყავდათ მოჩენილი. ამჩნევდით მათ?**

— ახლახან გავიგე ეს ამბავი, თორემ მაშინ არაფერი შემიმჩნევია. ერთი რამ დამამახსოვრდა, როდესაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გავდიოდით, ყველანი შეგვკრიბეს, გვაჩვენეს ნუგზარ შარიას ფოტოსურათი და გვითხრეს, რომ ეს კაცი ახლოს არ მიიკაროთო. არადა, ჩვენ არავის შევუწუხებივართ.

**— როგორც გავიგე, ამურს, სხვებთან შედარებით, გვიან, ძლივს მოუხერხებია თქვენი დაჭრა.**

— *(იცინის)* მართლაც, მაშინ, როცა სხვებს უამრავი სასიყვარულო ისტორია ჰქონდათ, მე შეყვარებული არ ვყოფილვარ. მოგვიანებით გამომიტყდნენ ჩემი თაყვანისმცემლები, რომ თურმე ჩემთან მოახლოებას ვერ ბედავდნენ, თურმე ძალიან დისტანციური ვყოფილვარ.

**— გამოდის, თქვენმა დისტანციურობამ მხოლოდ გია როინიშვილი ვერ შეაშინა? ისე, როგორი ადამიანია? გარედან მხიარული და ლაღი ჩანს.**

— ოჯახში არც ისე იოლი ასატანია (იცინის), როგორც სასწორი-მორიელის ზოდიაქოთა ზღვარზე დაბადებული, მძიმეა, მძიმე. მასში მაინც ალბათ ყველაზე მეტად იმან მომხიბლა, რომ ფანატიკურადაა შეყვარებული საკუთარ საქმეზე. ასეთი კაცი, ვფიქრობ, ძალიან საიმედო პიროვნებაა. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო...

ძაღლების ძალიან მეშინია და ხშირად კურიოზულ მდგომარეობაშიც აღმოვჩენილვარ. გიას ჩემი სისუსტის შესახებ ვუამბე, მანაც გამამხნევა, აბა ძაღლის როგორ გეშინია, დამშვიდდი, მაგაზე არ იფიქროო. მეც გავგულადდი იმ იმედით, რომ გია კლდეს შეეჭიდებოდა ჩემ გამო. ერთხელ პასტერის ქუჩაზე მივსეირნობთ. ქუჩის ბოლოში შევნიშნეთ ძაღლი. გიას ვთხოვე, საწინააღმდეგო მხარეს გადავიდეთ-მეთქი. გადავედით, ძაღლიც გადმოვიდა, მიმართულება შევცვალეთ, ძაღლიც გამოგვყვა. ასე ზიგზაგებით ძაღლის პირდაპირ აღმოვჩნდით. ვერ ვინძრეოდი შიშისაგან. გიაც დუმს. ავხედე და დავინახე — სრულიად გაფითრებულიყო. ძლივს ჩაიჩურჩულა — თამრიკო, მოაშორე ეს ძაღლი აქედანო. აი, მაშინ მივხვდი, რომ აბსოლუტურად დაუცველი ვიყავი და ცოლად მივყვებოდი კაცს, რომელსაც ჩემსავით ძაღლების ეშინია (იცინის).

**— რას გეუბნებათ მეუღლე მას შემდეგ, როცა პოლიციელებისაგან თქვენს დანაშაულებრივ ქმედებებზე საყვედურებს ისმენს?**

— ბრდღვინავს. ერთ დღეს უადგილო ადგილას გაჩერების გამო, ჩემს მანქანას ნომერი მოხსნეს „ლეჩკომბინატის“ წინ. წინა დღეს გამოტანილი ჰქონდა გიას ჩემი მანქანის მართვის მოწმობა სულ ბოდიშის მოხდით. რომ დავურეკე და ახალი პრობლემების შესახებ ვუთხარი, ყვირილი დამიწყო — როდემდე უნდა იქცეოდე ასე უწესო ბავშვივით და როდემდე უნდა ვიარო შენ გამო პოლიციაშიო. მართლაც, როცა ნომრის წამოსაღებად მივედით, პოლიციელები გაოცდნენ — ბატონო გია, ისევ თქვენაო? — რა თქმა უნდა, ისევ მე გაწუხებთ ამ უზნეო ადამიანის გამოო. ჩემი ნომერი ისეთი დაგრეხილი და დამანჭული იყო, რომ პოლიციელმა მკითხა — რა უქენით, ქალბატონო თამრიკო, მანქანას, რომ ასე მოახერხეთ ამ ნომრის დაჭყლეტვაო. გიამ იყვირა, ასე მაქვს ტვინი მაგისგან დაჭეჭყილი, ან დაიტოვეთ ეს ქალი პოლიციაში, ან კიდევ როგორმე ჭკუა ასწავლეთო, თანაც ეცინებოდა. იუმორი გვატანინებს უამრავ სირთულეს, რასაც პრობლემებით სავსე ცხოვრება გვთავაზობს თითქმის ყოველდღიურად. ჩვენი შვილებიც დაჯილდოებულნი არიან იუმორის ნიჭით და ამიტომაც ხშირად ხდება, რომ ისტერიულად მოხარხარე ქმარ-შვილს მეც სიამოვნებით ვუერთდები ხოლმე.

***ეკა ლომიძე***

# შხამიანი საიდუმლოებები



*ადამიანს ისე არაფერში გამოუჩენია თავი, როგორც თავისნაირების მოწამვლის მრავალსახეობაში. როგორ ჩამოიშოროს მეტოქე უხმაუროდ? რასაკვირველია, შხამით, რომელსაც უძველესი დროიდან იყენებდნენ. ასე რომ, გზა ნათელი მომავლისკენ მოფენილია გვამებით.*

ბუნებაში ათიათასობით ტოქსიკური მცენარე ხარობს. მათი მიგნება კი შემთხვევით ხდებოდა: აღმოჩნდებოდა, რომ საკვებად შერჩეული ბალახი, სოკო ან კენკრა თურმე საწამლავი იყო. ამგვარად გამოირჩა მრავალი მომწამვლელი მცენარე, რომელიც მერე სხვადასხვა ცივილიზაციის უნივერსალურ შხამად იქცა. მინერალური საწამლავები მოგვიანებით გაჩნდა და ბევრი ისტორიული პიროვნებაც შეიწირა. მათ იყენებდნენ ალქიმიკოსებიც. ეს მეცნიერება შემდეგ ქიმიად ჩამოყალიბდა.

მცენარეული და მინერალური შხამების დამზადების ხელოვნება უძველეს აღმოსავლეთში ჩაისახა, იქიდან კი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მაშინ ყველაზე გავრცელებული იყო შხამიანი მცენარეები — აკონიტი და ციკუტა. ისინი ცოცხალ არსებებზე სხვადასხვანაირად მოქმედებენ: აკონიტი ტვინს ვნებს, თიშავს სასუნთქ გზებს. ციკუტა კი ადამბლავებს მამოძრავებელ ნერვებს და გუდავს ადამიანს. სასიკვდილოდ საკმარისია რამდენიმე მილიგრამი.

ციკუტას ნაყენი რამდენიმე წუთში კლავს ადამიანს. მას ხშირად იყენებდნენ ათენელები. სწორედ ციკუტათი მოწამლეს 70 წლის ფილოსოფოსი სოკრატე ჩვ.წ.აღ-მდე 399 წელს, თავისი იდეებით ახალგაზრდების გახრწნის გამო. თითქმის ასი წლის შემდეგ მის გზას გაუყენეს უდიდესი მჭევრმეტყველი დემოსთენე, ათენელი ბრძენი სტრატეგი ფოკიონი — ალექსანდრე მაკედონელისადმი სიმპათიების გამო.

შავი ზღვისპირეთის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს პონტოს მმართველისა და მხედართმთავრის მითრიდატეს მამა სამსალამ შეიწირა. თავად ბავშვობიდან ცდილობდა, უკეთ ემართა ქვეყანა, რათა მამის ხვედრი ასცდენოდა. მითრიდატეს ბაღები განთქმული იყო შხამიანი მცენარეებით. მხედართმთავარი ცდილობდა აღმოეჩინა შხამსაწინააღმდეგო საშუალება. ყოველი შემთხვევისათვის თავის ორგანიზმს აჩვევდა საწამლავებს და ბევრსაც მიაღწია. თუმცა წარმატებები მისთვისვე სავალალო აღმოჩნდა: როდესაც პომპეუსმა საბოლოოდ დაამარცხა მითრიდატეს ჯარები, სასოწარკვეთილმა მეფემ მთელი თავისი ოჯახი მოწამლა. თავადაც დალია სამსალა, მაგრამ საწამლავს მიჩვეულ ორგანიზმს არაფერი დაშავებია და მითრიდატე იძულებული გახდა, თავისივე მონისთვის ებრძანებინა, დანით მოეკლა იგი.

რომში მნიშვნელოვანი საკითხების ბალახით მოგვარების ტრადიცია არსებობდა. ჩვ.წ.აღ-მდე 331 წელს პატრიციებს უეცარი სიკვდილიანობის ეპიდემია დაატყდათ თავს. ერთიმეორის მიყოლებით იხოცებოდნენ ქალაქის პატივსაცემი მოქალაქეები. ყველას ეგონა, ჭირი შემოეჩვია ქალაქსო, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ რამდენიმე რომაელ ქალბატონს თავისებური კლუბი შეუქმნია. იკრიბებოდნენ, ხარშავდნენ საწამლავს და საიქიოს ისტუმრებდნენ როგორც თავის, ასევე სხვის ქმრებსაც. ძიება მთელი მონდომებით მიმდინარეობდა. ისტორიკოს ტიტუს ლივიუსის მონაცემებით, გაასამართლეს და დასაჯეს 170 ქალი.

სამასი წლის შემდეგ, სამოქალაქო ომების ეპოქაში, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკურ მოღვაწეთ თავს რაიმე სირცხვილი ან პოლიტიკური ბრალდება დაატყდებოდა, უმალ სვამდნენ ციკუტას ან აკონიტის ნახარშს, რათა საჯარო სირცხვილი და სასჯელი ასცდენოდათ.

დიქტატორ ანტონიონისის დროს, აღმოსავლელ ხელმწიფეთა მიბაძვით, მეფის კარზე შემოიღეს მონის თანამდებობა, რომელიც ამოწმებდა რომის მბრძანებლისთვის მირთმეულ კერძებს. მაგრამ არა მარტო კეისარს ემუქრებოდა სიკვდილი, მოწამვლა ისე გავრცელდა, რომ გამსინჯავები გაერთიანდნენ განსაკუთრებულ კოლეგიაში. სწორედ მაშინ წარმოიშვა დღემდე შემორჩენილი ლამაზი ჩვეულება ღვინიანი ჭიქების მიჭახუნებისა. ოღონდ ისე უჭახუნებდნენ ჭიქებს, რომ სითხე ერთიდან მეორეში გადაჩქეფებულიყო. ამით ამტკიცებდნენ, ღვინოში შხამი არ არისო.

რომის პირველი იმპერატორის, ოქტავიანეს შვილიშვილები დედინაცვალმა მოწამლა, იმპერატორმა ტიბერიუსმა — შვილობილი. მისმა შვილიშვილმა კალიგულამ კი, თავად ტიბერიუსი. კალიგულას მოკვლის შემდეგ აღმოაჩინეს უზარმაზარი ავზი, რომელიც სავსე იყო ნაირნაირი საწამლავით. იქვე იყო მათი რეცეპტები.

კალიგულას შემცვლელმა კლავდიუსმა გაანადგურა ეს საწამლავები, მაგრამ მომწამვლელობაზე ხელი არავის აუღია. თვითონაც საწამლავმა დაღუპა — საკუთარმა ცოლმა ჩაუყარა საჭმელში, რათა შვილი, ნერონი დაესვა იმპერატორად.

17 წლის იმპერატორმა ნერონმა ქონების მისათვისებლად ბევრ შეძლებულ რომაელს გაავლო მუსრი — უგზავნიდა მათ მოწამლულ ტკბილეულს, საკუთარ დედასაც მოუღო ბოლო. მისი მასწავლებელი, ფილოსოფოსი სენეკა მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ მიირთმევდა მხოლოდ წყალს, ხილს და ისეთ საჭმელს, რომელშიც ძნელი იყო საწამლავის გარევა. იმპერატორმა ტრაიანემ აკრძალა აკონიტის მოყვანა.

იმ დროს რომში აგრეთვე ამზადებდნენ დარიშხანის, ტყვიის, ვერცხლისწყლის და სხვათა სამსალებს, საწამლავის საწინააღმდეგო საშუალებებად გამოიყენებოდა გულისამრევი საშუალებები, ასევე რძე, კომში, ლიმონი, ბეგონია.

როდესაც კონსტანტინე დიდმა იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლში გადაიტანა, იქ მომწამვლელთა მთელი კასტა ჩამოყალიბდა. YI საუკუნეში, იუსტინიანეს კანონით, სამსალის, სიყვარულის წამლის დამამზადებლები და შავი მაგები სასტიკად ისჯებოდნენ, მათ ცოცხლად წვავდნენ კოცონზე. მაგრამ სწორედ ბიზანტიიდან გავრცელდა საწამლავის დამზადების ხელოვნება დასავლეთ ევროპაში.

**ორაკული №5**

# „მერსედესს“ იქნებ „ანდრე“ რქმეოდა...

1900 წელს ავსტრალიელი ინჟინერი ემილ იელინეკი ოჯახთან ერთად ევროპის ერთ-ერთ დიდებულ ქალაქ ნიცაში გადასახლდა. გასული საუკუნის დასაწყისში ლაჟვარდოვან სანაპიროზე, რომელიც ყველაზე მოდურ კურორტად ითვლებოდა, მთელი მსოფლიოდან ჩადიოდა რესპექტაბელური საზოგადოება — ბრიტანელი ლორდები, მსხვილი ფრანგი მეწარმეები და ამერიკელი ბიზნესმენები. ყველანი მეტ-ნაკლებად დაინტერესებულნი იყვნენ ახალგამოგონილი ავტომობილით.

არც იელინეკი იყო გამონაკლისი, რომელიც ჯერ კიდევ 1897 წელს მონაწილეობდა ნიცაში გამართულ რამდენიმე ავტორბოლაში.

ერთხელ, ემილიმ შეიძინა რამდენიმე გერმანული „დაიმლერის“ მარკის ავტომანქანა, თავისი გემოვნებით გადააკეთა და სარფიანად მიჰყიდა მდიდარ უცხოელებს. მოგებამ გაახალისა და საქმე განაგრძო. გერმანიიდან „დაიმლერ მოტორენ გეზელშაფტის“ ქარხნიდან გამოიწერა კიდევ 36 ავტომობილი. იმ დროს გერმანული საწარმო, რომელშიც მუშაობდა 344 ადამიანი, წელიწადში 96 მანქანას უშვებდა. იელინეკმა დაითანხმა ქარხნის მეპატრონე ვილჰელმ მაიბახი, საგანგებოდ მისთვის აეწყო მძლავრი ავტომობილი მაქსიმალური ეფექტით და მაქსიმალურად ეკონომიური.



ემილიმ, რაკილა ხელში ჩაიგდო 36 დახვეწილი „დაიმლერი“, მათი გაყიდვის უფლებაც მოიპოვა. მანქანებს მან თავისი უფროსი ქალიშვილის სახელი — მერსედესი დაარქვა. ორი „მერსედეს-35 HP“ ემილიმ მიჰყიდა 30 წლის ავტომოყვარულს — ბარონ ანრი დე როტშილდს, იმ დროს უკვე ცნობილი ბანკირების ოჯახის მემკვიდრეს. თან ურჩია პატივმოყვარე ბარონს, მონაწილეობა მიეღო ნიცაში გამართულ ავტორალში. როტშილდის მანქანა იმ დროისათვის წარმოუდგენელი სიჩქარით — 86 კმ/სთ-ით მიქროდა და ფინიშზე პირველი მივიდა.

ემილი არ შემცდარა — რეკლამამ გაჭრა. რამდენიმე დღეში ყველა „მერსედესი“ გაიყიდა.

იელინეკის ავტომობილები იმდენად პოპულარული გახდა, რომ ძალიან მალე „დაიმლერ მოტორენ გეზელშაფტის“ ქარხნის მთელი პროდუქცია გამოდიოდა უკვე „მერსედესის“ ნიშნით.

იელინეკის ოჯახი გამდიდრდა, ემილის საბანკო ანგარიში ზევით მიიწევდა, ხოლო მის ქალიშვილს — მერსედესს, დიდი წარმატება ხვდა წილად. მის ფეხთით აღმოჩნდნენ ევროპის ყველაზე საოცნებო სასიძოები. უმცროსი ქალიშვილი ემილია ანდრე თავს დაჩაგრულად გრძნობდა თავისი ლამაზი და პოპულარული დის ფონზე. გოგონა სერიოზული სენით იყო დაავადებული. მაგრამ ანდრე, რომელმაც შეძლო საშინელი ცოდვის — შურის დამარცხება, ღმერთმა უხვად დააჯილდოვა, მას ჯანმრთელობა და დღეგრძელობა აჩუქა. 96 წლის ანდრე დღესაც ცოცხალია, მასზე ზრუნავს „მერსედეს-ბენცის“ ფირმა. რამდენიმე ხნის წინ, როცა ანდრე მონტე-კარლოში ვიზიტისას თავისი სასტუმროს ოთახის აივანზე გავიდა, მას ტაშითა და ოვაციებით შეხვდა ხალხი, რომელთა შორის იყო „მერსედეს-ბენცის“ კორპორაციის ხელმძღვანელი იურგენ ჰებერტი. მისი თხოვნით, ასაკის მიუხედავად, საკმაოდ მხნე მოხუცი ანდრე სათავეში ჩაუდგა წვეულებას, რომელიც მიეძღვნა „მერსედეს-ბენცის“ ახალი მოდელის გამოშვებას — „მერსედეს-35HP“-ის პირდაპირ მემკვიდრეს, რომელიც ემილი იელინეკმა შექმნა 100 წლის წინ.

— მე ყველას ჩემი დის სიკვდილის შემდეგ გავახსენდი, რომლის ჩრდილშიც ვცხოვრობდი დაბადებიდან, — ამბობს ფრაუ იელინეკი, — ჩემს დაზე ადრე რომ დავბადებულიყავი, დღეს ხალხი ივლიდა არა „მერსედესით“, არამედ „ანდრეთი“...

**ჯენტი**

# პიანინო სამასი წლის გახდა



მუსიკალური ინსტრუმენტების მეფეს — პიანინოს — 300 წელი შეუსრულდა. 1700 წელს ბარტოლომეო კრისტოფორიმ(იგი ფლორენციაში, ჰერცოგ მედიჩის სასახლეში მუშაობდა) გადაწყვიტა, გაეუმჯობესებინა კლავესინის ჟღერადობა, რომელიც, მისი აზრით, საკმაოდ მონოტონური იყო. ორი წლის მცდელობის შემდეგ 1702 წელს ინსტრუმენტი ჩაქუჩების რთული კომბინაციით აღჭურვა, რომლის მეშვეობითაც მისი აჟღერება შეიძლებოდა როგორც ხმამაღლა, ასევე ხმადაბლა, რაც დამოკიდებული იყო კლავიშზე თითის დაჭერის სიძლიერეზე. თავის „შვილობილს“ ოსტატმა „ფორტე და პიანო“ უწოდა.

ჩვენამდე მოაღწია კრისტოფორის მიერ შექმნილმა მხოლოდ ორმა ფორტეპიანომ. ერთ-ერთი მათგანი ინახება ლაიფციგში, ხოლო მეორე დიდხანს იდგა რომის მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმში, მაგრამ ცოტა ხნის წინ ვაშინგტონში, სმიტსონის მუზეუმში გადაიტანეს. პიანინოს ოკეანისგაღმა გატანამ აღაშფოთა იტალიური საზოგადოება და მათი საგანგებო მცდელობით, სამუზეუმო ექსპონატი შესაძლოა მალე დაბრუნდეს სამშობლოში, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იტალიელები ამერიკელებს ამ ისტორიული ინსტრუმენტის ასლს დაუმზადებენ.

...პირველი პიანინოს გამოჩენისას ვინ იფიქრებდა, რომ მუსიკის სამყაროში მოხდა ნამდვილი რევოლუცია. კრისტოფორის გამოგონების შესახებ ალაპარაკდნენ მხოლოდ 26 წლის შემდეგ, როცა გერმანიის სამეფო კარის მუსიკოსი გოტფრიდ ზილბერმანი იტალიაში მოგზაურობისას შემთხვევით წააწყდა ამ უცნაურ საკრავს. მან სათანადოდ შეაფასა ახალი ინსტრუმენტი და მეფე ფრიდრიხ II-ს ურჩია, 7 ცალი შეეძინა.

თუმცა ეს სიახლე ყველა მუსიკოსს არ მოსწონებია. მაგალითად, გენიალური იოჰან სებასტიან ბახი მას უაზრო გამოგონებად მიიჩნევდა და ამბობდა, — ეს ნივთი გამოუსადეგარია ჩემი ნაწარმოებების შესასრულებლადო. მაგრამ მიუხედავად ათვალწუნებისა, მან მაინც შეიძინა პიანინო და თავისი სახლის დიდ დარბაზში დადგა.

ახალი ინსტრუმენტი მისმა ვაჟმა ქრისტიანმაც იყიდა და თავის მეგობარს, ვოლფგანგ ამადეუ მოცარტსაც შეაძენინა — მოცარტს ანდამატივით იზიდავდა ყველაფერი, რაც კი მუსიკალურ ხმას გამოსცემდა.

XVIII საუკუნის ბოლოს პიანინო კიდევ უფრო დახვეწა მეორე იტალიელმა ოსტატმა — მუციო კლემენტიმ. იმ დროისათვის ბევრმა მუსიკოსმა შეაფასა პიანინოს შესაძლებლობა. პირველი იყო ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. თუმცა, ნამდვილ „ჰიტად“ ფორტეპიანო იქცა XX საუკუნის 20-იან წლებში, როცა მის კლავიატურას ფრედერიკ შოპენი მიუჯდა...

**პარი მატჩი**



# შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.*

**— გთხოვთ აგვიხსნათ რას წარმოადგენს ადენომა და ფიბროადენომა, რა განსხვავებაა მათ შორის, რა არის მათი წარმოქმნის მიზეზი და როგორია მკურნალობის მეთოდი?**

***ნ. რადიანი***

— ადენომა — პარკში გახვეული, მომრგვალო ფორმის კეთილთვისებიანი ჯირკვლოვანი სიმსივნეა, რომელიც სარძევე ჯირკვალზე, ფარისებრ ჯირკვალზე, ღვიძლსა და სხვა ორგანოებზე ვითარდება. ფიბროადენომა კი, ჯირკვლოვანი და შემაერთებელქსოვილოვანი კეთილთვისებიანი სიმსივნეა, ანუ ეს არის ადენომა, რომელშიც ჭარბადაა განვითარებული შემაერთებელი ქსოვილი. წარმოქმნის მიზეზი (ისევე, როგორც ზოგადად სიმსივნური წარმონაქმნებისა) უცნობია. ადენომა ზოგჯერ გადაგვარდება ავთვისებიან სიმსივნედ. ამიტომ აუცილებელია მისი დროული ამოკვეთა.

**— გადავიტანე ჰეპატიტი (ღვიძლის ანთება), რის შემდეგაც ხელ-ფეხზე გამიჩნდა თეთრი ლაქები. ისინი თანდათან იზრდება და ამჟამად ჩემი ხელები ხელთათმანებს ჰგავს. არის თუ არა ეს გადატანილი ჰეპატიტის შედეგი და როგორ უნდა ვიმკურნალო?**

***ერთგული მკითხველი***

— კანის თეთრი ლაქების წარმოქმნა — ვიტიგილო, კანში პიგმენტ მელანინის შემცირებასთან ან სრულ გაქრობასთან არის დაკავშირებული. ამ დაავადების მკურნალობასთან დაკავშირებით მედიკოსთა შორის განსხვავებული მოსაზრებები და მიდგომა არსებობს. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მედიცინა ამ დაავადებას ვერაფრით ალუდგება წინ. თუმცა, არსებობს პრეპარატები (მაგალითად, ქიმიური პრეპარატი ამიფურინი), რომლებიც ზრდის ორგანიზმის მგრძნობელობას ულტრაიისფერი გამოსხივებისადმი. ავადმყოფს ასხივებენ ულტრაიისფერი ნათურით სპეციალურ კაბინეტებში იმ იმედით, რომ ულტრაიისფერი გამოსხივებისადმი მომატებული მგრძნობელობის მქონე ორგანიზმი დაიწყებს მელანინის აქტიურ გამომუშავებას. მაგრამ მსგავსი მკურნალობის ეფექტი უმნიშვნელოა.

**— ბოლო ხანებში დამეწყო ფრჩხილების მტვრევა, თმის ცვენა, თავსაც შეუძლოდ ვგრძნობ. როგორ მოვიქცე?**

***დალი მურვანიძე***

— გაზაფხულობით მომატებული დაღლილობის გრძნობა, ფრჩხილების მტვრევა, კანის აქერცვლა, ძილი, უგუნებობა და ა.შ. ჰიპოვიტამინოზზე მეტყველებს. ჰიპოვიტამინოზი ერთი ან რამდენიმე ვიტამინის უკმარისობას ნიშნავს. მიზეზი შეიძლება იყოს არასრულფასოვანი ან ერთგვაროვანი საკვები. ჰიპოვიტამინოზის „რისკის ჯგუფში" უპირველეს ყოვლისა, არიან ბავშვები, მოხუცები, ორსული და მეძუძური ქალები, ვეგეტარიანელები.

ვეგეტარიანელებისთვის რეკომენდებულია პოლივიტამინებისა და მინერალების მუდმივი გამოყენება. თუ თქვენი რაციონიდან მთლიანადაა გამორიცხული რძის პროდუქტები, მაშინ დამატებით უნდა მიიღოთ კალციუმის პრეპარატები. თუ არ მიირთმევთ ხორცის პროდუქტებს, უნდა სვათ B ჯგუფის ვიტამინები. მწეველებმა პოლივიტამინთან ერთად უნდა გაზარდონ მიღებული C ვიტამინის დოზა. ყველაზე ხშირად ორგანიზმს აკლდება ხოლმე შემდეგი ვიტამინები: C, D, E, A, $B_1$, $B_6$, PP, ფოლიუმის მჟავა, რკინა, კალციუმი. პოლივიტამინის მიღება რეკომენდებულია გაზაფხულობით — მარტიდან მაისის ჩათვლით. კურსის ხანგრძლივობა 2-3 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, შეგიძლიათ მიიღოთ ექიმის კონსულტაცია.

**— ვარ 30 წლის. გაზაფხულობით მაქვს დაბალი წნევა — 90/60 და მტკივა თავი. როგორ მოვიქცე?**

***ი. ა.***

— კვების რაციონში შეიტანეთ ქორფა ბოსტნეული, მწვანილი (ამ დროისთვის ახალი ხილი შემოსული არ არის, ხოლო შემოდგომის ხილი უკვე გამოფიტული და ღარიბია). აგრეთვე მიიღეთ ვიტამინების კომპლექსი. ნუ დაიკლებთ ძილს. დალიეთ ჩაი და ყავა. მედიკამენტებიდან წნევის მოსამატებლად გირჩევთ კორდიამინის წვეთებს. თქვენთვის ურიგო არ იქნებოდა აქტიური დასვენება — ცურვა, სპორტული თამაშობანი.

# სამკურნალო მცენარეები

**დღეს ფიტოთერაპია (მცენარეებით მკურნალობა) საკმაოდ პოპულარულია მოსახლეობაში. მცენარეული პრეპარატები მართლაც ეფექტურად მოქმედებს სხვადასხვა დაავადების დროს, მაგრამ ჩვენ გვავიწყდება ერთი რამ, მიუხედავად იმისა, რომ მცენარეულ წამლებს ქიმიურთან შედარებით გაცილებით ნაკლები გართულებები და გვერდითი მოვლენები ახასიათებს, ისინი მაინც წამლებია და მათ მომზადებას, მიღებას, შენახვას, დოზირებას თავისი ინდივიდუალური წესები აქვს. ამიტომ ყოვლად დაუშვებელია მათი ასეთი უკონტროლო, თვითნებური ხმარება სათანადო ცოდნის გარეშე. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი დაავადებისას ესა თუ ის მცენარე კატეგორიულად წინააღმდეგ ნაჩვენებია.**

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ, რეგულარულად მოგაწოდოთ აუცილებელი, კვალიფიციური ინფორმაცია საქართველოში გავრცელებული მცენარეების შესახებ რუბრიკაში: „სამკურნალო მცენარეები".**

## ჭინჭარი



ჭინჭარი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლით 60-70 სმ, აქვს სწორი, ოთხკუთხა ღერო, რომელიც არ იტოტება და ოვალური, კიდედაკბილული ფოთლები. იზრდება ადრე გაზაფხულზე, ივნისის დასაწყისში ყვავის, ხოლო ნაყოფს ივლისში იკეთებს. მედიცინაში იყენებენ მცენარის ფოთლებს.

ფოთლების მოკრეფა შეგიძლიათ ყველგან, სამანქანო გზების სიახლოვის გარდა. ფოთლები გროვდება მცენარის ყვავილობის ფაზაში. შემდეგ დააწყობენ ერთ ფენად ჩრდილში, ჰაერზე და აშრობენ. მზა ნედლეული არ კარგავს ფერს. მას არ უნდა ერიოს ღეროები, ყვავილები. გაშავებული ან გაწითლებული ფოთლები გადაყარეთ. ნედლეულის შენახვა შეიძლება შუშის ქილაში, ჩრდილში. მზეზე სწრაფად იცვლის ფერს.

ჭინჭრის ფოთლები შეიცავს: C, $B_2$, K ვიტამინებს, ქლოროფილს, რკინას, ჭიანჭველის, პანთოთენის და სხვა ორგანულ მჟავებს.

ჭინჭრის სამკურნალო მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია მასში ვიტამინების და რკინის მაღალ შემცველობასთან. K ვიტამინი ასტიმულირებს ღვიძლში პროთრომბინის წარმოქმნას, პროთრომბინი კი, სისხლის შედედებას უზრუნველყოფს. ამიტომ, ჭინჭარს იყენებენ ფარული სისხლდენების დროს: ფილტვიდან, თირკმლიდან, საშვილოსნოდან, ნაწლავებიდან. ჭინჭრის პრეპარატები ზრდის საშვილოსნოს გლუვი კუნთების კუმშვადობას. მათი დანიშვნა მშობიარობის შემდგომ პერიოდში აჩქარებს საშვილოსნოს შეკუმშვას, ამცირებს გამონადენს, აჩქარებს ლორწოვანის აღდგენას და ხელს უწყობს ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჭინჭარი გამოიყენება ათეროსკლეროზის, რკინადეფიციტური ანემიის, ქოლეცისტიტის, გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულის დროს. აგრეთვე მას ადგილობრივად იყენებენ ტროფიკული წყლულების, სებორეის, ეგზემის და ჭრილობების დროს.

**ნაყენი:** 10 გ (2 ს/კ) ჭინჭარი მოათავსეთ მომინანქრებულ ჯამში, დაასხით 200 მლ (1ჭ) მდუღარე წყალი, დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წუთით. შეგრილებული გადაწურეთ, შეავსეთ 200 მლ-მდე მდუღარე წყლით. ნაყენი შეინახეთ გრილად, არა უმეტეს 2 დღისა. მიიღეთ 1/4 ჭ ჭამამდე 4-ჯერ დღეში ფარული სისხლდენების, ანემიის, ვიტამინების ნაკლებობის, ათეროსკლეროზის დროს 1 კვირის განმავლობაში.

არ შეიძლება ჭინჭრის ნაყენის ხანგრძლივი და უკონტროლო მიღება, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც აქვს მაღალი პროთრომბინი და თირკმელკენჭოვანი დაავადება.

გთავაზობთ რამდენიმე მცენარეულ რეცეპტს:

**1.** ხეჭრელი (ბალახი) 25,0
ჭინჭარი (ფოთლები) 25,0
არყის ხე (ფოთლები) 25,0
სელი (თესლი) 25,0

მიიღეთ 1/3 ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ, ქრონიკული შეკრულობით გამოწვეული კანზე გამონაყარის დროს.

**2.** ტყის მარწყვი (ფოთლები) 10,0
ჭინჭარი (ფოთლები) 20,0
არყის ხე (ფოთლები) 20,0
სელის (თესლი) 50,0

მიიღეთ 1-2 ჭ თბილ-თბილი ნაყენი დღეში რამდენჯერმე თირკმლების ანთების დროს.

**3.** ასკილი (ნაყოფი) 30,0
შავი მოცხარი (ნაყოფი) 10,0
ჭინჭარი (ფოთლები) 30,0
სტაფილო (ფესვი) 30,0

მიიღეთ 1/2 ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში, როგორც ვიტამინური საშუალება.

ამ რეცეპტებით ნაყენის დამზადების წესი: მცენარეთა ნარევის (რომლის საერთო წონაა 100 გ) 1-2 სუფრის კოვზს მომინანქრებულ ჭურჭელში დაასხით 1 ჭ მდუღარე წყალი, დაახურეთ ხუფი და ჭურჭელი დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წუთით. შემდგომ გააცივეთ 45 წუთის განმავლობაში, გადაწურეთ და ნაყენი 200 მლ-მდე შეავსეთ ანადუღარი წყლით.

***თამარ მამაცაშვილი***

# [illegible]

გახდომა გსურთ? სასწრაფოდ მიიღეთ სასმელები, რომლებიც წონაში დაკლების ბრწყინვალე ფორმულას წარმოადგენს. გარდა ამისა, მინერალური ნივთიერებების, კალიუმისა და C ვიტამინის წყალობით, რომლებითაც მდიდარია ეს სასმელები, ხელს უწყობენ ორგანიზმიდან წიდების გამოყოფას, ამაღლებენ შემაერთებელი ქსოვილის ტონუსს. ასე რომ, სწრაფად გამოწურეთ ან შეიძინეთ მზა წვენები, მიიღეთ ყოველდღე საუზმეზე და შედეგიც სახეზე იქნება...



**პომიდვრის წვენი** არა მარტო ამაღლებს ორგანიზმის სასიცოცხლო ტონუსს და ამაგრებს უჯრედებს, არამედ ანელებს დაბერების პროცესს.

**სტაფილოს წვენი** ბრწყინვალე საკვებია და ამავე დროს შარდმდენი. მასში შემავალი A ვიტამინი იცავს კანს დაბერებისაგან. ფოლიუმის მჟავა (BC) აჩქარებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, რაც ხელს უწყობს იმუნური სისტემის გაძლიერებას.

**კომბოსტოს მწნილი** ძალიან სასარგებლო პროდუქტია! იგი გამოდევნის ორგანიზმიდან წიდებს, ხელს უშლის კუჭში შეკრულობას, აჩქარებს ცხიმის წვას. ამიტომაც, ის შეუცვლელი „სასწრაფო დახმარებაა" ყველანაირი დიეტის დროს.

## გთავაზობთ ზოგიერთი სასმლის რეცეპტს

1. 125 მლ სტაფილოს წვენს დაამატეთ 200 მლ ნიახურის წვენი და წვრილად დაჭრილი ნიახურის ფოთოლი (გამოდევნის წიდებს).

2. 125 მლ მჟავე კომბოსტოს წვენს დაამატეთ 15 მლ სტაფილოს და 100 მლ ფორთოხლის წვენი (აჩქარებს ცხიმის წვას).

3. 100 გ ტკბილი წიწაკის წვენს დაამატეთ 200 გ კიტრის და 100 გ პომიდვრის წვენი (მხნეობასა და ენერგიას შეგმატებთ).

4. 100 გ ნესვის რბილობის პიურეს დაამატეთ 200 მლ მჟავე კომბოსტოსა და 2 ს/კ ფორთოხლის წვენი (ტოქსიკურ ნივთიერებებს გამოდევნის).

***ლიზა №18***

# ცოტა დამისხი, ექიმო...



მეტად სასიამოვნო სამკურნალო ხერხია ენოთერაპია, რაც გულისხმობს ვაზით, ღვინითა და ღვინის პროდუქტებით მკურნალობას. მართლაც, სხვადასხვა ჯიშის ღვინით შეიძლება განიკურნოს (გარდა ღვიძლისა და თირკმლების სნეულებანი, რადგან მათზე ენოთერაპია საპირისპირო შედეგს იძლევა), კანის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი სისტემის, გულისა და სისხლძარღვების დაავადებანი.

ენოთერაპევტთა რეკომენდაციით, თითქმის ყველა რბილი სპირტიანი სასმელი იწვევს ლიპოპროტეიდების სინთეზის ან „კარგი" ქოლესტერინის დონის გაზრდას, რომელიც ეწინააღმდეგება „ცუდი" ქოლესტერინის, ათეროსკლეროზის, ინსულტისა და მიოკარდის ინფარქტის განვითარებას.

დასუსტებული გულის მუშაობის დროს რეკომენდებულია თეთრი ღვინო ან შამპანური.

დიარეის (ფაღარათის) დროს კი, წითელი ღვინო (მთრიმლავი ნივთიერებების მაღალი კონცენტრაციის): „საფერავი", „კაბერნე", „მერლო".

სუფრის წითელი ღვინო ენიშნებათ ანემიის მძიმე ფორმის დროს. შეიძლება მიიღოთ 2 ჭიქა ჭამის პროცესში, მაგრამ მკურნალობის კურსი არ უნდა აღემატებოდეს ერთ კვირას.

სისხლძარღვების დაავადებისას უნდა მიიღოთ მინერალურ წყალში გახსნილი მშრალი თეთრი ღვინო: „რქაწითელი", „რისლინი", „პინო ბლანი".

ხშირი გაცივების, გრიპის, ბრონქიტის, ფილტვების ანთების დროს მკურნალობენ ნახევრად მშრალი ან ნახევრად ტკბილი წითელი ღვინოთი, რომელშიც გაზავებულია თაფლი, კოჭა და ლიმონის ცედრა.

კატეგორიულად ეკრძალებათ ღვინის თერაპია ლოთებს, ფეხმძიმე ქალებსა და ბავშვებს (რადგან ღვიძლი ფორმირებას დაახლოებით 20 წლის ასაკში ამთავრებს).

***კომსომოლსკაია პრავდა №74***

# სპილენძი — მოდური სამაჯური თუ მკურნალი



როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება, ბოლო ხანებში ერთგვარ მოდად იქცა სპილენძის სამაჯურის ტარება. სპილენძით მკურნალობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, სადაც სპილენძის ფირფიტებს ანთებითი პროცესების დროს იყენებდნენ. არისტოტელეს რეკომენდაციით, სპილენძის მონეტებს ნატკენ ადგილზე იდებდნენ, რათა არ დალურჯებოდათ. ზოგიერთ ქვეყანაში რაქიტისა და ეპილეფსიის პროფილაქტიკისთვის ახალშობილებს დღესაც უკეთებენ სპილენძის სამაჯურს. ეს მოწითალო ფერის ადვილად დასამუშავებელი ლითონი აქტიურად მონაწილეობს ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესში, „ეხმარება" რკინას ჰემოგლობინის წარმოქმნაში, აუცილებელია შემაერთებელი ქსოვილის ძირითადი ელემენტების — კოლაგენისა და ელასტინის წარმოსაქმნელად, რაც უზრუნველყოფს არა მარტო კანის სიმკვრივეს, მის ჯანსაღ ფერს, არამედ სისხლძარღვების კედლების გამძლეობას. გარდა ამისა, სპილენძი ახდენს მელანინების სინთეზს, ამაღლებს ძვლების გამძლეობას და იმუნიტეტს. ორგანიზმში სპილენძი ყველაზე მეტია ღვიძლსა და ტვინში და პირველ რიგში, სწორედ ეს ორგანოები განიცდიან მის დეფიციტს. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს თირკმლების პათოლოგია, ცილების უკმარისობა, ნაწლავების დაავადება და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპილენძი ტოქსიკურია, ამიტომ არ შეიძლება მისგან დამზადებული ჭურჭლის გამოყენება, თუმცა ჰომეოპათიური დოზებით ის წამალია.

რაც შეეხება სპილენძის სამაჯურს, მისი გამოყენება ინდივიდუალურია, ზოგ ადამიანზე იგი დადებით ზეგავლენას ახდენს, ზოგზე — არა. დადებითი შედეგის მაჩვენებელი ნიშანი კი ისაა, რომ გარკვეული დროის შემდეგ სამაჯურის ქვეშ კანი ფერს შეიცვლის.

***ოტდოხნი №17***



# მამაკაცებო, ეს თქვენ გეხებათ...

თუ 30 წლის ასაკში ექვსი მამაკაციდან მხოლოდ ერთს აწუხებს ზედმეტი წონა, რაც შეიძლება არცთუ ისე ბევრია, 30-დან 40 წლამდე კი უკვე ყოველ მეორეს — სოლიდური ღიპი „ამშვენებს“.

სიმსუქნე მამაკაცებისთვის უფრო საშიშია, ვიდრე ქალებისთვის, მაგრამ მათ, სუსტი სქესის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ერთი შესაშური უპირატესობა აქვთ: სრულიად საკმარისია შეცვალონ კვების რეჟიმი, რომ წონაში დაიკლონ.

როგორც კი უარს იტყვით მამაკაცები გემრიელ საჭმელზე (შემწვარი კარტოფილი, ცხიმიანი მაიონეზი, შებოლილი ხორცეული და ალკოჰოლი), ვერც კი იგრძნობთ, ისე დაეტყობა სიკეთე თქვენს აღნაგობას; ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ცხიმი გროვდება ძირითადად ერთ ადგილას და ქალებისგან განსხვავებით (რომელთათვისაც იგი მნიშვნელოვანი მარაგია ფეხმძიმობისა და ბავშვის კვების შემთხვევაში), არა აქვს არავითარი პრაქტიკული გამოყენება. ასე რომ, ძვირფასო მამაკაცებო, თუ დაიცავთ დიეტოლოგთა ზოგიერთ რჩევას, ყველაფერი წესრიგში იქნება:

1. მიირთვით ბევრი ხილი, მარცვლოვანი და სახამებლიანი პროდუქტები, იგი ორგანიზმის ენერგიის წყაროა და კლავს შიმშილის გრძნობას.

2. გაზარდეთ პროტეინით მდიდარი საკვების ნორმა, როგორიცაა: თევზი, კვერცხი, ხორცი, მარცვლოვანი პროდუქტი და ჩირი. ნაკლებად მიიღეთ ცხიმეული, მაგრამ მცირეოდენი მცენარეული ზეთები და დიეტური კარაქი აუცილებელია.

4. არ დაგავიწყდეთ მცენარეული უჯრედისებით მდიდარი პროდუქტების მიღება — მწვანილი, ხილი და ბოსტნეული, ბრინჯი და ა.შ.

5. სვით, რაც შეიძლება მეტი წყალი, რომელიც შიმშილის გრძნობას კლავს. ვახშმად დალიეთ 1 ჭიქა ღვინო. არ გაიკაროთ გაზიანი სასმელები.

6. შეცვალეთ ცხოვრების რიტმი. სამუდამოდ დაივიწყეთ ბუტერბროდები და წახემსება. თუ ჭამა გადაწყვიტეთ, დაჯექით მაგიდასთან და ყველა კერძს გაუსინჯეთ გემო. იკვებეთ დღეში 3-ჯერ და დიდი მნიშვნელობა მიანიჭეთ საუზმეს.

7. რაც შეიძლება მეტი იმოძრავეთ. ამ რჩევას ძლიერი სქესის წარმომადგენლებისთვის მართლაც აქვს აზრი, რადგან, მამაკაცები, რომლებიც სპორტს მისდევენ, უფრო ადვილად იკლებენ წონაში, ვიდრე ქალები (თუ ეს ვარჯიში რეგულარულია). უნდა ივარჯიშოთ მინიმუმ კვირაში 3-ჯერ ნახევარ-ნახევარი საათით მაინც. ამ შემთხვევაში ორგანიზმში მოხვედრილი კალორია ბუნებრივი წესით იწვის, ისე, რომ ვერ ასწრებს ცხიმად გადაქცევას.

თუ სამსახურში გიწევთ დიდხანს ჯდომა, ივარჯიშეთ: დაიწყეთ სწრაფი სიარულით, შემდეგ კი გადადით სირბილზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა სისწრაფეს (ტემპს), არამედ გავლილ მანძილს. გარდა სიარულისა და სირბილისა, შეგიძლიათ იცუროთ, ისეირნოთ ველოსიპედით, ისრიალოთ თხილამურებით.

თუკი სპორტი არ გიტაცებთ, მაშინ სცადეთ ოდნავ მაინც შეცვალოთ თქვენი ცხოვრების წესი: ხშირად ისეირნეთ ქუჩაში და არ ისარგებლოთ ლიფტით.

გახსოვდეთ! მანქანით არ წახვიდეთ საფუნთუშეში!

***ჩასტნაია ჟიზნ №5***

ვმკურნალობთ უახლესი მეთოდებით ენაბლუობას (ლოგონევროზს), ენაჩლუნგობას, დიზართრიას, ალალიას
რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრი ვაჟა-ფშაველას 18ა
ტ: 39-01-42 (10-13 სთ-მდე)
23-12-89 (14 სთ-დან)
ლალი ლომთათიძე

ოპერაციის გარეშე!!!
პლანტა
საგვარეულო მცენარეული ნაკრები
• ჩიყვი
• მასტოპათიური კვანძები
• ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები (ხვრინვა);
• კენჭოვანი დაავადებები (თირკმლები, ნაღვლის ბუშტი);
• საშვილოსნოს კისტა, ფიბრო-მიომა;
• პოლიკისტოზი - უნაყოფობა
მის: ქავთარაძის 16, ოთ. 431
☎ 877 49 61 48

მკურნალობა აპარატურით
ალერგიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ენაბლუობის, წნევის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის (სიმსუქნე, ოსტეოქონდროზი), იმუნური სისტემის დაქვეითების მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით.
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მე-13 სართ. (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა) ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი, ექიმი ზურაბ ხარიაშვილი, 10-16 სთ-მდე
☎ 899-97-58-77; 39-58-77 ბინა

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ენდოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი“
გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.
მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა
☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ანნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

# გონართროზი – მუხლის სახსრის პათოლოგია

მუხლის ტკივილის გამომწვევი მიზეზი ბევრია: ერთი-ერთი მათგანია გონართროზი — დაავადება, რომლის საფუძველია ხრტილის დროზე ადრე „დაბერება“ და „გაცვეთა“, ხრტილისა, რომლითაც დაფარულია მუხლის სახსრებში შემავალი ძვლები. ხრტილი თხელდება, აღინიშნება მისი გაუწყლოვნება, კარგავს ამორტიზაციის უნარს. დროთა განმავლობაში სახსრის ზედაპირზე ჩნდება ოსტეოფიტები — წამონაზარდები. ისინი ცვლიან სახსრების კონფიგურაციას, რაც სახსრის დეფორმაციას იწვევს. ამიტომაც, ართროზს უწოდებენ მადეფორმირებელს.

დაავადების განვითარებაში პირველ რიგში „დამნაშავეა“ ტრავმები, რომელსაც მუხლის სახსარი სხვა სახსრებთან შედარებით უფრო ხშირად განიცდის.

გონართროზის (მუხლის სახსრის ართროზი) კიდევ ერთი მიზეზი ფეხების დეფორმაციაა, რომელიც განპირობებულია ბავშვობაში გადატანილი რაქიტით ან სხვა დაავადებით, რომლის დროსაც ვითარდება მუხლის ე.წ. ვარუსული დეფორმაცია. ამ დროს ფეხების ფორმა „O“-ს წააგავს. დიდი ხნის მანძილზე ადამიანი უსიამოვნო შეგრძნებებს არ განიცდის, მაგრამ 40-50 წლისთვის ჩნდება ართროზის პირველი ნიშნები. ეს აიხსნება მუხლის სახსრის შიგნითა სტრუქტურების მუდმივი გადატვირთვით, რის გამოც ხრტილში ადგილი აქვს დეგენერაციულ ცვლილებებს.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნივთიერებათა ცვლის დარღვევა და ხრტილის კვება, ასევე სახსრიდან ვენური სისხლის დინების შეფერხება. ამ უკანასკნელის მიზეზი შეიძლება იყოს: მემკვიდრეობითი არაკეთილსაიმედო განწყობა, ქრონიკული ინფექცია, ენდოკრინული პათოლოგიები, გაცხიმოვნება...

ყველაფერი ძალზე მარტივად იწყება, დაჯდომის ან სიარულის დროს აღინიშნება სუსტი „ტკაცუნის“ ხმა. შემდეგ ადამიანი ამჩნევს, რომ ძილის შემდეგ ან დიდი ხნის ჯდომის მერე უჭირს ფეხის გაშლა, ამ დროს აღინიშნება ტკივილი. თუმცა, ის ძალზე სწრაფად გაივლის, მაგრამ დიდხანს და ბევრი სიარულისას უკვე რთულდება: ფეხები სწრაფად იღლება, კვლავ ვითარდება ტკივილი მუხლის სახსარში.

სახსრის არეში წარმოქმნილი შებოჭილობის თავიდან ასაცილებლად საჭირო ხდება ხანგრძლივი დასვენება. უფრო ძლიერი ტკივილი მოსდევს დიდხანს ფეხზე დგომას. ამ დროს უკვე მტკივნეულია არა მარტო მუხლის გაშლა, არამედ მისი მოხრაც. მუხლის სახსარი შუპდება, რაც განპირობებულია სახსრის შიგნითა გამონაჟონით.

შორსწასულ შემთხვევაში მუხლის სახსრის მოხრა-გაშლა საერთოდ შეუძლებელი ხდება, ირღვევა მოტორიკა, ზიანდება კუნთოვანი აპარატიც, თანდათან განილევა ბარძაყის კუნთები.

ამ დროს უნდა მიაკითხოთ ტრავმატოლოგ-ორთოპედს. ის გამოკვლევების საშუალებით დაადგენს დაავადების გამომწვევ მიზეზებს და დაგინიშნავთ შესაბამის მკურნალობას. თანაც, რაც უფრო მალე დაიწყება მკურნალობა, მით უკეთესია.



გონართროზი საჭიროებს შემდეგი სახის კომპლექსურ მკურნალობას: მედიკამენტური თერაპია, ფიზიოთერაპიული პროცედურები და ორთოპედიული ზემოქმედება, ზოგჯერ კი, ქირურგიულ ჩარევას.

ტკივილის სინდრომის მოსახსნელად, ასევე სახსარში ანთებითი ცვლილებების თავიდან ასაცილებლად გამწვავების პერიოდში ინიშნება დღეში 1-3 გ ასპირინი, არასტეროიდული ანტიანთებითი საშუალებები — დიკლოფენაკი, ვოლტარენი, იბუპროფენი და სხვა. შეგიძლიათ ინდომეტაცინის, მეთინდოლის მიღება. უნდა გაგაფრთხილოთ! ეს საშუალებები სახიფათოა წყლულოვანი დაავადების ან გასტრიტის მქონე პაციენტებისთვის. ასეთ შემთხვევაში პრეპარატები ინიშნება — მალამოების, სანთლების სახით. კარგ ეფექტს იძლევა ვოლტარენის, პროფენიტის, ინდომეტაცინის, ბუტადიონის მალამოების შეზელვა სახსრის არეში.

კარგია დიმექსიდის კომპრესები; ის აუცილებლად უნდა გაზავდეს 1:3-ზე წყალში. კომპრესი ღამით კეთდება. სუფთა ბამბის ნაჭერი დაასველეთ დიმექსიდის ხსნარში, დაიფინეთ მუხლზე, დააფარეთ პოლიეთილენის პარკი და შეიფუთეთ. მკურნალობის კურსი 2-4 კვირაა.

მწვავე ანთების ჩაცხრობის შემდეგ ინიშნება პრეპარატები, რომლებიც აუმჯობესებს ხრტილის კვებას — რუმალონი, არტეპარონი, სტრუქტუმი. ამას ხელს უწყობს ასევე მალამო-ქონდროქსიდი.

რაც შეეხება ფიზიოთერაპიულ მკურნალობას — გამოიყენება ელექტროფორეზი, ანტიანთებითი და გამაუტკივარებელი ნივთიერებებით, ულტრაიისფერი დასხივებით, ასევე მკურნალობა ტალახით, რომელიც მდიდარია მიკროელემენტებით, სასარგებლოა პარაფინის აპლიკაციები და რადონის აბაზანები.

მწვავე ანთებითი პროცესების მოსახსნელად კარგია კორტიკოსტეროიდული პრეპარატები — ჰიდროკორტიზონი, კენალოგი (სჯობს მათი გამოყენება ელექტროფორეზის ან ფონოფორეზის დროს).

ორთოპედიული მკურნალობის მიზანი — მტკივანი სახსრის განტვირთვა და ბარძაყისა და წვივის კუნთების რეფლექტორული შეკუმშვის შესუსტებაა.

ძალზე სასარგებლოა სახსრის მოძრაობის გასაუმჯობესებლად ცურვა და სამკურნალო ფიზკულტურა, ფეხის კუნთების მასაჟი. ზოგიერთი ვარჯიში შინაც შეგიძლიათ გააკეთოთ — მაგ. „მაკრატელი“, „ველოსიპედი“. გამწვავებების დროს მოერიდეთ ბევრ მოძრაობას. ყურადღება მიაქციეთ წონას! ზოგჯერ კონსერვატული მკურნალობა საკმარისი არ არის, დაავადება პროგრესირებს, იზრდება დეფორმაციის ხარისხი. ამ დროს საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევა.

***მაია მუხიგული***

# რა იწვევს ანემიას?



ხალხი მას სისხლნაკლებობას უწოდებს. თუმცა, ამ დაავადების დროს სისხლი კი არ არის ნაკლები, არამედ დაბალია ჰემოგლობინის დონე, რომელიც აუცილებელია ჟანგბადის ტრანსპორტირებისათვის. როდესაც არასაკმარისად მიეწოდება ჟანგბადი ორგანიზმს, ამ დროს უჭირს მას გაუმკლავდეს დატვირთვას, მიკრობებისა და ვირუსების შემოსევას, ე.ი. იმუნიტეტი ქვეითდება. ეს რომ არ მოხდეს, სასწრაფოდ უნდა ვუმკურნალოთ ანემიას. ანემიის გამოსაცნობად ყურადღებით დააკვირდით თქვენს გუნება-განწყობილებას: მუდმივად დაღლილობის, მოთენთილობის შეგრძნება, თხელი, შრევებად დაშლილი ფრჩხილები, არაბუნებრივი უფერულობა, ხშირი თავის ტკივილი, ყურებში ხმაური და ტანში ციებისმაგვარი ჟრჟოლა მიანიშნებს ანემიაზე. უმალ მიმართეთ ექიმს, რომელიც დიაგნოზს დაგისვამთ და დაგინიშნავთ მკურნალობას. უმეტესად ანემია ვითარდება რკინის ნაკლებობის დროს. ამ მიკროელემენტის „ხარჯვა“ დამახასიათებელია ფეხმძიმე ქალებისა და მეძუძური დედებისათვის, ვისი ორგანიზმიც ამ ელემენტს უნაწილებს თავის პატარას. ამიტომ, მათ დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები ჰემოგლობინის დონის ასაწევად.

ხშირად კუჭიდან და ნაწლავებიდან სისხლდენამ ან არასწორმა კვებამ, შეიძლება გამოიწვიოს სისხლნაკლებობა. გახსოვდეთ: მცენარეულობიდან ცუდად აითვისება რკინა, მათში ნაკლებია $B_{12}$ ვიტამინი, რომელიც მონაწილეობს სისხლის წარმოქმნაში. შეეცადეთ იკვებოთ რეგულარულად და უპირატესობა მიანიჭეთ ნატურალურ პროდუქტებს. ორგანიზმს რკინით კვებავს ხორცი და სუბტროპიკები, სოია, ოსპი, წიწიბურა, კვერცხი, მოცვი, სოკო. წიწიბურის ფაფას დაამატეთ C ვიტამინით მდიდარი ასკილის ნაყენი ან ფორთოხლის წვენი — რომლებიც აუმჯობესებენ სისხლში რკინის შეწოვას.

***ოტდოხნი! №10***



## კამრანის ბაზაზე რუსეთის დროშა დაუშვეს

კამრანის სამხედრო ბაზა 23 წელიწადს იყო რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დასაყრდენი წყნარ ოკეანეში. ამერიკელების მიერ აშენებული ბაზა 1979 წელს საბჭოთა კავშირს გადაეცა, მოსკოვს შეეძლო კამრანი უსასყიდლოდ გამოეყენებინა 2004 წლამდე. 1998 წელს ჰანოი დათანხმდა ხელშეკრულების გაგრძელებას იმ პირობით, თუ რუსეთი ყოველწლიურად გადაიხდიდა იჯარას — 300 მლნ დოლარს.

შარშან პრეზიდენტმა პუტინმა ოფიციალურად განაცხადა, — დაიწყო კამრანიდან რუსეთის ბაზის გამოყვანის პროცესიო. ვიდრე რუსი სპეციალისტები აღჭურვილობას შლიდნენ და წამოსაღებად ამზადებდნენ, წყნარ ოკეანეში აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა სარდალ დენის ბლერს წამოსცდა — ვაშინგტონი მზად არის წელიწადში 500 მილიონი დოლარის გადასახდელად, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკული ოპერაციების მხარდასაჭერად მიეცემა ბაზის გამოყენების საშუალებაო. გამოდის, რომ ახლა კამრანი შესაძლოა იჯარით აიღოს აშშ-მა. ვიეტნამის ოფიციალურმა პირებმა არაერთხელ განაცხადეს, — კამრანს მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით გამოვიყენებთო, მაგრამ ვაშინგტონის წინადადებამ შესაძლოა შეცვალოს მათი გეგმები.

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყოფილ სარდალს, ადმირალ ედუარდ ბალტინს რუსების გამოსვლა კამრანიდან სტრატეგიულ შეცდომად მიაჩნია.

***კომსომოლსკაია პრავდა №76***

## მიანმის ხელისუფლებამ ოპოზიციას ლიდერი დაუბრუნა

19 თვის შინაური პატიმრობის შემდეგ მიანმის (ბირმის) დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა აუნ სან სუ ჩჟიმ დატოვა იანგონში ვიქტორიის ტბის პირას მდებარე თავისი ვილა. მის შესახვედრად ვილის კარებთან არა მარტო თანაპარტიელები მივიდნენ, არამედ ქვეყნის უპარტიო მოქალაქეებიც. ბირმელებისთვის ქალბატონი სუ ჩჟი — დემოკრატიის სიმბოლოა, ისევე როგორც მამამისი გენერალი აუნ სანი იყო ბირმის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლო. იგი დაიღუპა 1948 წელს, რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე ლონდონი ბირმის დამოუკიდებლობას აღიარებდა, მაშინ მისი გოგონა 2 წლისა იყო.

საზღვარგარეთ მცხოვრები სუ ჩჟი 1988 წელს მიანმაში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა სახალხო ამბოხს ნე ვინის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. მაგრამ გამარჯვებით გენერლებმა ისარგებლეს და სამხედრო რეჟიმი დაამყარეს, რომელიც დღემდე არსებობს მიანმაში. მიუხედავად იმისა, რომ სუ ჩჟის მიერ შექმნილმა დემოკრატიისათვის მებრძოლმა ნაციონალურ-



მა ლიგამ 1990 წელს საპარლამენტო არჩევნებში ადგილების 80% მიიღო, გენერლებმა გააუქმეს არჩევნების შედეგები და სუ ჩჟი საკუთარ ვილაში ჩაკეტეს. 1991 წელს მას ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭა. 1995 წლის საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოთხოვნით ხუნტა იძულებული იყო გაეთავისუფლებინა იგი შინაური პატიმრობიდან, მაგრამ ქვეყნის დედაქალაქიდან იანგონიდან გასვლა აუკრძალა. 2000 წელს ისევ დააპატიმრეს, რადგან განაგრძობდა თავის მომხრეებთან შეხვედრებს. მისმა დაპატიმრებამ მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია. მიანმის მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და ქალბატონი სუ ჩჟის სახლიდან გასვლის ნება დართო. ოპოზიციის ლიდერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა — „როგორც პარტიის გენერალური მდივანი, ყველაფერს ვილონებ მიანმაში დემოკრატიის დასაბრუნებლად“. ბოლო თვეებში ხუნტამ პატიმრობიდან გაათავისუფლა 600 ადამიანი, 1000-ზე მეტი პოლიტპატიმარი ისევ ციხეშია.

სუ ჩჟის გათავისუფლებას მიესალმა მსოფლიო ბანკი, რომელიც მიანმას კრედიტს აღარ აძლევდა. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იორიკო კავაგუტიმ კი განაცხადა — ჩვენი ქვეყანა (იაპონია მიანმის მთავარი დონორია, მაგრამ სუ ჩჟის დაპატიმრების მერე შეუწყვიტა დახმარება) ისევ გაუწევს მიანმას დახმარებას, რათა ხელი შეუწყოს დემოკრატიის ალმავლობასო.

***იზვესტია №78***

## მაცხოვრის შობის ტაძარი გაათავისუფლეს



ბეთლემში მაცხოვრის შობის ტაძარი 5 კვირის განმავლობაში იყო გარშემორტყმული ისრაელელებით. ეკლესიიდან სათითაოდ გამოვიდა 13 პალესტინელი ექსტრემისტი, რომლებსაც ყველაზე საშიშ ტერორისტებად მიიჩნევენ. მათ მისცეს ავტობუსში ჩასხდომის ნება, რომელიც მათ აეროპორტში წაიყვანდა, იქიდან კი ბრიტანეთის სამხედრო თვითმფრინავით კვიპროსზე გადააფრენდა. ისინი კუნძულზე დარჩებიან მანამ, სანამ არ გაირკვევა მათი შემდგომი ბედი. მათ მიჰყვა 26 პალესტინელისგან შემდგარი ჯგუფი, ისრაელთან წინასწარი მოლაპარაკებების თანახმად, მათ ღაზის სექტორში გადაიყვანენ. ეკლესიაში კვლავ იმყოფებიან მშვიდობიანი მოქალაქეები, მათ ისრაელის სამხედრო ბანაკში გაგზავნიან ვინაობის დასადგენად და შემდეგ გაუშვებენ. ებრაელი ოფიცრის თქმით, რომელიც მონაწილეობდა ხალხის ევაკუაციაში, ისრაელის ჯარი ბეთლემს მაშინვე დატოვებს, როგორც კი დამთავრდება მაცხოვრის შობის ტაძრიდან პალესტინელთა გაყვანა. ბეთლემი პალესტინის ბოლო ქალაქია, რომელიც ისრაელის არმიას ჰქონდა დაკავებული.

ისრაელის მთავრობამ განაცხადა, რომ აუცილებლად იძიებს შურს თვითმკვლელი პალესტინელი ფანატიკოსის ტერორისტული აქტის გამო. თელ-ავივის გარეუბანში აფეთქებულმა ბომბმა 15 ისრაელელი იმსხვერპლა.

პალესტინის უშიშროების სამსახურმა რადიკალური დაჯგუფება „ჰამასის“ 16 წევრი დააპატიმრა. პრეზიდენტი ბუში მიესალმა ამ ნაბიჯს, მაგრამ იასირ არაფატს შეახსენა, — ტერორისტები ციხეში უნდა ჩასვაო.

***ინტერფაქსი***

## თითიდან გამოწოვილი სამხილი

11 სექტემბრის ერთ-ერთი მთავარი „გმირი“, ტერორისტი მოჰამედ ატა ერაყის აგენტს ჩეხეთში შეხვდა, — იუწყებოდნენ გაზეთები. ამით თითქმის დასტურდებოდა კავშირი, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო სადამ ჰუსეინის ხელისუფლებასა და საერთაშორისო ტერორისტებს შორის. ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1998 წელს, პრაღაში დაფუძნებულმა რადიო „თავისუფლებამ“ ანტი-სადამური გადაცემები დაიწყო ერაყის მიმართულებით. იმავე წელს რადიოს დირექტორს ტომ დინს აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა აცნობეს, ერაყელები რადიოს შენობის აფეთქებას გეგმავენო. შენობაში სათვალთვალო ვიდეოკამერები დაამონტაჟეს. ერთ დღეს კამერამ გადაიღო ჩასუქებული, ულვაშა, აღმოსავლური გარეგნობის მამაკაცი, რომელიც რადიოს შენობას ვიდეოკამერით იღებდა. მას ახლდა მაღალი, გამხდარი, ულვაშა მამაკაცი. რადიოსადგურის დაცვამ კასეტა ჩეხეთის უშიშროების სამსახურს გადასცა. „ჩასუქებულ ულვაშაში“ ერაყელი დიპლომატი აჰმედ ქჰალილ იბრაჰიმ სამირ ალ-ანი ამოიცნეს. მეორის ამოცნობა ვერ მოხერხდა. 2001 წლის აპრილში ალ-ანი კვლავ გამოჩნდა რადიოს შენობასთან ვიდეოკამერით. ის დააკავეს და ქვეყნიდან გააძევეს. 11 სექტემბრის შემდეგ, როდესაც გაზეთებში მოჰამედ ატას ფოტოები გამოქვეყნდა, ჩეხმა უშიშროების აგენტმა განაცხადა, რომ შეესწრო პრაღაში, ერაყის საელჩოში, ტერაქტამდე ხუთი თვით ადრე, ატასა და ალ-ანის შეხვედრას. მოგვიანებით ეს ამბავი ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა მილოშ ზემანმა სი-ენ-ენ-ს ინტერვიუში განუცხადა. მაშინვე გაჩნდა ვერსია, რომ ერაყელ დიპლომატთან ერთად, რადიო „თავისუფლების“ შენობასთან გადაღებულ ვიდეოკადრებზე აღბეჭდილი ტანმაღალი უცნობი სწორედ მოჰამედ ატა გახლდათ. ამ განცხადებამდე ეს კადრები მხოლოდ რამდენიმე კაცს ჰქონდა ნანახი. სი-ენ-ენ-ის ინტერვიუს შემდეგ ჩეხები იძულებულნი გახდნენ, ეს ვიდეოკადრები გამოექვეყნებინათ. გაირკვა, რომ ტანმაღალი ულვაშა არ იყო ატა. როგორც ირკვევა, ატა ჩეხეთში მხოლოდ 2000 წელს იყო ნამყოფი, მას შემდეგ ქვეყანაში მისი ყოფნის არავითარი მტკიცებულება არ არსებობს. შესაძლოა „ატა-ალ-ანის კავშირი“ ერაყელთა მიერ შემოგდებული



სატყუარა იყო, რომელსაც მოგვიანებით, სიყალბის გამოვლენის შემდეგ, ამერიკელთა „გასაშავებლად“ გამოიყენებდნენ. ეს სატყუარა ამერიკელებმა გადაყლაპეს. მართალია, თეთრ სახლს არასდროს განუცხადებია, რომ ატა-ალ-ანის კავშირი ადასტურებდა სადამის მონაწილეობას ტერაქტებში, მაგრამ ამერიკული მედიის სტატიები და გადაცემები სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. მიუხედავად ყველაფრისა, პენტაგონის ანალიტიკოსები განაგრძობენ ატასა და რომელიმე სხვა ტერორისტის სადამთან კავშირის დამადასტურებელი ფაქტის ძიებას.

***ნიუ ზუიქი***

## მოკლედ

**დსთ**-ის ქვეყნების მეთაურთა სამიტი, რომელიც 29-30 მაისს უნდა გამართულიყო კიშინიოვში, გადაიდო იმ მიზეზით, რომ საჭირო საბუთების მომზადება ვერ მოხერხდა.

**„ალ-ქაიდას“** ტერორისტული ქსელი, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, საქმიანობას განაგრძობს, მზად არის ახალი ტაქტიკის გამოსაყენებლად. საფრანგეთის დაზვერვის მონაცემებით, ბინ ლადენის ხალხი ემზადება ევროპის ქვეყნებში ადამიანთა მოსატაცებლად. სავარაუდოდ, მძევლებად აიყვანენ 300-400 კაცს, რომლებიც მათ თავიანთი დაპატიმრებული ლიდერების აბუ ზუბეიდუსა და ზექერია მუსაუის გამოსახსნელად სჭირდებათ.

რამდენიმე დღეა, რაც **ერაყი** ისევ აწვდის ნავთობს მსოფლიოს. ბაღდადი ირწმუნება, რომ ერაყის ერთთვიან ემბარგოს ნავთობის მიწოდებაზე მხარი არ დაუჭირეს არაბულმა ქვეყნებმა, რომელთა ბიუჯეტი მთლიანად ნავთობზეა დამოკიდებული. ერაყის მიერ ემბარგოს გაუქმებამ ნავთობი გააიაფა.


**ღია კარის დღე**

ამერიკული აკადემია თბილისში აცხადებს 13-14 წლის მოსწავლეთა მიღებას მე-9 კლასში 2002-2003 სასწავლო წლისათვის. მისაღები გამოცდები ჩატარდება ინგლისურ ენასა და მათემატიკაში. სწავლის ღირებულება წელიწადში შეადგენს 3000 დოლარის ეკვივალენტს ლარებში. ფინანსურ გასაჭირში მყოფ რამდენიმე წარჩინებულ მოსწავლეს დაენიშნება სტიპენდია. ღია კარის დღე ჩატარდება 15 მაისს 17 საათზე. ანკეტებისა და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ ამერიკული აკადემიის ოფისში: ჭავჭავაძის 37ა

☎ 22 74 41; 22 78 89


## ჟაკ შირაკმა გაიმარჯვა, მაგრამ ტრიუმფატორი ვერ გახდა



საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ჟაკ შირაკს დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია კონკურენტის — ჟან მარი ლე პენის დასამარცხებლად, თუმცა ტრიუმფზე ლაპარაკი ძნელია, რადგან თუ სურს „ყველა ფრანგის პრეზიდენტად დარჩეს“, მაშინ ლე პენის 6 მლნ ამომრჩევლის ინტერესი უნდა გაითვალისწინოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შირაკმა, სხვა საკითხებთან ერთად, დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს საფრანგეთში მასობრივი იმიგრაციის პრობლემას, რაც ძალიან აშინებთ ფრანგებს. ეს განსაკუთრებით ეხება ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩასულებს. გადამჭრელი ზომები შირაკმა ახლავე უნდა მიიღოს, რადგან ერთ თვეში საფრანგეთში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება...

***ნოვიე იზვესტია №79***

## სენატორ კენედის ქალიშვილს გუბერნატორობა სურს

ექსპრეზიდენტ ჯონ კენედის ძმისწულმა, ყოფილი სენატორის რობერტ კენედის უფროსმა ქალიშვილმა ქეთლინ კენედი-თაუნსენდმა განაცხადა, რომ იბრძოლებს დემოკრატიული პარტიიდან თავისი კანდიდატურის წამოსაყენებლად მერილენდის შტატის გუბერნატორის პოსტზე. ამჟამად ქალბატონი კენედი-თაუნსენდი შტატის ვიცე-გუბერნატორია.

თუ ქალბატონი კენედი-თაუნსენდი გუბერნატორი გახდა, ის იქნება მერილენდის შტატის პირველი გუბერნატორი ქალი, აგრეთვე კენედების კლანის პირველი წარმომადგენელი, რომელიც ესოდენ მაღალ თანამდებობას დაიკავებს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში 1960 წელს ჯონ კენედის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ. ქეთლინის მამამ და მეორე ბიძამ — ედვარდ კენედიმ მხოლოდ სენატორობას მიაღწიეს.

თუ ქალბატონი კენედი-თაუნსენდი 5 ნოემბერს აჯობებს თავის მეტოქეს რესპუბლიკური პარტიიდან, მაშინ იგი დაიკავებს სანუკვარ თანამდებობას.

***კომერსანტი №78***

## ჟურნალისტებს თავშესაფარს მისცემენ

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებმა და სამართალდამცავებმა აღნიშნეს პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე. ერთობლივ განცხადებაში გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა, გაეროს კომისარმა ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში მერი რობინსონმა და იუნესკოს თავკაცმა კოინტირუ მაცურამ განაცხადეს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის სახელს ამოფარება ზოგჯერ საეჭვოს ხდის ათწლეულობით და ზოგჯერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილ პრინციპებსა და ფასეულობებს. ჟურნალისტის დამცავ საერთაშორისო კომიტეტის განცხადებას თან ახლავს იმ ქვეყნების სია, სადაც ჟურნალისტებს ყველაზე მეტად უჭირთ მუშაობა. მათ შორისაა: კოლუმბია, ერიტრეა, ბელორუსია, ბირმა, ზიმბაბვე, ირანი, ყირგიზეთი, კუბა. ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო ფედერაციის ცნობით, მარტო 2001 წელს დაიღუპა 103 ჟურნალისტი, 2002 წლის პირველ თვეებში 30-ზე მეტი.

ფრანგი ჟურნალისტების ასოციაცია აპირებს ერთ წელიწადში გახსნას სახლი იმ უცხოელი ჟურნალისტებისთვის, რომლებსაც თავიანთი შეხედულებების გამო სამშობლოში სდევნიან. ამ სახლში ჟურნალისტები იცხოვრებენ და იმუშავებენ, მიეცემათ დროებითი ბინადრობის უფლება და საჭირო სახსრები. სახლი აიგება ლტოლვილთა საქმეების ევროპული ფონდის, წამყვანი საინფორმაციო საშუალებებისა და ტელეარხების ფულით. დღეს ასოციაციის ნებართვით, პარიზის გარეუბანში უკვე ცხოვრობს და მუშაობს 7 უცხოელი ჟურნალისტი.

***შტერნი***

# „ᲗᲑᲘᲚᲒᲐᲖᲘ" ᲓᲘᲓᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲐ...

გასულ კვირას „თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გაიმართა. ამით არა მარტო დასრულდა კომპანიის ხელახალი გადანაწილების პროცესი, არამედ ქალაქის მერია „თბილგაზში" საკმაოდ კარგად გამაგრდა. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სავარძელი თბილისის საკრებულოს კიდევ ერთმა წევრმა, ჯემალ ბურკიაშვილმა დაიკავა. საბჭოში საკრებულოს კიდევ ერთი წევრი — გია ქაჯაიაც მოხვდა. ერთადერთი, ვინც სამეთვალყურეო საბჭოში ადგილი შეინარჩუნა, ვალერი ჩახნაშვილი გახლავთ. იგი „თბილგაზის" ყოფილი დირექტორი და აქციონერია. საბჭოს კიდევ ერთი ყოფილი დირექტორი დათო ნათიშვილიც შეემატა. აქვეა „საქგაზის" ყოფილი დირექტორი ვახტანგ ლობჟანიძეც. ერთადერთი ახალი სახე ლევან ჯღარკავაა, რომელიც, როგორც გავარკვიეთ, გამოცდილი ეკონომისტია და აქამდე „გაზთან" არაფერი აკავშირებდა.



**ვახტანგ ცაავამ** კი „თბილგაზის" გენერალური დირექტორის სავარძელი ისევ შეინარჩუნა. იგი არ მალავს, რომ რეორგანიზაციით კმაყოფილია.

— ძალიან კმაყოფილი ვარ. შეიძლება ითქვას, ჩვენ შევქმენით ერთიანი, ძლიერი გუნდი და მუშაობაში ხელს უკვე ველარავინ შეგვიშლის.

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲪᲐᲐᲕᲐ:** ყველა ის, ვინც დღეს „თბილგაზის", ასე ვთქვათ, ხელისუფლებაში მოვიდა, მოვიდა იმიტომ, რომ კომპანიას უშველოს.

**— ხელს ვინ გიშლიდათ?**

— რა, ხელის შეშლა არ არის, როცა ოთხი თვე კომპანია სამეთვალყურეო საბჭოს გარეშე იმუშავებს, ხოლო მთელი ორი თვე მოადგილეები არ გეყოლება? იყო გაუთავებელი სასამართლო პროცესები, დავა, ურთიერთბრალდებები... ახლა კიდევ კარგი, ყველაფერი დასრულდა. „თბილგაზს" ჰყავს ახალი სამეთვალყურეო საბჭო და ასევე ახალი ხუთი დირექტორი...

**— რა პრინციპით შეირჩა ახალი სამეთვალყურეო საბჭო?**

— როგორც წესი, კანდიდატურების წარმოდგენის უფლება აქვს ქალაქის მერიასა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს. „თბილგაზის" ხელმძღვანელობას ამ პროცესში ჩართვის უფლება არ აქვს. შესაბამისად, არც კანდიდატურა გვყოლია. ჯემალ ბურკიაშვილი მერიის კანდიდატურა იყო, რომელიც უშუალოდ ვიცე-პრემიერმა დავით ღვინიაშვილმა წარმოადგინა.

**— ალბათ, სწორედ ამ ფაქტორმა განსაზღვრა კიდეც მისი თავმჯდომარეობა...**

— ეს იმ ხუთ კაცს ჰკითხეთ, ვინც იგი აირჩია.

**— სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს რომელი წევრი წარმოადგენს?**

— არ ვიცი. უფრო სწორად, ჯერ არ ვიცი.

**— ქონების მართვის სამინისტრო, რომლის საკუთრებაცაა, ფაქტობრივად, „თბილგაზი", მის მართვაში მონაწილეობას არ იღებს?**

— მე ასე მესმის ეს საკითხი. ქონების მართვის სამინისტრო ამა თუ იმ სახელმწიფო კომპანიაში წარმოადგენს ხოლმე თავის წარმომადგენელს და ასე იღებს ის კომპანიის მართვაში მონაწილეობას.

**— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ სამინისტროს ასეთი კანდიდატი არ წარმოუდგენია?**

— არა, არ წარმოუდგენია.

**— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საქმე გვაქვს საკმაოდ ფორმალურ და უფუნქციო სამეთვალყურეო საბჭოსთან.**

— არა, მე ასე არ ვიტყოდი. სამეთვალყურეო საბჭოს მოქმედების არეალი საკმაოდ გამოკვეთილია. მან უნდა აკონტროლოს კომპანიის ფინანსები, განიხილოს ბალანსები. ახალ სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთსაათიანი შეხვედრით დავრწმუნდით, რომ ჩვენ შევძლებთ ერთად მუშაობას, საქმის კეთებას. მჯერა, რომ ყველა ის, ვინც დღეს „თბილგაზის", ასე ვთქვათ, ხელისუფლებაში მოვიდა, მოვიდა იმიტომ, რომ კომპანიას უშველოს. კომპანიაში დღეს უამრავი ისეთი საკითხია, რომელიც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს.

**— მათ შორის თუ შედის „თბილგაზის" პრივატიზება?**

— ეს ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია.

**— თავის დროზე „თბილგაზის" პრივატიზებისათვის მომზადება ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის საკონტრაქტო კომპანია Pa Consulting-მაც სცადა...**

— მათ დიდი მიზნები ჰქონდათ. შედეგს კი ვერაფერში მიაღწიეს — დაამონტაჟეს საკონტროლო მრიცხველების სისტემა და ყველაფერი ამით დასრულდა. ჰო, კიდევ ერთი კომპიუტერი გვიყიდეს...

ვესაუბრებით „თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს აწ უკვე ყოფილ ერთ-ერთ წევრს **ივერი ქუცნაშვილს.**

— „თბილგაზის" ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მისი არასწორი მენეჯმენტია. ისინი მას, როგორც ასეთს, არ აღიარებენ. „თბილგაზში" არის მართვის საბჭოური სტილი, ე.წ. ვერტიკალური მენეჯმენტი. ჩვენ დავაპირეთ კომპანიაში კონკურსის წესით აბსოლუტურად ახალი ხალხის მოყვანა.

**— თქვენსა და კომპანიის გენერალურ დირექტორსა და მის მოადგილეებს შორის კონფლიქტიც აქედან დაიწყო?**

— დიახ. სამეთვალყურეო საბჭოს აქვს იურიდიული უფლება, დანიშნოს დირექტორები. ჩვენ ეს არ გავაკეთეთ. შევქმენით ათკაციანი კომისია. კომისიის შემადგენლობაში იყო გენერალური დირექტორიც. კონკურსი გამოცხადდა მაღალ თანამდებობებზე. გენერალური დირექტორის გარდა, ხუთივე მოადგილე კონკურსის წესით უნდა დაკომპლექტებულიყო. კონკურსის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში დირექტორებმა ჩვენს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს კონკურსის გამოცხადების უფლება არ ჰქონდა. კახნიაურმა (იყო ასეთი მოსამართლე), რომელსაც ორ დღეში გასდიოდა მოსამართლეობის ვადა, ისეთი გადაწყვეტილებები მიიღო, დირექტორებს რომ აძლევდა ხელს. შემდეგ ჩვენ შევიტანეთ საპირისპირო სარჩელი. ამჯერად სასამართლომ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, რომ კონკურსის გამოცხადებით დირექტორების უფლებები არ დარღვეულა და რომ ჩვენ გვქონდა კონკურსის ჩატარების უფლება. ვინც ჩვენ მაშინ გვიჩივლა: კახნიაშვილმა, არშილავამ და ნათიშვილმა — ყველამ შეინარჩუნა თანამდებობა. ნათიშვილი სამეთვალყურეო საბჭოშიც მოხვდა.



**ᲘᲕᲔᲠᲘ ᲥᲣᲪᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ:** ამ სისტემაში, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს, — მოიპარა, გაათავისუფლეს, შემდეგ სხვა თანამდებობაზე დანიშნეს და ა.შ.

**— კონკურსი მაინც ჩატარდა?**

— სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ჩვენ კონკურსისთვის მზადება გავაგრძელეთ, მაგრამ შემდეგ მთელ ამ ორომტრიალში უკვე საკრებულო ჩაერთო. ბურკიაშვილი, რომელიც დღეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ მოიყვანეს, ამ დირექტორებთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდა.

იმ დროისთვის Pa Consulting-ი უკვე გასული იყო „თბილგაზიდან", რადგან ჩათვალეს, რომ აზრი აღარ ჰქონდა აქ მუშაობას. ასე რომ, ჩვენ ზურგის გარეშე ვიყავით დარჩენილები. სწორედ ასეთ სიტუაციაში გამოცხადდა კონკურსი. მაშინ დაახლოებით 60 განცხადება შემოვიდა. მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება კონკურსის შეჩერების შესახებ.

**— მოტივად რა დასახელდა?**

— მოტივაცია ძალიან უსუსური იყო, — თურმე არსებობს რაღაც დაპირისპირება დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. ამ დროს, გენერალურ დირექტორს მისცეს უფლება თვითონ დაენიშნა დირქტორები, ანუ მოეყვანა თავისი ხალხი. სამეთვალყურეო საბჭოს ერთადერთი ქმედითი ფუნქცია ის არის, რომ იგი უნიშნავს გენერალურ დირექტორს მოადგილეებს. თუ ამ ფუნქციასაც წაართმევ, მაშინ სააქციო საზოგადოება უნდა გადააკეთო შპს-დ. ჩვენს შემთხვევაში კი, თუკი კონკურსი ჩატარდებოდა, სამეთვალყურეო საბჭო „თბილგაზში" პოზიციებს გაიმაგრებდა, რაც საგრძნობლად დაარტყამდა კომპანიაში მძვინვარე კორუფციას. ამ სისტემაში, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს, — მოიპარა, გაათავისუფლეს, შემდეგ სხვა თანამდებობაზე დანიშნეს და ა.შ.

ამის შემდეგ, ჩვენი, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ხელს ვაწერდით სხვადასხვა დოკუმენტს.□ დასასრულ, დავწერეთ განცხადება „თბილგაზიდან" წასვლის თაობაზე.

**— ვახტანგ ცაავა ამბობს, რომ განცხადება თქვენ მის მოსვლამდე დაწერეთ.**

— არა, ეს სიცრუეა. ჩვენ მასთანაც მოგვიწია ურთიერთობა. იგი მუდამ ორმაგ თამაშს თამაშობდა. არ შეიძლება ფულსაც აკეთებდე, „იტერას" კაციც იყო და თან საქართველო გიყვარდეს.

„თბილგაზი" ჯერ ერთი, დიდი ფულის კეთების მანქანაა, მეორეც — მისი როლი თბილისისა და საზოგადოდ, საქართველოს ენერგობაზარზე ძალიან დიდია. ორგანიზაცია, რომელსაც სჭირდება სუბსიდია, ვერ იქნება ჯანსაღი. იგი უკვე გარე ძალებზე დამოკიდებული ხდება.

***ლელა წითლანაძე***



## ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ...

### „ავადმყოფი ღვინო"

**— გავიგეთ, რომ თურმე ღვინოც „ავადმყოფობს" — რაში გამოიხატება მისი ეს თვისება და თუ ავადმყოფობს, რითი?**

***მკითხველთა ჯგუფი***

— მხოლოდ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და მეთოდების მიხედვით დაყენებულ ღვინოს აქვს სასწაულებრივად დადებითი თვისებები. მაგრამ თუ ღვინოს დაყენების პროცესში ტექნოლოგიის რომელიმე რგოლი დაირღვა, იწყება მიკროორგანიზმებით გამოწვეული არასასურველი პროცესი, როგორც ამბობენ — ღვინო ავადდება. ღვინის დაავადების ანუ გაფუჭების მიზეზი 1857 წელს ექსპერიმენტულად დაადგინა ფრანგმა მიკრობიოლოგმა ლუი პასტერმა. ხშირად, როცა ღვინო გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჰაერთან შეხებაში იმყოფება თავდაუხურავი, ან ნაკლულ ჭურჭელში, მის ზედაპირზე გადაეკვრება მორუხო-მოვარდისფრო დანაოჭებული აპკი, რომელსაც საფუარის ბაქტერიები იწვევს. ეს ბაქტერიები ღვინოში შთანთქავენ სპირტს და ორგანულ მჟავებს, შედეგად ღვინო წყალდება, იმღვრევა და ეკარგება სურნელი. ბაქტერიები იწვევენ ასევე ღვინის დაძმარებას... ამიტომ მეღვინეებსა და ღვინისმოყვარულებს დიდი სიფრთხილე მართებთ მისი დაყენების დროს.

### ეს უცნაური სახელები...

**— საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება არაერთი უცნაური სახელი, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებში. ხშირად ისინი სასაცილოდ ჟღერს და გარკვეულ უხერხულობასაც ქმნის. რითია განპირობებული ეს ფაქტი?**

***მ. გიგაური, თბილისი***

— დავესესხებით ავთანდილ სილაგაძის და ანზორ თოთაძის ნაშრომს „გვარ-სახელები საქართველოში" და განგიმარტავთ, რომ სახელის დარქმევა, სამწუხაროდ, ხშირად ყოველგვარი ტრადიციის უგულვებელყოფით ხდება. წარსულში ჩვენი წინაპრები მემკვიდრისთვის სახელის დარქმევისას ახალი აღთქმიდან, წმინდანთა ცხოვრებიდან ხელმძღვანელობდნენ. არ მოვყვებით იმის ახსნას, თუ რატომ დაირღვა ეს ტრადიცია გასულ საუკუნეში... ეს ისედაც ნათელია. მართლაც, სასაცილოდ და უცნაურად ჟღერს ისეთი სახელი, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენის ან ცნობილი პიროვნების გვარის ცალკეული ნაწილის შეერთებითაა მიღებული. ასევე უცნაურია სახელად შვილს საქვეყნოდ გამოჩენილი მეცნიერის, მწერლის, სახელმწიფო მოღვაწის გვარი დაარქვა. მაგ.: დანტე, დანტესი, დარვინი, დეგოლი, დუგლასი, ედისონი, ენგელსი, ვაგნერი, ვერდი, ვოლტერი, ზოლა, გოგოლი, გრომიკო, მარატი, მაქსი, მიულერი, რუზველტი, პუშკინი და ა.შ.

ასევე საქართველოში გვხვდება ისეთი სახელები, როგორიცაა: ლორდი, გრაფი, ნაჩალნიკი, ლიდერი, გენია, უნარი, მგოსანი, ლედი და სხვ.

მემკვიდრის დაბადების მოლოდინითაა ალბათ განპირობებული შემდეგი სახელები: ველოდი, არველოდი, გელოდი, არგელოდი, მელოდი, გელი, შენგელი, მეტია, მინუსი, მეწყინა, არმინდა, დარჩი, ზოლოტო, ვალუტა და სხვ.

### მიწა და გადასახადები

**— გვაინტერესებს, სოფლად მცხოვრები პენსიონერების რომელ კატეგორიას ეკუთვნის შეღავათი მიწის გადასახადისას და რა სახისაა ეს შეღავათები?**

*ამ შეკითხვით რედაქციას მრავალმა მკითხველმა მიმართა და ჩვენც შევეცადეთ მათზე კომპლექსური პასუხი გაგვეცა.*

— სამწუხაროდ, სოფლად მცხოვრები პენსიონერები, ინვალიდები და ასევე მარტოხელა პენსიონერები მიწის გადასახადისაგან არ თავისუფლდებიან და რაიმე კონკრეტული შეღავათით არ სარგებლობენ.

1997 წლის 13 ივნისიდან მიწის გადასახადისგან განთავისუფლებულნი არიან მხოლოდ ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები. კონფლიქტის მოგვარებისა და ეკონომიკური სიტუაციის დარეგულირებამდე მიწის გადასახადისაგან დროებით თავისუფლდებიან: ქურთის, ერედვის, თიღვის სოფლები, ავნევისა და ნულის თემის მაცხოვრებლები (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 158-ე მუხლი).

1999 წლის 9 ივნისს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 158-ე მუხლში შეტანილი ცვლილებებით და „მაღალმთიანი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" — საქართველოს კანონით მიწის გადასახადისაგან გაათავისუფლა კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემების და დაბების მცხოვრებლები. ხოლო სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებლებს მიწის გადასახადი შეუმცირა 50%-ით. აღნიშნული კანონი ძალაშია 2000 წლის 1-ლი იანვრიდან.

საქართველოს მოსახლეობის დარჩენილი ნაწილი მსგავსი პრივილეგიით არ სარგებლობს, თუმცა, არც ისე შორეულ წარსულში შეღავათები მართლაც არსებობდა. ასე მაგალითად, 1995-96 წლებში მიწის გადასახადისგან განთავისუფლებულნი იყვნენ: პენსიონერები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ინვალიდები (ყველა კატეგორია) და მათთან გათანაბრებული პირები; ასევე პირები, რომლებსაც არ ჰყავდათ შრომისუნარიანი მეურვე.

1996 წლის 24 თებერვალს კანონში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები და მიწის გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ: პენსიონერები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებული პირები, II ჯგუფის ინვალიდები, პირები, რომლებსაც ოჯახში არ ჰყავდათ შრომისუნარიანი მეურვე. ხოლო 1996 წლის 27 დეკემბრიდან მიწის გადასახადისგან განთავისუფლებული იყო ის კომლი, რომელშიც ცხოვრობდნენ მხოლოდ ინვალიდები ან პენსიონერები.

***ანზორ მესხიშვილი, მიწის მართვის დეპარტამენტის მიწის რეფორმისა და საგადასახადო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი***

***მკითხველთა შეკითხვების მიხედვით პასუხები მოიძია რუსუდან ჟორჟოლიანმა***


ᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘ, ᲨᲢᲐᲛᲞᲔᲑᲘ, ᲤᲚᲔᲥᲡᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ, ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ, ᲬᲔᲑᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲔᲑᲘ

გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)

☎ 23 26 25; 38 34 17

ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲜᲔᲞᲢᲣᲜᲘ"

- ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲔᲑᲘ (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲓᲐᲜ);
- ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ;
- ᲤᲘᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲜᲔᲑᲘ (ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ);
- ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲯᲥᲔᲠᲔᲑᲘ (ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ, ᲛᲝᲞᲘᲠᲙᲔᲗᲔᲑᲐ).

☎ 92-18-98; 92-18-99; 899-16-05-10

ᲛᲘᲡ: ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ 4


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 11 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2200 |
| ევრო | 2,0991 |
| ინგლ. ფუნტი | 3,2510 |
| რუსული რუბლი | 0,0711 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,6075 |



## თარაზულად:


**5** ნუგბარი მოახლე ქალის ხელში


**6** უდიდესი ჟილდო ერთეულთა თანრიგში — „დიდი — —“


**9** ირიბი სამკუთხა იალქანი გემის წინა ნაწილზე


**10** კომპოზიტორი, რომელზეც შეყვარებული იყო საბჭოეთის ნახევარი მოსახლეობა


**11** პრესაში გამოქვეყნებული პუბლიცისტური მასალა


**15** ორთვლიანი მანქანა


**17** XX საუკუნეში ყველაზე გავრცელებული ბანქოს თამაში


**18** ერთწლიანი კულტურული მცენარე


**19** გვერდხედი

**20** მოწმობა, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე


**24** საბას განმარტებით „ხის ეკალი“


**25** კატის ნაშიერი


**26** მსახიობის ამპლუა



**29** სარეცხი ფხვნილი


**32** ერთი კაცისათვის ერთ ჯერზე განკუთვნილი საჭმელი ან სასმელი


**33** ატმოსფერული გრიგალის ამერიკული სახელწოდება


**34** ეთიოპიის არაოფიციალური (ძველი) სახელწოდება



**35** შესაქცევად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი

## შვეულად:


**1** წერტილი, რომელშიც საგანი მაქსიმალურად მკაფიო გამოსახულებას იძლევა


**2** მწვანით მოსილი მინდორი


**3** გადასაფარებელი

**4** ფრაგმენტებიანი კროსვორდი
გარკვეული ზომისა და მოხაზულობის ასოები


**5** გაუთხოვრად დარჩენილი


**7** უზენაესი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში


**8** ის, რითაც იწყებდნენ სადილს რომაელები


**12** ტკბილეულის დამზადების ოსტატი


**13** ოკეანის ფრინველი


**14** შეიკერის მოქმედების პრინციპი


**16** მიწის ნაკვეთი


**21** თავადის უმაღლესი ტიტული ინდოეთში


**22** მოძრაობის გადამცემი ბორბალი


**23** სასპორტო ნაგებობა


**27** სიყვარულის გამოხატვა


**28** ტუჩის საცხი


**30** მთელ მსოფლიოში გავრცელებული კულტურა


**31** ბალეტები: „ჟიზელი“ და „კორსარი“ (ფრანგი კომპოზიტორი)

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №18 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. მოციქული; 6. სატევარი; 9. კვერცხი; 10. სამება; 11. ეპოპეა; 15. დიდკაცობა; 17. არმია; 18. ეპოსი; 19. მტკვარი; 20. შედევრი; 24. ეპოქა; 25. ფიალა; 26. ქრისტიანი; 29. გელათი; 32. არაგვი; 33. მარკოზი; 34. ივერიელი; 35. ანგელოზი.

**შვეულად:** 1. დინება; 2. ფლავი; 3. საცხი; 4. ევროპა; 5. მინაწერი; 7. ინტერესი; 8. არომატი; 12. მინიატურა; 13. ობსიდიანი; 14. დიპტიქი; 16. ეპარქია; 21. აპოთეოზი; 22. რიტმიკა; 23. მლოცველი; 27. მთვარე; 28. გრაალი; 30. თაფლი; 31. ოზონი.

## მადლობა

კარდიოლოგიური პროფილის დიაგნოსტიკური ცენტრის ,,კარდიო+ექსპრეს+დიაგნოსტიკა“ დირექტორს, ბატონ **მალხაზ გაბისონიას**, მენეჯერს – **ქალბატონ მარიკა გომარელს** და მათ კოლექტივს ულრმეს მადლობას ვუხდით აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისადმი გაწეული უფასო მომსახურებისათვის.

*დევნილთა სახელით, ულრმესი პატივისცემით ენგული იობაძე*

## ბინები

3-ოთახიანი, კარგად გარემონტებული ბინა (ს/ფ 120 კვმ), ბელეტაჟზე, გამსახურდიას გამზირზე, ავტოფარეხით; შესასვლელი – როგორც ეზოდან, ასევე გამზირიდან. ბინას ახლავს 50 კვმ ფართის საკონდიტრო-საცხობი (ყველა საჭირო დანადგარით), მაღაზიასთან ერთად. 38-89-71; 877 72-39-06

გამსახურდიას გამზირზე, 120 კვმ ფართის ბინა, ავტოფარეხით, კარგი რემონტით. გამოდგება როგორც საოფისედ, ასევე კომერციული საქმიანობისთვის. ბინის ქვეშ არის საკონდიტრო, ყველა საჭირო დანადგარით, რემონტით, ბ/აირით, მაღაზიასთან ერთად. ტ: 38-89-71; 877 72-39-06

იყიდება ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურიანიდან (კოტორაანთკარზე გადაბმული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## ქირავდება

1-ოთახიანი ბინა, კინო ,,საქართველოსთან“, პირველადი საჭიროების ავეჯით. ფასი $50. ტელ: 32-23-70

## გთავაზობთ სამუშაოს

საოფისე ავეჯის კომპანია აცხადებს კონკურსს, გაყიდვების მენეჯერის პოზიციებზე. რეზიუმეები (CV) მიიღება: ვაჟა-ფშაველას №45, ,,სოფმშენის შენობა“, მე-15 სართ. ფირმა ,,მოდულორი“. ტელ: 32-98-59; 899 90-63-20

გაიხსნა ოფისი. არის 3 ვაკანსია. გვჭირდება განათლებული, ენერგიული, საღად მოაზროვნე თანამშრომლები 17 წლიდან. გამომუშავება 100-200 ლარი. მის: მ. ,,რუსთაველი“, ჭოველიძის ქ. №2. IV სართ. №13. ტელ: 93-18-84; 899 50-68-25. ქალბატონი ელისო

გვესწ 4 ვაკანსია. სათანამშრომლო მუშაობა განათლებულ, რუსული მცოდნე ადამიანებს. უმუშევარ მსოფლიოში. სიუცდილი თანამშრომლების ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400, აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. ინფორმ! მის: მ. ,,დიდუბე“, ,,სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

ფირმას ესაჭიროება რუსული ენის მცოდნე სერიოზული ახალგაზრდა საინფორმაციო მენეჯერის თანამდებობაზე. ტელ: 34-09-94; 34-73-04. თამუნა

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოჯახებისთვის ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა: ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებელით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

## მომსახურება

INTERNET-CLUB, 1,5 ლ (ყველას 50 თეთრი): ქსელური თამაშები; MIRC, ICQ. ტექსტების ოპერება (რუსული, ინგლისური), აკრეფა-ამობეჭდვა, WEB-გვერდების დამზადება. მის: თავისუფლების მოედანი, ცეცხმტიის შესახ, V სართ. №544. ტელ: 99-99-11

სახლის სარემონტო, მანსარდის, მოწყობა და გადახურვა თუნუქით, კრამიტით, შიფერით იაფად, გარანტიით, საჭირო მასალებით. ტელ: 95-05-56; 39-44-61; 899 58-98-51

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამუღლეზე შალითების შეკვლა-აღდგენა-გამოწხებას, მასალებიანად, საამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამუღლეებს. ტელ: 94-08-10. ვალერი

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას (სამუღლეები, ტახტები, სავარძლები, მატრასები, სკამები და ა.შ.). შალითების გამოწყობა-გაწმენდას, გარანტიით. ტელ: 72-40-90. შოთა

გამწვეთ ავეჯს – სამზარეულოს კარადები, სამისეულები, საოფისე ავეჯი – შეკვეთით ფასებში. ტელ: 33-08-01; 893 32-75-91. ვაჟა

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება) კარადებს და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებს და სამუღლეზე შალითების გადაკეთება-დარიშინება სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გოჩა

ვატარებ ევროპულ ვადერთის ნებმით და ანუსირებით, მორჩენის გარანტიით. მიდება ყოველდღე, ნაწილობრ. სეანსის რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურება ქსელურიკე დარისხებით. მანქის საკუთარი დენის ქუჩა. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

,,ფენშუი“, ,,ჯერალდო“. კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის ეგულდ მორჩენა კი სჭირდება კარგი სპეციალისტს. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ფასები. ეპილაცია შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვილფრამის ევროპული ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (ბოლოს ოიოცით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ჟოჟიაშვილ. მის: მ. ,,300 არაგველი“, არაბანშავის სავაჭრომოლის ზედა კარიან, აბბერის ქ. №15. მიდება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ეპილაცია ვილფრამის ან პლატინის ევროპული ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებულია თმიანობის შემთხვევაში კი განკურნებით უსწრაფეს ვადაში, ყოველგვარი შუნაჯების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეცრუებით არც ფასი ნაქიმერი. შედეგი – პირველივე სეანსზე. თუ ისურვებთ, მოვალ თქვენთან. დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. ანანა

სილამაზის სალონი ,,სტილი“ – ეპილაცია ინდივიდუალური პლატინის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული ფეხდაფარვით, სახის და ტანზე; სახის გაწმენდა; თმის ჭრა დაბალ ფასებში – 5 ლარი; დაგრძელება – 4-5 ლარი; დეკორატიული მოვლა – 15-20 ლარი. ვგრეხავ. არისებას ჯოსმეტიკისა და ჰარკანსხობის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა გვანაშია, მეოდიამ-სტილისტი ზინა. მის: აბასიძის ქ. №115, ბ. №20 (ბზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინ.). გოროზაშვილი

ბარემთახმობის სამედიცინო განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩენა მკურნალობას. მიღოთ ბოლოს გარანტია (თანხის დაბრუნებით). გაკეთდეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

,,ლოუსოლი“ – სალონი ლოსიონი ,,გამოცხოველში“ – სწრაფად მოვიხსნით ლორძიდიდან სისხლდენის, ჩირქს, გაღიზიანებას; გახდეთ შემსუბუქის ტყავზე – უმტკივარის, სტაბილური შედეგით; ცელულიტის დაშლა სიფოფრის კრემით და ლოსიონით. მის: იოსებიძის ქ. №53. ტელ: 37-38-13; ჭავჭავაძის გამზ. №20. ტელ: 29-19-73. კაბინეტი ,,ლუიბოსი“, 10-19 სთ

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ვერკლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხულო მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით ვიკვლევ ორგანიზმს სრულად, ნებისმიერი ორგანოების და სისტემების: კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, პროსტატა, ფილტვები, თირკმელები, ფარისებრი ჯირკვალი, შაქარი, წნევა; ვაწარმოებ მკურნალობას ჰომეოპათიური და ფიტოთერაპიული საშუალებებით. მის: ვარკეთილი, მე-3 მ/რ, მე-9 კორპ. (მ. ,,ვარკეთილთან“). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

ნინო სისაური აწარმოებს ბავშვთა უფასო დიაგნოსტიკას, ჩინური მეთოდით (იმუნოსკოპით). მის: აღმაშენებლის №113 (მედიცინის ცენტრი), დიაგნოსტიკური ცენტრი ,,საბაცეა“, კაბ. №10. ტელ: 61-61-18; 95-74-29. ნინო სისაური

კანზე, ლორწოვანზე და სასქესო ორგანოებზე, მეჭეჭების, პაპილომების, ხალების, ლაქების, კონდილომების, ნაწიბურების, სეირიბეების მოცილება; კოსმეტიკური ეფექტების მიღწევა, ურთხილის, ლევკოპლაკიის, კონდილომების მკურნალობა $CO_2$ ლაზერით, მხოლოდ ერთი სეანსით, მაღალი კოსმეტიკური ეფექტით! მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05

ჩუქაშის შეუფცვ არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი **ეკელინ ლოლაძე** მუშაობისას იყენებს როგორც დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუფლება), ფსიქოთერაპიას, სიცოცხლის ჰაბნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ეისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ექიმი ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ც. ჯაყელის ქ. 3 (ყოფ. კალინინის) ქ. №45, ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

ტრადიციული მეთოდებით მკვლევარის მუშაკი მცოდნე (ინდური, სამკურნალო მცენარეებისა და თერაპიულ პროპორციების) ანთებებს, პროსტატიტი, სიმსივნე, ავთვისებიანი ბორიბის, ლიმფაკლი, ფეხის ტკივილები და ნერგები, მკურნალობით, შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვალი, ქალ-მამაკაცის უშვილობის მკურნალობა, შემოთ სამეცნიერო, კანი და სხვ. მიღება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფითხის (ყოფ. ვორონცოვის) ქ. №25, II სართ. (,,ღირსება“ პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

ლოდბათთოიესთან მოწყვეტილ მალულ ქალები (ძველი ჯირკვლის ურესისა მკურნალობა: მეხსიერება და მეხელ-ნათლიება არარიბის; ხერხემლის გაფისპირგა, რადიკულიტის, თავის ტკივილი; ვარისის ანთების, თმის ცვენის, სებორეას, ფსორიაზის, ბუასილის, ფრონტიტის სიმსუქნის, უფრიანი წირის, შაქრიანი დიაბეტის, უშილობისა, ნერგის ჩამორჩენის, ინფარქტის შემდეგ; მკურნალობა მოხმარებით; დამბინაჟებრივი ახალგაზრდა საგანფიდებების საშუალებით. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. ზედა სწრაფი დიაგნოსტიკა. მის: აღმაშენებლის 113, კაბ. 17. ლოდბათიძე. ტელ: 39-01-42; 899 51-76-08. ირა

მაღალი არტერიული წნევის ნორმალიზაცია ახალი კომბინირებული, არაფარმაკოლოგიური და ფარმაკოლოგიური მეთოდით: ,,ელექტროკლებეზოფორეზი“ და მედიკამენტებიდან (ვაცეციმები ნდება ქვეშ კონსულტაცია, მკურნალობის კურსი – 1 თვე (მეთოდიკის მეცნიერთა დოქტორის ჯონარიფუკი ჭვარ). მის: ფუჯანიდეური საავადმყოფო (ვაჟა-ფშაველას 29), IV სართ. მორიგის მარჯვენ მიდევრ, 481-ე ოთახი. მიღება ორშაბათს და ოთხშაბათს, 11-დან 13 სთ-მდე. ცნობები და წინასწარი ჩაწერა: 66-04-67

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტაფლუების ცენტრში ყვლოფოციურებული ექიმი-ნარკოლოგები, უახლესი მეთოდით, მუშაობის ბანდრიანია ჭირის, აღსასრულის, მუშაობის ნანებრივ ჰარკობადო და ხისტებულია, ნარკოტიკებულ ინფუზიონებზე მიღება. სხვა მეთოდებით ადეკვატურ ზმისა და ეფექტურის ყოველგვარ დარღვევის – ქვანართობითის, ენერგიაზების, კონგრესის ჩამორჩენილობის, სახისა და ხელ-ფეხის პარესი, ცერებრალური დამბლის, სამშობიარო ტრავმის. ტ: 899 55-05-75

ბავშვთა ასაკში ბრონქიტების, ბრონქიალური ასთმის, ანგინების, ადენოიდების, ალერგიოზების, ქრონიკული ტონზილიტების, სინუსიტ, ჰაიმორიტის, პოლინოზის, რეგულარული კარდიტის, ფოტრიკალური სარექლის კონტრაქტორის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ფერმენტოპათიის მკურნალობა უახლესი მეთოდიკით, სპეციალისტის კონსულტაცია ასეთის და უმაღლეს ფიტოპრეპარატული პრეპარატებით სამედიცინო ცენტრი ,,ლაზერი“. მის: ბახტრიონის ქ. №18. ტ: 53-63-05; 38-27-52

## განათლება

სასწავლო ცენტრი ,,Kiber & Languages“ აცხადებს მიღებას: პროგრამირების 10-თვიან კურსებზე: Turbopascal; Delphi; SQL; C++; Java; ინგლისური ენის 6-თვიან კურსებზე. მის: თავისუფლების მოედანი, ცეცხმტიის შესახ, V სართ. №544. ტელ: 99-99-11

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. მობრძანდით, იისწავლით, აიღეთ მართვის მოწმობა. 5ე გადაიხდით ზედმეტს, პიმპლიერების, უკმაყოფილი არ დარჩებით. მის: ლიდო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. №28. ტელ: 99-53-24; 22-21-83; 39-74-53

მათემატ, ვინც ვეძებ ვარჯიშდება!!! მათემატ, ვინც ჩაბარეს!!! მათემატ, ვისაც გაუჭირდება!!! საუკეთესო შედეგები და მაღალი ნიშნები, ინდივიდუალური და მოსწავლეთა ჯგუფი, მათემატიკა და ფიზიკა (ბინაზე მისვლით). ტ: 22-43-84. მაია

ვუამაღლებ!!! კომპიუტერული კურსების გაიარების ლაბორატორიაში. შეისწავლება: ვინდოუსი, ვორდი, ექსელი, ინტერნეტი, სწრაფი ბეჭდვა. გიოცილა სერტიფიკატი. სასური ლიტერატურის მიღებით უფასოდ. მიღებაში ტარდება ინდივიდუალური ჯგუფებში, ჯამიერი. მის: კლიმოვის ქ. 4 მ/რ. ფასი მისაღებია. ტელ: 590-590; 899 10-74-10

კომპიუტერული სტუდია ,,ფაგი კომპიუტერი“, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწავლებისთვის კურსებზე. შესწავლას გარანტიათა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციები, სწავლების მეთოდი ინდივიდუალური. გაიცემა სერტიფიკატი. მის: პაზიძე ქ. 1 (,,მაღლობელის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

სასწავლო ცენტრი ,,ოქმსი“ აცხადებს მიღებას პროფესიულ მომზადების კურსებზე. სპეციალობები: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, პიკდოროდ, ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელობა); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მანიკიური); 4. კომპიუტერი; 5. ბუღალტერია, მენეჯმენტი. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინ.). კურსების ხელმძღვანელი ირინა გვანაშია

## იყიდება

გარემონტებული ფართი, რკინის კარებით და ჭალუზებით (გამოდგება საოფისე, ბაზად, სამარკეტე დარბაზად, 200 კვ.მ); ფართი – 180 კვ, სარდაფი – 160 კვ. მის: ვარკეთილი-3, მე-4 მ/რ, კორპ. 403. ტელ: 39-40-92; 70-38-12; 99-58-59; 877 41-37-80 მერაბი

მოტოციკლეტი ,,იავა-350“, კარგ მდგომარეობაში. ფასი $250. ტელ: 53-67-62

სხენის ააარატები, შლაგბაუმის ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ჯგუფის ჩასართი. აგრეთვე, ელექტრონული და მუსიკალური წესების ააარატი, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20-ის შემდეგ)

ძველებური გერმანული ფორტეპიანო-გიტარა, ზეთა მხარე სამხრივი მოქმედი სარკე, მხოლოდ 2-კარიანი ტანსაცმლის კარადა. ფასი $200. 5-სანთლიანი ჩიხური ჭაღი, ფაიფურის ფეხებით. ფასი 80 ლარი. ტელ: 23-07-65

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია ,,ესთეტი“. 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა



**თენგიზ ქვემშილის ხსოვნას**

გახდა ,,კვირის პალიტრა“!

დიდად პატივცემული, ძვირფასი ადამიანი! გულწრფელი დიდი მეგობრობის ადამიანი ჩვენს რეგიონში თენგიზ წარმოადგენდა, ბატონ თენგიზ ქვემშილის გარდაცვალების ამბავი. ვიცოდით, მიიღოთ ჩემგან დიდი სამძიმარი. მიუმართავთ თხოვნით, ანუგეშით მისი ოჯახი. ღმერთმა ინებოს და ნათელში, სასუფეველში ამყოფოს მისი უკვდავი სული.

დიდი მეგობრებითა და თანაგრძნობით – მერაბ ხუბუა, სენაკის რაიონი, სოფელი უშაფათი.



**გიორგი (ჟორა) ფხაკაძის ხსოვნას!**

საყვარელო ბაბუ, პირველ გაზაფხულს გხვდებით უშენოდ. ერთი წელია, გვაკლია შენი სითბო, სიყვარული, მზრუნველობა და ყურადღება.

ძალიან გვეფარებარ.

*შვილიშვილები და შვილთაშვილები*



**უშანგი დოლაბერიძის ხსოვნას!**

ერთი წელი გავიდა თქვენი გარდაცვალებიდან. უშანგი ბიძია – ასე გეძახდით მერაბის მეგობრები და ამ ორ სიტყვაში ვტევდა ის დიდი სითბო და სიყვარული, რასაც თქვენ მიმართ ვგრძნობდით და თქვენ გრძნობდით ჩვენს მიმართ. გული გვეტკინარ, ვამბობთ და ვგრძნობთ, ეს სიტყვები ვერ გამოხატავს თქვენდამი ჩვენს მადლიერებას. თქვენ იყავით დიდი ოჯახის თავი. ჩვენი თაქმურადის, თქვენი თანდაყოლილი გულის, კეთილსინდისიერება, ქართველი, ოჯახიშვილი, მეგობრობა, თავაზია... თქვენ ღირსეული ცხოვრების ნამდვილი მაგალითი იყავით.

რა არის სიტყვები, თუნდაც გულიდან ამოსული, სიკვდილთან? – ხსოვნა ამარცხებს სიკვდილს და თქვენ ჩვენთან ხართ მანამ, სანამ ვარსებობთ. გვენახსოვრებათ კაცი, რომელიც უხინჯოდ გაიარა წუთისოფელი... თქვენს ვჯის და ვალის თქვენი ვაჟკაცური და ქალიშვილები ავრძელებენ, იმ სულიერებას კი, რომელიც თქვენში იყო, ჩვენ – ვცდილობთ.

*მერაბის მეგობრები*



**ნუგზარ შუბითიძის ხსოვნას!**

ნუგზარ, ძვირფასო! ეს უკვე მეორე გაზაფხულია უშენოდ. შენი დაბადების დღეს, ადაფიანის ბრწყინვალე დღესასწაულზე და გაიოვნასგადის... უსამშვიდო მწვდია უშენობა. მხურვალე ლოცვა და წმინდა სანთელი არ მოაკლდება შენს სულს არასოდეს...

გილოცავთ დაბადების დღეს! შენ ხომ 45 წლის გახდი 6 მაისს.

*ცოლი, ქალიშვილი და მეულლე ნარგიზი*



**პეტრე ილიას ძე კაპანაძის ხსოვნას!**

მალე 40 დღე გავა შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან. 6 აპრილს, ხარების ბრწყინვალე დღესასწაულზე დაგვიდგა ის მძიმე წუთები, განშორება რომ გვქვია.

თავზარდაცემული იყო ეს ტკივილი შენი ოჯახისათვის. ყოველთვის ჩვენ ვიხედავთ დამარტიას და შენც ყველაფერში გვეხმარებოდი. თვითონ ჩემ კი ამ ერთხელ დაგვტოვე ჩვენ შვილსა, ჩვენც ყველაფერს გაკეთებთ, შენი სიყვარულის თითოეული საათი თუ წუთით გაზიარებისათვის, მაგრამ საკვდილის წინაშე უძლურები აღმოჩნდით.

შენ ამქვეყნად კეთილ კაცის სახელით იცხოვრე, ამიტომ გვგონია, შენი უხვად გაცემული სიკეთისთვის, ცათა სასუფეველში დამკვიდრდები. შენს ცივ სამარეს კი ჩვენი სიყვარულის ცრემლები არ მოაკლდება, ყოველთვის ჩვენთან იქნები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

*მეულლე ნათელა; შვილები ლალი, ლია, ცკა; სიძეები, შვილიშვილები*



**გივი ტაბატაძის გახსენება**

ის, უკვე ერთი წელია, რაც შენ ასე უცხოდ მიდიხარ ჩვენგან. იმ პირველ წუთების დახსოვნებას და გაურკვევლობის დრომ ვერ რანავრი აზხსნა ვერ მოუტანა.

ვევლით ვფიქრობდით, თუ შენი დაკარგვით გამოწვეულ დანაკლისს ვეჩვევით გაგრძელებით, შენი უცხური გაუჩინარების მიზეზს მაინც შევეჩვეოდით ბოლოს, მაგრამ დრო მიდის და უფრო და უფრო გაუგებარი ხდება, თითქოს ყველაფერი ასე სადაოა. გვაკლია წინაშე ყოველდღიურად კიდევ უფრო მშობლიური სამოყრის ერთად ხდება, ესოს მეგობარი და გიდ ნათელი.

შენი ბიბარ რომ კაცი, ნაფარი ერთი გაყოლა, უცვლელი მიწათ ცელქ ვერაძე და ახლად ოჯახის.

ყველა შენი მეგობარი ცდილობს აბსნას შენი გადაქცევა ნამდვილად. შენს მეგობრებში ერთი კაციც ვერ გვიამბოს, ვინც შენ გაცემისა და წარმოსდგა ფამიდეფი. შენ ხომ ყველას იღლებოდი, უზომოდ ტკბებოდი, წინდახედულე და სათავე ვმსოფლმედველობიანი უზომოდ.

ვიხსენებთ შენ მიერ განვლილ გზას: სანდომიან მოსწავლეს, უზომოდ მოსიყვარულე და თავმდაბალ შვილს, საიმედო მეუღლეს, მზრუნველ მამას.

უზომოდ თბილი, ლამაზ და მართლაც რომ სამაყო ოჯახის ქმნიდობით ახალგაზრდა კაცისთვის საკმაოდ წარმატებული კარიერა. 1992-93 წლების საგანგებო სიტუაციაში სიმართლის დაბრუნების ახალგაზრდა ქართველი ბიზნესმენის სასიხარულო, წინ გადადგმული ნაბიჯების გვერდით რამდენიმე წლის ვგმირებოდით. ამ ბიზნესის თითქმის ზეპირ მოსავალი. ჩვენ რასაც მოგისთვისებსოდ სამიდაზე და უზომოდ იმედით მიმართავს მოსკოვს.

და უეცრად, თითქოს გულვიანი უცნობი დატრიალდა. ჩვენი სამშობლოს ბედის არევამ, ბევრი ჩვენგანის შიშას შეეყო.

ბევრ საიმეფო და იმედის მიმცემ მამულიშვილს გავაშნდა გულში იმედი და ლამაზი და მოხმარება შენ შინ გადმოდგმიათ ახლოს ნაბიჯი.

ვვდილობ, უფალო, მეგობრე!

უზომოდ ვვენატრებით.

ამ მონატრების გაუფერუღვიდა ათას გვებს.

უფალი იყოს შენი მფარველი და მფარველი!



**გურამ რიჩიაშვილის მონატრება!**

18 მაისს ჩვენ ტრაგიკული დღეა. ამ დღეს დაკარგული შენი ლამაზი სიცოცხლე. ჩემი მამიკო ვცრეე. შენს სიტყვებს და თბილ გულს ვერ აიტანს დიდი ტკივილი. კოსც ჩვენთვის იტვირთმდა გავეჩენდნათ. გახვლილის მოწყობ, მონატრება და რამე მობობრავები, უმკოდ ლამაზი სიცოცხლე სიცოცხლე. ჩვენ დაგვიჩნდა ეს ჩვენი, მოხმარებით, შენ ცოცხლად გვყავხარ ჩვენ გულებსა. ჩვენი დიდი სულის აღმაშენე, თუნდაც რა დიდი ყოფილი. მოვგონებს ჩვენთან შენი ლამაზი, სიხარულით აღსავსე თვალები, დროის ყველაფერს მკურნალად, მაგ! ტკუილია – გაუსაძლისი ის ტკივილი, რასაც უშენობა გვქია. ძალიან უშენოდ, შენი უტკებს, ისეთი მამის დაკარგვა, როგორიც შენ იყავი.

ღმერთმა ნათელში განამყოფოს შენი ლამაზი სული.

*გიორგი და სოფო რიჩიაშვილები*



**ირაკლი ჩიქობავას გახსენება**

ცრემლებსა და მწუხარებაში გავიდა მთელი წელი ერთი წელია, რაც ჩვენ, ჩემო ირაკლი, ამბობდით 14 მაისი – ამ დღეს დაგვკარგე ერთადერთი, ჩვენი სიხარული, ჩვენი სიამაყე. ძნელია შენი ყურებული გახსენება. შენს უღრმეს საოცნებოდ ცხოვრების დადგენილებს, მიმართავ გავაუპირებ. განგების მიერ მინიჭებული ზედამხედველის 35 წლის გარდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე იმდენის გაცემა შეძელი, ერთი ჩვეულებრივი სიცოცხლე რომ არ ეყოფოდა. ყოველთვის სიხარული გამხნევბი შენი მშობლები, ძმა, რძალი, შენი ვაჟკაცი, ამისშვილები, ნათესავები, ჩვენთვის მუდამ დაიცყვებთ შენი წმინდა სახელი, რომელსაც დიდიული არ უწერია.

იბინე ძმადადი, ჩვენი ირაკლი, სამარადისო სასუფეველში. ვცოდ ცოცით, რა დიდი იყო დარჩა გავება შენი ზურგასა. მარია-

ლია, მას იმ სიცარიელეს ვერავინ შეავსებს, უმაშინის ტკივილი რომ ჰქვია, მაგრამ სხვის არაფერი დაგვრჩენია და გვეზრდება ისეთი, როგორიც შენ გინდოდა.

იკა, ყველაფერს გაკეთებთ, რათა შენი ლამაზი სული ღმერთმა ნათელში ამყოფოს, მიუხედავ იყოს შენეიობ შენი მშობლიური ქართული მიწა.

*ოჯახი*



**ჯემალ მელიქიძის გახსენება**

საყვარელო მამის მონატრება გავიდა უსასრულოდ სევდიანი დღეები. უკვე დიდია, გათხვის მოზუხეს. ჩვენს გულებში კი უსამზღვრო სევდა. მამიკო, ძალიან გვენატრები, ძალიან გვკლიხარ. სულ გველოდებით. ასე გვგონია, სადღაც არის, შემოაღებ სახლის კარს და დაგვიძახებ: ,,ჩემი შვილებოი სად არიან?“ თუ გვინახავ, მოგებად და მბრძანებ მოგვეფერები. მაგრამ ვაი, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ნატვრაა. რა ვქნათ, მამიკო, უშენოდ, რომ ვინ დუმს ვინ დედიკო? სიტყვას ვანლავთ, რომ არ შეგვარცხვენო, ვიქცევით ისეთი, როგორც გვეხარჯებოდა. იბინე მშვიდად, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი შვილები ხოფოკო და გიგა მელიქიძეები*



**მამუკა ადამაშვილის გახსენება**

2001 წლის 18 მაისი, სადამოს 5 საათი. აი, ის დღე, საათი, წუთი, წამი, რომელმაც თითქოს შეარყია ყველაფერი, გაანგრია ცხოვრების ბორბალი და მხსოს დაეცეხასავი გვასმა, – მამუკა დაიღუპა.

მონატრების ერთი წელი გავიდა, რაც ასალი ცხოვრების გზაზე წახვედი ქრისტეს ასაკში, სხვისი ხელით დალუპული ვაჟკაცი. უღრმეს სევდის დაუსადეურებია შენი დათბლუპული ცოლ-შვილი, დედ-მამა, ძმის ოჯახის წევრები გულებში. შეიძლებიან სასაფლაოზე, შენს სურათს ვეფერები, ვესაუბრებით, ყვავილებით ვაკამხობთ და თან მდუღარება ჩამავდების თვალთავად, მაგრამ ვაი, რომ ვერაფერს გშველით.

გვენატრები, ძვირფასო აღმართო, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულო! გვიძნა მოგილოცოთ სამუდამო საძვალე შეშინავს აღდგომის დღესასწაული ღმერთს!

მამუკა, ლოცვე შენი თვინასა და ზეციის კარად ყოფნასთვის. ასეთივე როგორც, მუდამ თავაცურენილები ჯერდა და მეუღლე, მამა და ძმა. ჩვენ ყოველთვის გვენახსოვრები და გვეყვარება შენი ტანჯული სული.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, დედო ტკბილი და შუქზრაცე.

*შენი ოჯახი*



**დათოის (ჯიჯილის) ხსოვნას!**

ჩვენო დათო! წლის უშენოდ და ნიჯას გარეშე ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 13 მაისს. გახულ წელს, ჩვენთან, სურამში ალნიშნეთ შენი დაბადებიდან წლისთავი. ბია თამადა იყო, ლამაზი წვერის თამადა, მხოლოდ უჩვენოდ.

წლევანდელი შენი დაბადების დღე ძალიან მწარე ჩვენთვის. ცრემლებითა და გულის ტკივილით ვხვდებით შენს დაბადების დღეს. ვგუ-ლის სახლთი გაილოცა ოცდამხალი წლის შესრულების.

ჩემთან ვყლაზე ძნელია უკუჩნობა, ჩვენ ხომ ერთად ვიზრდებოდით. შენ და ნიკა ერთი წლით უფროსნი იყავით ჩემზე. ტრაგიკულმა შემთხვევამ ორივე ერთად წამართვა. ყველა გეძებთ, ხმარად თქვენი ხმაც კი მესმის ხოლმე, მაგრამ უძლური ვარ, ვერაფერს გიშველით. იმდა დამშვიდდები, უფალს შევავედრებ თქვენი წმინდა სულები.

ნათელში იყავით, ჩემო ძმებო.

*თქვენი კობა*



**გელა სამხარაძის მონატრება**

14 მაისს პირველად შეგხვდებით შენი დაბადების დღეს უშენოდ, შვილო!... 48 წლის გახდებოდი, ჩემო ვაჟკაცო. ალალ, უღალატო და მოსიყვარულე იყავი ყველასათვის. შენს ორ მისწრებულ შვილს – გოგოს და ბიჭს კი უფროსი ძმასავით ედექი გვერდით, შენი პატარა დისშვილი სიღრუ ხომ შვილურად არ გამოდზრდიდა. სამი სიყვარული ქალი გყავდათ – შენი მარინე, ცრემლები და დედი ტკიერი რომ აჩნდა. შენ და თამრიკო და მე – უპატრონო დედამიწა.

როგორი მამობრი ვიყავით, შვილო, ჩემი ლამაზო, გვენატრები, ჭკვის გული კი გამიხრამდა ბიჭო, რთული უსიკბოთოდ თბილისის შენი სიცოცხლე, კეკურტისებით და სიმდორი. ასლა რიგ ვქიკო, არა და არ შმრება ეს ოხერი ცრემლი. როგორ შეგვეხვეოდ უშენობას. კარი რომ გაიღება, შენს ნაბიჯებს ვუცდილებ, ტელეფონი რომ დარეკავს, შენს ხმას ვეგრძნე. მინდა არაფერი, როგორი იმედიანი იყავი, სიცოცხლის ყოველ წუთიზე მოგვიხევდენ და გვეფერობდა. ირი ვეამნიშვნებდი ყველას, თავად უკვე ვამნიშვნელო. გოგოს დამეყავში ვაკეთე ჩემი ყველა ოქროს სამუდამოდ მოღალატეს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*დედამიწა მერი სამხარაძე*



**გიორგი კვირაშვილის ხსოვნას!**

წლის პირველ დღეს აღფრთოვანებული მოხდება, საყვარელი გოგოს. წინნება გიორგის დღესასწაულებს, ბედისწერას გადაამხო, ბედოში რომელიცე ჩაფრწკდი. ძალიან გვენატრები შენი სიყვარულით სავსე ღიმილი, თბილი გული, სიხარულით აქმს უზმნებით გამოგიტანის ტკივილი. წახვედი და დაგვტოვე დიდი შეჭირვებაში, როგორც არასოდეს გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, სამოთხე ზეცაში სუფევს.

*დედამიწა მერი სამხარაძე*



**ბონდო ჩხაიძის მონატრება**

40 დღე უშენოდ... უშენო ტკივილი, მონატრების სიცარიელე... ერთი ამოსუნთქვით, მოულოდნელად შეწყდა შენი სიცოცხლე. ჩემი იმედო, როგორ მენატრები შენი ხელები, შენი შვილობა, შენი ხმა და სიტკბოება. ჩვენთვის ასე ადრე წახვედი. რა ვუყოთ უშენოდ ჩვენს ცხოვრებას, სიცოცხლე გრძელი დღეები. შენი სიყვარულის ლამაზი ფეხები... შენი სულისათვის სიცოცხლე ძმობის შენი შვილიშვილები, შენი სულისათვის გულუბრყვილ ყველა. უზომოდ მაგვარხარ, უსაზღვროდ მენატრები. უშენობა გაუსაძლისია ჩემო დიდო ტკივილო ,,მამა“.

*შენი ირმა*



**მერაბ მახარაძის ხსოვნას!**

პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. 15 მაისს 34 წლის გახდებოდი. ტრაგიკულმა შემთხვევამ წაგვართვა შენი თავი. წახვედი და დედის თვალისჩინი წაართვი, მამას სიხარული და ერთადერთ დას – იმედი. ჩვენი ხულით სპეტაკი, ლექსი და კეთილი, ეკლესიერ იყავი ვადგინების ხალხის მფლობი, ოჯახური და სითბოზე საჩუქრები. 33 წელი ამოკლეობული ცხოვრება და ყველას გულს გაიმარჯვა მხარნეობა, ხელი შეძლეთ, როგორც არასმეკვავდაზე, დალუპეს ეს ცოლ-ლამაზე წუთისოფელო. ნუგეშად ორი პატარა სიცოცხლე დაგვტოვე და შენი სულისათვის ანთებული სანთელი, რომელიც არ ჩაქრება, ვიდრე ვარსებობთ. გვენახსოვრები, გვენატრები... ზიმშად მაინც გვეწვიე – დაგვალოცე შენი მონატრებით.

*შენი მშობლები და და*



**ჩვენო საყვარელო ლანდა!**

9 მაისს შენი დაბადების დღეა. ჩვენ ხომ ყოველთვის სიხარულით ვხვდებოდით ამ დღეს. უკვე მეორე წელია, შენს სიყვარულს, დედიკოკი ყველაფერით უშენოდ მყავხარ შენი დამამდურობლები გამუბილი... – მშობლები, ქმარ-შვილი, ძმა, რძლები, ძმიშვილები, დედიდები, დედიკოს შემდეგ, ბიძაშვილები, მთელი შენი სამეგობრო, რომელიც ასე უზომოდ დაგიყვარებდა. ყველას ვენატრები, ყოველ წუთს გვენატრება, შენ ხომ ისე უზომოდ გიყვარდა ყველა. დარწმუნებული ვართ, შენი კეთილი და ზნიანი გული ფეთქავს დღეს შენს შვილში, გვეფერება და გვიამბობს, რომ შენ ჩვენთვის მარად ცოცხალი იქნები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*ლია და გამრიელი კობახიძეები*

# ჩემპიონის მკვლელობა





რესტორანი „არბატი“ ნიუ-იორკის რუსულ კვარტალში ყველა რუსმა ემიგრანტმა იცის. საღამოობით აქ ხმაურია და მხიარულება, მხოლოდ რუსული ლაპარაკი ისმის. ამერიკელები ცდილობენ ამ რაიონს გვერდი აუარონ, რადგან ის მათ „რუსულ მაფიას“ აგონებთ.

„არბატი“ მუშაობს მანამ, სანამ დარბაზში ერთი სტუმარი მაინც არის. 1994 წლის 12 იანვრის დილის 4 საათზე რესტორანში მხოლოდ სამნი ისხდნენ: კუთხეში მიყუჟული ახალგაზრდა შეყვარებულები და ორმოციოდე წლის ჩაფიქრებული მამაკაცი, რომელიც კონიაკს ჩუმად წრუპავდა. მის ირგვლივ ოფიციანტები ფაციფუცობდნენ, ისინი კლიენტს კარგად იცნობდნენ, მაგრამ მამაკაცი ისე გაეტაცა ფიქრებს, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა.

როცა რესტორნიდან გადიოდა, შვეიცარს, რომელმაც პალტო მიაწოდა, ნაღვლიანად უთხრა: „ყველაფერი სისულელე ყოფილა... მე მალე მომკლავენ“. მისი გარეთ გასვლა და სროლის ხმა ერთი იყო. ავტომობილი საბურავების ღრჭიალით გავარდა.

კაცი ქუჩაში ეგდო, ტყვია კეფაში ჰქონდა ნასროლი. რესტორანში მყოფი წყვილი კი, არც მანამდე და არც მკვლელობის შემდეგ არავის უნახავს.

ამ ამბავმა ოკეანის ორივე მხარის მასმედია ააფორიაქა. მოკლული გახლდათ მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ფენომენალური მოკრივე ოლეგ კოროტაევი. მას 196 მატჩი ჰქონდა ჩატარებული, აქედან 187 მოიგო, მათ შორის 160 ნოკაუტით დაამთავრა. ეს კრივის ისტორიაში ყველაზე მაღალი პროცენტი იყო. უკანასკნელ წლებში ოლეგი აშშ-ში ცხოვრობდა და საქმოსნობდა. კოროტაევის სიკვდილის შემდეგ ამერიკულმა გაზეთებმა მისი სახელი ყბადაღებულ „რუსულ მაფიას“ და ნარკოსაქმოსნების საქმეების გარჩევას დაუკავშირეს. მათ იცოდნენ, რომ ოლეგი ორჯერ იყო ნასამართლევი და კარგად იცნობდა ბევრ ყოფილ საბჭოთა კრიმინალურ ავტორიტეტს.

...ძვირფას კუბოში ჩასვენებული ოლეგ კოროტაევი მოსკოვში, ვაგანკოვოს სასაფლაოზე დაკრძალეს.

## ნოკაუტი რინგზე და მის მიღმა

სპეციალისტების აზრით, კოროტაევისთანა ტალანტები რინგზე ათ წელიწადში ერთხელ თუ გამოჩნდებიან ხოლმე. მისი ბრძოლის მანერა განსაკუთრებული და ორიგინალური იყო. ის საოცარი ტექნიკითა და სისწრაფით გამოირჩეოდა. ოლეგ კოროტაევმა ხუთჯერ ზედიზედ მოიპოვა სსრკ ჩემპიონის ტიტული ნახევარმძიმე წონაში. მოიგო რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი. კრივის მოყვარულმა ფიდელ კასტრომ კოროტაევი ხრუშჩოვის ნაჩუქარი „ზილით“ თვითონ მიიყვანა სასტუმროდან სპორტულ არენამდე მას შემდეგ, როცა ოლეგმა ნოკაუტით დაამარცხა კუბის უძლიერესი და დაუმარცხებელი მოკრივე ვალიერო. სსრკ-აშშ მატჩის შემდეგ, მოჰამედ ალის მენეჯერმა ანჯელო დანდიმ, იმ დროისთვის საარაკო კონტრაქტი შესთავაზა — მილიონ-ნახევარი დოლარი ორი წლის განმავლობაში. კოროტაევმა უარი უთხრა — შესაძლოა პატრიოტიზმის გამო, ანდა კომპეტენტური ორგანოების ზეწოლით. ამერიკელი ბიზნესმენი გააოგნა უბრალო რუსი ყმაწვილის ასეთმა საქციელმა, მისდამი პატივისცემის ნიშნად თითიდან წაიძრო ბრილიანტებითა და საფირონებით მოოჭვილი ოქროს ბეჭედი და ოლეგს გაუკეთა.

კოროტაევი მეგობრისა და ღირსების გამო თავს გასწირავდა. ერთხელ, წითელ მოედანზე, სრულიად უცნობი ქალიშვილი ხელიგნებისგან დაიცვა და ამიტომ მილიციაშიც მოხვდა. მთელი ახალგაზრდობა ცოლ-შვილთან ერთად კომუნალურ ბინაში გაატარა. შეეძლო ბინის მიღება, მაგრამ გაჭირვებულ მეგობარს დაუთმო. ოლეგს ბევრი მოშურნე გამოუჩნდა და იმ დროს ეს კარგს არაფერს მოასწავებდა. პირდაპირი და პატიოსანი, რინგზე დაუმარცხებელი, მიმნდობი კოროტაევისთვის სარმის გამოდება ძნელი არ იყო. კგბ-ში მას გამუდმებით ასმენდნენ. ამიტომ არც იყო მოულოდნელი, როცა 1972 წ. მიუნხენის ოლიმპიადის წინ, ოქროს მედლის ერთადერთი პრეტენდენტი ოლეგ კოროტაევი, ვარჯიშზე ნახევარი საათის დაგვიანებისათვის გუნდიდან გარიცხეს და ოლიმპიადაზე, რა თქმა უნდა, აღარ წაიყვანეს. სხვათა შორის, მასთან ერთად დაგვიანებულ ორ მოკრივეს შენიშვნაც კი არ აკადრეს.

1976 წელი მოკრივის კარიერაში უკანასკნელი აღმოჩნდა. აშშ-ში მორიგი საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულ ოლეგ კოროტაევს აღფრთოვანებულმა ამერიკელმა პოლიციელმა თავისი კოლტის ტყვიები აჩუქა. ოლეგმა რამდენიმე ტყვია სუვენირად შეინახა, დანარჩენი გუნდის წევრებს დაურიგა. ეს ტყვიები მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა: სამშობლოში დაბრუნებული დაიჭირეს, გაასამართლეს და ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

## მაფიოზი

ციხიდან გამოსვლის შემდეგ კოროტაევისთვის უცხოეთში გასასვლელი საზღვარი ჩაიკეტა და მან მორიგი ოლიმპიური ჩემპიონატიც გამოტოვა. ამას მოჰყვა ისევ საბედისწერო მოულოდნელობა — ჩხრეკა და დაპატიმრება. ამჯერად მას აღმოუჩინეს მარიხუანა (როგორც ჩანს, შეგდებული) და ისევ ხუთი წლით ამოჰყო თავი ზონაში. მოსკოვში კი მავანთ ჭორი გაავრცელეს, თითქოს იგი პირველად სასტუმრო „ბელგრადის“ გაძარცვისთვის დააპატიმრეს, მეორედ კი სიმთვრალეში ჩხუბისთვის!

ოლეგი ზონაშიც დამოუკიდებლად იქცეოდა, თუმცა პირადად იცნობდა ბევრ ავტორიტეტს, „კანონიერ ქურდებს“, არც ერთ კრიმინალურ დაჯგუფებას არ მიჰკედლებია. ციხიდან გათავისუფლებული ოლეგი მიხვდა, რომ კრივი უკვე წარსულს ჩაბარდა და ბიზნესი წამოიწყო — სპორტული ტანსაცმლის სამკერვალო კოოპერატივი გახსნა. იმ პერიოდში მას ხშირად ხედავდნენ რესტორნებში დამნაშავეთა წრის ავტორიტეტებთან ერთად. მათ შორის იყვნენ: მანსური, იაპონჩიკი, კლაინა და სხვები. კოროტაევი პატივისცემით იხსენებდა ამ ადამიანებს, რომლებსაც არანაირი საერთო არ ჰქონდათ ნაძირალების ახალ თაობასთან, მაგრამ მათი წრის წევრი მაინც არ გახდა. საეჭვოა, რომ ოლეგს მათი პრინციპები გაეზიარებინა, მისთვის ციხე გაცნობიერებულად გაკეთებული არჩევანი კი არ იყო, არამედ სპორტული კარიერის ტრაგიკული დასასრული. მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კრივი ენატრებოდა.

კოროტაევს მაინც მოუწია კრიმინალებთან მჭიდრო ურთიერთობა. ერთხანს ავტორიტეტის, ზავადსკის მცველი იყო, ბევრ გარჩევაში მონაწილეობდა, სადაც ყოველთვის მარტო და უიარაღოდ მიდიოდა. ამის გამო, საძმოები დიდ პატივს სცემდნენ.

1989 წელს ოლეგს ახალი უსიამოვნება შეემთხვა. მაიაკოვსკის მოედნის გვირაბში მისი „ჟიგული“ შეეჯახა საავარიო მაშუქების გარეშე მდგარ მანქანას. მანქანა აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს საელჩოსი აღმოჩნდა. თუმცა მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ დაჭერას მაინც მეგობრების ჩარევით გადაურჩა. ამ ამბის შემდეგ ოლეგმა მტკიცედ გადაწყვიტა გასცლოდა იმ ქვეყანას, რომელმაც მას თითქმის ყველაფერი წაართვა.

## დროის ნიშანი

ოჯახთან ერთად ნიუ-იორკში დასახლდა. ტურისტული ფირმა გახსნა და ორიოდე წლის შემდეგ საკმაო წარმატებასაც მიაღწია. მიუხედავად სიმდიდრისა, კოროტაევი არ შეცვლილა, იგი ისევ ისეთი ხელგაშლილი და ერთგული, ულალატო მეგობარი იყო. გულუხვად მასპინძლობდა რუსეთიდან ჩამოსულ მეგობრებს, რინგზე დასახიჩრებული მოკრივის, არტემიევის საოპერაციოდ 50 ათასი დოლარი გაიღო.

მისი სიკვდილის გამო გაზეთები ათას რამეს წერდნენ, ხან კოლუმბიურ, ხან რუსულ მაფიას, ხან კი კოზა ნოსტრას აბრალებდნენ. თუმცა ოლეგის ახლობლებს სხვა, სიმართლესთან მიახლოებული ვერსია აქვთ. კოროტაევისა დიდი თანხა ემართათ მის ამერიკელ პარტნიორებს, ჩვეულებრივ ბიზნესმენებს. იქნებ იმ ცივილიზებულ საქმიან სამყაროშიც საკამათო საკითხები შემდეგი პრინციპით წყდება: „არ არის ადამიანი — არ არსებობს პრობლემაც“...

სხვა ვერსიით, თითქოს ერთმა მეგობარმა ოლეგი გააფრთხილა, რომ მისი მოკვლა მოსკოვიდან დაუკვეთეს. ოლეგმა არ დაიჯერა, ვერ წარმოედგინა, ვისთვის უნდა შეეშალა ხელი, თუმცა ძალიან მალე აღმოჩნდა, რომ უთვალთვალებდნენ. მკვლელს და დამკვეთს ალბათ ვერასდროს აღმოაჩენენ, მით უმეტეს, რომ დაირხა ხმა, ოლეგის ავტორიტეტულმა მეგობრებმა ისინი უკვე დასაჯესო.

სამწუხაროა, რომ ასეთი ნიჭიერი ადამიანი ისეთ უზნეო ქვეყანაში ცხოვრობდა, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო.

**კალეიდოსკოპი №17**

# „შავი არქეოლოგი“

28 ოქტომბრის დილას საბერძნეთის ქალაქ პილოსის პოლიციის განყოფილებაში დარეკა მამაკაცმა და მორიგეს მოახსენა, რომ რამდენიმე წუთის წინ ზღვის ქვიან სანაპიროზე აღმოაჩინა კლდიდან ჩამოვარდნილი ახალგაზრდა ქალის გვამი. რეკავდა არქეოლოგთა საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელი, ცნობილი პროფესორი სამუელ ლანდერბერგი. მან ამოიცნო დაღუპული — თავისი თანამშრომელი სესილ ანდერსონი.

გამომძიებელმა ლანო პანიადისმა დაადგინა, რომ ქალიშვილის სიკვდილი უბედური შემთხვევა არ ყოფილა. მას პერანგის საკინძე ჩახეული და მხრის თავი დაკაწრული ჰქონდა. თავზე რაღაც ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობაც ეტყობოდა. კლდის თავზე ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელების ნაკვალევი აღმოჩნდა. ქალი აშკარად გადაგდებული იყო. ამ ვერსიას ადასტურებდა იქვე დაგდებული პერანგიდან აგლეჯილი ღილი. ბუჩქებში გამომძიებელმა აღმოაჩინა ნიჩაბი და ექსპერტიზაზე გაგზავნა. დაკითხვისთანავე გამოჩნდა პირველი და სერიოზული ეჭვმიტანილი, ადგილობრივი მცხოვრები ნიკოლას ქსანდოპულო, რომელიც ექსპედიციის პერიოდში ლანდერბერგმა მუშად დაიქირავა. ნიკოლასს სასმელი უყვარდა. ისიც გაირკვა, რომ სწორედ 27 ოქტომბერს სესილმა მთვრალ ნიკოლასს განუცხადა, სამსახურიდან გათავისუფლებული ხარო. კაცი სესილს დაემუქრა — მწარედ განანებო.



დანაშაულის მტკიცებულებაც სახეზე იყო — ექსპერტიზამ ნიჩბის ტარზე ნიკოლასის თითების ანაბეჭდი აღმოაჩინა. ქსანდოპულო დააპატიმრეს. ორი დღის შემდეგ გამოფხიზლებულმა ნიკოლასმა განაცხადა, — მკვლელი ამავე ექსპედიციის წევრი, ბელგიელი ანრი კრეტონი, სესილ ანდერსონის საყვარელიაო. მაგრამ ბელგიელმა იუარა — ქალებს ზედაც არ ვუყურებ, ის ღამე ერთ ბიჭთან გავატარეო.

ექსპედიციის სხვა წევრების დაკითხვამ გამოააშკარავა, რომ კრეტონი ბისექსუალი იყო, მას ცოლ-შვილი ჰყავდა და მდიდარი ცოლის ხარჯზე ცხოვრობდა. არქეოლოგების თქმით, სესილი ფიცხი ქალი იყო და კრეტონს სთხოვდა, ოჯახი მიატოვეო. დაღუპვის წინა საღამოს კი ისე იჩხუბეს, რომ ყველას ესმოდა.

კრეტონმა გამომძიებლებს უთხრა, — სიკვდილამდე ორი დღით ადრე სესილი დამპირდა, ძალიან მალე გავმდიდრდები და ცოლის ფულები აღარ დაგჭირდებაო. მაშინ ანრიმ სესილის ნათქვამი მის ხელში ჩასაგდებ ხრიკად მიიჩნია, მაგრამ ახლა მოვლენებმა სულ სხვა ელფერი მიიღო. ნუთუ სესილის სიტყვები სწრაფი გამდიდრების შესახებ „შავი არქეოლოგიის“ ბიზნესთან კავშირზე მეტყველებდა? ძველი ანტიკვარული ფასეულობების გაყიდვით არანაკლები თანხის შოვნა შეიძლებოდა, ვიდრე ნარკობიზნესით.

ლეიტენანტმა პანიადისმა ივარაუდა, რომ სესილი შეიძლება მართლაც ყოფილიყო დაკავშირებული იატაკქვეშა საქმოსნებთან... „შავი არქეოლოგების“ ყურადღების მოსადუნებლად პანიადისმა, უფროსობის ნებართვით, პრესაში გამოაქვეყნა ცნობა — ქსანდოპულომ სესილის მკვლელობა აღიარაო. თან პროფესორ ლანდერბერგის ექსპედიციის ყველა წევრს გულმოდგინედ უთვალთვალებდნენ. მებაჟეებმა პორტიდან გამავალი ყველა გემის გაჩხრეკა დაიწყეს. ორი კვირის შემდეგ გაუმართლათ. ერთ-ერთ კატერზე ჩემოდანში აღმოაჩინეს სტატუეტი, რომელიც საბუთებით გაფორმებული იყო, როგორც ანტიკური ნივთის თანამედროვე ასლი. ნივთი ექსპერტიზაზე გაგზავნეს და აღმოჩნდა, რომ სტატუეტი ჩვ.წ.აღ-მდე III ს.-ს ეკუთვნოდა და მისი ღირებულება მილიონ დოლარზე მეტი იყო. კატერის კაპიტანმა გამომძიებელს მოახსენა, — ჩემოდნის პატრონი იტალიაში გასეირნებას აპირებს, მისი ბარგი ადრე მოიტანეს, თავად კი ხვალ მოვაო. პოლიციელთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მგზავრი პროფესორი ლანდერბერგი აღმოჩნდა.

გამოძიებამ გაარკვია, რომ არქეოლოგიური სიძველეების გაყიდვა ლანდერბერგმა სტუდენტობიდან დაიწყო, როცა უნივერსიტეტიდან პრაქტიკას შუამდინარეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებში გადიოდა. ამ ბიზნესს მისთვის დიდი შემოსავალი მოჰქონდა. ლანდერბერგი ედინბურგის უნივერსიტეტის კათედრას ხელმძღვანელობდა, ცნობილი მეცნიერი იყო, მაგრამ კრიმინალური საქმიანობა არ შეუწყვეტია. ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ მის ხელში ეს ანტიკური სტატუეტი არ აღმოჩნდა. საღამოს ლანდერბერგის ტრაილერში სესილი შევიდა და უთხრა, — დიდი ხანია ვიცი შენი ოინები და თუ მიღებული თანხის ნახევარს არ მომცემ, ყველაფერს პოლიციაში განვაცხადებო.

თავდაპირველად, ლანდერბერგი შეშინდა და ფულის მიცემაზე დათანხმდა, მაგრამ მერე დაფიქრდა და მიხვდა, რომ სესილი მას აღარ მოეშვებოდა, სამუდამოდ წილში ჩაუჯდებოდა და მისი მოკვლა გადაწყვიტა. როცა სესილის და ნიკოლას ქსანდოპულოს ჩხუბს შეესწრო, იფიქრა, ყველაფერს ლოთ ნიკოლას გადავაბრალებო, მის ხელთ ნაჭერი ნიჩაბი აიღო, სესილს, რომელიც ყოველ საღამოს ზღვაზე საბანაოდ მიდიოდა, ჩაუსაფრდა და შეუბრალებლად მოკლა.

გამომძიებლის მიერ გავრცელებულმა დეზინფორმაციამ ქსანდოპულოს აღიარების შესახებ, ლანდერბერგი შეაცდინა და გადაწყვიტა სტატუეტის, როგორც თანამედროვე ასლის, საზღვარგარეთ გატანა. სწორედ ამ ნაბიჯმა გამოააშკარავა პროფესორის ნამოქმედარი.

**კრიმინალნაია ხრონიკა №16**


# უსისხლოდ დაძლეული პრობლემა

ტკივილი და დისკომფორტი, ბუასილის დროს, ბევრისათვის არის ნაცნობი. ყოველი მე-9 ადამიანი ამ დაავადების მსხვერპლი ხდება. უახლესი გამოკვლევების შედეგად, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბუასილის წარმოშობის ძირითად მიზეზს სისხლის მიმოქცევისა და შორისის კუნთების ფუნქციის დარღვევა წარმოადგენს.

ასეთი სახის დარღვევები უმეტესწილად ვითარდება ეგრეთ წოდებულ მაღალი რისკის ჯგუფებში, როგორიც არის მძიმე ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანები, სპორტსმენები (სიმძიმეების აწევა), ე. წ. „მჯდომარე“ პროფესიის მქონე პირები. ასევე, მშობიარობა და ხშირი შეკრულობები ბუასილის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ.

ბუასილისათვის, ტრადიციულად, დამახასიათებელია ორი ძირითადი სიმპტომი: სისხლდენა (51%) და კვანძების გამოვარდნა (37%). აგრეთვე აღინიშნება დისკომფორტი, ტკივილი, ქავილი და ლორწოვანი გამონადენი.

ბუასილს შეიძლება ჰქონდეს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული მიმდინარეობა. მწვავე ბუასილის დროს აუცილებელია კონსერვატიული მკურნალობის ჩატარება, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დაავადების პროფილაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის მოწესრიგებაში და „გაღიზიანებული მსხვილი ნაწლავის“–კოლიტის მკურნალობაში, რომელიც აღენიშნებათ დაავადებულთა ნახევარზე მეტს.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერმენტულ საშუალებებს, რომლებიც მოქმედებენ სწორი და მსხვილი ნაწლავის ფლორაზე და პერისტალტიკაზე, ჰიდროფილურ კოლოიდებს და სხვა, ვინაიდან, ნაწლავის შიგთავსის კონსისტენციის რეგულაცია და მისი ტრანზიტი მსხვილ ნაწლავში, წარმოადგენს ბუასილის პროფილაქტიკისა და მკურნალობის აუცილებელ წინაპირობას.

კლინიკაში დანერგილია თანამედროვე ლაზერომაგნიტური და კვანტური თერაპია, სისხლის სტიმულაცია ლაზერით. გარდა ამისა „ექიმი გილი“ გთავაზობთ ბუნებრივი და მცენარეული პრეპარატების ფართო არჩევანს, რაც საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში მიღწეულ იქნას მკურნალობის მაქსიმალური ეფექტი.

კონსერვატიული მკურნალობა ნაჩვენებია ბუასილის ქრონიკული მიმდინარეობის დაწყებით სტადიაში და მწვავე მიმდინარეობის დროს. მკურნალობა მოიცავს საერთო და ადგილობრივ თერაპიას. ადგილობრივი თერაპია მოიცავს ტკივილითი სინდრომის ლიკვიდაციას, ჰემოროიდალური კვანძების თრომბოზის, ანთების და სისხლდენის მკურნალობას.

ზოგადი თერაპია ითვალისწინებს ფლებოტროფული პრეპარატების გამოყენებას, რომელთა მოქმედება ამაღლებს ვენების ტონუსს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და მიკროცირკულაციას კავერნოზულ სხეულებში.

ბოლო წლებში, მედიცინაში ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და ახალი პრეპარატების შექმნასთან დაკავშირებით, ამერიკასა და ევროპის მრავალ ქვეყანაში ტიპური ოპერაცია ბუასილის დროს უტარდება პაციენტთა მხოლოდ 17%–20%-ს; უმეტესწილად გამოიყენება ე. წ. ნაკლებინვაზიური (უოპერაციოდ) მკურნალობის მეთოდები.

სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“ აღჭურვილია თანამედროვე, უნიკალური აპარატურით, ზემოთ აღნიშნული უსისხლო „ოპერაციების“ ჩასატარებლად ამბულატორიულ პირობებში. ასეთი მეთოდიკა თავიდან აცილებს პაციენტს ნარკოზს, საავადმყოფოში ყოფნას და რაც მთავარია, მტანჯველ ტკივილებს, რომელიც ახასიათებს ჩვეულებრივი ოპერაციის შემდგომ პერიოდს. მათ, ვისთვისაც ბუასილი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად და მოუცილებელ ჭირად ქცეულა, დღეს ეძლევათ უნიკალური საშუალება უკან მოიტოვონ დისკომფორტითა და ტკივილით გატანჯული დღეები. ნუ იტყვით უარს ჯანმრთელ და აქტიურ ცხოვრებაზე.

სამედიცინო ცენტრი

„ექიმი გილი“

ტ: 29-05-25 25-27-09

ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5


CMYK

# უცხოპლანეტელების სტუმრობა საქართველოში



ამბავი, რომელიც უნდა გიამბოთ, 2002 წლის დამდეგს, პირველი იანვრის გამთენიისას მოხდა. ერთ ოჯახში სუფრას უჯდა ხუთი მამაკაცი.

**შალვა (56 წლის):** ნაშუაღამევს ეზოში გამოვედი. იმ ხანებში სავსემთვარეობა იყო. არც კი ავიხედავდი ცისკენ, შუქს თამაში რომ არ დაეწყო. სამი ოქროსფერი პროჟექტორი ბრუნავდა და ტრიალებდა. ცას რომ ავხედე, შიშით მუხლი მომეკვეთა. 200-250 მ-ის სიმაღლეზე რაღაც უცნაური საგანი გაწოლილიყო და საცეცებივით უშვებდა ეზოსკენ სინათლის სამ ზოლს... ვიყვირე და შევვარდი სახლში!..

**ამირანი (34 წლის):** — ციდან ჩამოსული სინათლის სამი სვეტი ისე კაშკაშებდა, რომ თვალს ჭრიდა. ვერ გავარჩიეთ, რა იყო ამ სინათლის წყარო. ეზოში გასვლის შეგვეშინდა — რადიაციული დასხივება არ მივიღოთო.

**ვახტანგი (37 წლის):** — ხმას არ გამოსცემდა. სხივით გულდაგულ „ათვალიერებდა“ აქაურობას...

**რევაზი (44 წლის):** — დაახლოებით ხუთი წუთი ეკიდა ის „თეფში“ ეზოს თავზე. მერე ასევე, სხივაუკრეფავად, ნელ-ნელა ტყიბულის მიმართულებით გასრიალდა. დაახლოებით 7-8 წუთში დავკარგეთ თვალთაგან.

**გიორგი (62 წლის):** — ნამდვილად იყო უცხო მფრინავი ობიექტი იმ ღამეს ჩვენი სოფლის თავზე. მე ექიმი ვარ და რადგან შალვა უშუალოდ დასხივების ცენტრში მოხვდა, ჩვენი რაიონის საავადმყოფოშიც გამოვაკვლევინე და თბილისშიც. საბედნიეროდ, არაფერი ცვლილებები არა აქვს და არც ის გამოსხივება გამოდგა მავნე!.. რაჭაში ადრეც უნახავთ მსგავსი რამ.

სოფელში ცხოვრობს 91 წლის **ბაბილო ბეზია**. მოხუცს ძილი არ უყვარს, დიდი-დიდი, დღე-ღამეში ორი-სამი საათით წათვლიმოს. სახსრები მტეხავს და არ მაძინებსო, — გვითხრა ბაბილო ბებომ, — იმ ღამესაც გამეღვიძა და ღუმელს შეშა შევუკეთე. უცებ ქვე არ გაანათა ფანჯარა რაღაცამ?! შეშინებულმა გავძახე, — ვინ ხარ-მეთქი. არ მომცა პასუხი. ცოტა ხანში ისევ გაჩნდა კედელზე მრგვალი სინათლე. კინაღამ შიშით გამძვრა სული. კეტი გავუყარე კარის სახელურს. გათენებამდე ვკანკალებდი. კაცებმა რომ თქვეს — რაცხა დაფრინავდა სოფლის თავზეო — მე ქე გამიხარდა, ქურდს და ყაჩაღს ყველაფერი სჯობს... ექვსი საათი იქნებოდა, ეს ამბავი რომ მოხდა.

...ვინ იცის, იქნებ მართლა მოგვილოცეს უცხოპლანეტელებმა ახალი, 2002 წელი?!.

მეორე დღეს თოვა დაიწყო რაჭაში და თეთრად გადაბარდნა ყველაფერი.

ბაბილო ბებიას რომ ჰკითხოთ, — იმ ჯადომანქანით მოიტანეს ის თოვლი!..

***ინგა ჯაყელი***

# ჩვენ გვწერენ

## უფალმა მისმინა

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. მაშინ მე და ჩემი მეუღლე ახალგაზრდები ვიყავით. ერთ



ზაფხულს ავიკარით გუდა-ნაბადი და ნავით ტბაზე შვებულების გასატარებლად წავედით. ჩვენი 3 წლის ბიჭუნა ბებია-ბაბუამ დაიტოვა. გავშალეთ სოფლის ბოლოს, ტბის სანაპიროზე კარავი. დავდიოდით ტყეში, ვაგროვებდით სოკოს, ზოგს ვახმობდით, ზოგსაც ვწვავდით. იმდენი თევზი დავიჭირეთ, დავამარილეთ და გავაშრეთ, რომ ალბათ მთელი ზამთარი გვეყოფოდა. ტყის პირები ულამაზესი ყვავილებით იყო მოჩითული.

სოფლელები გვეუბნებოდნენ — მოსცილდით მაქაურობას, ნაზრახი ადგილიაო. თურმე ამ ტბასთან გამართულ დოკში რამდენიმე საუკუნის წინ, გემებს აგებდნენ. ერთი მზა ხომალდი ეკიპაჟითურთ წყალში გაუჩინარებულა. ისიც თქვეს, ტბას ფსკერი არა აქვსო. ვინც კი ოდესმე მოინდომა ჩაყვინთვა — ეგებ ფსკერამდე ჩავაღწიოო, ზოგი მძიმედ დაავადებულა, ზოგიც მომკვდარა.

ჩვენ, ცხადია, არ გვჯეროდა ამ ზღაპრებისა.

ერთ პირმოწკრიალებულ დილას ტყის თავზე უცნაური ნისლი აცურდა და მალე ჩვენს კარავს მოეხვია. თითქოს მოგუდვას გვიპირებდა. ისმოდა ყრუ ხმები, ოხვრა, ქვითინი, თითქოს ვიღაც შველას ითხოვდა. ძალიან შემეშინდა. ქმარმა დამაწყნარა, მაგრამ საღამოსაც რომ განმეორდა, ავიბარგეთ და დავტოვეთ მოჯადოებული ადგილი. მივცურავდით მშვიდად. მოწმენდილ ცაზე მზე ჩახჩახებდა. ცოტა რომ გავიმანძილეთ, მოტორის გუგუნი შემოგვესმა. გაგვიკვირდა — ამ ტბაში აკრძალული იყო მოტორიანი ნავებით სეირნობა. ნავში მდგარმა კაპიუშონით პირმობურულმა კაცმა ალერსიანად გაგვაფრთხილა — ნაპირ-ნაპირ იცურეთო და მადლობის თქმაც ვერ მოვასწარით, თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ჩემს ჯიუტ ქმარს რჩევა ჭკუაში არ დაუჯდა — პირდაპირ გადავცუროთ ტბა და გზას შევიმოკლებთო. შუამდე რომ მივაღწიეთ, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ჩამობნელდა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ამ ჩვენს ნავს ტალღა ხან ქოჩორზე მოიქცევდა და ხან მორევში ატრიალებდა. სასოწარკვეთილმა ჩურჩულით ლოცვა დავიწყე: „ღმერთო, მიშველე, დამიცევ და დამიფარე“. უცებ მივხვდი, რომ ამ ღრიანცელსა და ზვირთთა ცემაში ღმერთამდე ვერ მიაღწევდა ჩემი ჩურჩული და ხმამაღლა დავიძახე: „ღმერთო, მიშველე, დამიცევ და დამიფარე!“

თითქოს მახვილი მოიქნიესო. ქარიშხალი დაცხრა, ცამ ღრუბელი გადაიყარა, მზემ გამოანათა და ტბაც დაწყნარდა. ზვირთმა ციმციმ ნაპირზე გაგვიყვანა. მაგრამ ჩვენი უბედურება ამით არ დასრულებულა. გადმოვხტი ნავიდან და უმალ რაღაც ნაპრალში ჩავვარდი. მივიხედე და — წყალში შუამდე დატბორილი ტყე დავინახე. ცივმა ოფლმა დამასხა — ტბას გადავურჩით და ჭაობი გვახრჩობს-მეთქი. ქმარი მეხვეწა, ნავში ჩაჯექიო, მაგრამ განძრევას ვერ ვახერხებდი. გულმოსული გაცურდა ნაპირ-ნაპირ. მე კი ვიდექი მუხლებამდე ჭაობში და ვქვითინებდი.

უცებ შუა ჭაობში ბილიკი დავინახე, რომელიც ტყეში იკარგებოდა. შორს დავინახე მშვენიერი თეთრსამოსიანი გოგონა. მეგონა, ვგიჟდები-მეთქი. ალერსიანად მიღიმოდა. მისკენ გავსწიე. ის მიდიოდა, მომხედავდა და გზას განაგრძობდა. ბილიკმა მშრალზე გაგვიყვანა. ქმარი ერთ ადგილზე გაშეშებული იდგა და მომჩერებოდა. მოვიხედე, გოგონას მადლობას ვეტყვი-მეთქი, მაგრამ სადღა იყო ან ქალიშვილი, ან ბილიკი!

მას მერე ჩვენი ცხოვრება შეიცვალა. მე და ჩემი ქმარი ღრმად მორწმუნენი გავხდით და ვგრძნობთ კიდეც უფლის მფარველობას...

***ტასო იაშვილი***

**ი**ნდოელი წმინდანის შრი სატი საი ბაბას სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ლონდონის გაზეთმა „თაიმსმა“ მას ამ ბოლო ასწლეულების „ყველაზე საოცარი წმინდანი“ უწოდა. მისი პოპულარობა უსაზღვროა.

სატი საი ბაბას დაბადებიდანვე უცნაურობა დაჰყვა — ზეწრების ქვეშ, რომელზეც ახალშობილი დააწვინეს, კობრა მოკალათებულიყო. ინდუსთა რწმენით, ეს ნიშნავს, რომ ბავშვი რომელიღაც სალოცავთან არის დაკავშირებული.

ბაბა გამოირჩეოდა თანატოლებისგან. მისი თანაკლასელები ხშირად ჰყვებოდნენ საოცრებებზე, რომელსაც ის სჩადიოდა. მაგალითად, ცარიელი ჩანთიდან ხილს, ტკბილეულობას და სათამაშოებს გააჩენდა; თუ ვინმე ავად იყო, მათთვის ჰიმალაის სამკურნალო ბალახებს ამოაცურებდა. 14 წლისა მიხვდა, რომ ინდოეთში ფრიად პატივსაცემი წმინდანის საი შირდის რეინკარნაცია იყო. 1928 წელს, სიკვდილის წინ, შირდიმ იწინასწარმეტყველა, რომ კვლავ დაიბადებოდა, ოღონდ ახლა ინდოეთის სამხრეთში. ხალხს ღრმად სწამს, რომ მან შეასრულა დაპირება და სატი საი ბაბას სხეულში ჩასახლდა.

# უცნაური წინასწარმეტყველი თუ რეინკარნაცია?



1940 წელს ბაბამ მშობლებს გამოუცხადა, ჩემი ადგილი ოჯახში არ არისო და ქადაგება დაიწყო. ვისთვის რა უნდა ესწავლებინა ნორჩ ყრმას, მაგრამ მისი პირით საი შირდი ლაპარაკობდა.

მისი გარდასახვის ფაქტს ბევრი ადასტურებდა. ავსტრალიელმა მკვლევარმა ე. მიურიემ, რომელმაც წიგნი დაწერა ბაბას შესახებ, ასეთი მაგალითი მოიყვანა: ერთმა მოხუცმა ქალმა, რომელიც შირდის კარგად იცნობდა, სთხოვა, — დარჩი და ჩემი სულიერი მასწავლებელი გახდიო, მაგრამ წმინდანმა უარი უთხრა, — ახლა არა. მე კიდევ მოვალ ამქვეყნად და მაშინ დაგიმოწაფებო. როდესაც ქალმა გაიგო, ვიღაც ბიჭუნა თავის თავს საი შირდის განსახიერებას უწოდებდა, დაუყოვნებლივ გაეშურა მისკენ. მივიდა და გვერდით დაუჯდა. ბიჭმა კი წყნარად ჰკითხა, — მოხვედი, შვილო ჩემო? შეახსენა, შენ ჩემი 16 რუპია გმართებსო და ღიმილით დაუმატა, — ამას მხოლოდ იმიტომ გეუბნები, რომ ნამდვილად დაიჯერო, რომ საი შირდი ვარო.

საი ბაბა უნიკალურ ქირურგიულ ოპერაციებსაც აკეთებს არა მარტო ცხადად, არამედ სიზმარშიც. შედეგი — სრული გამოჯანმრთელებაა. არჩენს უკურნებელი სენით დაავადებულთ, კითხულობს ადამიანთა აზრებს... და ეს ყველაფერი ფოტო და ტელეკამერებითაა დაფიქსირებული. ხანდახან ბავშვივით ერთობა — ქვებს კანფეტებად აქცევს, ვარდის კოკორს — ალმასად, უბრალო რკინას — ოქროდ და შუშას — ბრილიანტად... და რაც მთავარია, გასამრჯელოს არ იღებს, პირიქით, იქით ეხმარება გაჭირვებულთ.

ბევრ დასავლელ მეცნიერს არ სჯეროდა მისი ძალის, ამბობდნენ, — ინდოეთი ცნობილია მეფოკუსეებით, მასობრივი ჰიპნოზიორებით და იოგებითო. დიდი კვლევა-ძიების შემდეგ საი ბაბას თაღლითობისა ვერაფერი აღმოუჩინეს.

საი ბაბა ყველა რელიგიას სცემს პატივს. ამბობს, ამქვეყნად ხელმეორედ ახალი რელიგიის შესაქმნელად ან ხალხის ინდუიზში ჩასათრევად არ მოვსულვარ, არამედ ღმერთთან პირდაპირი გზის აღსადგენადო.

...სურათიდან იღიმება წითელკაბიანი, მსუქანი ადამიანი. ეს საი ბაბაა. იდუმალი პიროვნება, რომელიც სასწაულებს ახდენს, სასწაულებს, რომელიც მხოლოდ უცხოპლანეტელებს თუ შეეძლებათ.

იქნებ სწორედ ერთი მათგანია იგი?!

***თაიმსი***




## „საზალდო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. **რებუსი**

ისეთი ხიდი გადევი, შენმა შვილმაც ზედ გაიაროსო.

II. „შრომა“.

# უეფას თასი ფეინოორდს

## ფეინოორდი – ბორუსია 3:2


ვან ჰოიდონკმა დუბლი შეასრულა

### 8 მაისი, როტერდამი, „დე კუიპი"

**გოლები: 1:0; 2:0 ჰოიდონკი (33;40), 2:1 ამორუზო (47) 3:1 ტომასონი (50); 3:2 იან კოლერი (58).**

როტერდამის „დე კუიპის" სტადიონზე გამართული ფინალური მატჩის 32-ე წუთზე არბიტრმა პერეირამ გერმანელთა კარში პენალტი დანიშნა და თანაც „ბორუსიას" ვეტერან მცველს იურგენ კოლერს წითელი ბარათი აუფრიალა. ფინალის ბედიც ფაქტობრივად მაშინ გადაწყდა. მე-40 წუთისათვის ჰოლანდიელები უკვე 2:0-ს იგებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა ორჯერ შეძლეს ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება, მეტი ველარაფერი მოახერხეს და უეფას თასი „ფეინოორდს" დაუთმეს. დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია არბიტრის მიერ კოლერის მინდვრიდან გაძევებამ. საერთო აზრით, პერეირამ მეტისმეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანა „ბორუსიას". გერმანიაში წაგების მთავარ მიზეზად სწორედ არბიტრს ასახელებენ. თუმცა თავად იურგენ კოლერი თავს დამნაშავედ გრძნობს, ვეტერანმა საჯაროდ მოუხადა ბოდიში კლუბსა და გულშემატკივრებს, თუმცა ამით „ბორუსიამ" ვერაფერი იხეირა — ევროპული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი უძვირფასესი ჯილდო ერთი წლით „ფეინოორდის" საკუთრება გახდა.

# სკოლარი რომარიოს არ ენდობა

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ იმ ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა, ვინც კორეა-იაპონიაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე „ტეტრაკამპეონთა" ღირსებას დაიცავს. განაცხადში ვერ მოხვდა ვეტერანი რომარიო, რის გამოც ბრაზილიაში საპროტესტო აქციები დაიწყო. იქაური პრესა და გულშემატკივრები დაჟინებით მოითხოვდნენ 36 წლის რომარიოს განაცხადში შეყვანას, ვეტერანს ბრაზილიის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩებში გოლი გოლზე გაჰქონდა, მაგრამ სკოლარის გული ვერ მოიგო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბრაზილიელთა მწვრთნელმა რომარიოს გარდა შინ ისეთი ფეხბურთელები დატოვა, როგორებიც მარიო ჟარდელი, ზე რობერტო და ჯოვანი ელბერი არიან, ადვილი წარმოსადგენია, რა ელის კორეა-იაპონიიდან სამშობლოში დაბრუნებულ სკოლარის იმ შემთხვევაში, თუ ბრაზილიელები წარმატებას ვერ მიაღწევენ, წარმატებად კი მოგეხსენებათ, ბრაზილიაში მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონობა ითვლება. ახლა გაგაცნობთ იმ ფეხბურთელთა ვინაობას, ვისაც ლუიშ სკოლარი კორეა-იაპონიაში იახლებს.


სკოლარი


რომარიო

**მეკარეები: მარკოსი** (პალმეირასი), **დიდა** (კორინთიანსი), **როჟერიო სენი** (სან პაულუ);

**მცველები: კაფუ** (რომა, იტალია), **ბელიტი** (სან პაულუ), **ჟუნიორი** (პარმა, იტალია), **რობერტო კარლოსი** (რეალი, ესპანეთი), **ლუსიო** (ლევერკუზენი, გერმანია), **როკე ჟუნიორი** (მილანი, იტალია), **ანდერსონ პოლგა** (გრემიო), **ედმილსონი** (ლიონი, საფრანგეთი);

**ნახევარმცველები: ჟილბერტო სილვა** (ატლეტიკო მინეირო), **პლებერსონი** (ატლეტიკო პარანენსე), **ემერსონი** (რომა, იტალია), **ვამპეტა** (კორინთიანსი), **რონალდინიო** (პსჟ, საფრანგეთი), **ჟუნინიო პაულისტა** (ფლამენგო), **კაკაუ** (სან პაულუ);

**თავდამსხმელები: ედილსონი** (კრუზეირო), **დენილსონი** (ბეტისი, ესპანეთი), **რივალდო** (ბარსელონა, ესპანეთი), **ლუიზაო** (გრემიო), **რონალდო** (ინტერი, იტალია).

# ბლატერს თანამდებობის ბოროტად გამოყენებას აბრალებენ

შავად მისდის საქმე ფიფას ამჟამინდელ პრეზიდენტს. მაისის ბოლოს მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნებია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შვეიცარიელი ზეპ ბლატერი თანამდებობას ხომ დაკარგავს და შეიძლება ფიფას პრეზიდენტობასთან ერთად თავისუფლებასაც გამოეთხოვოს. საქმე ის გახლავთ, რომ უეფას პრეზიდენტი შვედი ლენარტ იუჰანსონი ბლატერს დიდი რაოდენობით თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებს, ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენი კი სასამართლოში ბლატერის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს. საჩივარი ეხება ბლატერის ხელმძღვანელობის პერიოდში „აორთქლებულ" 500.000.000 დოლარს. თანამდებობის ასე გამოყენება ჩვენში აბა, ვის უნდა გაუკვირდეს, მაგრამ ფიფას პატივცემული პრეზიდენტიც თუ ასეთ შარში გაეხვეოდა, ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა. თავად ბლატერს ჯერჯერობით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. მტყუანმართალი 29 მაისს გაირკვევა.

# ტაისონი ლუისს მოკვლით ემუქრება



თუ კიდევ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, ტაისონ-ლუისის მრავალჯერ გადადებული ბრძოლა 8 ივნისს უნდა გაიმართოს მემფისში, „პირამიდ ერინაზე", რომელიც 20.000-მდე მაყურებელს იტევს. ჩხუბზე დასასწრები ყველაზე იაფი ბილეთი $250-ად გაიყიდა, პრესტიჟული ადგილების ფასი კი $2500-ს აღწევდა. ბილეთები გამოსვლისთანავე გაქრა, შედეგად ბრძოლის ორგანიზატორებმა $23.000.000 მიიღეს. ასეთი რამ კი კრივის ისტორიას არ ახსოვს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია ჩხუბის სატელევიზიო ჩვენების უფლების გაყიდვით მიღებულ შემოსავლებთან. მოგეხსენებათ, ლუისის ბრძოლების ჩვენების უფლება ტელეგიგანტ „ეიჩ ბი ოუს" აქვს ნაყიდი, ტაისონისა კი — „შოუ ტაიმს". ტელერეპორტაჟს აღნიშნული კომპანიები ერთობლივად აწარმოებენ. „საუკუნის ბრძოლას" 50.000.000 ტელემაყურებელი ადევნებს თვალს, ტელებილეთის ფასი სავარაუდოდ 50-დან 60 დოლარამდე იქნება. თუმცა ყოველივე ეს სტატისტიკაა და ალბათ ნაკლებად საინტერესოა, ვიდრე თავად მოკრივეთა ბრძოლისწინა ამბები.



მაიკ ტაისონი ერთ-ერთ კუნძულზე ემზადება და ჟურნალისტებისგან თავი შორს უჭირავს. მიუხედავად ამისა, ამერიკელმა ჟურნალისტებმა მაინც წამოაცდენინეს რამდენიმე სიტყვა: „რკინის მაიკი" ლუისს რინგზე მოკვლით დაემუქრა, უფრო მეტიც — ტვინს იატაკზე დავასხმევინებო — დასძინა. ასეთ გამონათქვამებს კრივის სამყარო ნაჩვევია და ტაისონის ბაქიბუქი არავის გაჰკვირვებია. ასეა თუ ისე, კრივის ისტორიაში ყველაზე სკანდალური ბრძოლის გამართვამდე თვეზე ნაკლები დარჩა, და 8 ივნისს მსოფლიოს უძლიერესი მოკრივის სახელსაც შევიტყობთ, რომლის უძლეველობაში ბრძოლის შემდეგ ალბათ ეჭვს აღარავინ შეიტანს.

# ქართველი ლეგიონერები კლუბებს იცვლიან

ევროპაში ეროვნული პირველობები მსოფლიო ჩემპიონატის გამო ტრადიციულზე ადრე უახლოვდება დასასრულს. შესაბამისად უკვე დაიწყო სატრანსფერო რია-რია, რაც ქართველ ლეგიონერებსაც შეეხება. ევროპულ სააგენტოებში გავრცელებულ სატრანსფერო ცნობებში მოხვდა კიდეც ზოგიერთი მათგანის გვარი.

ლევან კობიაშვილის შესახებ მეტ-ნაკლებად ყველამ უწყის და ამიტომაც ბოლოდროინდელ ამბებს მოგახსენებთ: „ფრაიბურგი" უკვე შეეგუა ქართველის მოსალოდნელ წასვლას და ახლა მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ — სწორედ ამიტომ მის საფასურად ოთხი მილიონი ევრო დაასახელეს. ლევერკუზენის „ბაიერთან" ერთად „კაიზერსლაუტერნი"და იტალიური „ბრეშაც" აქტიურობენ, თუმცა ყველაზე სავარაუდოა კობიაშვილის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტ გუნდში გადაბარგება. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად „ფრაიბურგის" ყველა ქართველი მოთამაშე თბილისში დაბრუნდა ლევანის გარდა — მას ახლა მეორე — სატრანსფერო სეზონი დაეწყო.


გიორგი ნემსაძე

...1998 წელს, გია ნემსაძემ ცხოვრებაში ალბათ ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც ვიგოს „სელტას" ნაცვლად იტალიის სერია B-ს მაჩანჩალა „რეჯანას" ოდნავ უფრო სარფიანი მიწვევა მიიღო. მას შემდეგ გიამ შოტლანდიის პრემიერ-ლიგის „დანდიში" თამაში გადაწყვიტა და სწორედ მაშინ მოულოდნელად გამოუჩნდა ახალ-ახალი ვარიანტები. საქართველოს ნაკრების კაპიტანი პირველივე წელს გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და მენეჯერების მომრავლებაც „დანდის" სტადიონზე ტრადიციად იქცა. შოტლანდიელთა იტალიელი მწვრთნელი ივანო ბონეტი აღნიშნავს:

— *იტალიელი ვარ და ბუნებრივია, ჩემს ქვეყანაში დიდი კავშირებიც მაქვს. მეგობრებისგან ვიცი, რომ იტალიაში განსაკუთრებით ნემსაძის მიმართ იჩენენ ყურადღებას. სანამ ტრავმას მიიღებდა, მანამდე გიორგის „ბრეშა" აკვირდებოდა, მაგრამ საბოლოოდ ქართველის ასაკის გამო თქვეს უარი, — ჩვენ ახალგაზრდებს ვეძებთო. გიორგის ახლაც იწვევენ და შესაძლებელია გუნდი დატოვოს.*

ცნობილი სპორტული ინტერნეტ-გამოცემა „სოკერნეტი" ავრცელებს სენსაციურ ინფორმაციას, რომელიც გიას შესაძლო ტრანსფერს ეხება.

თურმე, წინა კვირას გამართული შოტლანდიის თასის ფინალის წინ „სელტიკის" მწვრთნელი მარტინ ო'ნილი იაპონიაში გადასული სლოვაკი ნახევარმცველის ლუბო მორავჩიკის შემცვლელს სასწრაფოდ ეძებდა. საამისოდ შეგულებული ჰყოლია „დანდის" ქართველი ნახევარმცველი


ხიზანიშვილი ლარსონს „ეცეკვება"

გიორგი ნემსაძე, რომელსაც „სოკერნეტის" ინფორმაციით, უკვე ნახევარი წელია აკვირდებოდა. ო'ნილს სათადარიგო ვარიანტად „ლიგვინსტონის" 26 წლის ნახევარმცველი, დევიდ ფერნანდესი მოუაზრებია.

მარტინ ო'ნილს ნემსაძის სასწრაფოდ გადაყვანა და მისი „რეინჯერსთან" სათასო ფინალში დაყენება სურდა. მეტიც, „სელტიკის" ხელმძღვანელობა „დანდის" სასწრაფოდ მილიონ გირვანქა სტერლინგსაც სთავაზობდა, მაგრამ გიორგის ამჟამინდელმა კლუბმა ფინანსური პრობლემის მოგვარება, ეტყობა, ქართველის გაყიდვით გადაწყვიტა და 2 მილიონ გირვანქას ჯიუტად ითხოვს, რამაც მარტინ ო'ნილს განზრახვაზე ხელი აალებინა, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. ცხადია, გლაზგოელები გაჭირვებულთა კატეგორიას არ განეკუთვნებიან და ვაჭრობა გააგრძელეს: 1,5 მილიონი გირვანქა „დანდის", — წინააღმდეგ შემთხვევაში, ფერნანდესის ყიდვა დაგვჭირდებაო. ეს ინფორმაციები „სელტიკის" კულისებიდან გავრცელებულა.

უცნაურია, რომ ამ მოლაპარაკებებზე „დანდის" ოფიციალური წარმომადგენლები საჯაროდ არაფერს აცხადებენ, თითქოს „სელტიკისგან" წინადადება არ მიუღიათ, თუმცა „დანდის" ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა ინკოგნიტოდ მაინც გაამხილა, რომ ო'ნილმა ნემსაძის თაობაზე მოლაპარაკება წამოიწყო. თანაც დაამატა, თუკი ისინი პრეზიდენტს სატრანსფერო თანხაზე შეუთანხმდებიან, გიორგის გადასვლას აღარ დავაბრკოლებთ, თუმცა, მათ მიერ შემოთავაზებული 1,5 მილიონი გირვანქა არასაკმარისია კონტრაქტის გასაფორმებლადო.

„დანდის" მწვრთნელი ბონეტი შედარებით გახსნილად საუბრობს:

— *მიუხედავად იმისა, რომ ნემსაძემ ახლახან განაახლა თამაში, სულაც არ მიკვირს მის მიმართ „სელტიკის" ყურადღება. „დანდის" შეხვედრებს მრავალი ცნობილი კლუბის მენეჯერი სწორედ ქართველი ნახევარმცველის გამო ესწრება. გიორგი მრავალმხრივი, დიდი დიაპაზონის მქონე ფეხბურთელია და მისმა ტრავმამ აშკარად დაგვანახა, თუ რა ძალა დაგვაკლდა.*

თავად ნემსაძემ ჩვენთან ხანმოკლე საუბარში არ გამორიცხა „სელტიკში" გადასვლის შესაძლებლობა.

... მალე გამოჩნდება „დანდის" შემადგენლობაში მეორე ქართველი, ზურაბ ხიზანიშვილიც, რომელზეც ბონეტი კიდევ უფრო დამაინტრიგებელ ინფორმაციას ავრცელებს — რომ არა ტრავმა, „რომაში" ან „ინტერში" ჩაირიცხებოდაო. რომაელებთან მოლაპარაკების ინიციატორი კი მისი ძმა, დარიო ყოფილა — „რომას" ყოფილი ფეხბურთელი.

სხვათა შორის, „სოკერნეტში" გავრცელებულია საინტერესო ინფორმაცია ზურას ბოლონიაში მკურნალობის შესახებ, სადაც მასთან ერთად ცნობილი იტალიელი ვარსკვლავები რობერტო ბაჯო და პაოლო დი კანიოც მკურნალობდნენ: „ბაჯო ქართველს არ იცნობდა, მაგრამ კლინიკაში გაიხსენა, რომ იგი იტალიის ნაკრებთან შეხვედრიდან დაამახსოვრდა და მას შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდისთვის ყურადღება არ მოუკლია, მუდამ ამხნევებდა და მძიმე პერიოდი შეუმსუბუქა".

„დანდისთან" კონტრაქტი დაუსრულდა 34 წლის თემურ ქეცბაიას, ვისაც ივანო ბონეტი სეზონის უმთავრეს შენაძენად მიიჩნევდა. სავარაუდოდ, ქეცბაია კონტრაქტს აღარ გააგრძელებს, თუკი „დანდიში" წამოჭრილი ფინანსური პრობლემები უახლოეს პერიოდში არ მოგვარდება.

კლუბის შეცვლის რეალური იმედი ნაკრებში ჩატარებული შეხვედრების შემდეგ „ჩელსის" სათადარიგოებში უიმედოდ ჩარჩენილ რატი ალექსიძესაც გაუჩნდა. მას რამდენიმე ვარიანტს სთავაზობენ, რომლებიც ღირს დასაფიქრებლად: „კოპენჰაგენი", „ვილემ ", „პანათინაიკოსი" და კიევის „დინამო". ახლა ალექსიძის ბედი მისი მენეჯერის მარიფათზეა დამოკიდებული, თორემ რეალური არჩევანი ნამდვილად აქვს.

სხვათა შორის, ერთი ხანობა თითქმის გადაწყვეტილიც იყო „ციურიხის" ფლეიმეიკერის, გოჩა ჯამარაულის ჩვენთვის ნაცნობ „დანდიში" გადასვლის საკითხი. მეტიც, იანვარში გოჩა წინასწარი კონტრაქტის გაფორმებასაც აპირებდა, რომ არა ზემოთ ნახსენები ამბავი — „დანდი" მოულოდნელად ფინანსურმა პრობლემებმა შეაწუხა, ფეხბურთელებს ხეირიანად ხელფასსაც ველარ უხდიან და ჯამარაულმა არეულ შოტლანდიელებთან ურთიერთობას დალაგებულ გერმანელებთან თამაში ამჯობინა — უკვე თითქმის გადაწყვეტილია, რომ გოჩა მეორე ქართველი იქნება კახა ცხადაძის შემდეგ, ვინც ფრანკფურტის „აინტრახტში" ჩაირიცხება. მართალია, „აინტრახტი" მეორე ბუნდესლიგაში გამოდის, მაგრამ, ეტყობა, გოჩა კარიერის დასრულებას მშვიდად, უზრუნველად აპირებს.

**ლაშა დუმბაძე**

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლa5-c5!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **სამ** სვლაში.



# ენდი გარსია — ჰოლივუდელი წმინდანი

თუ დავიჯერებთ, რომ ანგელოზები ხან-დახან დედამიწაზე ეშვებიან მიწიერი ცხოვრების გასაცნობად, მაშინ ერთი მათგანი ახლა ჰოლივუდში ცხოვრობს და წარმატებით მოღვაწეობს კინოში. ეს გახლავთ ენდი გარსია, ენერგიული კუბელი, რომელიც საოცრად ბუნებრივად თამაშობს „ცუდ ბიჭებს“, რეალურ ცხოვრებაში კი სიკეთის განსახიერებაა. ძნელი წარმოსადგენია, განსაკუთრებით ჰოლივუდისთვის, მაგრამ ენდი გარსიას ოცი წელია ერთი ჰყავს ცოლად და არასოდეს ცალი თვალითაც კი არ გაუხედავს განზე.



...სტივენ სოდერბერგი „ოუშენის თერთმეტ მეგობარს“ იღებდა. ენდი, როგორც ყოველთვის, შეუდარებელი იყო. შესვენება გამოცხადდა და უცებ გაისმა: „ენდი გარსია, სამშობიაროდან დარეკეს მეოთხე შვილი შეგეძინა... ბიჭია, ბიჭი!“

დინჯი და თავშეკავებული ენდი სიხარულს ვერ მალავდა — როგორც იქნა, აუსრულდა ნატვრა. „ძლივს არ გავაკეთე ბიჭი?!“ — სამი ქალიშვილის მამა ისე ხარობდა, თითქოს პირველი შვილი შესძენოდეს.

— შეხედე ერთი, — გადაუქირქილა ჯორჯ კლუნიმ ბრედ პიტს, — ნამდვილი კონკისკადორია... საოცარია, პირდაპირ. ასეთი ტემპერამენტის პატრონი როგორ ცხოვრობს ასე მონოტონურად.

— აბა, აბა, — კვერი დაუკრა ბრედმა, — როგორია, წვინტლიანი ბავშვები, ძიძები, და... ჩემმა მტერმა თქვა — ოცი წელი ერთ ქალთან საწოლში.

ასე რომ ეფიქრა ენდი გარსიას, მაშინ პაპარაცები არ დაარქმევდნენ მის ოჯახს „ჰოლივუდის წმინდანებს“. რახანია კვალში დასდევენ და ვერაფერში გამოიჭირეს. სიყვარული და ერთგულება ხომ უცხოა სკანდალური ბომონდისათვის...

ენდი და მარია 70-იან წლებში შეხვდნენ ერთმანეთს. მარია ლორიდო ღრმად მორწმუნე კათოლიკურ ოჯახში გაიზარდა და მშვენიერი, გრძელფეხება, შავთმიანი და შავთვალება კუბელი ქალიშვილი სათოფეზე არ იკარებდა თაყვანისმცემლებს. მარია ისე იქცეოდა, რომ აშკარად შინაბერობა ემუქრებოდა...

ერთ მშვენიერ დღეს, მეგობარმა დიდი ხვეწნამუდარით ფლორიდის უნივერსიტეტის თეატრალური ფაკულტეტის სტუდენტთა სპექტაკლზე წაიყვანა. სპექტაკლი დამთავრდა და მეგობარმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ მარია უკვე კულისების უკან იყო გასული. მეგობარიც ფეხდაფეხ გაჰყვა და რაოდენ დიდი იყო მისი გაკვირვება, როცა დაინახა, თუ როგორი თვალებით უყურებდნენ ერთმანეთს „მონაზონი მარია“, როგორც მას ეძახდნენ გამოყენებითი დიზაინის ფაკულტეტზე და უნივერსიტეტის ყველაზე ლამაზი ყმაწვილი, მთავარი როლის შემსრულებელი ენდი გარსია.

ერთი კვირის თავზე მარია მეგობარს გამოუტყდა: „მე დავინახე ვნებით და სინაზით სავსე თვალები, შევხედე თუ არა დახვეწილ, ესპანელი გრანდის ნაკვთებიან ენდის, მივხვდი — მიყვარს!“

სწორედ იმ დროს უნივერსიტეტის მეგობარს გულს უშლიდა ენდი გარსიაც: „სულ მასხრად ვიგდებდი ერთი ნახვით შეყვარებას. ახლა კი რა დამემართა, არ ვიცი, მაგრამ მარია ისეთი ლამაზია, რომ... რატომ მიცემს ასე გამალებით გული? ნამდვილად მიყვარს!“

და აი, ცხრამეტი წელი გავიდა... სამი ქალიშვილის პატრონებს ახლა ვაჟიც გაუჩნდათ — ანდრეს ანტონიო გარსია-ლორიდო.

## ბედის რჩეული

ღვთის წყალობა თავიდანვე დაჰყვა ენდი გარსიას.

კუბის სამშობიაროში სიამის ტყუპი დაიბადა. ერთ-ერთი აუცილებლად უნდა დაღუპულიყო. განწირული აღმოჩნდა ენდის მხარს შეზრდილი პაწაწინა სხეული, თუმცა, შეიძლება ეს საშინელი ხვედრი მას რგებოდა. მაგრამ არა, ბედი წყალობდა ენდის. მას შემდეგ ორივე ძმის წილი იღბალი მას არგუნა დედაბუნებამ. თუმცა ბავშვობასა და ყმაწვილობაში არც ის გახლდათ დიდად სანიმუშო.

ხუთი წლის იყო ენდი, როცა მამამისი ფიდელ კასტროს რეჟიმს გაექცა კუბიდან და ფლორიდაში დასახლდა. რენე გარსია სამშობლოში გამოჩენილი ადვოკატი იყო, მაგრამ ემიგრაციაში პირველ ხანებში ფეხი ვერ მოიკიდა და კარგა ხანს უჭირდათ.

ენერგიულმა ენდიმ საქმის გამოსწორება გადაწყვიტა. დაუკავშირდა მოპარული მანქანებით მოვაჭრეს და საქმეში ჩართვა მოინდომა. შეაგროვა უბნის ბიჭები და „საქმეზე“ წავიდა. მანქანის გაღება იოლი აღმოჩნდა. ენდი საჭეს მიუჯდა თუ არა, უკანა სკამზე მძინარე ბავშვი შეამჩნია. გახევდა. ისე შეაშფოთა უდრტვინველად მოკალათებული ბავშვის ხილვამ, რომ მაშინვე მიხვდა — ამ ჭუჭყიანი საქმით გამდიდრება კარგს არაფერს მოუტანდა. ის იყო, მანქანას მოშორდა, რომ პოლიციაც გამოჩნდა... გადარჩა... ენდიმ ეს ღვთიურ მადლად მიიჩნია და ქუჩის ბიჭების ბანდა უმეთაუროდ დარჩა...

## პატარ-პატარა შეცოდებანი და მრავალმხრივი ნიჭი

შინაგანი ცეცხლი და დაუოკებელი ტემპერამენტი არ ასვენებდა ენდის. ვერა და ვერ მოძებნა საქმე, რომელშიც გამოიყენებდა ამ ენერგიას. ჯერ იყო და სკოლაში ისე გადაჰკიდა ერთმანეთს მისი ეშხით გაბრუებული გოგონები, რომ კინაღამ დახოცეს ერთმანეთი. მერე ისე სცემა მეტოქე კეტბურთის გუნდიდან — ძლივს გადაარჩინეს. მერე ტეხასში გაიქცა და იქ კოვბოებთან ერთად ძროხებს მწყემსავდა. მოკლედ, იმდენი „იკუნტრუშა“, ვიდრე საავადმყოფოში არ მოხვდა ჰეპატიტის დიაგნოზით. საბედნიეროდ, იმავე ადგილას იმავე დიაგნოზით „მიაბრძანეს“ კრიმინალური დრამების ვარსკვლავი დენის ჰოპერი. ნემსებისა და საწვეთურების მსხვერპლი ენდი და დენი დამეგობრდნენ. ენდი აღფრთოვანებული უყურებდა დენის მიერ მის გასართობად წარმოსახულ ტიპაჟებს და გადაწყვიტა, თვითონაც ეცადა ბედი. მალე იგი ფლორიდის უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ენდის გზა თავიდანვე ია-ვარდებით არ იყო მოფენილი. კრიმინალურ დრამებში განსახიერებული ბანდიტებისა და წესიერი პოლიციელების როლები არავის ამახსოვრდებოდა და „დასამარებული იმედების“ მსახიობის იარლიყის კანდიდატი გახდებოდა, რომ არა... ისევ ბედნიერი შემთხვევა.

რეჟისორი ფრენსის ფორდ კოპოლა ფილმისათვის „ნათლია-3“ მსახიობებს არჩევდა — „ვინ არის ის ვაჟკაცი, ჭკვიანური და ცივი გამოხედვა რომ აქვს?“ — იკითხა მან. ენდი დიდ რეჟისორს წარუდგინეს. მას შეუძლია თავისი ტემპერამენტის შენიღბვა გულგრილი გამომეტყველებით, ვნებისა და თავშეკავების შეთავსება... ასეთ კაცს შეიძლება მთელი იტალიური მაფია ანდო“, — გამოუტანა განაჩენი კოპოლამ. ენდი დონ კორლეონეს (ალ პაჩინო) დისწულის როლზე დაამტკიცეს. ამ როლმა დიდი წარმატება და „ოსკარზე“ მეორე პლანის როლის ნომინაციაში წარდგენა მოუტანა.

როლები წვიმასავით წამოვიდა, წარმატება და პოპულარობა გრიგალივით შემოიჭრა მის ოჯახში. სწორედ მაშინ ახარა ცოლმა, რომ კვლავ ორსულად იყო. ენდიმ დაავლო ხელი ცოლ-შვილს და ჰოლივუდს გაეცალა. მაიამი ბიჩიში, თავიანთ დიდებულ სახლში დაფუძნდნენ. ეს იყო, სიყვარულით და სიმშვიდით სავსე მშვენიერი დღეები. გარშემო ყველა მათ შენატროდა. სკოლაში აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ მასწავლებლები, როცა ხედავდნენ, როგორ მიჰყავდა სკოლიდან გოგონები ჰოლივუდის ვარსკვლავს. მეზობელი ქალები შურით სკდებოდნენ — ბაღში მოფუსფუსე და ცოლზე მზრუნველ ლამაზ კუბელს რომ ხედავდნენ. ჰოდა, როცა ენდიმ მაიამი ბიჩის ღამის კლუბებში დაიწყო გამოსვლა თავის ჯგუფთან ერთად, სადაც კუბურ რიტმებს მღეროდა — ყველა მისი მუსიკალური ნიჭის თაყვანისმცემელი გახდა.

## როცა მამაკაცს ქალი უყვარს

მაიამიში დღეები მხიარულებასა და ოჯახურ იდილიაში სწრაფად გადიოდა. ენდის უკვე გული გადასაღები მოედნისაკენ მიუწევდა, მარია კი მესამე მშობიარობის შემდეგ ისე გასუქდა, რომ სარკეში ჩახედვა აღარ უნდოდა... როდესაც მელოდრამაში „როცა მამაკაცს ქალი უყვარს“, ენდის მიჯნურის როლი შესთავაზეს და მისი პარტნიორი კი მშვენიერი, სიფრიფანა მეგ რაიანი უნდა ყოფილიყო, ოჯახურ სიმტკიცეს ბზარის გაჩენის საშიშროება შეეპარა. მარიას არ მოეწონა, რომ მის ქმარს სხვისი სატრფო უნდა ეთამაშა, ენდი კი აღშფოთებას ვერ მალავდა — როდემდე უნდა ვითამაშო გარეწრები, ძლივს მეღირსა ნორმალური ადამიანის როლი, რისი გეშინიაო. რისი ეშინოდა და იმისი, რომ თავის მადას ვერაფერს უხერხებდა, დღითი დღე სიგანეში მიდიოდა. ჟურნალისტებსაც არ გამოჰპარვიათ ეს ფაქტი და ყურები დაცქვიტეს — იქნებ რაიმე საკბილოს გამოვკრათ ხელიო და ფოტოკამერას არ აშორებდნენ ორ ვარსკვლავს.

ენდი ამ ფილმში გამოუსწორებელი ლოთი ქალის მოსიყვარულე და ერთგული ქმრის როლს თამაშობდა და ეს ისეთი ვირტუოზული სიწრფელით გამოსდიოდა, რომ გადასაღებ მოედანზე მყოფ ქალებს სიყვარულის ციებ-ცხელება ეყრებოდათ. ენდი კი, შესვენებას გამოაცხადებდნენ თუ არა, სასწრაფოდ გარბოდა ტელეფონისკენ, რათა ცოლთან ესაუბრა. მეგ რაიანი ამოიოხრებდა, თვალს გააყოლებდა და ისღა დარჩენოდა, ეოცნება მამაკაცის დაკუნთულ სხეულზე, რომელიც არასოდეს გახდებოდა მისი. რას იზამ, ასეთი მოყვარული ქმრისა და უსაზღვროდ წესიერი ადამიანისგან ცეცხლოვანი საყვარელი ვერ დადგება.

ენდის ნაცნობები ამბობდნენ— კაცი, რომელიც ქალის დანახვაზე ფეხზე დგება, უარს ამბობს შიშველი სხეულის გადაღებაზე და ერთხელ სასინჯი გადაღება მხოლოდ იმიტომ მიატოვა, რომ პერანგის გახდა მოსთხოვეს, მუდამ გაურბის ბომონდის თავყრილობებს — ვერასოდეს გახდება მაჩო ან „ჰოლივუდელი მექალთანეო“.

ამიტომაც რჩებოდნენ მუდამ პაპარაცები პირში ჩალაგამოვლებულები.

ფილმმა, „როცა მამაკაცს ქალი უყვარს“, მილიონობით გულგატეხილი, მამაკაცის ერთგულებასა და ქალთან რაინდულ დამოკიდებულებაში დაეჭვებული ქალის გული დაიპყრო.

ენდი და მარია გამარჯვებას ზეიმობდნენ. ენდიმ საყვარელი ცოლი დიდებულ მაღაზიაში წაიყვანა და უამრავი მშვენიერი, ძვირფასი ტანსაცმელი უყიდა, თანაც წინანდელი ზომების. მარიას სხვა რაღა დარჩენოდა — უნდა გამხდარიყო.

ენდის ბოლო როლმა „ოუშენის თერთმეტ მეგობარში“ კვლავ ააფორიაქა პრესა და თაყვანისმცემლებმაც ყურები ცქვიტეს — ფილმში ხომ მისი პარტნიორი თავად ჯულია რობერტსია... მაგრამ როგორც ეტყობა, ჯულიას ხიბლმა მშვიდობიანად ჩაისრიალა ენდის გულთან.

ნუთუ შეიძლება მიწიერ მამაკაცებს ასე ერთგულად და ამდენი ხანი უყვარდეთ ერთი ქალი, თუ ეს მხოლოდ ანგელოზებს შეუძლიათ?

ამაზე პასუხის გაცემა ძნელია... ეს მხოლოდ მათ იციან.

*7 დღე №14*






## თუ ქმარი ქალი იყო?!..



გარდაცვლილი ქმრის მემკვიდრე, ჩვეულებრივ, ცოლია ხოლმე. ამიტომ 70 წლის კენიელ ქალბატონს მიაჩნია, რომ ყველა უფლება აქვს ქმრის ქონებაზე და სასამართლოსაც მიმართა. პროცესსაც მოიგებდა, რომ არა ერთი „მაგრამ"... გარდაცვლილი ქმარი... ქალი ყოფილა. „ცოლს" მემკვიდრეობად უნდა ერგოს ფერმა, სადაც წყვილმა ნახევარ საუკუნეზე მეტი გაატარა. ახლა ფერმას ქმრის ნათესავები ედავებიან ქალს.

ქალბატონის ადვოკატი დაცვის სტრატეგიას ერთ პრინციპზე აგებს — კენიაში ზოგიერთ ტომში ქალებს შორის ქორწინება დაშვებულია. ასეთ დროს გამორიცხულია ბიოლოგიური კავშირი და იგი ეკონომიკურ საფუძველს ეყრდნობა. სასამართლომ უარი თქვა ადვოკატის არგუმენტზე. რით დამთავრდება პროცესი, არავინ იცის. მაგრამ იგი აუცილებლად შექმნის პრეცედენტს — აქამდე კენიის იუსტიციას მსგავსი საქმე არ განუხილავს. აქამდე ასეთ პრობლემას ბელადები და უხუცესთა საბჭოები აგვარებდნენ.

*ეხო პლანეტი №15*

## „რამ შეგიცვალა გუნება?"

საქმრო ქორწილამდე ალერსიანი და მზრუნველი იყო, მაგრამ ქორწილის შემდეგ გულგრილ ქმრად გადაიქცაო, — მალაგის პროვინციულმა სასამართლომ ეს საფუძვლიანი არგუმენტი საკმარისად მიიჩნია და წყვილი გაყარა.

ასე რომ, ესპანეთის ისტორიაში პირველად გაყრის პროცესი ქალის სასარგებლოდ გადაწყდა მხოლოდ იმიტომ, რომ მამაკაცი ისეთი აღარ იყო, როგორიც ქორწინებამდე.

სასამართლოზე დაზარალებული ქალის თანამშრომლებიც წარდგნენ მოწმეებად. მათ ერთხმად დაადასტურეს, ჩვენი ძვირფასი კოლეგა საქმროს შინ ყვავილებითა და ავტომანქანით მიჰყავდა ყოველდღე, ქორწინების შემდეგ ოთხი წლის მანძილზე კი ერთი ალერსიანი სიტყვაც არ უთქვამსო.

*შტერნი*

## დედოფლის ნათლულები



ინგლისის ქალაქ ჰაროგეიტს ნამდვილი ოქროს ციებ-ცხელება მოედო. ყველა ეძებს იმ ძვირფასეულობას, რომლითაც პრინცესა ჰესენელი, რუსეთის მომავალი დედოფალი ალექსანდრა ფიოდოროვნა ასაჩუქრებდა თავის ნათლულებს.

1894 წელს პრინცესა ჰესენელმა, რუსეთის ტახტის მემკვიდრესთან ქორწინებამდე, ნევრალგიის სამკურნალოდ ჰაროგეიტს მიაშურა. ქალაქში ინკოგნიტოდ ჩავიდა და ადგილობრივი წყალგამყვანის ედვინ ალენის სახლში დაბინავდა (იმ დროს წყალგამყვანის ხელობა მეტად პრესტიჟულად ითვლებოდა).

პრინცესა იმ დროს ჩავიდა ქალაქში, როცა მასპინძლის ოჯახი ტყუპი ქალ-ვაჟის დაბადებას ზეიმობდა. ყმაწვილმა ქალმა ეს ბედნიერ ნიშნად მიიჩნია და ნათლიობას სიამოვნებით დათანხმდა — ბავშვებს ალისა და ნიკოლაი დაარქვეს — ოჯახის უფროსმა ედვინ ალენმა ეს თხოვნა სიხარულით შეუსრულა მომხიბლავ სტუმარს. მით უმეტეს, რომ ქალაქის ჭორიკნების წყალობით უკვე იცოდა ინკოგნიტოს ვინაობა — რა დაემალებოდა მათ თვალსა და ყურს?!

პრინცესამ თავის ნათლულებს ფაბერჟეს ვერცხლის მომინანქრებული თასები და ოქროს ქინძისთავები აჩუქა, ნათლობის შემდეგ კი ფაბერჟეს ნახელავი დანა-ჩანგალი. 1910 წელს უკვე მოზრდილმა ტყუპმა ნათლიისგან ოქროსა და ვერცხლის მონოგრამიანი მართლმადიდებლური ჯვრები მიიღო. სრულწლოვანების დღეს კი დედოფალმა საყვარელ ნათლულებს — ნიკოლოზს ბრილიანტებითა და საფირონებით მოოჭვილი ოქროს საკინძეები აჩუქა, ალისამ კი რა მიიღო, დღეს აღარავინ იცის.

მოგვიანებით და-ძმის გზები გაიყარა. ძმა უკმაყოფილო ყოფილა დის არჩევანით — ქალიშვილი ცოლად გლაზგოელ კინოთეატრის მეპატრონეს გაჰყოლია და საცხოვრებლადაც შოტლანდიაში გადასულა. როგორც ნიკოლაის ვაჟი ამბობს, მამიდამისი მოგვიანებით კანადაში დამკვიდრებულა. 77 წლის მაიკლ ალენს მამის ნათლიის საჩუქრები აქამდე ბანკში ჰქონდა შენახული, მოგვიანებით რამდენიმე ნივთი გაყიდა, ხოლო დანარჩენი — ჰაროგეიტის მუზეუმს გადასცა.

თითქმის მთელი ჰაროგეიტი ჩაება რუსეთის დედოფლის საჩუქრების საძიებო პროცესში. მკვლევარებსა და საზოგადოებას წინ სასიამოვნო სიურპრიზი ელით — ძვირფასეულობის და მისი პატრონის პოვნა ახალ ფაქტებს გამოავლენს რუსეთის დედოფლის შესახებ.

*ეხო პლანეტი №17*

## ფეხბურთის გამო მთავრობა ჯადოქრებს შეურიგდა

1992 წელს აფრიკის ჩემპიონატში წარმატებას კოტ დ'ივუარის ნაკრები ჯადოქრებს უნდა უმადლოდეს. ეს ფაქტი ხელისუფლებამ საჯაროდ აღიარა — თავდაცვის მინისტრი პირადად მისულა შამანებთან და 2000 დოლარად და ერთი ბოთლი ლიქიორის ფასად ნაკრებისთვის გამარჯვება გაუნაღდებია. მაგრამ საფასური ჯადოქრებმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც ბრწყინვალედ აღასრულეს დაკისრებული მოვალეობა — ამას კი არც მეტი, არც ნაკლები 10 წელი დასჭირდა. ნაკრების გამარჯვების შემდეგ მინისტრს შეპირებული თანხის გადახდა „დავიწყებია". პოლიტიკოსის თავქარიანობა მთელ ქვეყანას ძვირად დაუჯდა. მას შემდეგ კოტ დ' ივუარის ნაკრებს გამარჯვება არ ღირსებია. ჯადოქრებმა შეახსენეს ხელისუფლებას, თუ შეპირებულს არ გადაიხდით, ნაკრებს ერთიანად გამოვიყვანთ წყობიდანო. რაღა დარჩენოდა საბრალო მთავრობას? — 2000 დოლარი და ერთი ბოთლი ლიქიორი დიდის ამბით გადასცეს შამანებს.

*მეგაპოლის-ექსპრესი*

## ჩიტის მოტანილი ამბები

**არ დაუჯეროთ რეკლამას.** მალაიზიის მთავრობის მეთაური მაჰათჰირ მოჰამადი ქვეყანაში ყველაზე ავტორიტეტული ექიმია. პრემიერს მიაჩნია, რომ მხოლოდ სპორტს შეუძლია აღნაგობის კორექტირება და გაუმჯობესება. 76 წლის მოჰამადი ჯეელივით გამოიყურება, დროდადრო ცხენოსნობაში შეჯიბრებას იგებს და ქვეყანასაც წარმატებით მართავს.

ასეთი ცხოვრების წესი არც ჩემს თანამემამულეებს აწყენდათო, — ეუბნება ჟურნალისტებს. პრემიერი არც იმ სასწაულმოქმედი პრეპარატების მოხმარების მომხრეა, რომლებითაც ზედმეტი წონის დაკლებას გვპირდებიან რეკლამებით.



**შეყვარებულს დაშორდით? — ლეწეთ ჭურჭელი.** ტაილანდში დამსხვრეული გულების კაფე გაიხსნა — კაფე მათთვისაა განკუთვნილი, ვისაც სატრფოსთან გაყრამ დიდი ტრავმა მიაყენა.

კაფეს პატრონს მოგების მიღებასთან ერთად, განზრახული აქვს ტრაპეზს ფსიქოთერაპია შეუხამოს. საამისოდ კაფეში საგანგებო ოთახებია. ერთ-ერთში კლიენტს შეუძლია, სანამ არ მოსწყინდება, ჭურჭელი ლეწოს და ამსხვრიოს — რაც ყველაზე მთავარია, კომპიუტერის ეკრანზე ტრავმირებული ქალის ან მამაკაცის მოღალატე პარტნიორი ჩანს.

მეორე ოთახში შეიძლება ყურისწამღები ბღავილი, კივილი, ლანძღვა-გინება. მესამე ოთახში მსურველი ტირილით გულს იჯერებს — იქვეა უამრავი ხელსახოცი. საჭიროების შემთხვევაში ოფიციანტი გულდასმით მოუსმენს გულგაბზარულს, წყალს მიაწოდებს ან ანუგეშებს კიდეც. ოთახი სარკითაა მოპირკეთებული. როგორც ფსიქიატრები ირწმუნებიან, როცა მოტირალი თავს სარკეში მოჰკრავს თვალს, მშვიდდება.

**ყველაზე პაწაწინა წიგნი.** დიდ ბრიტანეთში მსოფლიოში ყველაზე პაწაწინა წიგნი გამოიცა. მას 2 წლის მანძილზე სტამბავდნენ გერმანელი პოლიგრაფისტები. უნიკალური წიგნი სიგრძით 2,4, ხოლო სიგანით 2,9 მილიმეტრია და 69 ფუნტი სტერლინგი ღირს.

ტყავისყდიანი ციცქნა წიგნი 26-გვერდიანია. თითოეული ეგზემპლარი ხის ზარდახშაშია მოთავსებული, რომელშიც ლუპა, პინცეტი და წიგნის შინაარსის გადიდებული ვარიანტი დევს.

წიგნი კოლექციონერებისთვისაა განკუთვნილი და უკვე იშვიათობად იქცა — გამოცემული 1000 ცალიდან ბრიტანეთში ექვსიოდე თუ მოიძევება. ამ წიგნს რეკორდსმენი წინამორბედი ჰყოლია — 1985 წელს ბრიტანეთში გამოცემული წიგნი სიგრძე-სიგანით სულ 1 მმ იყო.

## „ჩამოახრჩვეთ და შეწვით!"



მოსამართლეთა შორის ზოგჯერ განათლებული იურისტებიც გამოერეოდნენ, ბრალდებულებს კი თავის დაცვის უფლება ჰქონდათ. ერთმა ადვოკატმა თურმე მე-17 საუკუნის დასასრულს საფრანგეთში სიკვდილმისჯილი მუხლუხოს გამართლება მოახერხა.

ყველაზე მეტი განაჩენი ღორებს გამოუტანეს. ყველაზე ძველი „ღორების საქმე" 1266 წელს განიხილეს საფრანგეთში. მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებით საბრალო ღორი კოცონზე დაწვეს. 1386 წელს კი ბრალდებულ ღრუტუნას მეტად სასტიკად მოექცნენ: ფეხები და თავი დააჭრეს. რით იყო გამოწვეული ასეთი სისასტიკე და რა უქნეს მის ხორცს? ამის შესახებ ისტორია დუმს.

განსასჯელთა სკამზე ცხენები და ძროხებიც ხვდებოდნენ. 1389 წელს საფრანგეთში ცხენი, რომელმაც პატრონი დააშავა, სიკვდილით დასაჯეს — თავი მოჰკვეთეს. 150 წლის შემდეგ პარიზის პარლამენტის გადაწყვეტილებით, ძროხა, რომელსაც ბრალად ედებოდა გარემოს დაბინძურება-დაზიანება (რას სჩადიოდა ასეთს, საინტერესოა?), ჩამოახრჩვეს, მერე კი შეწვეს. იგივე ბედი გაიზიარა 1604 წელს ერთმა ფრანგმა სახედარმაც.

ჩვენი თანამედროვე ცხოველთა უფლებების დამცველები ალბათ შავ დღეში აღმოჩნდებოდნენ, შუა საუკუნეების ევროპაში რომ მოხვედრილიყვნენ. სულ პატარა შეცოდებისთვისაც კი ცხოველი იქნებოდა თუ ფრინველი, განსასჯელთა სკამზე მოხვდებოდა და ვერავინ იხსნიდა მათ კანონიერი სასჯელისაგან.

მე-13-14 საუკუნეებში გერმანიაში, შვეციაში, საფრანგეთში ასეულობით სასამართლო პროცესი ჩატარდა, სადაც როგორც შინაურ, ასევე გარეულ ცხოველებს ასამართლებდნენ. გაუსამართლებიათ ვირთხები, მუხლუხოებიცა და ხოჭოებიც. მაგალითად, 1487 წელს საფრანგეთში პასუხი აგებინეს მაისის ხოჭოებსა და ლოკოკინებს, 200 წლის შემდეგ კი მუხლუხოებს, რომლებმაც დააზარალეს „სხვისი ქონება". რა უნდა თქვა? — მათგან მართლაც ნადგურდება ბაღ-ბოსტნები, ამიტომაც ერგოთ ისეთივე სასჯელი, როგორითაც მაშინ ჯადოქრებსა და ერეტიკოსებს სჯიდნენ.

„საზოგადოების ხორცმეტთა" — მწერების „საქმეებს" ძირითადად საეკლესიო სასამართლოები არჩევდნენ. სამოქალაქო სასამართლოები კი შინაურ ცხოველებზე იყვნენ სპეციალიზებული.

სასაცილოა, მაგრამ სასამართლო პროცესები, სადაც ცხოველებს ასამართლებენ, დღესაც იმართება. ორი წლის წინ ხმელთაშუა ზღვის კურორტ ანთალიას ბინადარმა ნათესავს უჩივლა, მისმა ქათმებმა სათბურში პომიდვრები და ბარდა ერთიანად გადამიკენკესო. მოსამართლეებმა მოსაკვლევი სამუშაოები ჩაატარეს, „ანაბეჭდები" აიღეს — ეჭვმიტანილის ნაფეხურები და ნისკარტის ნაკვალევი შეამოწმეს. რით დამთავრდა ეს დავა, უცნობია, მაგრამ თურქეთში ეს ამბავი დიდხანს ეკერათ პირზე მოსეირეებს.

*ვოკრუგ სვეტა №17*

## ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში სულხან-საბა ორბელიანის ფრაზას ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | ს | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| ო | ა | ა | ვ | ი | ა | ო | რ | ი | ლ | ი | | ი | ო | ი | ო | ო | ნ | | დ | ნ | ტ | ე | ი | ო | ბ | ი | | ო | ო |

**დ.** ველი, სადაც დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკები დაამარცხა; **ა.** ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათლის სხივი; **ი.** იმამის ხელისუფლება; **ს.** ქართული კერძი, რომელსაც უმეტესწილად დღესასწაულებზე ამზადებენ; **ვ.** ინგლისელი მწერალი ქალი, „კრაზანას" ავტორი; **ე.** უკიდურესი, ავადმყოფური აღტაცება; **ნ.** ქალაქი იტალიაში; **ე.** რა ჰქვია რეჟისორ რიაზანოვს; **კ.** გვაროვნული თემი ირლანდიასა და შოტლანდიაში; **ვ.** მემამულე, ფეოდალი, რომელიც დამოკიდებული იყო სხვა, უფრო მსხვილ ფეოდალზე; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **რ.** მურმან ლებანიძის მშობლიური კუთხე; **ი.** განუხორციელებელი იმედი, ოცნება; **ს.** ავთვისებიანი სიმსივნე; **პ.** რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის მიღებული ჯილდო; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ლ.** ძველი ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი მხატვრულ ფილმში „პირველი მერცხალი"; **ტ.** ძველი რომის მოქალაქეთა ზედა ტანსაცმელი; **რ.** დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც იბრძვიან მოკრივეები; **ა.** მრავალტანჯული გოლიათი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც მხრებით უჭირავს ცის თაღი; **ს.** სამეფო კვერთხი; **თ.** ცხოველი, რომელსაც ანდაზის მიხედვით უთხრეს, ქვეყნის აღსასრული მოვიდაო და მან თვალები დაითხარა — მაინც აღარ გათენდებაო; **ა.** ჰორიზონტალური კოორდინატი კოორდინატთა სისტემაში; **ნ.** ინგლისელი ფიზიკოსი; **ე.** ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **რ.** ესა თუ ის რელიგიური მოძღვრება, სარწმუნოება; **თ.** ძველი ებრაული სახელწოდება ბიბლიის პირველი ხუთი წიგნისა, რომლის ავტორობა მოსე წინასწარმეტყველს მიეწერება; **ა.** აშშ-ის შტატი; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დებიუტი; **ა.** აბრაზია; **ი.** ინძაგი; **ს.** სლალომი; **ვ.** ვენეცია; **ე.** ელენე; **ნ.** ნაბადი; **ე.** ეკიპაჟი; **თ.** თათბირი; **პ.** პასტორი; **ა.** ალიკაპი; **ლ.** ლაყუჩი; **ი.** იავა; **ტ.** ტრამვაი; **რ.** რური; **ა.** ანუბისი; **ს.** სალუტი; **თ.** თეირანი; **ა.** ანანასი; **ნ.** ნარვალი; **ე.** ერმაკი; **რ.** რიონი; **თ.** თედო; **ა.** ალიზი; **დ.** დისპუტი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ბრძანებით სიყვარული არ მოდის.**

CMYK

## №18 (292) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 1062 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 467-მა ქალმა და 588 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი პოპულარული ქალის მიმართ ხართ ყველაზე მეტად კეთილ-განწყობილი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა 40-ის ყველაზე მეტ კეთილ-განწყობას პარლამენტის თავმჯდომარე იმსახურებს. **6,14** საშუალო ქულით ნინო ბურჯანაძე პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა მხოლოდ 2-მა შეაფასა იგი მინიმალური ქულით.

შემდეგ ადგილზე ლელა წურწუმიაა. საშუალო ქულაა 5,91. მაქსიმალური — 8 ქულა მას მკითხველთა 26-მა დაუწერა, მინიმალური — 3-მა.

მკითხველი ასევე კეთილგანწყობილია ეკა კახიანის მიმართაც. 5,57 საშუალო ქულით ეკა მესამე ადგილზეა.

მიუხედავად იმისა, რომ მაკა ასათიანი საერთო ქულების რაოდენობით მეოთხე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების მიხედვით (5), მას წინ ნანა დევდარიანი უსწრებს (6) და აღსანიშნავია ისიც, რომ დიზაინერი ქალბატონისთვის მიკუთვნებულ მაქსიმალურ ქულებს მინიმალური ქულები სჭარბობს (12).

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (23) წილად ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ხვდა.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა, 50 წლამდე ასაკის მკითხველები ლელა წურწუმიას მიმართ არიან ყველაზე კეთილგანწყობილნი; გოგოლა კალანდაძე კი ნანა დევდარიანს უსწრებს წინ.

რაც შეეხება 50 წელს გადაცილებულ რესპონდენტებს, მათთან პირველი სამეული უცვლელია, მეოთხე ადგილზე ნანა დევდარიანია, შემდეგ — სესილი გოგიბერიძე, მეექვსეზე — მაკა ასათიანი, მეშვიდეზე — სარიშვილი-ჭანტურია და სულ ბოლო ადგილზე გოგოლა კალანდაძეა.

ქალი რესპონდენტების კეთილგანწყობას იმსახურებენ: 1. ნინო ბურჯანაძე; 2. ეკა კახიანი; 3. ლელა წურწუმია.




საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 47 წლის აბაშელი **ლიანა მხეიძეა.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 15 მაისს, 17 საათზე.

## №19 (293) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის პრეციზიაში*.

**№19 (293) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 15 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 16 მაისის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №19 (293)
„ექსები“

**თქვენი აზრით, რომელმა პიროვნებამ დაკარგა ყველაზე დაუმსახურებლად სავარძელი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№19(293) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | პიროვნება | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გია მეფარიშვილი | |
| 2 | ზურაბ ნოღაიდელი | |
| 3 | კახა თარგამაძე | |
| 4 | ვახტანგ ქუთათელაძე | |
| 5 | გია არსენიშვილი | |
| 6 | იგორ გიორგაძე | |
| 7 | ზურაბ ჟვანია | |
| 8 | ლევან ძნელაძე | |

*მკითხველის პრეციზია*

**მიიღებთ თუ არა მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში?**

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში დღეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?**

✓ ____________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ____________ ტელეფონი ____________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## *მკითხველის პრეციზიის შედეგები*

**რომელი პიროვნება ახდენს ყველაზე მეტ გავლენას პრეზიდენტზე საქართველოში?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ნანული შევარდნაძე | 26,1% |
| 2. | ავთანდილ ჯორბენაძე | 24,2% |
| 3. | ბადრი პატარკაციშვილი | 4,7% |
| 4. | ასლან აბაშიძე | 4,1% |
| 5. | სანათესაო | 3,9% |
| 6. | ნინო ბურჯანაძე | 3,4% |
| 7. | ნიკო ლეკიშვილი | 2,8% |
| 8. | ზურაბ ჟვანია | 2,4% |
| 9. | მიხეილ სააკაშვილი | 1,7% |
| 10. | ლევან მამალაძე | 1,2% |

კითხვაზე პასუხის გაცემა 6,2%-ს გაუჭირდა. 5,9% კი აცხადებს, რომ ედუარდ შევარდნაძეზე ვერც ერთი პიროვნება ვერ ახდენს გავლენას.

*როგორც ვხედავთ, ქალბატონ ნანულისა და სახელმწიფო მინისტრს, ათეულში შესულ სხვა პიროვნებებთან შედარებით, გაცილებით დიდი გავლენა აქვთ პრეზიდენტზე.*

*მკითხველთა 1,7%-ის აზრით, ყველაზე მეტ გავლენას პრეზიდენტზე თავად პრეზიდენტი ახდენს.*

*რაოდენ გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, სულ პრეზიდენტზე გავლენის მქონე 32 ქართველი ცნობილი ადამიანი დასახელდა.*

*მკითხველის რეიტინგში 829 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

____________

____________

____________

____________

____________

____________

თქვენი სახელი, გვარი ____________

ქალაქი (რაიონი) ____________



**ხათუნა გოგორიშვილი, ჯუმბერ ლომინაძე**

**დ.მ.** — „ნაციონალურ მოძრაობაში“ „ელექტრიკად“ არ მიმიღებ?
**მ.ს.** — ძველი სამსახურიდან დახასიათება და რეკომენდაცია მომიტანე და ვნახოთ.

***ჯაბა ნაზღაიძე, რუსთავი***

**დ.მ.** — დენის გამომუშავების ახალი პროექტი მოგიტანე.
**მ.ს.** — რა არის ასეთი?
**დ.მ.** — შენ და ნათელაშვილს ენაზე გენერატორები უნდა დაგიყენოთ და ორივე პარტიას ავტონომიური განათება გექნებათ.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**მ.ს.** — პაპაჩემმა კგბ-ში რომ მიმიღო, 3 წლისა და ორი თვის ვიყავი...
**დ.მ.** — მე კიდევ მაგხელა რო ვიყავი, ქვესადგურში ვმუშაობდი სმენის უფროსად.

***მახარე წიკლაური***

**დ.მ.** — მიშა, სად იყავი მიწისძვრის დროს?
**მ.ს.** — გარეთ, ეზოში და ძლივს შევასწარი სახლში.

***„ბრიგონიდან“***

**დ.მ.** — გირჩევ, ნაციონალურ მოძრაობაში შეიყვანო ჯგუშია და ჯოჯუა.
**მ.ს.** — რატომ?
**დ.მ.** — ყველგან თქვენ გცემენ და შეიძლება ვერ გაუძლოთ, ეს ორი კი კარგად იტანენ.

***მურმან გიგანი, ლენტეხი***



**მიხეილ სააკაშვილი, დავით მირცხულავა**

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 166 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**დ.მ.** — მიშა! მართლა „ქურდებისაა“ პარლამენტი?
**მ.ს.** — მაგათია და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ.
(კ/ფ „თეთრი ბაირაღები“)

***„ხეჩრო“, თბილისი***

**მ.ს.** — დათო, ეს რა გიჭირავს ხელში?
**დ.მ.** — ეს ისტორიული დოკუმენტია, სადაც წერია, რომ შევარდნაძეები და მირცხულავები ერთი მოდგმისანი არიან. რა იცი, იქნებ მოხსნას გადავრჩე.

***გოგა ქარჩავა, ზუგდიდი***

**დ.მ.** — მიშა, მაცივარში კვერცხები რომ იყო, სულ შეღებეთ შენ და ჟვანიამ?
**მ.ს.** — არა.
**დ.მ.** — მაშ რა იქნა?
**მ.ს.** — შევარდნაძემ ჩაიარა ჩვენს ქუჩაზე თავისი ამალით და...
**დ.მ.** — მერე, მოარტყით მაინც?

***ავთანდილ წერეთელი, თბილისი***

სერვანტესის თანამედროვე გმირები: დონ-კიხოტი და სანჩო-პანსა.

***დ.რ., თბილისი***

**მ.ს.** — მიგიღებ ყმაწვილო ჩვენს გუნდში, მაგრამ რას გვიმღერებთ?
**დ.მ.** — ვაი, ველარ ვხედავ მზეეს!..
**მ.ს.** — ეგეც ჩაგიქრა, შე უბედურო?!..

***კოკა დარახველიძე, ქუთაისი***

**დ.მ.** — მე გაოცებული ვარ თქვენი გულახდილობით.
**მ.ს.** — მე ყოველთვის გულახდილი ვიყავი.
**დ.მ.** — ვერ დაგეთანხმებით, ადრე ლელვის ფოთლებს აწებებდით ყველაფერს, დღეს კი კეთილსინდისიერად აღწერთ, რასაც ისინი ფარავდნენ.

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***

C

## ᲤᲝᲢᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ



— ნეტავი ჭრილში ის ვიმოვი...

## ᲬᲘᲜᲐ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ









## ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲬᲐᲛᲐᲚ „ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝᲡ" ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲩᲘᲠᲥᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲠᲒᲘᲚᲘ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘᲓᲐᲜ

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. ივითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის" ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲠᲘᲗ შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲨᲘ" კი, ქვეყნდება მხოლოდ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲠᲘᲗ შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება* **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** *ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:ათანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კთ „საქართველოსთან"; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიღუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; ვამსახურდიას გამზ. - ვაჟაშვილის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

*ქალაქებში და რაიონებში:* ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲮᲝᲜᲘ, ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲖᲣᲑᲓᲘᲓᲘ, ᲤᲝᲗᲘ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, ᲬᲜᲝᲠᲘ, ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ, ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ – *არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.* ᲐᲮᲛᲔᲢᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ *ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან.* ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲨᲘ *თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან.* ᲟᲘᲜᲕᲐᲚᲡᲐ *და* ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ *– თვის III კვირის ოთხშაბათს.*

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ" (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.©

### (19) ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ

განცხადების ტექსტი ____________________

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№19 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 16 მაისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე

### ᲔᲡ ᲘᲪᲝᲓᲘᲗ?

დანა, ჩანგალი თუ კოვზი? თურმე, ჩანგალი ყველაზე „ახალგაზრდაა" მათ შორის. რუსეთში XVII საუკუნეში სამეფო კარის სუფრებზეც კი, მხოლოდ კოვზები და დანები ელაგა. მოჭრილ ნაჭრებს იღებდნენ ან დანით, ან ხელით და ხანდახან კოვზითაც კი. რუსეთის არისტოკრატიამ ჩანგალი გაიცნო XVIII საუკუნეში პეტრე I-ის წყალობით, რომელმაც ეს საოცარი ნივთი 1842 წელს ევროპიდან შემოატანინა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იქაც დიდი სიახლე იყო. პირველ ჩანგალს ორი კბილი ჰქონდა და მხოლოდ შეძლებულ ოჯახებში შეხვდებოდით. ჩანგლით სარგებლობა მასიურად XIX საუკუნეში დაიწყო.

* * *



მარომ იმშობიარა და ტყუპები შეეძინა. საგონებელში ჩავარდა:

— ნეტა, ვინ უნდა იყოს იმ მეორის მამა?...

* * *

ქალი კაბას იკერავს. საკერავი მანქანა ხმაურობს. ქმარი თავზე წამოსდგომია და ყვირის:

— ახლა მარცხნივ! კიდევ მარცხნივ! პირდაპირ! ნუ ჩქარობ...

ქალი გაცეცხლებული წამოხტა:

— მომბეზრდა შენი კომენტარების მოსმენა!!!

— კაია ხომ? მეც მომბეზრდა შენი კომენტარები, როცა ერთად ვმგზავრობთ და მე საჭესთან ვზივარ...



ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲑᲔᲠᲛᲣᲮᲐ"



ᲑᲠᲢᲧᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲣᲜᲣᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲣᲖᲔᲑᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲡᲐᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ. ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ 10 ᲬᲔᲚᲘ.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს ფულადი ... გამოქვეყნებული მასალების, ფაქტების, ... სიზუსტეზე ...

Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲚᲘ ᲛᲣᲜᲗᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘ: ᲜᲣᲪᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44

palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra

ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 1518

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ"©
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „პალიტრაში".